ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

ეკონომიკა და ფინანსები

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

Economics and Finance

Quarterly International Referred and Reviewed
Scientific Journal

4
2019

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“

ზოგადი დებულება

ჟურნალის დამფუძნებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის თანადამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს საქართველოს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი.

კონცეპცია

ჟურნალი შინაარსობრივად არის სრულტექსტიანი; ჟურნალი გამოიცემა როგორც ელექტრონული სახით, ისე ნაბეჭდი ვერსიის ფორმით. გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა მასალა რეცენზირდება და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში. რეცენზირება ფარულია, ანუ ავტორისათვის უცნობი რჩება რეცენზენტის ვინაობა.

ჟურნალი ორიენტირებულია იმ სამეცნიერო მასალებზე, რომლებიც არსად გამოქვეყნებულა (სტატიები, გამოკვლევათა შედეგები, ანგარიშები და ა.შ.) და ავტორთა მიერ ჟურნალს გადაეცემა. გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის და ამ მასალებზე დაცული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

ავტორები პასუხისგებელნი არიან სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე. ავტორებისათვის პუბლიკაცია ფასიანია.

ჟურნალის რედაქცია არ აგებს პასუხს სტატიის პუბლიკაციის შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ მასალების გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების, საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევა, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული მასალა ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ჟურნალის მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის შექმნისათვის და ორიენტირებულია იმ კრიტერიუმებზე, რაც მოეთხოვება სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიურ ჟურნალებს.

Science Journal "Economics and Finance"

General provision

The journal is founded by the scientific-educational organization Institute for Economic Research and Development and it is owned by "Copyright". Co-founder is a faculty of Business Technologies of Georgian Technical University. The purpose of the International Scientific Journal is to support the development of science, and to publish and retain new achievements, researches and results of the researches obtained by scientists and specialists. The review, expertise and publication of the articles is financed by the Institute of Economic Research and Development.

Concept

The content of the journal is full-featured; The journal is published both in electronic form and in the form of a printed version. All materials received for publishing are reviewed and published in case of positive review. The review process is anonymous so the reviewer remains unknown to the author.
The journal is oriented on scientific materials that have never been published (articles, results of research, reports, etc.). These materials are transmitted by the authors to the editorial board, used only for scientific purposes and all materials will be subject of intangible copyright rights.

The authors are responsible for the contents of the article and its publication. Publications are not free for authors.

The editorial board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. If publication of the material violat the scientific ethical norms of publication or other rights, the editorial board is authorized to remove the published material from the database.

The review, expertise and publication of the articles are financed by the Institute for Economic Research and Development as well as faculty of Business Technologies of Georgian Technical University.

The editorial board of the journal is provide the creation of a high scientific status and authoritative of the journal and is focused on the criteria required for academic journals with scientific traditions.

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491
ISSN – 2587 – 5000

ეკონომიკა და ფინანსები
Economics and Finance

N 2, 2019 წელი

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა

მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი,თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმიის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ).

N 2, 2019

Head of the editorial board: Giorgi Tsaava

Editor-in-Chief: Davit Cakhvashvili

Editorial board:

L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU),

---

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

Quarterly international referred and reviewed scientific journal „Economics and Finance“ is issued according to the decision of Business Technologies Faculty of Georgian Technical University and Institute of Economic Research and Development

საკონტაქო ინფორმაცია:

ტელ.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

Contact:

Tel.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

<u>ბანკები და ფინანსები</u>

ვალერი მოსიაშვილი, ზაიკო სურამელი - საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ბანკის გავლენა ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე 9

გიორგი ცაავა - მცირე ბიზნესის საქმიანობაში ფინანსების მართვის პრაქტიკული ჩვევების კვლევის ანუ წარმოების „უზარალობის წერტილის“ დადგენის სასარგებლო სასწავლო-საქმიანი სიტუაციების ათვისების პრაქტიკუმი 19

ალეკო ქუთათელაძე, ზურაბ ტალახაძე - სალიზინგო კომპანიების ზოგადი დახასიათება და სალიზინგო პროცესის მართვავ 42

ვაჟა ჯაშიაშვილი - კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელისა და რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ 48

ვალერი მგალობლიშვილი - ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება საქართველოში 58

თემურ ბერიძე - საქართველოს საბანკო სექტორის სტრატეგიული განვითარების ტენდენციების შესახებ 68

ნელი სესაძე, ნაილი გაგნიძე - საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია - გზა ევროკავშირისაკენ …….... 82

<u>მენეჯმენტი</u>

დავით ჩახვაშვილი, ილია ჭიკაიძე - ქართულ ბიზნეს ორგანიზაციების მენეჯერების არაეფექტური სამოტივაციო პროგრამები 92

დავით სეფაშვილი - კომერციული ბანკების საინვესტიციო მენეჯმენტი საქართველოს საბანკო სფეროს მაგალითზე 99

<u>ბიზნესის განვითარების აქტუალური საკითხები</u>

ბექა ზაუტაშვილი, დავით ჩახვაშვილი - სოციალური მედიის როლი ბიზნესში და ზოგადი ტენდენციები საქართველოში 114

სალომე ოდიშარია - კომპანიების ეკონომიკურ საქმიანობაზე მოქმედი გარე ფაქტორების ანალიზი 124
ქეთევან შენგელია, ნინო მაღლაკელიძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესის გავლენა მომავლის საგანმათლებო სისტემაზე 145
გიორგი ქევხიშვილი - კომპანიების შთანთქმისა და შერწყმის მოტივები თანამედროვე ბისზესში 155

<u>**დარგობრივი ეკონომიკის აქტუალური საკითხები**</u>

იური კოჩარიან - საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სივრცის პერსპექტივა 166
გიორგი გოგოლაძე - სოციალური დაზღვევია, როგორც სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი 172

<u>**აგრარული სფეროს აქტუალური საკითხები**</u>

თენგიზ ლაჭყეპიანი, ლეილა გეგენავა - მიწის ბაზრის განვითარებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში 183
ბელა კუტიბაშვილი - აგრო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოსთვის და მისი განვითარების პრობლემები 191

<u>**სამართალი**</u>

ნიკოლოზ დგებუაძე - საზოგადოებრივი პროკურატურა ამერიკის შეერთბულ შტატებში და მისი პერსპექტივები საქართველოში 202

<u>**განათლება**</u>

ლია ანთაძე - ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობა 221

<u>**რუბრიკა - ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში**</u>

ვალერი მოსიაშვილი, მარიამ გიქოშვილი - პოლ სამუელსონი 231

TABLE OF CONTENT

Banks and Finances

Valeri Mosiashvili, **Zaiko Surameli** - Impact of the Monetary Bank of the National Bank of Georgia on the Stability of the National Currency 9

Гиорги Цаава - Практикум усвоения практических навыков управления финансами деятельности малого бизнеса или полезных учебно-деловых ситуации исследования «Точки безубыточности» производства 19

Aleko Kutateladze, Zurab Talakhadze - Leasing Companies General Characterizes and Managing of Leasing Process 42

Vazha Jashiashvili - On the loan portfolio of a commercial bank and modern risk assessment methods 48

Valeri Mgaloblishvili - Regulation of the securities market in Georgia ... 58

Temur Beridze - On the trends of strategic development of the banking sector of Georgia 68

Neli Seadze Naili Gagnidze - Harmonization of the tax system - the path to the European Union 82

Managment

Davit Chakhvashvili, Ilia Chikaidze – Ineffective motivational programs for managers of Georgian business organizations 92

Davit Sepashvili - Investment Banking Management of Commercial Banks in Georgia 99

Topical issues of business development

Beka Zautashvili, **Davit Chakhvashvili** – The role of social media in business and general trends in Georgia 114

Salome odisharia - Analysis of external factors affecting the economic performance of companies …….…. 124
Ketevan Shengelia, Nino Maglakelidze - The Impact of the Information Technology Business on the Future Education System …… 145
Giorgi Kevkhishvili - Motives for acquisitions and mergers in modern business …… 155

Current Issues in the Sector Economy

Iuri Kocharian - Perspective of the maritime transport space of Georgia ……. 166
Giorgi Gogoladze - Social security as an important factor in social security ……. 172

Current issues in the field of agriculture

Tengiz Lachkepiani, Leila Gegenava - Land Development and Management Improvements in Georgia ……... 183
Bela Kutibashvili - Importance of Agro Business in Georgia and Its Development Problems ……... 191

Law

Nikoloz Dgebuadze - Public Prosecutor's Office in the United States and its Perspectives in Georgia ……... 202

Education

Lia Antadze - The Importance of Adult Education …….. 221

Rubric - Laureates of the Nobel Prize in Economics

Valeri Mosiashvili, Mariam Gikoshvili - Paul Samuelson ……..…….. 231

ბანკები და ფინანსები

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ბანკის გავლენა ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე
Impact of the Monetary Bank of the National Bank of Georgia on the Stability of the National Currency

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
vmosiashvili@seu.edu.ge
ზაიკო სურამელი - მაგისტრანტი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
zaikozaiko123@gmail.com
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
vmosiashvili@seu.edu.ge
Zaiko Surameli - Georgian Technikal University. Master
zaikozaiko123@gmail.com

რეზიუმე. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის მგდრადი და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც უმნიშვნელოდ განიცდის დევალვაციას, და სარეზერვო ვალუტების მიმართ. საკითხს კიდევ მეტი სიმწვავე ემატება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული ფულადი ნიშნის - ლარის, არც თუ ისე სასურველი ტემპით დევალვაცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება საზოგადოების ფართო წრეების მიმართ. სწორედ არნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანია გავაკეთოთ სებ-ის ანტიინფლაციური და ანტიდევალვაციური პოლიტიკის ანალიზი და დავსახოთ გზები ალტერნატიული ინსტრუმენტების გამოყენებისთვის, რომელიც ჩვენი აზრით მიმდინარე ეტაპზე შედარებით „უმტკივნეულო“ იქნება ქვეყნის ეკომომომიკისთვის და ბიზნეაქტივობაზეც ნეგატიურად არ იმოქმედებს.

წინამდებარე კვლევის შესრულებისას ჩვენ მიერ, სებ-ის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავაკეთეთ მოპოვებული სტატისტიკური

მასალის ანალიზი, გამოვიყენეთ ექსპერტული და ექსტრაპოლაციური კვლევის მეთოდები, რომ მოტანილი არგუმენტები საზოგადოების ფართო ფენებისთვის (მ.შ. არა სპეციალისტებისთვის) ყოფილიყო ადვილად აღსაქმელი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ გვქონდა სათანადო/საიმედო სტატისტიკური მასალა გამოყენებულია კვლევის რედუქციული მეთოდი.

ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ სებ-ის მიერ მიმდინარე ეტაპზე გატარებული ანტიინფლაციური და ანტი დევალვაციური პოლიტიკა, მართალია ნაწილობრივ უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, მაგრამ მთლიანობაში ნეგატიურ გავლენას ახდენს ბიზნეს აქტივობაზე და ამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მიმდინარე ეტაპზე ანტიდევალვაციური პოლიტიკის ალტერნატიული, მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული ინსტრუმენტი, კერძოდ სასურველია სებ-მა გამოიყენოს მონეტარული პოლიტიკის ისეთი ქმედითი ინსტრუმენტი, როგორიცაა სარეზერვო მოთხოვნების ცვლილება, და თუ ამჟამად **ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის სარეზერვო მოთხოვნა არის 5 %, გაიზარდოს 10 %-მდე, როლო სარეზერვო მოთხოვნა უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის არის 30 %, დადგინდეს 20 %-ის ფარგლებში, როგორც ეს რეკომენდირებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და წლების განმავლობაში გამოიყენებოდა თვით სებ-ის მიერ.**

საკვანძო სიტყვები: მონეტრაული პოლიტიკა, რეფინანსირების განაკვეთი, დევალვაცია, დეპოზიტი, სესხი, საპროცენტო განაკვეთი.

Resume

One of the prerequisites for a stable and sustainable development of the country's economy, as world practice confirms, is to ensure the stability of the national currency, which is slightly devalued, and in respect of reserve currencies. The issue is even more challenging in our country's reality, when the national monetary mark - Lari, is being devalued at a not-so-desirable pace, which is especially badly perceived by the majority number of the society. Therefore, the purpose of our research is to analyze the NBG's anti-inflation and anti-devaluation policy and identify ways to use alternative instruments that will be relatively

"painless" for the country's economics at present and will not negatively affect on business activity.

While conducting the present study, we analyzed the statistical data obtained from the official information provided by the NBG, used expert and extrapolated research methods to easily make the arguments available to the majority number of the society (including non-specialists), and when we had not obtained appropriate / reliable statistical data, we used a reductive method of research.

The study clearly showed that the NBG's current anti-inflation and anti-devaluation policies, which partially ensure the stability of the national currency, have a negative impact on business activity as a whole and reduce solvency demand.

We are currently offering an alternative, worldwide-proven instrument of anti-devaluation policy, in particular, the NBG should use an effective monetary policy tool such as a change in reserve requirements, and the reserve requirement for national currency funds that now stands at 5%, should stand at 10%, while reserve requirement for funds attracted in foreign currency that stands at 30%, should be set at 20% as recommended by the IMF and has been used by the NBG for years.

Keywords: monetary policy, refinancing rate, devaluation, deposit, loan, interest rate.

შესავალი. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკის მგდრადი და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც უმნიშვნელოდ განიცდის დევალვაციას, სარეზერვო ვალუტების მიმართ. საკითხს კიდევ მეტი სიმწვავე ემატება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული ფულადი ერთეულის - ლარის, არც თუ ისე სასურველი ტემპით დევალვაცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება საზოგადოების ფართო წრეების მიერ.

უკანასკნელი ერთი წელის მანძილზე ლარმა საკმაოდ მაღალი დევალვაცია განიცადა, 20.11.2019 წ. 1 $ - 2.6593 ₾[1], დღევანდელი

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 10. 2019.

(20.10.2019 წ.) გაცვლითი კურსი კი არის 1$ - 2.9718 ₾ (დევავაცია განიცადა - 11.75 %-ით), რაც სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც შემოსავალი აქვს ეროვნულ ვალუტაში, ხარჯები გაეზარდა, „ცხოვრება“ გაუძვირდა და შესაბამისად დახარჯულ ერთ ლარზე დამატებით იხდის 11,75 თეთრს. ამან თავისი გავლენა მოახდინა ინფლაციურ პროცესებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური მონაცემებით ნაცვლად მიზნობრივი 3%-ისა, შეადგინა 6.9 %[2].

ძირითადი ნაწილი. ქყეყნის მონეტარული ხელისუფლება მართალია „დაგვიანებით“ (ავტორის შენიშვნა), მაგრამ ცდილობს შეარბილოს დევალვაციური და ინფლაციური „წნეხი“ და შექმნას სტაბილური სავალუტო და ზოგადად მონეტარული გარემო. ვფიქრობთ ამის შედეგია ბოლო პერიოდში განხორციელებული მონეტარული პილიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სავალუტო ინტერვენცია და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვფიქრობთ ვერ მოგვცა ის შედეგი, რომელსაც ელოდა როგორც საზოგადოება ასევე ბიზნეს სექტორი, რამდენადაც ლარი კვლავ „დაბალ ნიშნულზეა“, რაც ზრდის უნდობლობას მის მიმართ და ამცირებს საზოგადოების გადახდისუნარიანობას.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ დევალვაციური პროცესი, თუ იგი „გონივრულ სამიზნე“ მაჩვენებს არ აჭარბებს, მისაღებია, ეკონომიკის ზრდა განვითარებისთვის უფრო მეტად ხელის შემწყობი ფაქტორია, ვიდრე შემაფერხებელი. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, გვინდა განვიხილოთ სებ-ის მიერ გატარებული ანტიდევალვაციური პლიტიკის შედეგები და ვაჩენოთ ალტერნატიული გზის შესახებ, რომელიც შეუძლია სებ-მა

[2] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 11. 2019.

გამოიყენოს, რათა დროის არც თუ ისე გრძელვადიან პერიოდში მივიღოთ შედეგები (ლარის კურსის რევალვაცია საწყის ეტაპზე, და სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში). თან ისე, რომ არ მოხდეს ბიზნესაქტიურობის შეფერხება და ნაკლებად „გაძვირდეს“ საკრედიტო რესურსი.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები[3]

	ვადიანობა	განაკვეთი (%)
სესხი	7 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 8.5%)
ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი	28 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 8.5%)
ერთდღიანი დეპოზიტები	1 დღე	(8.5 -0.75) %
ერთდღიანი სესხები	1 დღე	(8.5 +0.75) %
სადეპოზიტო სერტიფიკატები	3 თვე	განისაზღვრება აუქციონით
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	1/2/5/10 წელი	განისაზღვრება აუქციონით
	ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის	**უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის**
სარეზერვო მოთხოვნა*	5.0%	25.0%
* ნარჩენი ვადიანობების მიხედვით ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები გათავისუფლებულია სარეზერვო მოთხოვნებისაგან, ხოლო უცხოური ვალუტით 1-დან 2 წლამდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.		

მიმდინარე წლის (2019 წ.) სექტემბერში სებ-მა მაღალი მაღალი დევალვაციის და თანდართული ინფლაციური პროცესების

[3] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 10. 2019.

„მოთოკვისთვის“ გამოიყენა ერთ-ერთი, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ფართოდ აპრობირებული - რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, თან ისე რომ ამისთვის მას დაჭირდა მონეტარული პლიტიკის რიგგარეშე სხდომის ჩატარება და ერთი თვის განმავლობაში მართლაც უპრეცედენტოდ, ორჯერ 0.5 %-ული პუნქტით, ჯამში 1%-ით გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი. ხოლო 23 ოქტომბერს გაზარდა 1%-ით. თუ გავითვალისწინებთ აქამდე არსებულ პრაქტიკას ეს ცვლილება ერთ-ერთი შედეგის მომტანია ეროვნული ვალუტის სტაბილურობის ან სულაც რევალვაციისთვის. თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ღონისძიებები ამცირებს ქვეყანაში გადახდისუნარიან მოთხოვნას, აუარესებს სოციალურ ფონს.

ყოველივე აღნიშნულის ნათელსაყოფად, სებ-ის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რეფინანირების განაკვეთის ზრდის მიზანშეწონილობის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა რეფინანსირების განაკვეთი, საბანკო სექტორში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ბანკის კლიენტებს, რომლებიც სარგებლობდნენ ეროვნულ ვალუტაში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებით (და არა მარტო), მათ აბსოლუტურ უმეტესობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაეზარდათ სესხის მოცულობა 2 %-ით.

ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხები ფიზიკურ პირებზე (ოქტომბრის თვის მდგომარეობით) შეადგენდა 4 167 697 ათას ლარს. მარტივი მათემატიკური გათვლებით ამ მოცულობის კრედიტის 2 % შეადგენს 83 353 940 ლარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სესხის ამღებმა ფიზიკურმა პირებმა კომერციული საბანკო სექტორს დამატებით უნდა გადაუხადონ აღნიშნული მოცულობის თანხა.

მთლიანობაში ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სებ-ის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ

გადახდისუნარიანი მოთხოვნა შეამცირა დაახლოებით 83.3 მლნ ლარით, ამას თუ დავუმატებთ ზოგადად ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხების მთლიან მოცულობას (ოქტომბრის თვის ბოლოს მდგომარეობით) 6 132 212 ათას ლარს, მსაგსი გათვლებით თანხა კიდევ მეტია და შეადგენს 122 644 240 ლარს.

ასევე კიდევ მეტად არასახარბიელო სურათია შინამეურნოებებზე გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით დანაკარგების შესხებ, კერძოდ ოქტომბრის თვის მონაცემებით - შინამეურნეოებებზე გაცემული სესხებიდან (15 132 018 ათასი ლარი), უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები შეადგენს 9 526 469 ათას ლარს. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიით შინამეურნეობებს (ეკონომიკის ამ ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე სფეროს), გადასახდელი მხოლოდ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის გაეზარდათ 190 529 380 ლარით. რაც საზოგადოების სოციალურ ფონზეც ნეგატიურ გავლენას ახდენს

თუ უფრო შორს წავალთ და ავიღებთ კრებსით მონაცემს, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) გაცემული სესხებით დავალიანება შეადგენს 28 834 963 ათას ლარს[4], ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით გადახდისუნარიანი მოთხოვნა შემცირდა 576 699 260 ლარით.

ჩვენს მიერ სებ-ის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში მონეტარული ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ლარის დევალვაციური პროცესების და აქედან გამომდინარე ინფლაციური „წნეხის“ შემცირება, ეროვნული

---

[44] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

ეკონომიკისთვის გადახდისუნარიანი მოთხოვნა თითქმის 500 მილიონი ლარით შეამცირა, ანუ ეკონომიკას პოტენციურად დააკლდა ამ შიდა მოცულობის ინვესტიცია.

აღნიშნული მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივად გვესახება სებ-მა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან გამოიყენოს - სარეზერვო მოთხოვნა. რომელიც ვფიქრობთ საკმაოდ განსხვავებული **ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (5%) და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (25 %). რომელიც შესაძლოა გამართლებულია დედოლარიზაციის პოლიტიკის გასატარებლად, მაგრამ როგორც პრაქტიკამ დაადასტურა არაეფექტურია ზოგადად ეროვნული ვალუტის სტაბილურობისთვის, იწვევს ინფლაციური „წნეხის“ ზრდას, რომელიც ყველაზე მტკივნეულად აისახება მოსახლეობაზე.**

ჩვენი რეკომენდაციებით სასურველია სარეზერვო მოთხოვნის მაჩვენებელი, უცხური ვალუტით მოზიდული სახსრებითვის ნაცვლად არსებული 30 %-ისა ნიშნული შემცირდეს 20 %-მდე, ხოლო პარალელურად (ან თანმიმდევრულად) **ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის გაიზარდოს 10 %-მდე, ყოველი შემთხვევისთვის მანამ, სანამ ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ მიაღწევს/გადააჭარბებს „ისტორიულ მაქსიმუმს“ (1962.6 მლნ აშშ დოლარი 2019 წ.[5])**

თუ კვლავ სებ-ის ოფიციალურ მონაცემებს გადავხედავთ ვნახავთ, რომ მთლიანობაში უცხური ვალუტით დეპოზიტების მოცულობა, დენომინირებული ლარში შეადგენს - 16853873 ათას ლარს (ცხრილი 1).

დასკვნა. თუ არსებული მონაცემების საფუძველზე გავაკეთებთ გათვლებს, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების „შერბილება“ 30%-იდან 20 %-მდე, საბანკო სექტორს დამატებით გამოუთავისუფლებს 1 685 387 ათას ლარის მოცულობის უცხოურ ვალუტას, (მ.შ. აშშ

[5] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 10. 2019.

დოლარში 1 4184 65 ათასი ლარით, ევრში 239 770 ათასი ლარით) რაც მიეწოდება ეროვნულ ეკომომიკას კრედიტის სახით, ანუ მონეტარულ ბაზარზე დაახლოებით ამავე მოცულობით გაიზრდება ლარზე მოთხოვნა და უცხოური ვალუტის მიწოდება. ეს ყოველივე მარტივი ლოგიკით მოახდენს ეროვნული ვალუტის კურსის არა მარტო სტაბილიზაციას, არამედ რევალვაციასაც. ამასთან თუ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის დაიზრდება არსებული 5%-დან 10%-მდე, ეკონომიკაზე ლარის მიწოდებას შეზღუდავს დაახლოებით - 431 341 600 ლარით (კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შეადგენს 9 426 832 ათას ლარს[6]).

გვესმის, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა (კომერციულ ბანკეს ლარში საკრედიტო პოტენციალი შეეზღუდებატ), მაგრამ რამდენადაც გაიზრდება კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი უცხოური ვალუტაში, ვფიქრობთ ეს მოახდენს კომპენსირებას და ლარში გაცემული კრედიტის საპროცენტო ან არ გაიზრდება, ან გაზრდის შემთხვევაში „დაუბრუნდა მანამდე არსებულ ნიშნულს“, თუმცა რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა ისედაც იწვევს „კრედიტის გაძვირებას“, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით კრედიტით სარგებლობა ძვირდება მათთვის ვისაც უკვე აღებული აქვს, ხოლო ლარზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ზრდით გაძვირდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მათთვის ვინც აპირებს აღებას, ანუ მათ უკვე ეცოდნინებათ რა საპროცენტო განაკვეთი უნდა გადაიხადონ, განსხვავებით მათგან ვინც უკვე სარგებლობს საბანკო კრედიტით.

---

[6] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

უცხოური ვალუტით დეპოზიტების სტრუქტურა[7]

	სულ ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა
01/01/19	**15,265,036**	12,684,812	2,339,433	169,597	19,734	27,044	24,416
01/02/19	**14,917,458**	12,361,301	2,320,101	170,931	17,422	25,600	22,102
01/03/19	**14,931,952**	12,434,729	2,268,708	171,539	7,484	26,868	22,624
01/04/19	**15,046,028**	12,547,143	2,269,206	170,269	10,442	28,690	20,277
01/05/19	**15,121,111**	12,626,991	2,262,392	171,810	10,922	26,910	22,085
01/06/19	**15,665,230**	13,126,560	2,318,196	168,211	4,257	26,037	21,968
01/07/19	**16,129,961**	13,511,217	2,361,008	200,259	7,294	25,634	24,549
01/08/19	**16,581,651**	13,963,134	2,365,263	193,539	8,703	26,571	24,441
01/09/19	**16,853,873**	14,184,651	2,397,705	187,409	12,143	45,925	26,042

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 10. 2019.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 11. 2019.
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 10. 2019.
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 10. 2019.
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

[7] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

დადგენის სასარგებლო სასწავლო-საქმიანი სიტუაციების ათვისების პრაქტიკუმი

Практикум усвоения практических навыков управления финансами деятельности малого бизнеса или полезных учебно-деловых ситуации исследования «Точки безубыточности» производства

გიორგი ცაავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
g.tsaava@gtu.ge
Гиорги Цаава – Профессор Грузинского
Технического Университета
g.tsaava@gtu.ge

რეზიუმე: ჩამოყალიბებულია ფინანსურ მენეჯმენტში მცირე ბიზნესის ფინანსების მართვის პრაქტიკული ჩვევების ათვისებისათვის სასწავლო-საქმიანი სიტუაციების პრაქტიკუმი. განხორციელებულია მცირე ბიზნესში ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშების თავისებურებები. განხილულია გაყიდვების უზარალობის წერტილისა და ამონაგების სხვადასხვა დონეების შესაბამისი მოგების სიდიდის განმსაზღვრელი გრაფიკული ხერხი.

საკვანძო სიტყვები: საწარმოს ფინანსები, ფინანსური მენეჯმენტი, ცვალებადი დანახარჯები, მუდმივი დანახარჯები, უზარალობის წერტილი.

Резюме.

1.Сформулировано полезнный учебно-деловой практикум для усвоения практических навыков по финансовому менеджменту об особенностях управления финансами в малом бизнесе и расчета «Точки безубыточности» производства.

2.Уточнены особенности расчета финансовых показателей в малом бизнесе, каковыми являются: порог рентабельности, определение количества продаваемых товаров для получения прибыли, запас финансовой прочности, валовая маржа.

3.Расмотрено удобный графический способ установления безубыточной точки продаж и опредеения величины прибыли соответствуюших различным уровням выручки.

Key words: Finance of company, financial management, variable cost, fixed cost, break-even point.

ცნობილია, რომ ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა რისკებთან არის დაკავშირებული (ზომიერების ფარგლებში რისკის გარეშე ბიზნესის წარმატება გამორიცხულია), ამდენად ბიზმესმენებისათვის, ეკონომისტებისათვის, ფინანსისტებისათვის, ბანკირებისათვის, მეწარმეებისათვის ეკონომიკური გაურკვევლობის აღნიშნულ ფენომენს სათანადო შეცნობა, შესწავლა და გამოყენება ჭირდება. რისკის უგულებელყოფით არც ერთ სამეწარმეო პროექტს, მით უფრო ახალ პროექტს, თავიდანვე შესრულება არ უწერია.

იმისათვის, რომ მეწარმე სამომავლოდ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში არ აღმოჩნდეს, მან **წარმოების „უზარალობის წერტილის“, საბაზრო ეკონომიკის ენაზე რომ ვთვათ, ბიზნესის სიმყარის (სტაბილურობის) გაანგარიშების თავისებურებები უნდა იცოდეს.** მეწარმეებს გამოშვებულ პროდუქციაზე საბაზრო ფასების უსაზღვროდ ზრდა არ ძალუძთ, ვინაიდან ამ საკითხს საბაზრო მექანიზმები არეგულირებს. მეწარმეს მხოლოდ დანახარჯების შემცირება და ამ გზით უზარალოდ მუშაობის ზღვარის „დაბლა დაწევის“ შესაძლებლობა გააჩნია და ის მეწარმე რომელიც ამას წარმატებით ახორციელებს, მას სტაბილური მუშაობის მნიშვნელოვანი მარაგიც უჩნდება (1, გვ. 569 - 578).

წარმოების „უზარალობის წერტილი“ - ცვალებადი და მუდმივი დანახარჯებისა და მოგების თანაფარდობის ამსახველია. საწარმო მანამ იქნება ზარალიანი, სანამ გაყიდვების (და წარმოების) მოცულობა ისეთ მნიშვნელოვან წეტილს არ მიაღწევს, როგორიცაა „უზარალობის წერტილი“. გაყიდვების მეტი მოცულობით განხორციელებისას, საწარმო მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს გადაფარავს, რის შემდეგ მოგების მიღება დაიწყება (2, გვ. 83 - 89).

საწარმოს დანახარჯები ძირითადად ორ კატეგორიად დაიყოფა:

❖ **მუდმივი დანახარჯები,** რომლებიც უშუალოდ წარმოების დონეზე არ არის დამოკიდებული, როგორებიცაა: პერსონალზე ზოგიერთი დანახარჯი, ელექტროენერგიის გადასახადი, შენობის იჯარის გადასახადი და ა.შ.;

❖ **ცვალებადი დანახარჯები,** რომლებიც წარმოების პროცესთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია, როგორებიცაა: დანახარჯები ნედლეულზე, ხარჯები ძირითადი მუშა პერსონალის ხელფასებზე და ა.შ. .

„უზარალობის წერტილი“ წარმოების ისეთ მოცულობას შეესაბამება, რომლის დროს საწარმო არ ღებულობს მიგებას, მაგრამ არ განიცდის ზარალს. ამდენად „უზარალობის წერტილი“ საქმიანობის ისეთ დონეს შეესაბამება, როდესაც რეალიზაციის მოცულობა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია.

წარმოების „უზარალობის წერტილის“, ანუ რენტაბელობის ზღვარის გრაფიკულად მოძიება შემდეგი სახით ხორციელდება (იხ. ნახაზი 1): აბსციცას ღეტძზე - **წარმოებისა და გაყიდვების მოცულობა EC** (ერთეულებში), ხოლო ორდინატას ღერძზე - **დანახარჯები და შემოსავლები AC** (ლარებში) აღირიცხება.

სწორი ხაზი **FC,** რომელიც აბსცისას ღერძის პარალელურია, **მუდმივ დანახარჯებს** ასახავს, და წარმოების ნებისმიერი მოცულობისათვის უცვლელი სიდიდეა.

სწორი ხაზი **AC - გაყიდვების მოცულობას** გამოხატავს, ხოლო სწორი ხაზი **TC - დანახარჯების საერთო ჯამს** (მუდმივი დანახარჯები + ცვალებადი დანახარჯები) ასახავს.

წერტილი S, რომელიც **TC და AC** სწორი ხაზების გადაკვეთაზე მდებარეობს, „**უზარალობის წერტილს“** შეესაბამება.

თუ წარმოების მოცულობა **Qs**-ზე მეტია, საწარმო მოგებას მიიღებს, ხოლო თუ წარმოების მოცულობა **Qs**-ზე ნაკლებია, საწარმო ზარალს მიიღებს, რომლებიც **AC დაTC** სწორი ხაზების ორდინატას შესაბამისი მნიშვნელობების სხვაობის ტოლი იქნება.

წარმოების მოცულობის **Qs**-ის ტოლი მნიშვნელობისათვის, საწარმოს არც მოგება და არც ზარალი წარმოექმნება და **Qs „უზარალობის წერტილს“** შეესაბამება.



ნახაზი 1. „უზარალობის წერტილის“ გრაფიკი

ადვილად შესამჩნევია, რომ AC ხაზის დახრის კუთხე (აბსცისას ღერძთან მიმართებაში) უფრო დიდია TC ხაზის დახრასთან შედარებით, რაც სავსებით რეალურია, რადგანაც თითოეული გაყიდული პროდუქციის ფასი მისი წარმოების საერთო დანახარჯებთან მიმართებაში უფრო მეტი უნდა იყოს, ვინაიდან გაყიდვების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანახარჯების საერთო მოცულობა (4, გვ. 103 - 108).

„უზარალობის წერტილის“ ანუ რენტაბელობის ზღვარის ანალიზი ერთ-ერთი კონცეფციათაგანია, რომელიც მიკროეკონომიკაში აღრიცხვისა და ფინანსების სასწავლო პროგრამით შეისწავლება და მისი გამოყენება **მსესხებელის კრედიტუნარიანობის ანალიზისათვისაც** არის შესაძლებელი, რამდენადაც თითოეული საწარმო ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე: გრგმავს წარმოების მოცულობის გადიდების შესაძლებლობას, შეისწავლის წარმოებაში ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვების მიზანშეწონილობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **პრაქტიკაში გაყიდვების მოცულობის ზრდის შესაბამისად, ფასების შემცირების ტენდენციებიც შეიმჩნევა და გაყიდვების მოცულობის მრუდის სწორხაზოვნობა ყოველთვის მართებული ვერ იქნება**.

თვალსაჩინოების მიზნით შემდეგი სახის **პრაქტიკული მაგალითი განვიხილოთ:** დავუშვათ, საწარმოს მუდმივი დანახარჯები 500 ათ. ლარის, ცვალებადო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე 125 ლარის ტოლია და ერთი ნაკეთობის გასაყიდი ფასი 150 ლარის სიდიდით (პროდუაციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯების 20%-იანი ნაზარდით) დაიგეგმა. **მოცემული მონაცემების საფუძველზე მოვახდინოთ წარმოების „უზარალობის წერტილის“ ანუ რენტაბელობის ზღვარის გაანგარიშება.**

გაანგარიშებისათვის შემდეგი ორი სახის ხერხი განვიხილოთ: **გრაფიკული და ალგებრული ხერხები.**

1.გაანგარიშების გრაფიკული ხერხი:

ნახაზი 1-ზე მუდმივი დანახარჯები FC = 500 ათ. ლარის ტოლია, ხოლო საერთო დანახარჯები TC სწორი ხაზითაა აღნიშნული და იგი ცვალებადი და მუდმივი დანახარჯების საერთო ჯამს წარმოადგენს.

ცხრილი 1-ის მონაცემებიდან გამომდინარე „უზარალობის წერტილი“ პროდუქციის 20 ათ. ერთეულის წარმოების მოცულობას შეესაბამება (არც მოგება და არც ზარალი).

ცხრილი 1. „უზარალობის წერტილის“ გაანგარიშება

წარმოების მოცულობა (ათ. ტ) Q	ცვალებადი დანახარჯები VC	მუდმივი დანახარჯები FC	საერთო დანახარჯები TC = (4 = 3 + 2)	გაყიდვების მოცულობა AC	მოგება (ზარალი) (6 = 5 – 4)
1	2	3	4	5	6
10	1250	500	1750	1500	(250)
20	**2500**	**500**	**3000**	**3000**	**0**
30	3750	500	4250	4500	250
40	5000	500	5500	6000	500
50	6250	500	6750	7500	750

2. გაანგარიშების ალგებრული ხერხი:

ა) წარმოების მოცულობა „უზარალობის წერტილში“. ტრადიციული ანალიზის ძირითად ფორმულას, რომელიც სუფთა მოგებას შეესაბამება, შემდეგი სახე აქვს:

სუფთა მოგება = [Q(P-VC)-FC](1-kc),

სადაც: Q – არის გაყიდული ნაკეთობის რაოდენობა;

P - არის პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასუ;

FC - არის მიდმივი დანახარჯები;

VC - არის ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

Kc - არის კორპორაციული გადასახადის განაკვეთი.

იმასთან დაკავშირებით, რომ „უზარალობის წერტილში“ სუფთა მოგება ნულის ტოლია და წარმოებული და გაყიდული პროდუქციის მოცულობები წარმოების დანახარჯებს (მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამი) ზუსტად გადაფარავს, ამდენად, მოგების არ არსებობის გამო საწარმოს მოგების გადასახადის გადახდა არ უწევს

და „უზარალობის წერტილში“ (1 - kc) -ს მნიშვნელობა 1-ის ტოლი იქნება და ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Qs(P-VC)-FC = 1,$$

საიდანაც: $$Qs = FC / (P-VC).$$

აღნიშნული ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ წარმოების მოცულობა, რომელიც „უზარალობის წერტილს“ შეესაბამება, ტოლია მუდმივი დანახარჯები შეფარდებული სხვაობასთან პროდუქციის ერთეულის - გასაყოდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის.

ფორმულაში რიცხობრივი მონაცემების ჩასმით მივიღებთ, რომ „უზარალობის წერტილში“ გაყიდული ნაკეთობების რაოდენობას შეესაბამება:

$$Qs = 500 : (150 - 125) = 20,0 \text{ ათ. ერთეულს.}$$

ბ) გაყიდვების მოცულობა „უზარალობის წერტილში“(5, გვ. 29). ფინანსების სფეროში მომუშავე მენეჯერებისათვის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია **შემოსავალი** გაყიდვებიდან, ვიდრე **წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობა**. „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ტოლია მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის:

$$ACs = FC + (VC \times Qs).$$

იმასთან დაკავშირებით, რომ **გაყიდვების მოვულობიდან ცვალებადი დანახარჯები მუდმივ წილს შეადგენს,** ზემოთ მოყვანილი ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$ACs = FC + [(VC \times Qs) / ACs] \times ACs,$$

სადაც (VC x Qs) / ACs-ის მნიშვნელობა, პროდუქციის ერთეულზე გასაყის ფასსა და ცვალაბად დანახარჯებს შორის მუდმივი თანაფარდობის შენარჩუნებისას, **მუდმივი სიდიდე** (6, გვ. 51 - 56) **იქნება (**მაგალითად, თანაფარდობა 1,1-სას - 0,9090; თანაფარდობა 1,2-სას - 0,8333; თანაფარდობა 1,3-სას - 0,7692 და ა.შ.**).**

ზემოთ მოყვანილი ფორმულა შეიძლება შემდეგი სახითაც ჩაიწეროს:

$$ACs\ [1 – (VC \times Qs) / ACs] = FC,$$

საიდანაც: $CAs = FC / [1 – (VC \times Qs) / ACs] =$

$= FC / [1 – (VC \times Qs) / (P \times Qs)] =$

$= FC / [1 – (VC / P)],$

ანუ $CAs = FC / [1 – (VC / P)].$

ამ ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ტოლია - მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს თანაფარდობა - პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯებისა და გასაყიდი ფასის.

აღნიშნულ ფორმულაში რიცხობრივი მნიშვნელობების ჩასმით „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობის შემდეგ სიდიდეს მივიღებთ:

$CAs = 500000 / 1 – (125/150) = 3\ 000\ 000$ ლარი.

ბანკის მსესხებელის კრედიტუნარიანობის (წარმოების „უზარალობის წერტილ;ის“) დადგენის მიზნით, ავტორის მიერ ცხრილური სახით პრაქტიკული მაგალითების სხვადასხვა ვარიანტების გაანგარიშებამ, დასმული პრობლემის ირგვლივ საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონზომიერების დადგენისა და საინტერესო დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მოგვცა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ბანკის მსესხებელის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის (წარმოების „უზარალობის წერტილის“ დადგენის) მიზნით ავტორისეული პრაქტიკული კანონზომიერების დადგენის თავისებურება

მაჩვენებლები		ვარიანტი „ა“: (2-3-4)			ვარიანტი „ბ“: (5-6-7)			ვარიანტი „გ“: (8-9-10)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.საწარმოს დანახარჯები: ა) მუდმივი დანახარჯები (FC), ათ ₾	500	400	300	500	400	300	500	400	300
ბ) ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის									

ერთეულზე (VC), ლარში	125	125	125	125	125	125	125	125	125
2.პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის მეტობით დადგენა ცვალებად დანახარჯებთა ნ მიმართებაში	10%	10%	10%	30%	30%	30%	50%	50%	50%
3.მაშინ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი () ტოლი იქნება, (ლარებში)	137,5	137,5	137,5	162,5	162,5	162,5	187,5	187,5	187,5
4.“უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ათ. ლარში) Qs=FC/(P-VC)	40	32	24	13,3	10,7	8,8	8	6,4	4,8
5.“უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ათ. ლარში) ACs=Fc/(1-VC/P)	5495	4396	3297	2166	1733	1300	1500	1200	900
6. საიდანაც (1-VC/P)ტოლია		(1–0,9090)==0,0910			(1-0,7692)==0,2308			(1-0,6667)==0,3333	
7.”უზარალობის წერტილში” რეალიზაციის მოცულობა (ათ ლარებში), ასევე გაიანგარიშება პოზიცია (3)					1733				

გამრავლებული პოზიცია (4)	5500	4400	3300	2167		1300	1500	1200	900
8.”უზარალობის წერტილში” ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა გაიანგარიშება პოზიცია (1ბ) გამრავლებული პოზიცია (4)	5000	4000	3000	1667	1333	1000	1000	800	600
9.”უზარალობის წერტილში” ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა მუდმივი დანახარჯების შემდეგი ჯერადობის ტოლია	1	10-ის ჯერადი (100-ის 10%)			3,3-ის ჯერადი (100-ის 30%)			2-ის ჯერადი (100-ის 50%)	
10.”უზარალობის წერტილში” რეალიზაციის საერთო მოცულობა ტოლია მუდმივი დანახარჯები გაყოფილი შესაბამის მუდმივ კოეფიციენტზე (პუნქტი 6)		0,0910-ზე			0,2308-ზე			0,3333-ზე	

ცხრილი 2-ის მონაცემებიდან შემდეგი კანონზომიერებები იქნა დადგენილი:

1. პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული მეტობით (10%; 30%; 50% და ა.შ.) დაგეგმვისას, „უზარალობოის წერტილში“ ცვალებადი დანახარჯებოს საერთო მოცულობა მუდმივი დანახარჯების (შესაბამისად 10-ის ჯერადი; 3,3-ის ჯერადი’ 2-ის ჯერადი) ჯერადია და იგი პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის პროცენტული ნამატიდან გამომდინარეობს.

2. პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული ნამატის შენარჩუნებისას: ა) „უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ათ. ლარებში) გაიანგარიშება როგორც მუდმივი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის სხვაობაზე: Qs = FC / (P - VC).

3. “უზარალობის წერტილში” რეალიზაციის მოცულობა (ათ. ლარებში) გაიანგარიშება როგორც მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს თანაფარდობა პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის ფასზე: ACs = FC / (1 – VC / P).

4. „უზარალობის წერტილში“ პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის ნაზარდის მუდმივი პროპორციის შენარჩუნებისას, აღნიშნულ წერტილში რეალიზაციის საერთო მოცულობის გაანგარიშების ფორმულაში გამყოფის (მნიშვნელის) გამოსახულება (1 – VC / P) შესაბამისი ვარიანტისათვის მუდმივი სიდიდეა.

ნაშრომში ასევე მცირე ბიზნესში ფინანსების მართვის თავისებურებების შესახებ წარმოდგენის მომცემი და ფინანსურ მენეჯმენტში პრაქტიკული ჩვევების ათვისებისათვის მეტად სასარგებლო სასწავლო-საქმიანი პრაქტიკუმია განხილული, რომელის დეტალურად განხილვა ჩავთვალეთ მიზანშეწონილად (3, გვ. 620 - 627).

დავუშვათ ინდმეწარმე „წინსვლა“ ტურისტებისათვის ერთი ცალი პლაკატის 3,5 ლარად გაყიდვას გეგმავს. მას შეუძლია პლაკატები მებითუმესაგან (სანარდოსაგან) 2,1 ლარად შეიძინოს და გაუყიდავი პლაკატები მთლიანი ღირებულებით უკან დაუბრუნოს. ინდმეწარმეს ჯიხურის არენდა კვირაში 700 ლარი უჯდება.

უნდა გაიცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია რენტაბელობის ზღვარი?
2. როგორი გახდება რენტაბელობის ზღვარი, თუ საარენდო გადასახადი 1050 ლარამდე გაიზრდება?
3. როგორი იქნება რენტაბელობის ზღვარი, თუ რეალიზაციის ფასის 3,5 ლარიდან 3,85 ლარამდე გაზრდა გახდება შესაძლებელი?
4. როგორი იქნება რენტაბელობის ზღვარი, თუ პლაკატების შესაძენი ფასი 2,1 ლარიდან 2,38 ლარამდე გაიზრდება?
5. რამდენი პლაკატი უნდა იქნას გაიყიდული კვირაში 490 ლარის ოდენობის მოგების მისაღებად?
6. როგორი სიდიდის მოგებას შეიძლება ველოდოთ გაყიდვების სხვადასხვა დონეებისას?
7. ფინანსური მდგრადობის როგორი მარაგი ექნება ინდმეწარმე „თინათინის“ ბიზნესს კვირაში მოგების 490 ლარის ოდენობისას?
8. თუ ინდმეწარმე „თინათინი“ დაგეგმავს გაყიდოს ორი სახეობის საქონელი: 400 ცალი ჩვეულებრივი პლაკატი (რეალიზაციის ფასი 3,5 ლარი, შესაძენი ფასი 2,1 ლარი) და 500 ცალი დიდი პლაკატი (რეალიზაციის ფასი 6 ლარი, შესაძენი ფასი 3,92 ლარი), მაშინ რისი ტოლი იქნება აღნიშნული თითოეული საქონელის რენტაბელობის ზღვარი და მთლიანად საწარმოს რენტაბელობის საერთო ზღვარი?
9. რა უფრო მეტად უწყობს ხელს რენტაბელობის ზღვარის შემცირებას და ფინანსური სიმტკიცის მარაგის ამაღლებას: პლაკატების ერთი სახეობით თუ ორი სახეობით ვაჭრობა?

ამოხსნა:

1. რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ უნივერსალური განტოლება:

ამონაგები + ცვალებადი დანახარჯები =
= მუდმივი დანახარჯები + ნულოვანი მოგება.

აღნიშნული განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ

3,5 ლარი x საქონელის ზღვრული რაოდენობა -
- 2,1 ლარი x საქონელის ზღვრული რაოდენობა =
= 700 ლარს + 0,

და, ამრიგად,

რენტაბელობის ზღვარი = მუდმივი დანახარჯები /
/ (რეა;ლიზაციის ფასი - შესაძენი ფასი) =
= 700 ლარი / (3,5 ლარი - 2,1 ლარი) = 500 პლაკატს.

იმისათვის რომ ინდმეწარმე „წინსვლამ“ საკუთარი ვაჭრობა უზარალო გახადოს, უნდა გაყიდოს 500 პლაკატი და მათგან 3,5 ლარი x 500 = 1750 ლარის ოდენობის ამონაგები მიიღოს (ანუ რენტაბელობის ზღვარი 1750 ლარის ტოლი იქნება).

აღნიშნული ამოცანის **მთლიანი მარჟის კოეფიციენტის** (მმკ) მეშვეობით გადაწყვეტისას, შეიძლება რენტაბელობის ზღვარი თავდაპირველად ფულად ფორმაში, ხოლო შემდეგ კი ნატურალურ გამოსახულებაშიც იქნას მიღებული (ცხრ. 1):

ცხრილი 1. მთლიანი მარჟის კოეფიციენტის გაანგარიშება

მავენებელი	**ლარებში**	**პროცენტებში**	**ერთეულის წილებში**
- რეალიზაციის ფასი ---. - ცვალებადი დანახარჯები საქონლის ერთეულზე (შესაძენი ფასი) ..	3,5 2,1	100 60	1 0,6
- მთლიანი მარჟა	1,4	40	0.4

რენტაბელობის ზღვარი, ლარებში = 700 ლარი : 0,4 = 1750 ლარს.

შესაბამისად, (1750 ლარი : 3,5) = 500 პლაკატს, ანუ

მუდმივი დანახარჯები / მთლიანი მარჟა საქონელის ერთეულზე =
= 700 ლარი : 1,4 ლარზე = 500 პლაკატს.

2. თუ არენდული გადასახადი კვირაში 1050 ლარამდე (ანუ 50%) გაიზრდება, მაშინ ინდმეწარმე „წინსვლას“ მოუწევს კვირაში უკვე 750 პლაკატი გაყიდოს, რომ ყველა ხარჯები გადაფაროს: 1050 ლარი : 1,4 ლარზე = 750 პლაკატს და მათზე, მანამ სანამ წარმოიქმნება მოგება, გამოიმუშაოს 2625 ლრი:

1050 ლარი : 0,4 = 2625 ლარს.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ მუდმივი დანახარჯების 50% გადიდებამ რენტაბელობის ზღვარიც ასევე 50% გაადიდა. ასეთი შესაბამისობა, სხვა ტოლი პირობებისას, ყოველთვის არსებობს. ასევე, მუდმივი დანახარჯების რამდენიმე პროცენტით შემცირებისას კი, იმდენივე პროცენტით შემცირდება რენტაბელობის ზღვარი.

3. რეალიზაციის ფასის 3,5 ლარიდან 3,85 ლარამდე გადიდებისას მთლიანი მარჟა საქონელის ერთეულზე (3,85 ლარი - 2,1 ლარი) = 1,75 ლარის ტოლი იქნება, მთლიანი მარჟის კოეფიციენტი კი (1,75 ლარი : 3,85 ლარი) = 0,4545-მდე ამაღლდება. მაშინ უზარალობის მიღწევისათვის (700 ლარი : 1,75 ლარი) = 400 პლაკატის გაყიდვაა საჭირო, საიდანაც ამონაგები (700 ლარი : 0,4545) = 1540 ლარის ტოლი იქნება და - აღნიშნული რენტაბელობის ახალი ზღვარი გახდება. რეალიზაციის ფასის ამაღლება რენტაბელობის ზღვარს ამცირებს, რამდენადაც მთლიანი მარჟა ერთეულ საქონელზე იზრდება.

4. თუ ცვალებადი დანახარჯები 2,1 ლარიდან 2,38 ლარამდე გაიზრდება, მაშინ მთლიანი მარჟა საქონელის ერთეულზე (3,5 ლარი - 2,38 ლარი) = 1,12 ლარის ტოლი იქნება, ხოლო მთლიანი მარჟის კოეფიციენტი კი (1,12 ლარი : 3,5 ლარზე) = 0,32-მდე შემცირდება. ამიტომ რენტაბელობის ზღვარი ამაღლდება: (700 ლარი : 1,12) = 625 პლაკატამდე და (700 ლარი : 0,32) = 2187,5 ლარამდე. ბუნებრივია, შესაძენი ფასის შემცირებისას ინდმეწარმე „თინათინს“ უზარალობის მისაღწევად ნაკლები პლაკატების გაყიდვა მოუწევს, ვიდრე საწყის ვარიანტში.

5. დასახული მოგების, მაგალითად, კვირაში 490 ლარის მისაღებად, მთლიანი მარჟის თანხა საკმარისი უნდა იყოს მუდმივი დანახარჯებისა და სასურველი მოგების გადასაფარავად. აღნიშნული ნიშნავს, რომ საჭირო იქნება (700 ლარი + 490 ლარი) : 1,4 ლარზე = 850 პლაკატის (700 ლარი + 490 ლარი) : 0,4 = 2975 ლარის ოდენობით გაყიდვა.

შემოწმება: (3,5 ლარი x 850) = 2950 ლარს.

ამრიგად, დასახული მოგების მომტანი გასაყიდი საქონელის რაოდენობა რომ გავიგოთ, საჭოროა ერთეულ საქონელზე მოსული მუდმივი დანახარჯებისა და სასურველი მოგების ჯამი გაიყოს მთლიან მარჟაზე, ხოლო იმისათვის რომ ამონაგების შესაბამისი სიდიდე გავიანგარიშოთ, საჭიროა მუდმივი დანახარჯებისა და სასურველი მოგების ჯამი გაიყოს მთლიანი მარჟის კოეფიციენტზე.

6. მოგების თანხის განსასაზღვრავად, რომელიც ამონაგების სხვადასხვა დონეების შეესაბამისი იქნება, მეტად მოხერხებულია იგი გრაფიკული ხერხით იქნას განხორციელებული (ნახაზი 2 და 3).

6.1. დავისახოთ თვითნებურად გაყიდვების მოცულობა, ვთქვათ, 1000 ცალი. გავიანგარიშოთ ამონაგები, რომელიც აღნიშნულ მოცულობას შეესაბამება (3,3 ლარი x 1000 = 3500 ლარს) და ნახაზი 1-ზე შესაბამისი წერტილი A-თი ავღნიშნოთ. წერტილი A საწყის კორდინატა O-თან შევაერთოთ. მიღებული მონაკვეთი შესაბამისი იქნება რეალიზაციიდან ამონაგებს.

6.2. გავატაროთ მუდმივი დანახარჯების ხაზი C წერტილიდან (700 ლარის დონე) ჰორიზონტალური ღერძის პარალელურად.

6.3. გავიანგარიშოთ ცვალებადი დანახარჯები გაყიდვების დასახული მოცულობისათვის: (2,1 ლარი x 1000) = 2100 ლარს. მუდმივ დანახარჯებს დავამატოთ ცვალებადი დანახარჯები და მივიღებთ ჯამურ დანახარჯებს: (700 ლარს + 2100 ლარი) = 2800 ლარს. ავღნიშნოთ წერტილი B, რომელიც 1000 ცალის გაყიდვების მოცულობისათვის მთლიან დანახარჯების შესაბამისი იქნება.

შევაერთოთ წერტილი B წეტილ C-თან. მიღებული ხაზი თავისთავად ჯამური დანახარჯების გრაფიკს წარმოადგენს.

6.4. რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება რეალიზაციიდან ამონაგებისა და ჯამური დანახარჯების ტოლობის პირობებიდან. აღნიშნული ტოლობის უზრუნველყოფა ამონაგებისა და ჯამური დანახარჯების გრაფიკების გადაკვეთის წერტილში მიიღწევა. აღნიშნულ წერტილს შეესაბამება 500 ერთეულის გაყიდვების მოცულობა, რომელიც ადრე განტოლების მეშვეობით უკვე იყო მიღებული.



ნახაზი 2. ამონაგების სხვადასხვა დონეების შესაბამისი მოგების თანხების განსაზღვრის გრაფიკული ხერხი

6.5. დაშტრიხული სამკუთხედი, რომელიც ამონაგების ხაზისა და ჯამური დანახარჯების ხაზის გადაკვეთის წერტილიდან მარცხნივაა, თავისთავად წარმოადგენს ზარალის ზონას: 500 პლაკატის ოდენობით ზღვრული მოცულობის მიღწევამდე ინდმეწარმე „წინსვლა“ იმყოფება „მინუსებში“; გადაკვეთის წერტილის მარცხნივ არსებული სამკუთხედი შეესაბამება მოგების ზონას: როგორც კი ინდმეწარმე „წინსვლა“ გასაღების ხუთასერთეულიან ზღვარს გადალახავს, თითოეული ახალი გაყიდული პლაკატი მოგების მოტანას დაიწყებს.

6.6. ამონაგებისა და ჯამური დანახარჯების გრაფიკის ჰორიზინტალურ ღერძთან მიმართებაში ზევით ატანითა და

დაშვებით, შეიძლება ახალი პარამეტრების შესაბამისი რენტაბელობის ზღვრები იქნას განსაზღვრული. ამასთან დანახარჯების სტრუქტურის ცვლილების მანევრირება არის შესაძლებელი,

არსებობს სხვა გრაფიკული მოდელებიც, რომლებიც შეიძლება პრაქტიკაში იქნას გამოყენებული. კერძოდ, ზოგიერთი მენეჯერები დასაწყისში ცვალებადი დანახარჯების ხაზს აგებენ, ხოლო შემდეგ კი მის პარალელურად მოდმივი დანახარჯების ხაზს ავლებენ. მაგრამ ამასთან გაყიდვების დონის ცვლილებაზე დანახარჯების ზემოქმედების დაკვირვება ირღვევა. შეიძლება ასევე აგებული იქნას გრაფიკი, რომელშიც ჰორიზონტალური ღერძი (საქონელის ერთეულების რაოდენობა) უზარალობის ხაზთან იქნედა დამთხვეული (ნახაზი 2). უზარალობის წერტილი (D) წარმოიქმნება - გაყიდვების დასახული ფიზიკური მოცულობისას დაგეგმილი მოგების წერტილისა (C) და მუდმივი დანახარჯების წერტილის (E), ჰორიზონტალურ ღერძთან (უზარალობის ხაზთან) შემაერთებელი ხაზის გადაკვეთისას.

7. ფინანსური სიმტკიცის მარაგი გვიჩვენებს, თუ ამონაგების როგორმა შესაძლო დაცემას (შემცირებას) შეუძლია ბიზნესმა გაუძლოს, მანამ სანამ ზარალის წარმოქმნა დაიწყება. ფინანსური სიმტკიცის დიდი მარაგი „ბალიშს“, მცირე კი - გაფრთხილაბას ემსახურება.



ნახაზი 3. ამონაგების შესაბამისი მოგების თანხების
განსაზღვრის მეორე გრაფიკული ხერხი

ნახაზი 3. ამონაგების შესაბამისი მოგების თანხების განსაზღვრის მეორე გრაფიკული ხერხი

ფინანსური სიმტკიცის მარაგის პროცენტული გამოსახულება ფინანსურ მენეჯმენტში ბიზნეს-გეგმის რისკის ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება. რამდენად დაბალია აღნიშნული პროცენტი, იმდენად მაღალია რისკი. ინდმეწარმე „წინსვლას“ ფინანსური სიმტკიცის მარაგი ტოლია:

ფინანსური სიმტკიცის მარაგი, ცალებში =
= გაყიდვების მოსალოდნელი მოცულობა, ცალებში -
- რენტაბელობის ზღვარი, ცალებში =
= 850 პლაკატი - 500 პლაკატი = 350 პლაკატს;

ფინანსური სიმტკიცის მარაგი, ლარებში =
= მ3,5 ლარი x 350 = 12225 ლარს,

ფინანსური სიმტკიცის მარაგი, % =
1225 ლარი : 2975 ლარზე x 100 = 41%,

და ზუსტად ასევე - 350 პლაკატი : 2975 ლარზე 100 = 41%.

ინდმეწარმე „წინსვლის“ გაყიდვების მოცულობა შეიძლება 350 ერთეულით შემცირდეს, ამონაგები შეიძლება 41% დაეცეს, მაგრამ აღნიშნული ჯერ-ჯერობით ზარალს არ გამოიწვევს.

8. არასასურველი ასორტიმენტული სისტემამ შეიძლება ბიზნესის შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს და მასთან დაკავშირებული რისკები გაზარდოს. ასორტიმენტული სტრუქტურის შეფასების ერთ-ერთ მთავარ, მაგრამ, როგორც შემდგომში იქნება ნაჩვენები, არა ერთადერთ კრიტერიუმს **მთლიანი მარჟის კოეფიციენტი** ემსახურება (იხ. ცხრ. 3). აღნიშნული კოეფიციენტის დაბალ მნიშვნელობას თან უმნიშვნელო მოგება და ზარალიც კი ახლავს. ორი სახეობის პლაკატების გაყიდვისას ინდმეწარმე „წინსვლას“ ექნება:

ცხრილი 3. მთლიანი მარჟის კოეფიციენტი როგორც

ასორტიმენტული სტრუქტურის შეფასების მთავარი კრიტერიუმი

მაჩვენებელი	ჩვეულებრივი პლაკატები	დიდი პლაკატები	ჯამი
➢ რეალიზაციის ფასი საქონელის ერთეულზე, ლარებში ➢ ცვალებადი დანახარჯები საქონელის ერთეულზე, ლარებში	3,5 2,1	6,0 3,92	
➢ მთლიანი მარჟა ერთეულ საქონელზე, ლარებში ➢ გაყიდვების დაგეგმილი მოცულობა, ცალებში ➢ დაგეგმილი მთლიანი მარჟა, ლარებში ➢ საშუალო მთლიანი მარჟა საქონელის ერთეულზე, ლარებში	1,4 400 560	2,08 500 1040	900 1600 1600/900=1,778
➢ საწარმოს რენტაბელობის ზღვარი, პირ.ერთ. ➢ ცალკეული საქონელის რენტაბელობის ზღვარი, ცალებში	394x400/900 = = 175	390x500/900 = =219	700/1,778 = 394

გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ მთლიანად საწარმოს რენტაბელობის ზღვარი 1927 ლარს შეადგენს. იგი მიიღება - 175 ჩვეულებრივი პლაკატისა და 219 დიდი პლაკატის გაყიდვისაგან: (3,5 ლარი x 175) + (6 ლარი x 219) = 1927ლარი.

ასორტიმენტში საქონელის არსებობისას, საჭიროა უპირველეს ყოვლისა გაანგარიშებული იქნას პირობითი საქონელის ერთეულზე მთლიანი მარჟის საშუალო სიდიდე (ყველაზე უკეთესია ამასთან გამოყენებული იქნას საშუალოშეწონილი სიდიდის მეთოდი, მაგრამ აქ გაანგარიშების გამარტივებისათვის საშუალოარითმეტიკული სიდიდის მეთოდია აღებული). შემდგომში გაანგარიშებას ჩვეულებრივი წესით ახორციელებენ, ხოლო ბოლო ნაბიჯი მდგომარეობს იმაში, რომ პირობით ერთეულებში გამოსახული რენტაბელობის ზღვარი გაიყოფა კონკრეტული საქონელის რენტაბელობის ზღვარზე.

პრაქტიკაში ასორტიმენტის ცალკეული საქონელის რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრისათვის სხვა მეთოდებიც გამოიყენება, რომლებიც განსხვავდებიან მთავარი პრობლემის გადაწყვეტის ხერხით, კერძოდ: როგორ „გავანაწილოთ“ საწარმოს მუდმივი დანახარჯები კონკრეტულ საქონელზე? შესაძლებელი იქნებოდა, მაგალითად, მუდმივი დანახარჯები, მთლიანი საწარმოს დანახარჯების სტრუქტურაში მოცემულ საქონელზე ცვალებადი დანახარჯების ხვედრითი წონის პროპორციულად გაგვენაწილებია. მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და ზუსტ ხერხს წარმოადგენს მუდმივი დანახარჯების ამონაგების იმ წილის მიხედვით შეწონვა, რომელსაც მოცემული საქომელი საწარმოს ჯამურ ამონაგებში უზრუნველყოფს. ინდმეწარმე „თონათინი“ დაგეგმილი ამონაგებისათვის ასეთ გაანგარიშებას განახორციელებდა (3,5 ლარი x 400) + (6 ლარი x 500) = 3400 ლარისათვის, წინასწარ გაიანგარიშებდა რა, რომ ჩვეულებრივი პლაკატები აღნიშნული ამონაგების - 0,32, ხოლო დიდრბი - 0,68 მისცემდა.

ცხრილი 3. საწარმოს რენტაბელობის ზღვარი ლარებში და ცალებში

მჩვენებელი:	**ჩვეულე-ბრივი პლაკატები:**		**დიდი პლაკატები:**		**ჯამი:**	
	ლარებში	**ერთ. წილი**	**ლარებში**	**ერთ. წილი**	**ლარებში**	**ერთ. წილი**
ამონაგები რეალიზაციიდან……..	1400	1	3000	1	3400	1
ცვალებადი დანახარჯები…	840	0,6	1960	0,653	2800	0,637
მთლიანი მარჟა…….	560	0,4	1040	0,347	1600	0,363
მუდმივი დანახარჯები…	700x0,32= =224		700x0,68=476		700	
საწარმოს რენტაბელო-ბიოს ზღვარი, ლარებში……						
ცალკეული საქონელის რენტაბელობის ზღვარი, ლარებში……..	224/0,4= =560				700/0,363= =1930	
ცალკეული საქონელის რენტაბელობის ზღვარი, ცალებში……	558/3,5= =160	1370/ /6=229	476/0,347= =1370			

გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ 1930 ლარიანი რენტაბელობის ზღვარი შეიძლება 160 ჩვეულებრივი პლაკატისაგან და 229 დიდი პლაკატისაგან შედგებოდეს.

შემოწმება: (3,5 ლარი x 160) + (6,0 ლარი x 229) = 1930 ლარს.

ამრიგად, საწარმოს რენტაბელობის ზღვარი ფულად გამოსახულებაში, პრაქტიკულად ანალიზის მეთოდებისაგან დამოუკიდებლად, ერთნაირი აღმოჩნდა, მაგამ აღნიშნული ამონაგები შეიძლება ცალკეული საქონელის რეალიზაციის სხვადასხვა მოცულობებიდან გამომდინარეობდეს. ინდმეწარმე „წინსვლამ“ უნდა ჩვეულებრივი და დიდი პლაკატებისათვის გაყიდვის შანსები უნდა შეადაროს და რენტაბელობის ზღვარის ფორმირების შესაბამისი ვარიანტი შეირჩიოს. თუ ჩვეულებრივი პლაკატები უფრო სწრაფად იყიდება, მაშინ შეიძლება მოელოდნელი იყოს, რომ ცხოვრებაში რენტაბელობის ზღვარი ყველაზე მეტი ალბათობით ჩამოყალიბდება ისე, როგორც აღნიშნული გაანგარიშების მეორე ვარიანტმა გვიჩვენა.

9. ადრე უკვე იყო ნაჩვენები, რომ, თუ კი ინდმეწარმე „წინსვლა“ მხოლოდ ჩვეულებრივი პლაკატებით ივაჭრებდა, მაშინ მისი საწარმოს რენტაბელობის ზღვარი 1750 ლარის ტოლი იქნებოდა. თუ ინდმეწარმე 400 ასეთ პლაკატს გაყიდიდა, იგი სულ 1400 ლარის ამონაგებს მიიღებდა და მოგების ნაცვლად ზარალს მიიღებდა. ორივე სახეობის პლაკატების გაყიდვით და 3400 ლარის ამონაგების მიღებით, ინდმეწარმე საწარმოს რენტაბელობის ზღვარს 1930 ლარამდე ამცირებს და ფინანსური სიმტკიცის მარაგი (3400 ლარს - 1930 ლარი) = 1470 ლარის ოდენობის იქნება, რაც რეალიზაციიდან ამონაგების 43,3% შეადგენდეს იქნება. მაგრამ თუ ინდმეწარმე მხოლოდ დიდი პლაკატებით ვაჭრობას გადაწყვეტს, მაშინ საწარმოს რენტაბელობის ზღვარი (700 ლარი : 0,347) = 2017,2 ლარის ტოლი იქნება, და დიდი პლაკატების ამონაგები (3000 ლარი) მის ფინანსურ სიმტკიცეს 32,8% მარაგით გადაფარავს. ყველა მონცემები მოწმობენ, პლაკატების რომელიმე ერთი სახეობის ნაცვლად, ორივე სახეობით ვაჭრობის უპირატესობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავიმეოროთ დამკვიდრებული **მნიშვნელოვანი სამეწარმეო წესი**: თითოეული საქონელის მიხედვით **ამონაგები** უნდა აჭარბებდეს **პირდაპირ დანახარჯებს** (ცვალებადი და მუდმივი დანახარჯების ჯამი). მაშინ **პირდაპირი დანახარჯების** ზევით მიღებულ **თითოეულ ლარს** მთლიანად საწარმოს **მუდმივი დანახარჯების გადაფარვაში** თავისი წვლილი შეაქვს **და მოგების გადიდების შესაძლებლობას იძლევა.**

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება:

1. ჩანოყალიბებულია ფინანსურ მენეჯმენტში მცირე ბიზნესის ფინანსების მართვის თავისებურებების შესახებ წარმოდგენის მომცემი და წარმოების „უზარალობის წერტილის“ გაანგარიშების პრაქტიკული ჩვევების ათვისებისათვის მეტად სასარგებლო სასწავლო-საქმიანი სიტუაციების პრაქტიკუმი.
2. განხორციელებულია მცირე ბიზნესში ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშების თავისებურებების დაზუსტება, როგორებიცაა: რენტაბელობის ზღვარი, მოგების მისაღებად გასაყიდი საქონელის რაოდენობის განსაზღვრა, ფინანსური სიმტკიცის მარაგი, მთლიანი მარჟა.
3. განხილულია გაყიდვების „უზარალობის წერტილისა“ და ამონაგების სხვადასხვა დონეების შესაბამისი მოგების სიდიდის განმსაზღვრელი ძალიან მოხერხებული გრაფიკული ხერხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგორიყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა (სახელმძღვანელო), ტომი 2. - თბილისი, გამომცემლობა „გრაალი“, 2011.
2. ქადაგიშვილილ. - ახალი სამეწარმეო საქმის ეკონომიკური შეფასება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის

აქტუალური საკითხების სამეცნიერო ნაშრომების კრებული, XVIII გამოშვება. - თბილისი, თსუ, 2001.

3. Стоянова Е.С. – Финансовый менеджмент: теория и практика, учебник. – Москва: Изд-во «Перспектива», 1999.

4. Жозет Перар. – Управление финансами с упряэнениями. – Москва: «Финансы и статистика», 1999.

5. Ченг Ф. Ли, Джозеф И. Финерти. – Финансы корпорации: теория, методы и практика. Университетский учебник. – Москва: «ИНФРА-М», 2000.

6. Цаава Г. – Совершенствование анализа кредитоспособности заемшика коммерческого банка. – Тбилиси, Журнал «Социальная экономика», №4, 2002.

სალიზინგო კომპანიების ზოგადი დახასიათება და სალიზინგო პროცესის მართვავ
Leasing Companies General Characterizes and Managing of Leasing Process

ალეკო ქუთათელაძე - სტუ-ის პროფესორი
a.qutateladze@banklabonline.com
ზურაბ ტალახაძე - სტუ-ის დოქტორანტი
zuratalakhadze@gmail.com
Aleko Kutateladze - Professor GTU
a.qutateladze@banklabonline.com
Zurab Talakhadze - Doctoral student GTU
zuratalakhadze@gmail.com

რეზიუმე: დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში სალიზინგო მომსახურებებს ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია. ყოველწლიურად კომპანიების მიერ საწარმოო აქტივების შესაძენად დახარჯული მილიარდობით სახსრების 35-40% სწორედ ლიზინგზე მოდის. მიუხედავად ამისა, საქართველოში ლიზინგი ახლა დგამს საწყის ნაბიჯებს, რათა გავრცელება და სარგებლობა ჰპოვოს სხვადასხვა მნიშვნელოვან ბიზნეს სექტორში.

თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგი მიეკუთვნება ბიზნესის ერთ-ერთ გამორჩეულ და საინტერესო სახეს, რომლის არეალი ყოველდღიურად იზრდება. მსოფლიო მასშტაბით იგი წარმოების ტექნიკური ბაზის განვითარების დაფინანსების ძირითადი წყაროა. ლიზინგი ხელს უწყობს საწარმოო საქმიანობის გამოცოცხლებას, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას. მართვის მოქნილობა, მანევრირების შესაძლებლობა ლიზინგის ის დადებითი თვისებებია, რაც მას მომლაპარაკებელი მხარეებისთვის ორმხრივად საინტერესოს ხდის.

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში სალიზინგო ოპერაციების მსოფლიოს მოცულობა გაიზარდა დაახლოებით ათჯერ. იმის მიუხედავად, რომ ამ დარგში დაბეგვრის განსაკუთრებული შეღავათი არ არსებობს, დღეისათვის ნათლად ჩანს მსოფლიო ბაზარზე სალიზინგო მომსახურებით დაკავებული ფირმების რაოდენობის ზრდა.

სალიზინგო მომსახურების მსოფლიო ბაზრის დიდი ნაწილი კონცეტრირებულია აშშ-ში, ჩრდილოეთ, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში. ევროპის სალიზინგო ბაზარზე წამყვან როლს თამაშობს დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფოები.

მსოფლიოში სალიზინგო საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მსოფლიო ბანკის წევრი, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია SSK, მისი საქმიანობა განვითარებადი ქვეყნების კერძო სექტორის

ხელშეწყობაზე და ფინანსურ დახმარებაზეა მიმართული. კომპანია SSK-ს საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტს სალიზინგო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. SSK-მ სამოცამდე სალიზინგო კომპანიაში 500 მლრ. აშშ დოლარზე მეტი დააბანდა და წევრი ქვეყნის მთავრობებისათვის 50 ტექნიკურ პროექტზე მეტი განახორციელა. აღნიშნული პროექტების მეშვეობით სალიზინგო კომპანიებმა მილიონობით აშშ დოლარის ინვესტიციები მიიღეს, ხოლო მრავალ ქვეყანაში შემუშავდა ლიზინგის განვითარების ხელშემწყობი ნორმატიული ბაზა.

Resume: Leasing services play one of the leading roles in the development of today's world economy. 35-40% of the billions of dollars spent by companies to buy industrial assets each year come from leasing. However, leasing in Georgia is now taking initial steps to expand and gain access in various important business sectors.

Leasing in the modern world is one of the most featured and interesting forms of business whose scope is growing day by day. It is a major source of funding for the development of a technical production base worldwide. Leasing promotes the revival of industrial activity, brings the economy out of crisis. flexibility of management, the ability to maneuver are some of the positive features of leasing that make it mutually interesting for negotiating parties.

During last 20-25 years the volume of worldwide leasing operation has increased tenfold. Despite, there is no any special tax exemption in this industry, there is a clear increase in the number of leasing companies on the world market.

Most of the world leasing market is concentrated in the US, Northern, Western Europe and Japan. The UK, Germany, France and Italy play a leading role in the European leasing market.

International financial organization SSK, a member of world bank, plays a key role in leasing business worldwide, its work is focused on supporting the private sector in developing countries and providing financial assistance. An important component of SSK's business is the promotion of leasing activities. SSK has invested over $ 500 billion in more than sixty leasing companies and implemented more than 50 technical projects for member governments. Through these projects, leasing companies received millions of dollars of investment, and in many countries a statutory basis for leasing development was created.

საკვანძო სიტყვები: ლიზინგი, სამოქალაქო კოდექსი, ბიზნესი, კრედიტი, დაფინანსება, საფინანსო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, სალიზინგო ოპერაციები, ლიზინგის ხელშეკრულება.

Key Words: Leasing, Civil Code, Business, Credit, Financing, Financial Organization, World Bank, Leasing Operations, Leasing Agreement.

ძირითადი ტექსტი: მსოფლიო მაშტაბით დარეგისტრირებულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სალიზინგო კომპანიები. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სალიზინგო კომპანიის ძირითადი მიზანია მომგებიანი პირობებით ქონების შეძენა და მისი გაცემა ლიზინგით. სალიზინგო კომპანიის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები ან იურიდიული პირები. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე დამოკიდებულებით განსხვავებულია დამფუძნებლის პასუხისმგებლობაც. განასხვავებენ ორ ტიპს: სრული (მთელი ქონების) და შეზღუდული (მხოლოდ საქმეში ჩადებული ქონების ნაწილის). აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში არჩევენ პასუხისმგებლობის სოლიდარულ ფორმას, ხოლო მეორე შემთხვევაში, წილობრივს. სალიზინგო კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევის და პრაქტიკულად მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ტარდება მთელი რიგი მოსამზადებელი და ორგანიზაციული ღონისძიებები, ითვალისწინებენ მისი ფუნქციონირების თავისებურებებს. იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ასეთი კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

მსოფლიო გამოცდილებით მიღებულია სალიზინგო კომპანიის მართვის ორგანოების მაქსიმალურად დასაშვები ნაკრები:

- აქციონერთა საერთო კრება;
- დირექტორთა საბჭო (სამეთვალყურეო საბჭო);
- დამფუძნებელთა კრება;
- ერთპიროვნული შემსრულებელი (გენერალური ან აღმასრულებელი დირექტორი);
- კოლეგიალური შემსრულებელი ორგანო;
- სალიკვიდაციო და სარევიზიო კომისიები

სალიზინგო კომპანიის სტრუქტურაში შეიძლება იყოს გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, კომერციული

დირექტორი და საერთო პრობლემების დირექტორის თანამდებობების გათვალისწინებით.

სალიზინგო კომპანიის ძირითადი დამფუძნებელი, ხშირ შემთხვევაში არის კომერციული ბანკი და მისი მუშაობაც იგეგმება ბანკის პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაბამისად სალიზინგო პროექტების ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ბანკის ხელმძღვანელობა და საკრედიტო კომიტეტი. ასეთი ტიპის სალიზინგო კომპანიის ანგარიშსწორების ანგარიში დამფუძნებელ ბანკშია. თუმცა სალიზინგო კომპანიას სხვა ბანკებშიც აქვს ხოლმე საბანკო ანგარიში გახსნილი. ჩვეულებრივ, ლიზინგმიმღები დამფუძნებელი ბანკის მუდმივი კლიენტია ან მას ანგარიშს უხსნიან სალიზინგო პროექტის რეალიზაციამდე და სავალუტო ოპერაციებსაც ანხორციელებს სალიზინგო კომპანიის დამფუძნებელი ბანკის მეშვეობით.

სალიზინგო კომპანიების ფუნქციონირების სქემა შემდეგნაირია:

- ტარდება საინვესტიციო პროექტის რისკის ანალიზი, სალიზინგოდ გადაცემული ქონების ლიკვიდურობის განსაზღვრის, კლიენტის გადახდისუნარიანობის, საკრედიტო ისტორიის და ფინანსური მდგომარეობის შესწავლა.

- ხდება სალიზინგო ქონების მიწოდებაზე კონტრაქტ-განცხადების პირობების განხილვა, მისი ეკონომიკურ-სამართლებ-ლივი და ტექნიკური ექსპერტიზა, აუცილებელი კორექტირება.

- ხდება ინვესტირების სქემის შემუშავება, სალიზინგო გარიგების მონაწილეებისათვის გარანტიების წარდგენის უზრუნველყოფა, სალიზინგო გარიგების საბუღალტრო სქემის ოპტიმიზაცია.

- სალიზინგო ქონების მომწოდებელთან (გამყიდველთან) ქონების შეძენის შედარებით მისაღებ პირობებზე მოლაპარაკება.

- მზღვევლებისაგან გარკვეული გარანტიების მიღება.

- ლიზინგის მიმღებს და ლიზინგის გამცემს შორის ისეთი ხელშეკრულების შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ლიზინგის მიმღების ქონების გირავნობის პირობები, ლიზინგის

მიმღების ფასიანი ქაღალდების მომგებიანი ვარიანტით შეძენა და ა.შ. ყველა დოკუმენტის სამართლებრივი ექსპერტიზა.

- თუკი ბანკია სალიზინგოს დამფუძნებელი, მაშინ ხდება ბანკის ხელმძღვანელობისათვის და საბანკო დეპარტამენტისათვის პროექტის განსახილველად წარდგენა.

- ბანკისათვის მაღალლიკვიდური ქონების გირავნობის პირობებით წარდგენა და ქონების შესაძენად საკრედიტო რესურსების მიღება.

- ქონების მწარმოებელთან (გამყიდველთან) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმება და საავანსო გადასახადები.

- ლიზინგმიმღებთან სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმება.

- ლიზინგით გადაცემული ქონების ექსპლუატაციის კონტროლი.

- მიმდინარე შემოსავლების გადანაწილება.

- სალიზინგო პერიოდის დასრულების შემდეგ ლიზინგმიმღების მიერ ქონების ნარჩენი ღირებულებით გაყიდვა.

სალიზინგო გარიგების სქემამ შეიძლება ასევე გაითვალისწინოს შვილობილი ფირმების მიერ განხორციელებული მრავალრიცხოვანი ინვესტირება, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სალიზინგო კომპანიების და მზღვეველების მოზიდვა და სხვა. აქედან გამომდინარე, წინასწარ თანხმდება სალიზინგო კომპანიის მუშაობის ფინანსური პირობები, პირველ რიგში განისაზღვრება ლიზინგის ვადა, ხშირ შემთხვევაში 3 წელი, ხოლო შემდეგ დგინდება გადახდების პერიოდულობა. სალიზინგო კომპანია ლიზინგმიმღებს მთელი სალიზინგო პერიოდის განმავლობაში დაუდგენს ფიქსირებული სალიზინგო გადასახადების ნორმას, რომელშიც შედის ამორტიზაცია და სალიზინგო პროცენტი. ეს უკანასკნელი დაერიცხება ქონების მთელ ღირებულებას, იმ ნარჩენი ღირებულების გარდა, რომლითაც სალიზინგო პერიოდის ბოლოს ქონება გამოისყიდება. სალიზინგო პროცენტი თავის თავში მოიცავს:

- ბანკების მიერ წარმოდგენილი საკრედიტო რესურსების სასყიდელს, რომელიც ითვალისწინებს როგორც ძირითადი ვალის დაფარვას, ასევე პროცენტს კრედიტით სარგებლობისათვის.

- სალიზინგო მარჟას.

სალიზინგო მექანიზმის ინფრასტრუქტურის ფორმირებისას აუცილებელია შევისწავლოთ საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ ის, რომ სალიზინგო ოპერაციების ჩასატარებლად პროცესების მართვა ხორციელდება სპეციალიზებული კომპანიების შექმნით. სალიზინგო კომპანია ან ბანკი ქონების შესაძენად თავის თავზე იღებს ლიზინგის გამცემის ფუნქციებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავს ლიზინგის ძირითად მიმართულებებს და აკონტროლებს სალიზინგო ბაზარზე არსებულ სიტუაციას. ამის გათვალისწინებით სალიზინგო პროცესის ორგანიზაცია ხორციელდება პრიორიტეტული მიმართულებების შესწავლით. უპირატესობა ენიჭება ქონების იმ სახეობას, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურეობის სფეროს განვითარებასა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1) საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

2) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

3) ბერიშვილი, ხ., საქართველოში ლიზინგის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები : - თბ. : უნივერსალი, 2009. - 132გვ.

4) კიკუტაძე, ვ., ლიზინგი თეორია და პრაქტიკა - თბ. : უნივერსალი, 2008. - 152გვ.

5) ლიპარტელიანი, ნ.,ლიზინგი : (თეორია და პრაქტიკა) - თბ. : ლამპარი, 2006 - 85გვ.

6) www.mof.ge.

7) www.worldbank.org.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელისა და რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ
On the loan portfolio of a commercial bank and modern risk assessment methods

ვაჟა ჯაშიაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრი
jashiashvilivaja19@gmail.com
Vazha Jashiashvili – Georgian National University
Master
jashiashvilivaja19@gmail.com

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საკრედიტო რისკი, დანაკარგების შესაძლებლობა, გამოწვეული კონტრაგენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით. უფრო ფართო ცნებით, საკრედიტო რისკი მოიცავს დანაკარგებს გამოწვეულს ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, დებიტორისა და კონტრაგენტის მდგომარეობის გაუარესებით.

საკრედიტო რისკის შეფასების პროცედურა მოიცავს: დეფოლტის ალბათობა – ალბათობა, როცა დებიტორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაკარგავს გადახდისუნარიანობას. საკრედიტო რეიტინგი – დე-ბიტორების, კონტრაგენტებისა და ფასიანია ქაღალდების ემიტენტების კლასიფიკაცია მათი საკრედიტო საიმედოობის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო რისკი, დებიტორები, ფასიანი ქაღალდები, ემიტენტი, ეკონომიკური სტაბილურობა.

Abstract: The article discusses credit risk, the possibility of losses caused by a counterparty's failure to meet its obligations. More broadly, credit risk includes losses caused by the deterioration of the securities issuer, receiver and counterparty.

Credit Risk Assessment Procedure Includes: Debt Probability - The probability that a debtor will lose solvency for a period of time. Credit Rating - Classification of de-bitters, counterparties and securities issuers in terms of their credit reliability.

Keywords: credit risk, debtors, securities, issuer, economic stability.

შესავალი: მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პროცესისა და ფინანსური ბაზრის დერეგულირების ტენდენციებმა გამოიწვია საკრედიტო რისკების მასშტაბური ზრდა. საკრედიტო რისკების მართვისადმი ინტერესის ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

საბანკო დაფინანსების მოცულობის ზრდა; ბაზარზე დაბალი საკრედიტო რეიტინგისა და მაღალი მოგების მომტანი ობლიგაციების გამოჩენა, როგორიცაა ე.წ. "JUNK BONDS"; ბანკის რენტაბელობის შემცირების ტენდენცია; მნიშვნელოვანი დანაკარგების შემთხვევები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში.

დღესდღობით, ბანკებისთვის აქტუალური ხდება კითხვა – როგორ გაზარდონ საკრედიტო პორტფელი ისე, რომ მნიშვნელოვნად არ იმატოს სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებულმა რისკებმა. ჩვენი მცდელობაა, განვსაზღვროთ პრობლემა და განვიხილოთ ის მეთოდები, რომლებიც ბანკებს საშუალებას მისცემს უფრო მოქნილები იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ძირითადი ტექსტი: საკრედიტო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მთელ რიგ პროცესებს, როგორიც არის იმ რესურსების განთავსების გეგმა, რომელიც სესხების გასაცემად არის განკუთვნილი. ასევე უნდა მოიცავდეს მეთოდების სისტემას თუ როგორ უნდა მოხდეს საკრედიტო პორტფელის მართვა. ორგანიზება უნდა მოხდეს სესხის გაცემის პროცესიდან მის მიღების პროცესამდე საჭირო პერიოდის განმავლობაში რამაც უნდა უზრუნველყოს სესხის დაბრუნება.

იმისათვის, რომ საკრედიტო პოლიტიკა იყოს ეფექტური საჭიროა თავი ავარიდოთ ძალიან შემზღუდავი ბერკეტების გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე უნდა იყოს ელასტიური, რომ საბაზრო ცვლილებეის პარალელურად მოხდეს გარდაქმნები და განვითარება.

გაცემულ სესხს მაქსიმალურად ვერ ვუზრუნველყოფთ, მაგრამ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც უკეთეს შედეგს მოგვცემს, ესენია:

- გაცემული სესხების მთლიან მოცულობაზე ლიმიტი - მოცემული ფაქტორის მიხედვით, ურთიერთკავშირი ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მოცულობასა და დეპოზიტების, აქტივების ან ვალდებულებების მოცულობებს შორის.

➢ გეოგრაფიული ლიმიტი - ერთერთ გასათვალისწინებელ პრობლემას წარმოადგენს. ამ ფაქტორში ძირითადი პრობლემა არის, ბანკის ორიენტირი, ანუ არ არის საკმარისი ყურადღება გამახვილებული საკუთარ სეგმენტზე და პოზიციაზე, მაგალითად თუ ბანკი სპეციალიზებულია ეკონომიკის ვიწრო განხრის გეოგრაფიულ არეალში, მკაცრმა გეოგრაფიულმა ლიმიტებმა შესაძლოა ფატალურ შედეგებამდის მიიყვანოს ბანკი.

➢ კრედიტების კონცენტრაცია - საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის წახალისება უნდა მოხდეს საკრედიტო პოლიტიკის მიერ, ამასთან ერთად მინიმალურ რისკსა და მაქსიმალურ შემოსავალს შორის ბალანსი დაცული უნდა იყოს ეფექტურობისათვის. მოცემული შეზღუდვის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დადგინდეს სესხის ის მაქსიმალური ზღვარი სადამდისაც შეუძლია გასცეს ბანკმა სესხის სახით.

➢ სესხების სახეობები - მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო პოლიტიკა უნდა ანხორციელებდეს კლასიფიკაციას შეთავაზებული პროდუქციისა თუ მომსახურებისათვის, რომელიც ნომენკლატურულად უნდა იყოს წარმოდგენილი და შექმნას მითითებები სპეციალური სესხებისათვის.

➢ სესხის ვადები - საკრედიტო პოლიტიკამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური ვადა ცალკეული სესხებისათვის და სესხების გაცემა უნდა მოხდეს გრაფიკის რეალური დაფარვით.

➢ სესხის ფასწარმოქმნა - საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს იმ მოცულობის, რომ ბანკის ხარჯები დაიფაროს და ამასთანავე მივიღოთ მოგების სასურველი მოცულობა.

➢ რეგისტრაცია სააღრიცხვო ჩანაწერებში - ბანკის ბალანსში ასახული უნდა იყოს როგორც გაცემული ისე მიღებული სესხები.

➢ დასუსტება - იმ შემთხვევაში თუ არსებობს რისკი, ხელშეკრულებით გათვლისწინებული თანხის არ მიღების შესახებ, ბანკმა ასეთი სესხები დასუსტებულად უნდა აღიაროს.

➢ ინკასაცია - უნდა აღირიცხოს ყველა სახის გადაუხდელი ვალდებულება და წარედგინოს მმართველობას, აქედან გამომდინარე მათ უნდა განსაზღვრონ რისკის ფაქტორები, მოსალოდნიელი დანაკარგები და შესაბამისად სხვა გზების ძიება.

➢ ფინანსური ინფორმაცია - ამის საფუძველზე ხდება სესხის რისკიანობის განსაზღვრა, ანუ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკრედიტო რისკების მართვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საკრედიტო ანალიზს და მომხმარებლის შერჩევის მეთოდთა ერთობლიობით. მოცემული ანალიზის შედეგად ვარკვევთ მსესხებლის შესახებ ინფორმაციას, გადახდისუნარიანობასთან, კრედიტუნარიანობასთან და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით.

საკრედიტო ანალიზი რთული პროცესია რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- ✓ სესხის საჭიროების ანალიზს;
- ✓ საწარმოს ფინანსური ანგარიშების ანალიზს;
- ✓ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წინასწარ ანალიზს;
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი;
- ✓ მთავარი დოკუმენტაციის გაფორმება;
- ✓ მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება.

1. პირველი ეტაპზე ხორციელდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, კერძოდ:

- აქტივის და პასივის სტრუქტურული ანალიზი;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასება;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზი;
- და ეფექტური საქმიანობის შეფასება.

2. მეორე ეტაპი შეფასებას უკეთებს მმართველობითი ორგანოს უმაღლესი რგოლის წარმომადგენლებს ისეთ ასპექტებში, როგორიცაა

პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, გამოყენებული სტრატეგიები და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები;

3. შემდეგ ეტაპზე ხდება მსესხებლის სეგმენტისა და კონკურენტების შესწავლა;

4. და ბოლოს გარე გარემოს შესწავლა ხდება, უფრო გლობალურ ასპექტებში, როგორიც არის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. და ყოველივე ამის შემდეგ საჭიროება საკრედიტო პროდუქტის რისკების შეფასებაში ჩნდება, ასევე აქაც არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ პროდუქტის საკრედიტო რისკზე:

- საკრედიტო პროდუქტის ვადა - რაც უფრო დიდი დროა დარჩენილი საკრედიტო პროდუქტის დაფარვამდე, მით უფრო დიდია რისკი და პირიქით;

- საპროცენტო განაკვეთი;

- მესამე პირების მიერ მხარდაჭერა;

საკრედიტო ოპეაციების ანლიზისას განისაზღვრება კონკრეტული პროცესები, კერძოდ:

- საკრედიტო პროცესის ანალიზი - იმის და მიხედვით თუ როგორ საკრედიტო გადაწყვეტლებას მივიღებთ ეს ქმედება ზეგავლენას მოახდენს, პროცესის მიზნობრიობაზე და სანდოობის ხარისხზე, რაც საბოლოოდ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია რისკის მოსალოდნელი დონისა და შემოსავალს შორის თანაფარდობას შორის. მოცემული პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა იმ ეტაპსა თუ პროცესს რომელიც დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან, როგორიც არის სხვადასხვა საკრედიტო ინსტრუმენტების შექმნა, შეფასება, დამტკიცება, გაცემა, ინკასაცია და დამუშავება.

- შემდეგი ეტაპი ეს არის, კადრების ანალიზი - ეს ანალიზი მოიცავს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით რაიმე სახის მონაწილეობას იღებს. დგინდება მათი რაოდენობა, ასაკი, თანამდებობა და კონკრეტული მოვალეობები.

- და ბოლოს, საინფორმაციო ნაკადები - იმისათვის, რომ ინფორმაცია სრაფად და მარტივად გადაადგილდებოდეს საჭიროა სხვადასხვა ანგარიშების მომზადება, რომელიც უნდა წარვუდგინოთ მენეჯმენტს და მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო პორტფელისა და დაქვემდებარებული პირების საქმიანობის შესახებ. მოცემულ ანალიზს შინაარსობრივად და არსობრივად მჭიდრო კავშირი აქვს პერსონალთან, კონტროლის სტრუქტურასთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიების ანალიზთან.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი შეგვიძლია განვსაზღვროთ ანალიტიკურის შეფასების საფუძველზეც. საკრედიტო პორტფელი მოიცავს ბანკის სეგმენტის ბიზნეს სტრატეგიას, რისკების სტრატეგიას და ბანკის უნარს სესხის გაცემასთან დაკავშირებით. განსახილველია მრავალი ასპექტი, მაგალითად უნდა განისაზღვროს ის სესხები, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ მთლიანი თანხის 70%-ის დაფარვა და მთელი სესხების მოცულობის 30%. უცხოური ვალუტის შემთხვევაში ცოტა განსხვავებულად არის, 1 წელზე მეტი დაფარვის ვადის შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ მთლიანი თანხის 75%-ის და სესხების რაოდენობის 50%-ს.მოცემულის გარდა საკრედიტო პორტფეის დაწვრილებითი ანალიზიც გვჭირდება რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ✓ აქციონერებსა და ბანკთან დაკავშირებულ მსესხებლებზე გაცემული ყველა სესხი;
- ✓ ყველა სესხი რომელიც მეტია ბანკის კაპიტალის 5%-ისა;
- ✓ იმ სესხების რომელთა პროცენტის ანძირის დაფარვის ვადა გადაცილდა 30 დღეს;
- ✓ ყველა ისეთი სესხი რომელიც მაღალრისკიანია თავის არასტანდარტულობით, უიმედოობითა თუ საეჭვო ფორმით;
- ✓ ასევე ყველა ისეთი სესხი, რომლის პირობებიც დაფარვის ვადასთან და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით შეიცვალა სესხის გაცემის შემდეგ.

საკრედიტო პორტფელის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ბანკის შესახებ მთავარ ინფორმაციას, მაგალითად ბანკის საქმიანობის, მათი პრიორიტეტების, საკრედიტო რისკის დიფერენციაციისა და მათი გადაჭრის ხერხების შესახებ.

ჩმოთვლილი ინფორმაციის გარდა ასევე გასათვალისწინებელია და გაანალიზება ჭირდება შემდეგ მოცემულობებს:

- სესხების ძირითადი ტიპები და ამასთანავე მსესხებლის რაოდენობის განსაზღვრა, გაცემული სესხების ვადიანობა და მათი საპროცენტო განაკვეთი;

- უნდა განაწილდეს საკრედიტო პორტფელი სხვადასხვა მიმართულებებით;

- სასესხო გარანტიები სახელმწიფოსა თუ სხვა უზრუნველმყოფელი პირების მხრიდან;

- ასევე უნად კლასიფიცირდეს რისკები სახეობების მიხედვით, მაგალითად მაღალიდან დაბლისაკენ ან პირიქით;

- და რა თქმა უნდა პრობლემური სესხები.

პრობლემური სესხების პორტფელის კუთხით, თუ დეტალურად ჩავუღრმავდებით პრობლემური სესხის არსს, მივიღებთ ასეთ მოცემულობას - პრობლემური სესხი, ეს არის სესხი, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი. სესხს პრობლემურობის კუთხით განვიხილათ, თუ მისი პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვადა გადაცილდა 90- ს და მეტ დღეს, თუმცა აღნიშნული ვადა განსაზღვრული არ არის და სხვადასხვა კანაონმდებლობით, სხვადასხვა გვარად შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად 30, 90, 180 ან 360 დღიანი ვადაგადაცილება. მოცემული სესხები რა თქმა უნდა უარყოფითდ აისახება მთლიანი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, რაც გავლენას ახდენ ბანკის საკრედიტო გადაწყვეტილებასა და ასევე მის ხარისხზე.

პრობლემური სესხების პორტფელის ანალიზი ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ვადაგადაცილებული სესხებისათვის შესაძლებელია შემოებული იქნეს გარკვეული საკლასიფიკაციო ასპექტები, როგორიც არის მაგალითად: მომხმარებლის ტიპი და მისი საქმიანობის სფერო. მსგავსი კრიტერიუმები გვეხმარება ზოგადი ტენდენციების განსაზღვრაში, რაც საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი ზეგავლენა მსესხებლებსის მიმართ.

- ყველა სახის ინფორმაცია უნდა გაანალიზდეს პრობლემურ სესხებთან დაკავშირებით, რაც საფუძველს მოგვცემს სიტუაციის გაუმჯობესების გზების მოძიებისათვის და იმ ხერხების ფორმირებაში დაგვეხმარება რომელიც მეტ ალბათობას მოგვცემს პრობლემური სესხის ამოსაღბად.

- უნდა განისაზღვროს რეზერვების სრული მოცულობა, მისი შეფასებით შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენად კარგად უმკლავდება ბანკი საკრედიტო რისკებს.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს სხვადასხვა მიზეზების გამო. ბანკები ხშირად უშვებენ შეცდომებს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მაგრამ, თუ საქმე გაკოტრებამდის მივიდა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემასთან, რასაც იწვევს ბანკის არასწორი საკრედიტო კულტურა. მოცემული პრობლემებია:

- პირადი ინტერესები;
- საკრედიტო პრინციპების გაუთვალისწინებლობა;
- მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფის მიდრეკილება;
- კონტროლის ნაკლებულობა;
- რისკების შეუსაბამო შერჩვა;

საკრედიტო ინფორმაციის სისტემურად ჩამოუყალიბებელი მდგომარეობა და სხვა.

დასკვნა: დღესდღეობით ბაზარზე სულ უფრო მატულობს დებიტორისა თუ კონტრაგენტის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა. საკრედიტო რისკის მოცულობა სცილდება მისაღებ დონეს, რაც თავის მხრივ იწვევს სერიოზულ

პრობლემებს საკრედიტო სფეროში. ამიტომ აუცილებელი ხდება საკრედიტო რისკის მართვა და დანაკარგების მინიმიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მნიშვნელოვანია ასევე მოქმედი სესხების გამოყოფა პრობლემურებისგან და ამ უკანასკნელთა კონტროლისთვის შესაბამისი მეთოდიკის შემუშავება.

დანაკარგების მინიმიზაციისთვის საჭიროა დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნა.

ასევე, მნიშველოვან საკითხს წარმოადგენს საკრედიტო პროდუქტის ფასწარმოქმნის მეთოდის დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს საშუალო დანაკარგის მოცულობის ჩართვას პროდუქტის ღირებულებაში.

საკრედიტო რისკების მართვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავია საკრედიტო რეიტინგების მინიჭებას, რეიტინგის მიგრაციის კონტროლსა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას კონკრეტული რეიტინგის მქონე რისკ-ჯგუფებისთვის.

აუცილებელია დაინერგოს დეფოლტის ალბათობისა და საკრედიტო რისკის შეფასების ეფექტური მეთოდები, რომელთა რეალიზებაც უზრუნველყოფს დანაკარგების მინიმიზაციას. ასევე უნდა განისაზღვროს დეფოლტის დადგომისას დანაკარგების ანაზღაურების პოტენციური ალბათობა.

საკრედიტო რისკის მინიმიზაციისთვის საჭიროა გამოყენებულ იქნას ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა დაზღვევა. დღესდღეობით, სადაზღვევო ბაზარი გვთავაზობს მრავალფეროვან სადაზღვევო პოლისებს, რომლებიც აგვარიდებს პოტენციურ დანაკარგებს. ამიტომ, მიზანშეწონილია დაზღვევის გამოყენება საკრედიტო სფეროში. შესაძლებელია დაიზღვეს კრედიტორის შრომისუნარიანობა, მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი, გირაოში ჩადებული ქონება და სხვა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი დღევანდელი საკრედიტო სექტორის აუცილებელი თანმდევი

მოვლენაა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს საკრედიტო დაწესებულების ეფექტურ საქმიანობაზე და აფერხებს საკრედიტო სფეროს განვითარებას. ამიტომ, აუცილებელია საკრედიტო დაწესებულებებმა მუდმივად აკონტროლონ რისკები, მართონ ისინი და დანერგონ ინოვაციური მიდგომები დანაკარგების მინიმიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ., - „რისკები და დაზღვევა“ თბილისი 2010.
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. – „ფინანსური მენეჯმენტი“ თბილისი 2011.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., საბანკო საქმის საფუძვლები თბილისი 2013.
4. ქოქიაური ლ., „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“ თბილისი 2005.
5. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ. – „სადაზღვეო საქმე“ თბილისი 2012.
6. ცაავა გ., და სხვ. – „რისკოლოგია (ფინანსური და საბანკო რისკების მენეჯმენტი) თბილისი 2017.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება საქართველოში
Regulation of the securities market in Georgia

ვალერი მგალობლიშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
valerimgaloblishvili@gmail.com
Valeri Mgaloblishvili – PhD student
Georgian Technical University
valerimgaloblishvili@gmail.com

რეზიუმე. ფასიანი ქაღალდის უამრავი სახესხვაობაა ცნობილი. მათ ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება გააჩნიათ - ყოველი მათგანის უკან დგას რეალური ღირებულების მატარებელი ეკონომიკური რესურსი. ამის გაკონტროლება ხდება ბირჟაზე ლისტინგის მეშვეობით, რომელიც ახდენს ფასიანი ქაღალდის შემოწმებას, ნამდვილობას და მატერიალურ უზრუნველყოფას, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად და სწორი ინვესტირების განსახორციელებლად.

ნაშრომში განხილულია როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მისი მონაწილეები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, ასევე საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. როგორც ვიცით, საინვესტიციო საქმიანობა უკავშირდება რისკებს, რაც გულისხმობს სხვადასხვა დანაკარგების მიღებას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბაზრის განვითარების პერსპექტივების ჩამოყალიბების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად, კვლევა ორიენტირებულია განხილულ იქნეს საქართველოში არსებული სიტუაცია ფასიანი ქაღალდების ბაზარის რეგულირებასთან დაკავშირებით. ასევე, წარმოჩინდეს ის რეალური პრობლემები, რის წინაშეც დგანან საქართველოს კომერციული ბანკები ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის პროცესში და ჩამოყალიბდეს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შესაძლო პერსპექტივები.

არსებული მდგომარეობის, აღნიშნული პრობლემებისა და პერსპექტივების უკეთ გაანალიზების მიზნით ნაშრომზე მუშაობისას განხილულ იქნა ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშები, ასევე სტატისტიკური მონაცემები.

საკვანძო სიტყვები

ფასიანი ქაღალდების ბაზრი; საინვესტიციო პორტფელი; საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი; საფინანსო ბროკერი; კაპიტალის ბაზარი.

Resume. There are many different types of securities known and they have one of the most important qualities – behind each security paper is economic resource carrying fair value. This process is controlled by exchange market. Thanks to this, securities market can gain more confidence for public and it helps investors to make the right investment.

Our research includes information about securities market, its participants and regulation of securities market, as well as various risks associated with investment activities. As we know, investment activities are related to risks, which means taking different losses.

The research is focused on the condition of securities market in Georgia. It will also demonstrate the real problems of trading process and establish prospects for developing securities market in Georgia. For better analyzing of the problems and their solutions we studied statistical data of national bank of Georgia, especially, the dynamics of securities and Certificates of Deposit, financial ratios for the Commercial Banking and other statistical data.

Key Words

Securities market; Investment portfolio; Georgian central securities depository; Financial broker; Capital market.

შესავალი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი მუდმივად განვითარების პროცესშია, რაც შესაბამისად მის შემოსავლიანობას განუხრელად ზრდის. ფინანსურ ბაზარზე თანდათან გამოჩნდნენ ახალი ინსტიტუტები და ინსტრუმენტები, რაც, ბუნებრივია, ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ საწყის ეტაპზეა და,შესაბამისად, დიდ მხარდაჭერას საჭიროებს როგორც სახელმწიფოს, ასევე საფონდო ბაზრის მონაწილეების მხრიდან, რათა დროთა განმავლობაში შევძლოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შესაბამისი პარტნიორობა და კონკურენციის გაწევა. *ინვესტორები* არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები და სურთ მოახდინონ მათი ინვესტირება დამატებითი შემოსავლების მისაღებად. ინვესტორები იძენენ ფასიან ქაღალდებს საკუთრი სახელით და სახსრებით.

დღეისათვის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის შექმნილია ძირითადი სამართლებრივი საფუძველი.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და სხვა. ქართული კანონმდებლობით, ფასიანი ქაღალდების მონაწილეები არიან ინვესტორები, ემიტენტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები და აუდიტორები. რეგულირებადი მონაწილეები, ანუ სპეციალური ლიცენზიის მქონე მონაწილეები არიან საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.

ძირითადი ტექსტი. ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების, იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთქმედების სისტემას, რომელიც აუცილებლად საჭიროებს რეგულირებას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ოთხი ძირითადი ფორმაა ცნობილი, ესენია: სახელმწიფო რეგულირება რომელიც ეფუძნება კანონმდებლობას და საგადასახადო დაბეგვრის ნორმებს; საბირჟო რეგულირება - რეგულირება საერთო და სპეციალიზებული საფონდო ბირჟების მუშაობის საერთო წესების შესაბამისად; თვითრეგულირება - ხორციელდება საფონდო ბაზარზე პროფესიონალთა სხვადასხვა ასოციაციების საქმიანობის მეშვეობით; საზოგადოებრივი რეგულირება ანუ რეგულირება საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებლების ფინანსურ უსაფრთხოებასა და პროცედურების სტანდარტიზაციას. ეს ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ინვესტორების მოზიდვაზე და, შესაბამისად,

განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე. უსაფრთხოების სტანდარტიზაციის პროცესი გულისხმობს ინვესტორებისა და ინვესტიციების უსაფრთხოებას, ვაჭრობის უწყვეტ და ეფექტურ მუშაობას, კონკურენციის მხარდაჭერას, არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღკვეთას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთიანის ტანდარტების ჩამოყალიბებისა და ანალიზის მიზნით შეიქმნა ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ორგანიზაცია *(International Organization of Securities Commissions, IOSCO)* და სვოპებისა და დერივატივების საერთაშორისო ორგანიზაცია*(ISDA).* ამასთან ერთად, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საკუთარი ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასა და ფუნქციონირებაზე. მაგალითად, დიდიბრიტანეთში ასეთ ორგანიზაციას ეწოდება Financial Services Authority - FSA, ხოლო ამერიკისშეერთებულშტატებში - The United States Securities and Exchange Commission - SEC.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სისტემა მოიცავს:

- მარეგულირებელ ორგანოებს - სახელმწიფო ორგანოები და თვითრეგულირებადი ორგანიზაციები - ნებაყოფლობით გაერთიანებული ფასიანი ქაღალდების პროფესიონალი მონაწილეები;
- რეგულირების ფუნქციებსა და პროცედურებს (სალიცენზიო, საზედამხედველო, სარეგისტრაციო, საკანონმდებლო);
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს;
- საფონდო ბაზრის ეთიკურ ნორმებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს რეგულირების შემდეგი მოდელები: 1. ძირითადი მარეგულირებელი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს (მაგალითად, საფრანგეთი); 2. სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირებადი ორგანოების ერთობლივი საქმიანობა (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი).

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიზანია ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების მხარდაჭერა, რომლის დროსაც გამოიყოფა შემდეგი ფუნქციები:

- **იდეოლოგიური** - ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონცეფციის შემუშავება;
- **საკანონმდებლო** - ბაზარზე მოქმედი წესების მარეგულირებელი კანონების შემუშავება;
- **საკონტროლო** - საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესრულების კონტროლი, საინვესტიციო ინსტიტუტების ფინანსური მდგომარეობის კონტროლი;
- **საინფორმაციო** - ბაზრის მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა და ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა;
- **დაცვითი** - გულისხმობს სისტემის შექმნას, რომელიც დაიცავს ინვესტორებს დანაკარგებისგან და შექმნის სქემას, რომელიც ინვესტიციების დაზღვევას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ასრულებს როგორც ყველაზე მსხვილი ემიტენტის როლს, ვინაიდან უშვებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ასევე ითავსებს ინვესტორის როლსაც, რადგან ფლობს მსხვილი ინვესტორებისა და ბანკების ფასიან ქაღალდებს.

ცენტრალური ბანკის სახით კი სახელმწიფო ასრულებს დილერის როლს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. სახელმწიფო აღნიშნულ ინსტრუმენტებს იყენებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების პროცესში.

მსოფლიო ფინანსური ბაზრის ტენდენციები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ტენდენციები ძირითადად ჯგუფდება შემდეგი მიმართულებებით:

1. კაპიტალისა და ორგანიზაციების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია;

2. მსოფლიო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება-ჩამოყალიბება;
3. კომპიუტერიზაცია;
4. საფონდო ბირჟის კომერციალიზაცია;
5. სადაზღვევო სისტემის განვითარება (სეკიურიტიზაცია);
6. რეგულირებისა და ორგანიზების დონის ამაღლება;
7. ახალი ხედვის ჩამოყალიბება;
8. კაპიტალიზაციის გაზრდა.

კაპიტალისა და ორგანიზაციების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია არის ტენდენცია, რომელიც გულისხმობს პროფესიონალი საშუამავლო ორგანიზაციების გამსხვილებას მათი რაოდენობის შემცირების ხარჯზე. აღნიშნული ორგანიზაციები სულ უფრო ძლიერები ხდებიან საკუთარი და მოზიდული კაპიტალის საშუალებით; იზრდება მათი ფილიალების ქსელი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ; ხდებიან უფრო მრავალფუნქციურნი და მომსახურების სპექტრი, რასაც ისინი ბაზარზე სთავაზობენ, უფრო ფართო ხდება; მიმდინარეობს შერწყმის პროცესი როგორც ერთმანეთში, ასევე სხვა საფინანსო-საბანკო სტრუქტურებთან.

მსოფლიო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება და ჩამოყალიბება უკავშირდება ერთი მთლიანი და საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. სხვადასხვა ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაერთიანება მსოფლიო პრაქტიკაში მიდის იმ მიმართულებით, რომ საშუალება მისცეს ნებისმიერ ინვესტორს შეიძინოს ფასიანი ქაღალდები, მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა. აღნიშნული პროცესით საფონდო ბაზარზე მოხდება გადასვლა საქმიანობის საერთო სტანდარტებზე და საერთო რეგულირების სისტემაზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოდგენა კომპიუტერული ტექნიკის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. იგი უზრუნველყოფს მის ყოველდღიურ და უწყვეტ ფუნქციონირებას. *კომპიუტერიზაცია* არის

ბაზრის განვითარებისა და თანამედროვე ტენდენციების ადაპტირების ძირითადი საფუძველი.

სეკიურიტიზაცია არის ტენდენცია, რომელიც გულისხმობს უფრო მეტი კაპიტალის მოზიდვას, მიუხედავად მათი ფორმისა. ძირითადად ეს ეხება კაპიტალს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო მოცემულ მომენტში ნაკლებ აქტიურ ფორმაშია, მაგალითად უძრავი ქონება. სხვადასხვა სახეობის ობლიგაციების გამოშვება ზემოაღნიშნული ქონების უზრუნველყოფის საფუძველზე აჩქარებს კაპიტალბრუნვას, ხელს უწყობს დამატებითი შემოსავლის მიღებას, აფართოვებს ბაზარს და მის შესაძლებლობებს.*რეგულირებისა და კონტროლის* გამძაფრება კი, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან ამაღლებს ნდობის ხარისხს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის *რეგულირების კუთხით* საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება. ამ კუთხით, ეროვნული ბანკი აქტიურად მონაწილეობს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მომოქცევისას წარმოშობილ სხვადასხვა ურთიერთობებში. აღნიშნული ურთიერთობები მოიცავს: ემისიის პროსპექტის დამტკიცებას, ბაზრის მონაწილეების ლიცენზირებას (ან ლიცენზიის გაუქმებას), ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფეროში სხვადასხვა ტიპის დარღვევების გამოვლენასა და მათი აღკვეთისათვის სათანადო ზომების გატარებას. საჭირო ინფორმაციის მოსაგროვებლად ეროვნული ბანკი ქმნის შესაბამის ბაზას ანგარიშვალდებული საწარმოების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების შესახებ. სებ-ი აგრეთვე უფლებამოსილია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის

შესაბამის ორგანიზაციებთან, მოახდინოს არსებული ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა და ამ პროცესში გაიზიაროს, როგორც ბაზრის მონაწილეების ინტერესები, ასევე დანერგოს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების განხილვისას აუცილებელი აღვნიშნოთ საქართველის კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის პროცესში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება. მასში მითითებულია, რომ საფონდო ბირჟებსა და ცენტრალური დეპოზიტარების საქმიანობა ეფუძნება თვითრეგულირების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ისინი თვითონ არეგულირებენ თავიანთ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი ხედვის ჩამოყალიბება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ახალი ინსტრუმენტების შექმნა;
- ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის ახალი სისტემის ჩამოყალიბება;
- ფასიანი ქაღალდები ბაზრის ინფრასტრუქტურის სრულყოფა.

აღნიშნული ტენდენციის საფუძველში, ერთი მხრივ, საბაზრო პროცესების კომპიუტერიზაცია დევს, როგორც ძირითადი საფუძველი ახალი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შექმნისათვის, მეორე მხრივ კი ხდება არასტაბილურობის გამძაფრება, რაც მოითხოვს საბაზრო რისკების შემცირებისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავებას.

დასკვნები

- საქართველოში ფასიანი ქაღალდები ბაზრის წინსვლისა და განვითარებისთვის მრავალი ფაქტორის ამოქმედება იქნება საჭირო. პირველ რიგში, აუცილებელია ინვესტორების დაინტერესება საფონდო ბირჟის განვითარების საკითხით, რადგან საინვესტიციო

კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაა;

- კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად იდეას წარმოადგენს საქართველოს რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბება. უნდა მოხდეს ინვესტორებისათვის სამართლიანი, გამართული საკანონმდებლო ბაზის შეთავაზება. ასევე აუცილებელია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი სერვისის შეთავაზება;
- საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა იძლევა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.
- საქართველოს საფონდო ბირჟა ვერ ასრულებს ფინანსური ბაზრისთვის ლიკვიდობის მიწოდების მნიშვნელოვანი წყაროს ფუნქციას. ეს იმ ფონზე, როდესაც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში კაპიტალის ბაზარი არის უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი დამზოგველებსა და მხარჯველებს შორის, წარმოადგენს დანაზოგების მობილიზების და მათი მომგებიან საინვესტიციო პროექტებში დაბანდების მთავარ წყაროს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია;

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვ., ცაავა გ. კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2014, 500 გვ.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა შპს „სეზანი“. 2014, 548 გვ.

3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „დანი“. 2013, 415 გვ.

4. სიჭინავა ა., ვეშაპიძე შ., ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ., კვარაცხელია ლ., ქირია ვ., ჭიკაიძე ნ., მენაბდე-ჯობაძე ე., ყურაშვილი გ.,კიკვაძე ტ., შენგელია რ., კაიშაური თ., აბუაშვილი თ., როსტიაშვილი თ. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2014. 371გვ.

5. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 1996 წლის 23 თებერვალი.

6. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

7. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2009 წლის 24 სექტემბერ

8. https://www.nbg.gov.ge
9. www.parliament.ge
10. www.gse.ge
11. https://www.iosco.org
12. www.bloomberg.com
13. http://www.gcsd.ge
14. http://www.terminebi.ge

საქართველოს საბანკო სექტორის სტრატეგიული განვითარების ტენდენციების შესახებ

On the trends of strategic development of the banking sector of Georgia

თემურ ბერიძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრი
berbaritemo@gmail.com

Temur Beridze - Georgian National University
Master
berbaritemo@gmail.com

რეზიუმე სტატიაში განხილულია საქართველოს საბანკო სექტორის წარმოშობის წინა პირობა და შემდგომში მისი განვითარების ტენდენციები, როგორია თანამედროვე საბანკო სიტემა არსებულ ბაზარზე, რამ განაპირობა მასზე რეგულაციების დაწესება, როგორია რეგულაციის უარყოფითი და დადებითი მხარეები, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის შემუშავებული და განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიების მიმართულებას, რა საკანონმდებლო აქტები არის საქართველოს კანონმდებლობაში ფინანსური ბაზრის მიმართ მიღებული, რამდენად ახერხებს სახელმწიფო არსებული მარეგულირებელი სისტემის მეშვეობით მოახდინოს დასახული მიზნის შესრულება, როგორ აისახება ყოველივე ეს საქრთველოს საბანკო ბაზარზე, ასევე განხილულია არსებული ხარვეზები, გამოწვევები და მათი შესრულების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, საბანკო სისტემა, ეკონომიკური სტაბილურობა, ეროვნული ბანკი, საბანკო ბაზარი, კანონმდებლობა

Abstract: The article discusses the preconditions of the emergence of the Georgian banking sector and its subsequent development trends, such as the modern banking system in the existing market, which led to the establishment of regulations, such as the negative and positive aspects of the regulation developed and defined by the National Bank of Georgia. Angler Fish Restaurant system development strategies direction, what is the legal acts of legislation adopted in the financial market, how well the existing regulatory system through the set target

performance, how it impacts all of Georgia's banking market, as well as the gaps, challenges and sun If the need for implementation.

Keywords: banking sector, banking system, economic stability, national bank, banking market, legislation.

შესავალი: უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სეგმენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, სავალუტო კურსის მართვაში. თავის მხრივ საბანკო სეგმეტს აქვს სახელმწიფოს მხიდან დაწესებული კანონის შესაბამისი ნორმები, რათა დარეგულირებულ იქნას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და არ გამოიწვიოს რაიმე სახის უკუჩვენებები. საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველო წარმოადგენს ქვეყანას სადაც მუდმივად ხდება სავალუტო კურსის ცვალებადობა. ეს უკავშირდება უცხო ქვეყნიდან ინვესტიციების მოდინებას ან პირიქით. ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყნის გარეთ მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკური მოველენებით. საქართველოში ბოლო დროს ქვეყანაში შეინიშნება საბანკო რეგულაციების ცვლილებები. ასევე ახალი წესების დაკანონება ხორციელდება ეროვნული ბანკის მხრიდან, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. საბანკო სისტემა არის ეკონომიკის ყველაზე ურთულესი და აუცილებელი სფერო, რომელიც მუდმივად საჭიროებს განვითარებას. სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება ნაღდი ანგარიშწორება, რაც იწვევს ბანკზე სასიცოცხო მნიშვნელობის დამოკიდებულებას.

ძირითადი ტექსტი: საქართველოში საბანკო სისტემის განვითარების ტენდენციებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოში საბანკო სისტემის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნეში. 1975 წელს პირველი ბანკი დაარსა ილია ჭავჭავაძემ და ეწოდებოდა „თბილისი საადგილმამულო ბანკი“. აღნიშნულ ბანკში მიწებს აგირავებდნენ თავდ-აზნაურები, მათი ბანკის შუამდგომლობით ყიდვა შეეძლოთ გლეხებს. პირველმა

ქართულმა ევროპული სისტემის სტილის ბანკმა არსებობა შეწყვიტა 1909 წელს.

შემგდომი საბანკო სისტემის განვითარების ეტაპი უკავშირდება 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას და საბჭოთა კავშირის დაშლას. ამ პერიოდში დაიწყო კომერციული ბანკების გახსნა. ქვეყანაში არ არსებობდა საბანკო რეგულაციები, ჩამოშლილი იყო ქვეყნის ეკონომიკა, ეროვნული ვალუტა არ არსბეობდა და ქვეყნაში გარდამავალი ვალუტა კუპონი ფუნქციონირებად ფულად მიმოქცევაში. ბანკის გახსნის ლიცენზიის აღება ყველასათვის იყო შესაძლებელი. ასობით ბანკი გაიხსა და ასობითვე დაიხურა. ხალხს ნდობა ჰქონდა დაკარგული ბანკების მიმართ, რადგანაც დანაზოგი რომელიც ქონდა საბჭოთა ხელისუფლების დროს ბანკებში შეტანილი ფულის გაუფასურების გამო დაეკარგათ და აღარ დაუბრუნდა უკან. ამიტომ ადამიანები ბანკების მიმართ ძალიან უნდობლად განეწყვენენ.

მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ სტატისტიკა, საქართველოში არსებული ბანკების შესახებ სადაც აღნიშნულია:

- 1995 წელს საქართველოში არსებობდა 102 კომერციული ბანკი
- 2006 წელს საქართველოში არსებობდა 17 კომერციული ბანკი.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით საქართველოში ბანკების სისტემა თავდაპირველად ჩამოუყალიბებელი იყო და არ ქონდათ მარეგულირებელი, მართვითი და სტრატეგიული მუშაობის გეგმა.

- 2018 წლისატვის საქართველოში ფუნქციონირებს 18 ბანკი

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ბანკების სიმრავლის დდროს საქართველოში უფრო ნაკლები ფილიალი მოქმედებდა ვიდრე სიმცირისი დროს. ბანკების ფილიალების რაოდენობა წლების მიხედვით ნაშრომში წარმოედგენილია ცხრილის სახით. იცილეთ ცხრილი N1.

ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო

სისტემაში განხორციელდა აუამრავი ცვლილება. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები მასზე მუდმივად ახდენდა გავლენას და არამარტო ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, არამედ ქვეყნის გარეთაც.

ცხრილი N1. კომერციული ბანკების რაოდენობა დიაგრამის სახით

ბანკების რაოდენობა	ფილიალის რაოდენობა	წლები
61 ბანკი	**242 ფილიალი**	**1966 წელი**
18 ბანკი	**955 ფილიალი**	**2017 წელი**

აღსანიშნავია რომ ბოლო წლების განმავლობაში არამარტო ბანკების ფილიალების მატება მოხდა არამედ, არამედ ბანკებმა მოახერხეს რეპუტაციის აღდგენა და კვლავ მოიპოვე საზოგადოების ნდობა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გაიზარდა ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა და საჭირო შეიქმნა ახალი ფილიალები.

ასევე გატარებული რეფორმების პროგრესზე მეტყველებს არსებული მონაცემები, რომლებიც აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იქნა გამოქვეყნებული. წლების მიხედვით კომერცილი ბანკების ჯამური აქტივობების და კაპიტალის შესახებ ინფრმაციას გთავაზოთ ცხრილის სახით. იხილეთ ცხრილი N2

ცხრილი N2. საბანკო ჯამური აქტივობები და კაპიტალი წლების მხიედვით

წლების მიხედვით აქტივები	წლების მიხედვით კაპიტალი	წლები
1,7 მილიარდი ლარი	**400 მილიონი ლარი**	**2004**
26.7 მილიარდი ლარი	**3,8 მილიარდი ლარი**	**2017**

ნაშრომის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია ბანკების სიტემების განვითარების შესახებ ცხადყოფს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საბანკო სისტემამ რეკორდული

მაჩვენებლით განიცადა პროგრეცი, გაზარდა კაპიტალი და ჯამური ბრუნვა, შემცირდა სუსტი ბანკების რაოდენობა ბაზარზე და კონკურენტუნარიანი ბანკები დარჩნენ ბაზარზე, რომლებიც მუდმივად აფართოვებენ საქმიანობის არეალს ქვეყბის ტერიტორიაზე, ამაზე მეტყვებელბ ბანკების ფილიალების რაოდენობა.

ჯაჭვური თანმიმდევრობით თუ განვიხილავთ ლოგიკურია, რომ საბანკო მომსახურების სერვისების მატებასთან და ბრუნვის რეკორდული მაჩვნებლის ზრდასთან ერთად გაზრდილია ბანკში მოქალაქეების მიმართ განთავსებული დეპოზიტების რაოდენობაც. მეტი სიცხადისათვის გთავაზობთ ცხრილს N 3

ცხრილი N3. ბანკიში განთავსებული დეპოზიტების რაოდენობა წლების მიხედვით

ბანკში განთავსებული დეპოზიტები	წლები
56 მილიონი ლარი	**1999 წელი**
16 მილიარდი ლარი	**2017 წელი**

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მოსახლეობის უმეტესობა ამჯობინებს დეპოზიტზე თანხა შეინახოს არა ეროვნულ ვალუტაში არამედ უცხოურ ვალუტაში. ძირითადად დოლარში და ევროში. ბანკებში არსებული დეპოზიტების პროცენტული მაჩვენებელი ლარსა და უცხოურ ვალუტას შორის იხილეთ დიაგრამა N1-ის სახით.

სერვისის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ 2003 წლიდან იქნა შესაძლებელი 2016 წლის თანაფარდობით. სხვაობა გაცემული სესხების შესახებ წელების მიხედვით იხილეთ ცხრილი N4.

მნიშვნელოვანია არღიშნოს, რომ როგორც დეპოზიტების შემთხვევაშიც აქაც უფრო მეტი სესხის გაცემა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში. პროცენტულ მაჩვენებელს სესხის გაცემის ვალუტის მიხედვით ლარსა და უცხოურ ვალუტას შორის გთავაზობთ დიაგრამა N2-ის სახით.

დიაგრამა N.1 ბანკებში არსებული დეპოზიების პროცენტული მაჩვენებელი ლარსა და უცხოურ ვალუტას შორის

რაც შეეხება სესხებს, აქაც მაჩვენებელი არის მზარდი. ბანკის ამ



ცხრილი N4. ჯამური სხვაობა გაცემული სესხებს შორის წლების მიხედვით

ჯამური სხვაობა	წლები
746 მილიონი ლარი	2003
16,8 მილიარდი ლარი	2016

დიაგრამა N2. სესხის გაცემის პროცენტული სხვაობა ლარსა და უცხოურ ვალუტას შორის საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების ზრდასთან ერთად იკლებდა



ხოლო რაც შეეხება სესხის წლიურ საპროცენტო განაკვეთს, უნდა აღინიშნოს რომ კონკურენციის პარალელურად და ქვეყანაში არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული რეგულაციების ზეგავლენით სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი მუდმივად მცირდება. არსებული სხვაობა საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდსა და უახლოს წელს შორის იხილეთ დიაგრამა N3 სახით.

სესხის საპროცენტო განაკვეთზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მისი ცვალებადობა მუდმივად კლებადი არ იყო და ეს დამოკიდებული იყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. სესხის განაკვეთზე მნიშვნელოვანი გავლება მოახდინა მონოტორულმა პოლიტიკამ, საქართველოს ბანკის მიერ შემუშავებული მკაცრი პოლიტიკის გამო, რაც გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, მოხდა დოლარში აღებული სესხების ლარში გადაანგარიშება.

დიაგრამა N3. სესხის წლიური საპრცენტო განაკვეთის პროცენტული სხვაობა წლების მიხედვით



ასევე აიკრძალა დოლარში სესხის გაცემა, რამაც გამოიწვია საპროცენტო განაკვეთის ზრდა. ასეთ შემთხვევაში ზრდა განაპირობებს ის ფაქტი, რომ უცხოური ვალუტა არის მყარი და გაცემული სესხი უფრო დაბალპრცენტიანია, გამომდინარე რისკის ფაქტორის გათვალისწინებით. რაც მეტია რისკი გაცემული სესხის მით მეტია პროცენტი. იმის გამო, რომ მიმდნარეობს ლარის ვალუტის ვარდნა, საბანკო სექტორი ითვალისწინებს გაცემული თანხი შესაძლო გაუფასურების შედეგად მირებულ ზიანს და საპროცენტო განაკვეთს ნიშნავს მეტად უფრო მაღალს. სწორედ ამიტომ 2015 წელს მოხდა სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთის ზრდა 9% მაჩვენებლიდან 15% ამდე. რაც იყო შედეგი მონოტორული მკაცრი პოლიტიკის კომერციული საბანკო სექტორის მიმართ.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეროვნულმა ბანკმა მოახდინა დამოუკიდებლად არსებობა და ის წარმოადგენს ცალკე ორგანოს სახელმწიფოსა და კერძო ბანკებს შორის. ის განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით და გარკვეულწილად მასზე

დამოკიდებული როგორ განვითარდება საქართველოში საბანკო სისტემა.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ტენდენციებზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ მუდმივად ხორციელდება ცვლიბები. ინოვაციების დაგეგმვა და ახალი რეგულაციების შემოღება. [გაბრიჭიძე ა.საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გზები 2005 წელი]

საქართველოში საბანკო სისტემის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მეტად განვითარებული და ჩამოყალიბებული არიან კომერციული ბანკები, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ბოლო ათწლეულში განხორციელებულმა ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება, მაკროეკონომიკის სტაბულიზაცია, მოხადა სხვადასხვა კომერციული ბანკების წარმოშობა ბაზარზე და გატარდა რიგი რეფორმები, საბანკო სისტემების ჩამოყალიბებაში შეიძინა დადებითი ტენდენციები.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონია საბაკო სისტემის განვითარებაზე და სრულყოფაზე. ესენია:

- სახელმწიფოს მხირდან განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა ქვეყანაში ეკონიმიკის დასტაბულურება, ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო და საკრედიტო სისტემის დარეგულირება მოახდინა.
- განხორცილედა ფულის მიწოდების კონტროლი და შემუშავება გეგმის, რომელიც კრიტიკულ მომენტებში ეროვნულ ვალუტას ინფლაციისა და გაუფასურების შემთხვევაში დახმარება კურსის შენარჩუნებაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულზე ქართული ლარის ყდვა-გაყიდვის წინასწარ შემუშავებულ გეგმას. [გაბრიჭიძე ა. საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების სრულყოფის გზები 2005 წელი]

- მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასევე ბანკებს შორის არსებულმა კონკურენციამ, ისინი ცდილობდნენ შეეთავაზებინათ უფრო სარგებლიანი დეპოზიტო და დაბალპროცენტიანი სესხი.
- საბანკო სისტემის განვითარებამ გავლენა მოახდინა მოსახლეების ნდობაზე და მოხდა ბანკში ანაბრებისა გაზრდა.
- საბანკო სისტემაში შეიქმნა კომერცილუ ბანკების რეგულირების სისტემა
- შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის ქმედითი სისტემა
- შეიქმნა ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგივს ტენდენცია, რაც საშუალებას აძლევს ქართულ ბანკებს მომხმარებლებს შესთავაზონ სრულყოფილი მომსახურება
- საბანკო სისტემაში დასაქმდა ბევრი ადამინი და ქეყანაში პრიორიტეტული გახდა ამ მიმართულებით განათლების მიღება.
- საქართველოში არსებული ბანკების სახით ჩამოყალიბდა ახალი ფინანსური ინსტიტუტი.

ეროვნული ბანკი არის გარანტი ქვეყნაში ეროვნული ვალუტის სტაბილურობის, მან უნდა მოახდინოს ბალანსი ფულად-საკრედიტო სისტემაში. მისი პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში არის მონოტორული, რაზეც მეტყველებს ბოლო პერიოდში განხორცილებული რეგულაციები საბანკო სისტემაში.

2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა ახალი რეგულაციის სემუშავება, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ პირბზე აიკრძალა სესხის გაცემა განსაზღვრული ლიმიტის გადაჭარების შემთხვევაში, ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც საბანკო სექტორის ისე მსხვილი გაყიდების კომპანიებისგან, რომლებიც სარგებლობდნენ საკრედიტო გაყიდვებით და შუამდგომელი, მყიდველსა და კომპანიას შორის იყო ბანკი. 1019 წლის პირველი იანვირდან ამოქმედდა ეს კანონი და ამ კანონის თანახმად სესხის მაქსიმალური კოეფიციენტის შესახებ მონაცემებს გთავაზობთ ცხრილი N4 სახით.

ცხრილი N4. სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები

წლიური შემოსავალი	არაეჯირებული მსეხებელი	ჰეჯირებული მსესხებელი
<1000	20%/25%	25% 35%
<=1000-2000	20%/25%	35% 45%
<=2000-4000<	25%/ 30%	45% 55%
<=4000	30%/35%	50% 60%

ეს რეგულაცია გავრცელდა ყველა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სესხის გამცემ საფინანსო ორგანიზაციაზე. მნიშველოვანია იათქვას, რომ სხვაობა ლარში და უცხო ქვეყნის გასაცემ ვალუტაში მაინც უცვლელი დარჩა. მიუხედავ იმისა, რომ 2015 წელს განხორცილედა რეგულაცია სესხის უცოხოურ ვალუტაში გაცემის შესახებ და მოხდა დოლარში არსებული სესხების კონვერტაცია ლარში იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა ეროვნული ვალუტის ვარდნის შედეგად გაძვირებული უცხოური ვალუტის გადახდას, ახალ რეგულაციაში უცხო ქვეყნის ვალუტაში გასაცემი სესხი საპროცენტო განაკვეთი მაინც დაბალია 15 % ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეროვნულ ბანკს აქვს ხარვეზი ლარის კურსის დასტაბულურებასთან დაკავშირებით და ის ხელოვნურადაც ვერ ახერხებს მის შენარჩუნებას. ეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვოთარებაზე ისე საბანკო სისტემის სტაბილურობასა და რისკების მატებაზე. უცხოური და ქართული ვალუტის სასესხო საპროცენტო განაკვეთის მაქციმალური კოეფიციენტი იხილეთ ცხრილის სახით. ცხრილი N5

ცხრილი N5 საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი ქართულ და უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის	მაქსიმალური ზღვარი
ეროვნული ვალუტა	**85 %**
უცხოური ვალუტა	**70 %**

დასკვნის სახით უნდა აღინიშის, რომ ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს კონტროლს და მისი პოლიტიკა არის მკაცრად მონოტორული, რაც ხშირად უარყოფითად აისახება საბანკო სისტემაზე და მათ თავისუფლებაზე საკრედიტო-საფინანსო თვალსაზრისით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფინანუსურმა გლობალიზაციამ და თანამედროვე მსოფლიში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია ცვლილებები ყველა სფეროში, მათ შორის საბანკო სისტემაშიც. იქედან გამომდინარე, რომ საბანკო სისტემას ყავს ბევრი მომხმარებელი, რაც თავის მხრივ გამოწვეულია მისი მნიშვნელობით ადამინათა ცხოვრებაში. შეუძლებელია მისი არსებობის გაშე თანამედროვე სამყაროში შეძლოს ადამიანმა ცხოვრება, აიღოს ხელფასი, შეიძინოს განვადებით ნივთი, გამოიტანოს სესხი, შეაგროვოს ანაბარი, გააკეთოს რაიმე სახის გადარიცხვა ან გადაიხადოს კომუნალური გადასახადები სახლიდან გასვლის გარეშე. ადამინებს არ ექნბოდათ ეს სიკეთეები თუ არ იარსებებდნენ ბანკები. მოთხოვნის შესაბამისაც საბანკო სეგმენტი არის მრავალფეროვანი ბაზარზე და კონკურენტუნარიანი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სეგმენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, სავალუტო კურსის მართვაში. თავის მხრივ საბანკო სეგმენტს აქვს სახელმწიფოს მხიდან დაწესებული კანონის შესაბამისი ნორმები,

რათა დარეგულირებულ იქნას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და არ გამოიწვიოს რაიმე სახის უკუჩვენებები.

დასკვინის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს ქვეყანას სადაც მუდმივად ხდება სავალუტო კურსის ცვალებადობა. ეს უკავშირდება უცხო ქვეყნიდან ინვესტიციების მოდინებას ან პირიქით. ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყნის გარეთ მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკური მოვლენებით. საქართველოში ბოლო დროს ქვეყანაში ჩატრადა საბანკო რეგულაციების ცვლილებები და ახალი წესების დაკანონება ხორციელდება ეროვნული ბანკის მხრიდან, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან.

საბანკო სისტემა არის ეკონომიკის ყველაზე ურთულესი და აუცილებელი სფერო, რომელიც მუდმივად საჭიროებს განვითარებას. სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება ნაღდი ანგარიშწორება, რაც იწვევს ბანკზე სასიცოცხო მნიშვნელობის დამოკიდებულებას.

სტატიაში განხილულმა თემამ ცხადყო, რომ ახალი რეგულაციები განპირობეული იყო ლარის კურსის არასტაბილურობით და აუცილებელი მისი გამყარება, რამაც 2015 წლის რეგულაციის დროს გარკვეულწილად იმოქმედა. ხოლო 2018 წელს შემუშავებული საკრედიტო რეფორმა გამოწვეული ქვეყნაში არსბეული კრიზისით ეკონომიკის თვალსაზრისით. სესხის არებისა და განვადებით ნივთის შეძენის დიდი ლიმიტის გამო მოქალააქეებს შეექმნათ პრობლემა და ისინი ვეღარ ახერხებდნენ აღბული ვალების გადახდას, მათი შემოსავალი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ეარსებათ და ვალიც დაეფარათ, ამიტომ აღმოჩნდენ რთულ სიატუაციაში. ეს პრობლემა იმდენად მასიური იყო ქვეყანში, რომ ეკონომიკის სამინისტრო ინიცატივიტა და ეროვნული ბანკის ერთობლივი კონსულტაციის შემდგეომ დაწესდა ლიმიტი სესხებსა და განვადებებზე. ეს ეთის მრივ დადებითად ასისახა საბანკო სისტემაზე სესხის დაბრუნებისა და რისკების შემცირების მხრივ და მეორე მხივს მათ შეუმცირდათ

საკრედითო სეგმენტი, რითიც ძალინ დიდ მოგებას გამოიმუშავებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ 2017.

3. ბერიძე რ. ბანკის საკუთარი კაპიტალი. საბანკო მენეჯმენტი. გამომცემლობა „უნივერსალი“ . თბილისი. 2009.

4. მოსიაშვილი ვ. ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები გამომცემოლობა „დანი“ თბილისი 2013.

5. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის პროგრამის მოკლე მიმოხილვა. აპრილი. თბილისი. 2012.

6. ცაავა გ. ხანთაძე გ. საბანკო საქმე გამომცემლობა „დანი“ თბილისი 2014.

7. The World bank and the poverty of nations/catherine. New york henry Holt, 1996

8. An introduction to banking: Principles, strategy and risk manajment/Moorand Choudhry. Chichester; Johnand Sons, Inc, 2018

საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია - გზა ევროკავშირისაკენ
Harmonization of the tax system - the path to the European Union

ნელი სესაძე - ეკონომიკისნ დოქტორი. ასოც. პროფესორი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
n.sesadze@seu.edu.ge
ნაილი გაგნიძე - ეკონომიკისნ დოქტორი. ასოც. პროფესორი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
n.sesadze@seu.edu.ge
Neli Seadze - Doctor of Economics, Asoc. Professor
Georgian National University, SEU
n.gagnidze@seu.edu.ge
Naili Gagnidze - Doctor of Economics, Asoc. Professor
Georgian National University, SEU
n.gagnidze@seu.edu.ge

რეზიუმე. ევროკავშირის ფარგლებში ქვეყნების კონვერგენციასთან ერთად იცვლებოდა და იხვეწებოდა საგადასახადო პოლიტიკაც. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მცირდებოდა საგადასახადო ბარიერები შიდა ბაზრის ჩარჩოებში, უზრუნველყოფილ იქნა საქონლის/მომსახურების, კაპიტალის, ადამიანთა თავისუფალი გაადგილება, შეიქმნა პირობები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისათვის.

ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი პირობაა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია ევროკავშირის საგადასახადო სისტემასთან. დღეს საქართველოში მიმდინარე რეფორმა დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში ევროკავშირის საფადასახადო კანონმდებლობასთან აქტიური ჰარმონიზაციის პროცესის დასტურია.

დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ფინანსური სახსრები როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წყაროა.

სტატიის მიზანია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირში მოქმედი დღგ-ს შესახებ კანონებისა და წესების აღწერა და გაანალიზება.

ევროკავშირის საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები იგეგმება. ცვლილება შეეხება ისეთ მნიშვნელოვან გადასახადს, როგორიცაა

დამატებული ღირებულების გადასახადი. ფინანსთა სამინისტრომ ამ გადასახადთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილებების საჯარო განხილვა დაიწყო.

დღგ-ს რეფორმა მნიშვნელოვანი წანამძღვარი იქნება საქართველო-ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ საგადასახადო პრაქტიკა, რომელსაც ადგილი აქვს ევროკავშირის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: დამატებული ღირებულების გადასახადი, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ჰარმონიზაცია, არაპირდაპირი გადასახადი.

Resume. At the highest level of development of integration relations is the European Union, the member countries of which, despite the differences in socio-economic development, must adapt to the common requirements for them upon entry. An important role in the integration process was played by the harmonization of tax relations, ensuring the accounting and convergence of the interests of taxpayers operating in different countries. the use of European experience will contribute to the most effective solution to the problems of their integration.

Keywords: VAT - Value Added Tax, Harmonization of the tax system, Association Agreement between Georgia and the EU, indirect tax.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - (*ინგლ.:* **VAT** - Value Added Tax; *ფრანგ.:* **TVA** - Taxe sur la Valeur Ajouteé) - არაპირდაპირი გადასახადია ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებული ღირებულების გარკვეული პროცენტის გადახდის სახით, რომელიც საქონლის/მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე იქმნება. [8]

დამატებული ღირებულების გადასახადი ფრანგ ეკონომისტს მორის ლორეს სახელს უკავშირდება (1954წ.). თავდაპირველად ახალი

[8] https://www.dklex.ee/practical-information/estonia/zakonodatelstvo-estonia/nalogooblozhenie-estonia/nds-estonia/direktiva-ob-obschej-sisteme-naloga-na-dobavlennuyu-stoimost.html 2006-2011 წლის დირექტივა დღგ-ს შესახებ

გადასახადი გამოყენებულ იქნა აფრიკის ქვეყანაში-კოტ-დე ივუარში, რომელიც წარმოადგენდა „ფრანგულ ზღვისიქითა ტერიტორიას“. მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტმა გაამართლა 1858 წელს ეს გადასახადი შემოღებულ იქნა საფრანგეთშიც. დღეისათვის ამ გადასახადს მსოფლიოს 160-ზე მეტი ქვეყანა იყენებს.

დღგ შედის საქონლის/მომსახურების ფასში წარმოებისა და რეალიზაციის თითოეულ სტადიაზე ფასზე დანამატის სახით, რაც ქვეყანაში მოქმედი საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება.

საბოლოო მომხმარებელი ყიდვის მომენტში იხდის საქონლის/მომსახურების სრულ ფასს, მათ შორის დღგ-ს. მაგრამ ეს გადასახადი ფაქტიურად სახელმწიფო ბიუჯეტში იწყებს გადარიცხვას ძალიან ადრე, რადგან საქონლის ღირებულების თავისი ნაწილის შესაბამის გადასახადს, „დამატებულს„ ღირებულებისადმი იხდის წარმოებისა და რეალიზაციის თითოეული მონაწილე.

ევროკავშირში დამატებული ღირებულების გადასახადის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/ეკ დირექტივა დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ. აღნიშნული დირექტივით განისაზღვრება დღგ-ს დაბეგვრის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი, გადასახადის განაკვეთების გარდა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება ევროკავშირის ცალკეული სახელმწიფოს მიერ (დირექტივით გათვალისწინებულ ჩარჩოებში). ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ უფლება დაადგინონ დღგ-ს საკუთარი სტანდარტები. ამასთან ეს არ უნდა იყოს 15%-ზე მაღალი და 10%-ზე დაბალი. თითოეულ ქვეყანაში არის აგრეთვე საშეღავათო ტარიფებიც. [9]

დთგ-ს გადახდასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები განხილულია სპეციალურ დირექტივებში, მაგალითად, დირექტივა 2008/9/EG (ევროკავშირის კომპანიებისთვის დღგ-ს დაბრუნება) - დირექტივა 86/560/EWG (არა-ევროკავშირის კომპანიებისთვის დღგ-ს

[9] https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=LEGISSUM%3Al31057

დაბრუნება) - დირექტივა 2009/132/EG (დღგ-სგან გათავისუფლებული იმპორტი) - Richtlinie 2006/79/EG (კერძო გზავნილები) - Richtlinie 2007/74/EG (ხელბარგით შემოტანილი ნივთების გადასახადებისგან გათავისუფლება). დღგ-ს მიზნებისათვის იბეგრება:[10]

1. საქონლის მიწოდება (Supply of Goods).
2. საქონლის შეძენა ევროკავშირის ფარგლებში (Intra-Community Acquisition of Goods).
3. საქონლის იმპორტი (Importation of Goods).
4. მომსახურების გაწევა (Supply of Services).

საქონლის მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით იბეგრება მიწოდების ადგილის მიხედვით. ამასთან თუ საქონელი არ ტანსპორტირდება და არ იგზავნება, მაშინ მიწოდების ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მდებარეობს საქონელი მიწოდების მომენტში. ამასთან თუ საქონლის მიწოდება ითვალისწინებს ტანსპორტირებას და გაგზავნას, მაშინ მიწოდების ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მდებარეობს საქონელი ტრანსპორტირების დაწყების მომენტში. ხოლო, თუ საქონლის მონტაჟი ან მისი აწყობა ხდება მომწოდებლის მიერ, ან მისი დავალებით, მაშინ მიწოდების ადგილად განიხილება მისი აწყობის, ან მონტაჟის ადგილი.

თუ საქონლის შეძენა ხორციელდება საზღვაო, საჰაერო ხომალდის ბორტზე, ან მატარებელზე, მაშინ მიწოდების ადგილად განიხილება სამგზავრო ტრანსპორტის გამგზავრების ადგილი.

ელექტრო, თბოენერგიის, ან გაზის მიწოდების ადგილად განიხილება გადასახადის გადამხდელი მიმწოდებლის (დილერი) ადგილსამყოფელი.

საბოლოო მომხმარებლისათვის ელექტრო, თბოენერგიის, ან გაზის მიწოდების ადგილად განიხილება მომხმარებლის

[10] იქვე

ადგილმდებარეობა. ასეთივე პირობებია გათვალისწინებული დღგ-ს რეფორმით საქართველოშიც.[11]

რაც შეეხება საქონლის შეძენას ევროკავშირის ფარგლებში, ზოგადი წესით შეძენილი საქონელი იბეგრება შეძენის ადგილის მიხედვით დღგ-ს განაკვეთით-ანუ იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფება საქონლის მიწოდების საბოლოო პუნქტი მისი ტრანსპორტირების შემდეგ.

დისტანციურ გაყიდვად განიხილება შემთხვევა, როდესაც მყიდველი არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს. თუ გაყიდვების მოცულობა არ აღემატება მყიდველის ქვეყნის მიერ დადგენილ ლიმიტს-დღგ-ს დაბეგვრის ადგილად განიხილება საქონლის ადგილი ტრანსპორტირების დაწყებამდე. თუ დისტანციური გაყიდვების მოცულობა ერთი წლის განმავლობაში აღემატება მყიდველის ქვეყანაში დადგენილ ლიმიტს დაბეგვრის ადგილად განიხილება ადგილი საქონლის ტრანსპორტირების და გადაზიდვის დასრულების მომენტში. გამყიდველი უნდა დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად მყიდველის ქვეყანაში და ანგარიში უნდა აწარმოოს დღგ-ს მიხედვით ამ ქვეყანაში.

გამყიდველს აქვს უფლება დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად და გადასახადი გადაიხადოს მყიდველის ქვეყანაში თავისი სურვილის შესაბამისად, მაშინაც კი როცა მყიდველის ქვეყნის დადგენილი ლიმიტი არ არის გადაჭარბებული.

სამკუთხოვანი გარიგება ევროკავშირის ფარგლებში სავაჭრო ოპერაციების თავისებური სახეა, სადაც მონაწილეობს 3 მხარე. ევროკავშირის ქვეყნის კომპანია ყიდულობს საქონელს ევროკავშირის რომელიმე სხვა ქვეყნის კომპანიისგან, რათა შემდგომ გადაყიდოს ევროკავშირის სხვა ქვეყნის კომპანიაზე- საბოლოო მომხმარებელზე, ამასთან საქონელი პირდაპირ მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს საწყისი გამყიდველიდან. შუამავალი კომპანია უნდა

[11] https://mof.ge/images/File/vat-reform.pdf

დარეგისტრირდეს ან საწყისი გამყიდველის ქვეყანაში დღგ-ს გადამხდელად, ან საბოლოო მომხმარებლის ქვეყანაში.

საქონლის იმპორტი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ევროკავშირის ქვეყნებში იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. გადასახადის გადამხდელად გვევლინება ადგილობრივი კომპანია, იმპორტიორი. იგი იხდის დღგ-ს განაკვეთით, რომლითაც ანალოგიური საქონელი იბეგრება ქვეყნის შიგნით. „დღგ-ს გადახდის სერთიფიკატი“ წარმოადგენს შემდგომში გდასახადის ჩათვლის იურიდიულ საფუძველს. იმპორტიორი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირებული. ხოლო შეზიდული საქონელი უნდა ექვემდებარებოდეს შემდგომ გადამუშავებას და რეალიზაციას.

თუ საქონელი ევროკავშირში შეტანის დროს გაფორმდა სპეციალურ საბაჟო რეჟიმში (საბაჟო საწყობი, უბაჟო ზონა, დროებითი შენახვა, ტრანზიტი) ამ საქონლის იმპორტის ადგილი იქნება ევროკავშირის ის ქვეყანა, სდაც გაიტანება ამ რეჟიმის შემდეგ. მოხმარების საგნების მიწოდება საფრანგეთში იმპორტისათვის, რომლის ტრანზიტის პროცედურები გაფორმდა პოლონეთის ტერიტორიაზე, საქონელი დაიბეგრება საფრანგეთის დღგ-ს განაკვეთით.

საქონლის ექსპორტი ევროკავშირიდან სხვა არაწევრ ქვეყანაში იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, ხოლო ექსპორტიორს აქვს ჩათვლის უფლება მის მიერ გადახდილ დღგ-ს თანხაზე შეძენის ან წარმოების დროს სათანადო დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში.

დღგ-ს დაბეგვრის მიზნებისათვის ევროკავშირში მომსახურების გაწევა ორი მიმართულებით განიხილება:

1. „მომსახურება B2B“ (Business-to-Business Services) -ეს არის დღგ-ს გადამხდელის მიერ მეორე დღგ-ს გადამხდელისათვის გაწეული მომსახურება. (კომერციული ხელშეკრულების ბაზაზე გაწეული მომსახურება ორ იურიდიულ პირს შორის).

2. „მომსახურება B2C“ (Business-to-Customer Services) -ეს არის დღგ-ს გადამხდელის მიერ გაწეული მომსახურება მომხმარებლისათვის, რომელიც არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს (ფიზიკური პირისათვის-საბოლოო მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურება).

ძირითადი წესის მიხედვით მომსახურება დღგ-ით უნდა დაიბეგროს მომსახურების გაწევის ადგილის მიხედვით. მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მომსახურების სახე და მომხმარებლის სტატუსი (მომხმარებელი არის თუ არა დღგ-ს გადამხდელი). ამრიგად ამ ირი სახის მომსახურების დროს დღგ-ს გადახდის წესი განსხვავებულია. საქართველოში მიმდინარე დღგ-ს რეფორმა დღგ-ს დაბეგვრის მიზნებისათვის განარჩევს მომხმარებლის ანალოგიურ ტიპს (მუხლი 1621).[12]

ზოგადი წესით B2B მომსახურება იბეგვრება დღგ-თ მომსახურების მომხმარებლის ადგილმდებარეობის მიხედვით (ანუ იმ ქვეყანაში, სადაც მომხმარებლის ბიზნესია დაფუძნებული). თუ მომსახურება გაეწია მომხმარებლის მუდმივ წარმომადგენლობას, რომელიც განლაგებულია რეგისტრაციის ქვეყნის გარეთ, მაშინ მომსახურების გაწევის ადგილად ჩაითვლება მუდმივი წარმომადგენლობის ადგილმდებარეობა. B2B მომსახურების გაწევის დროს დღგ არ შედის ფასში (ანგარიში წარედგინება დღგ-ს გარეშე). მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურება კვალიფიცირდება როგორც B2B.

იმ შემთხვევაში, თუ B2B მომსახურების გაწევისას ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე წარმოადგენს ევროკავშირის რეზიდენტს, მაშინ მომსახურების მიმღებმა წინასწარ უნდა აცნობოს მომწოდებელს დღგ-ს ნომერი, რომელიც მომწოდებლის მხრიდან მოწმდება მისი რეალობა. დღგ ფასში არ ჩაირთვება. ამ შემთხვევაში

[12] https://mof.ge/images/File/vat-reform.pdf

დღგ-ს გადახდის ვალდებულება გადადის მომსახურების მიმღებზე. ბრიტანეთის კომპანია (დღგ-ს გადამხდელი) უწევს B2B მომსახურებას კვიპროსის კომპანიას (დღგ-ს გადამხდელს). ამ შემთხვევაში მომსახურება იბეგრება კვპროსის დღგ-ს განაკვეთით (მომსახურების გაწევის ადგილი-კვიპროსი). ამასთან დღგ ფასში არ ჩაირთვება. დღგ-ს გადახდის ვალდებულება ეკისრება კვიპროსის კომპანიას-მომსახურების მიმღებს.

თუ ევროკავშირის რეზიდენტი ამავე დროს არის მომსახურების მიმღები, მაგრამ არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს, ამ შემთხვევაში მომსახურება მიეკუთვნება B2C კატეგორიას (მომხმარებელი წარმოადგენს საბოლოო მოხმარებელს). დღგ შეიტანება ფასში, გადახდის ვალდებულება ეკისრება მომსახურების მიმწოდებელს თავისი ქვეყნის განაკვეთით მისი შემდგომ ჩათვლის მიღების შესაძლებლობით. წინა მაგალითის მიხედვით დღგ-ს გადამხდელად გვევლინება ბრიტანეთის კომპანია იქ მოქმედი განაკვეთის მიხედვით.

თუ B2B მომსახურების მიმღები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ იმყოფება (ევროკავშირის არარეზიდენტი), მაშინ დღგ არ შეიტანება ფასში, იმ პირობით, რომ მომხმარებელი თავის ქვეყანაში წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს. ამის დასადასტურებ;ად მომხმარებელი მიმწოდებელს წაუდგენს დუკუმენტურ მტკიცებულებებს (გადასახადის გადამხდელის სერთიფიკატი). ბრიტანეთის კომპანია (დღგ-ს გადამხდელი) უწევს B2B მომსახურებას ქართულ კომპანიას. ამ შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება საქართველო (მომხმარებლის ადგილმდებარეობა). შესაბამისად ბრიტანეთის დღგ გადახდას არ ექვემდებარება ანგარიში წარედგინება დღგ-ს გარეშე)

თუ მომსახურების მომხმარებელი (ევროკავშირის არარეზიდენტი) ვერ წარადგენს თავის სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელ დუკუმენტებს, მაშინ ასეთი მომსახურება კვალიფიცირდება B2C კატეგორიად (მომხმარებელი ჩაითვლება

საბოლოო მომხმარებლად) . ამ შემთხვევაში ფასში შეიტანება დღგ და გადასახადს გადაიხდის მომწოდებელი თავის ქვეყანაში შემდგომი ჩათვლის მიღების შესაძლებლობით.

ბრიტანეთის კომპანია (დღგ-ს გადამხდელი) მომსახურებას უწევს უკრაინულ კომპანიას, რომელმაც ვერ წარადგინა სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება, ამ შემთხვევაში დღგ შედის ფასში და , ხოლო ბრიტანეთის კომპანია იხდის გადასახადს თავის ქვეყანაში.

ზოგადი წესით B2C მომსახურება იბეგრება დღგ-ით მომსახურების მიმწოდებლის ადგილმდებარეობის მიხედვით (იმ ქვეყანაში, სადაც დაფუძნებულია მომწოდებლის ბიზნესი). თუ მომსახურებას ეწევა მომწოდებლის მუდმივი დაწესებულება, რომელიც მისი რეგისტრაციის ქვეყნის გარეთ იმყოფება, მაშინ მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი B2C მომსახურების გაწევის შემთხვევაში დღგ ჩაირთვება მომსახურეის ფასში (ანგარიში წარედგინება დღგ-ს ჩათვლით), ვალდებულება მის გადახდაზე ეკისრება მიმწოდებელს თავისი ქვეყნის ბიუჯეტში.

შემდეგი სიახლე პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს სადისტრიბუციო, საბითუმო და საცალოდ მოვაჭრე კომპანიების საქმიანობაზე და არა მხოლოდ. ამ ცვლილების მიხედვით, უსასყიდლოდ მიწოდებული 50 ლარამდე ღირებულების საქონელი აღარ იბეგრება დღგ-ით. ასევე, უსასყიდლოდ გაცემული საქონელი არ ექვემდებარება დღგ- ით დაბეგვრას, თუ მასზე შესყიდვის დროს არ განხორციელებულა დღგ-ის ჩათვლა. (მუხლი 160. საქონლის მიწოდება).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება ევროკავშირის საფადასახადო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზანს, რაც საბოლოო ჯამში

ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დაჩქარების აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA
2. https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=LEGISSUM%3Al31057
3. https://mof.ge/images/File/vat-reform.pdf
4. https://www.dklex.ee/practical-information/estonia/zakonodatelstvo-estonia/nalogooblozhenie-estonia/nds-estonia/direktiva-ob-obschej-sisteme-naloga-na-dobavlennuyu-stoimost.html
5. https://europa.eu/youreurope/business/taxation/vat/vat-rules-rates/index_de.htm
6. http://cci.dp.ua/tl_files/data/curier/Doing%20business%20with%20the%20EU.%20EU%20taxation%20system.pdf
7. http://forbes.ge/news/7030/dRgis-mniSvnelovani-cvlilebebis-analizi

მენეჯმენტი

ქართულ ბიზნეს ორგანიზაციების მენეჯერების არაეფექტური სამოტივაციო პროგრამები
Ineffective motivational programs for managers of Georgian business organizations

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
davit.chakhvashvili@seu.edu.ge
ილია ჭიკაიძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
i.chikaidze@gmail.com
Davit Chakhvashvili - Doctor of Economics
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge
Ilia Chikaidze – Faculty of Business Management
Georgian National University
i.chikaidze@gmail.com

აბსტრაქტი: მოტივაცია ფსიქოლოგიაში სწორედ ფსიქიკური და ფიზიკური აქტივობების დაწყების, მათთვის მიმართულების მიცემისა და მართვის პროცესს ეწოდება. თავის მხრივ, მოტივაცია შედგება მექანიზმებისგან, რომლებიც ერთ აქტივობას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე მეორეს, და შემდეგ არჩეულ აქტივობას, განხორციელების პროცესში, ენერგიას, სიმტკიცეს და მდგრადობას სძენენ. არსებობს მოტივაციის თეორიები, რომლებიც განსხვავებული რაკურსიდან ცდილობენ ახსნან და იწინასწარმეტყველონ ინდივიდუალური ქცევების ზოგადი პატერნები და მოგვაწოდონ ინფორმაცია ზოგადი ფუნქციონირებისა და პრიორიტეტების შესახებ.

მოტივაციური თეორიების ამოსავალი წერტილი არის კითხვა „რატომ“. რატომ იქცევიან/ფიქრობენ ადამიანები ისე, როგორც იქცევიან და ფიქრობენ? მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის ფსიქოლოგებს ამ კითხვაზე ძალიან ბევრი და ხანდახან აბსოლუტურად სხვადასხვანაირი პასუხი აქვთ, ერთი რამ რაც ყველა ამ პასუხს აერთიანებს, არის ის, რომ მოტივაცია მოიცავს პიროვნების საჭიროებებსა და მიზნებს, ისევე როგორც სტიმულაციას გარემოდან.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, კომუნიკაცია, ბიზნეს ორგანიზაცია, ეფექტურობა, შრომის პროდუქტიულობა, კორპორატიული კულტურა.

Abstract: Motivation in psychology is precisely the process of initiating, directing, and managing mental and physical activities. In turn, motivation consists of mechanisms that give one activity more advantage than the other, and then the chosen activity, in the process of implementation, builds energy, strength and resilience. There are motivation theories that, from different perspectives, attempt to explain and predict general patterns of individual behavior and provide information on general functioning and priorities.

The starting point for motivational theories is the question of why. Why do people behave / think the way they do and think? While motivation psychologists have many and sometimes completely different answers to this question, one thing that combines all of these answers is that motivation encompasses one's needs and goals, as well as stimulation from the environment.

Keywords: motivation, communication, business organization, efficiency, labor productivity, corporate culture.

შესავალი: უძველესი დროიდან თითოეული ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს მოტივაცია. ძველად, როდესაც ადამიანები თავისი განვითარების საწყის ეტაპზე იყვნენ, მოტივაცია დიდ როლს ასრულებდა მათ განვითარებასა და ზოგადად ცხოვრებაზე. როდესაც ისინი მიდიოდნენ სანადიროდ ნადავლის ყველაზე კარგი ნაჭერი გადაეცემოდა იმას, ვინც მოიპოვებდა ამ ნადავლს, შესაბამისად მათ ჰქონდათ მოტივაცია რაც შეიძლება კარგად ენადირათ, რომ უკეთესი ნაჭერი შეხვედოდათ.

დღევანდელ დღეს უამრავი მკვლევარის, მეცნიერის და ბიზნესმენის აზრით, მოტივაცია სასიცოცლხო როლს თამაშობს თითოეული კომპანიის წარმატებაში. უამრავი კომპანია ცდილობს რაც შეიძლება მეტი მოტივაცია მისცეს თავის თანამშრომლებს, ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის ჯილდოებს, ცდილობენ მოიფიქრონ ახალი ანაზღაურების სისტემები, დასახონ დიდი მიზნები და ა.ს.შ. დღეს ჩვენ უნივესიტეტებში ვსწავლობთ სხვადასხვა ქეისებს, რომლებიც მოგვითხრობს დიდი კომპანიებისა და

ადამიანების წარმატების შესახებ, თუ როგორ შეძლეს მათ კადრების მოტივაცია და როგორ მიაღწიეს ამით დიდ წარმატებას. ვცდილობთ დავნერგოთ სიახლეები კომპანიებში და ამით მივცეთ მოტივაცია თანამშრომლებს, მაგრამ ყოველთვის მუშაობს მოტივაციის ხერხები? იქნებ ჩვენ გვგონია, რომ გარკვეული ქმედებით თანამშრომელს მოტივაციას ვაძლევთ და ამ დროს კი პირიქით მის პროდუქტიულობას ვამცირებთ და ვამცირებთ მარგი ქმედების კოეფიციენტს. ან ვაკეთებთ ისე, რომ მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს.

ძირითადი ტექსტი: ჩვენი აზრით, დღეს ასეთი მოტივაციის ხერხების ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს, როდესაც კომპანია ცდილობს კადრს მისცეს მოტივაცია და იღებს იმას, რომ იზრდება კადრების გადინება, უკმაყოფილება და ა.ს.შ. ჩვენი აზრი, რომ არ ყოფილიყო სუბიექტური და თამამად მესაუბრა ამ თემაზე გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა. კვლევის მეთოდი არის შემდეგი: თავდაპირველად განისაზღვრა სამიზნე კომპანიები, ის კომპანიები, რომლებიც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ საზოგადოებაში, და ასევე კომპანიები, რომლებიც ნაკლებად პოპულარულები არიან, მაგრამ მოგვცემენ შესადარისობის კარგ სურათს. კვლევის შემდეგი ეტაპი გულისხმობდა დაკავშირებას ამ კომპანიების HR მენეჯერებთან და მათთან ინტერვიუს ჩაწერას. კვლევის ბოლო ეტაპი კი მდგომარეობდა ამავე კომპანიების თანამშრომლების გამოკითხვაზე და შედარების გაკეთებაზე. აქედან თამამად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, თუ რომელი მოტივაციის ხერხებია არაეფექტური და ვისაუბროთ ზოგადად კომპანიებში გატარებულ არასწორ პოლიტიკაზე.

ახლა კი გვსურს გაგაცნოთ კვლევის შედეგები და მათზე დაყრდნობით განვაგრძო საუბარი. სამიზნე კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა უარი განაცხადა მსგავსი სახის კვლევაში მონაწილეობაზე, მაგრამ რამდენიმე დიდმა და წარმატებულმა კომპანიამ აშკარა სურვილი გამოხატა თანამშრომლობისა. გამოკითხული კომპანიების

უმრავლესობაში მოტივაციის ხერხებს იყენებენ. მათ აქვთ ასევე BONUS BUDGET-ის გაგებაც. კომპანიები საკმაო თანხებს ხარჯავენ თავისი კადრების მოტივაციაზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კომპანიების ბიუჯეტების სიდიდე მათი სიდიდის პირდაპირპროპორციულია. შედარებით დიდ კომპანიებში უფრო მეტ ფულს ხარჯავენ კადრების მოტივაციაზე ვიდრე მცირე და საშუალო კომპანიებში, ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს მოსალოდნელი შედეგია. მაგრამ თუ ჩვენ გადავხედავთ თანამშრომელთა კმაყოფილებას აღმოვაჩენთ, რომ დიდ კომპანიებს, რომლებიც საკმაო თანხებს იღებენ კადრების მოტივაციაში ძირითად შემთხვევებში უკმაყოფილო კადრები ყავთ. ანუ ზოგიერთ მცირე და საშუალო კომპანიაში თანამშრომლები ბევრად უფრო კმაყოფილები და პროდუქტიულები არიან, ვიდრე იმ კომპანიებში სადაც კადრების მოტივაციაზე გაცილებით მეტი თანხები იხარჯება.

ჯამში გამოიკითხა 25 კომპანია, აღსანიშნავია რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა კომპანიებმაც როგორიც არის: Hotel Biltmore; Hotel Iota; TBC Bank; Menu.ge და ა.ს.შ. თითქმის ყველა კომპანიაში მოტივაციის ხერხები ასე თუ ისე გამოყენებულია. კომპანიების მენეჯერების 94% თვლის, რომ ისინი ეფექტურ ხერხებს ატარებენ თანამშომელთა სამოტივაციოდ, მაგრამ აქვე უნდა დავურთო ისიც, რომ ამ კომპანიების 80%-ში კადრები უკმაყოფილონი არიან გატარებული ღონისძიებებით რაც ნათლად მიუთითებს კომპანიების არასწორ მოტივაციის ხერხებზე. მაგალითად ერთ-ერთ დიდ კომპანიას ყოველ თვე აქვს გამოყოფილი 500 ლარი ბონუსებისთვის, რომელიც უნდა მიიღოს თვის საუკეთესო 5-მა თანამშრომელმა, ერთი შეხედვით კომპანია ცდილობს მათ წახალისებას, მაგრამ მეორესმხრივ ზოგიერთი თანამშრომელისათვის ეს შეურაცხმყოფელია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ამ კომპანიის იმ თანამშრომლებმა, რომლებმაც გასულ თვეს მიიღეს 100 ლარიანი პრემია და მათგან 3 ადამიანი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რადგან ისინი თვლიან, რომ 1 თვიანი გარჯის შემდეგ,

როდესაც მათ 100 ლარით მეტ ხელფასს ურიცხავენ ეს უფრო დამამცირებელია ვიდრე საერთოდ ბონუსების არ ქონა. ამ დროს კი კომპანიაში სადაც ხარჯი არის მინიმალური და ეს კომპანია არის პატარა ზომის, ისინი თვის საუკეთესო თანამშრომელს გადასცემენ სერთიფიკატს და არანაირ დანამატს არ უკეთებენ ხელფასზე, მაგრამ ეს თანამშრომლები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან კიდევ ერთი თვე დაიხარჯონ იმისათვის, რომ მიიღონ ეს სერთიფიკატი და ატარონ საუკეთესო თანამშრომლის ბეიჯი. ასევე შემხვდა ისეთი კომპანიაც სადაც მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის არსებობდა ძალიან დიდი „უფსკრული“. მენეჯერმა საკმაოდ კარგი პასუხები მომცა ინტერვიუს დროს, რომ ისინი თანამშრომლებს აძლევენ გარკვეულ პრემიებს,თანამშრომლებს აქვთ დაწინაურების კარგი საშუალებაც და ა.ს.შ. მაგრამ როდესაც იგივე კითხვით მივმართე თანამშრომლებს აღმოჩნდა, რომ მათი 100% უკმაყოფილო იყო კომპანიაში გატარებული მოტივაციის ხერხებით, მაგრამ მათ ვერ მიჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ მენეჯერამდე და შესაბამისად უწევდათ ისეთ გარემოში მუშაობა, სადაც თავს არა კომფორტულად გრძნობდნენ აქედან გამომდინარე კი ხშირი იყო კადრების გადინება. მაგრამ შემხვდა ისეთი კომპანიაც სადაც ბიუჯეტის სიმცირემ არანაირი პრობლემა არ შეუქმნა მენეჯერს ეფექტური ღონისძიებების გატარებაში. ამ კომპანიამ გამოყო 600 ლარი წლიური ბიუჯეტი თანამშრომელთა მოტივაციაზე, დამეთანხმებით ეს ძალიან მცირე თანხაა, მაგრამ მათ შეძლეს და ეს თანხა ეფექტურად გამოიყენეს. კომპანია თვის საუკეთესო თანამშრომელს გადასცემდა ჭიქას წარწერით „თვის საუკეთესო თანამშრომელი“ და მთელი პერსონალის წინაშე უწყობდა მას დაჯილდოვების ცერემონიას, სადაც მას ამ ჭიქასთან ერთად გადაეცემოდა სერთიფიკატი და სხვადასხვა ტკბილეულობა, ასევე მას აძლევდნენ 3 დღე დასვენებას. კომპანიის კადრების 80% კმაყოფილი იყო გატარებული ხერხებით და მათ ჰქონდათ მოტივაცია ემუშავათ კარგად, რათა თუმდაც ზედმეტი 3 დღე დაესვენათ შემდეგ თვეს.

გამოკითხული მენეჯერების 98% თვლის, რომ ფული არის პირდაპირი მოტივატორი და ისინი არც კი იწყებენ სხვა გზების ძიებას აქედან ჩნდება, რომ ზოგიერთი გასცემს 50 ლარიან პრემიას, რაც მართლაც რომ სასაცილოა, ზოგი საერთოდ არ აძლევს პრემიას და ა.ს.შ. იმის დასამტკიცებლად, რომ ფული არ არის პირდაპირი მოტივატორი მინდა მოგიყვანოთ მაგალითი ერთ-ერთი ამერიკული კომპანიიდან. ამ კომპანიამ გამოყო 10 მილიონი დოლარი წლიურ პრემიაზე და წლის საუკეთესო 10 თანამშრომელს გადაეცემოდა 1 მილიონი დოლარი. როდესაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოიგო ეს ჯილდო მისი პირველი კითხვა იყო „და სხვებს რამდენი მისცეს?“, ანუ მისთვის მთავარი ის მილიონი დოლარი კი არ იყო, არამედ ის თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ის კომპანიაში და რამდენად დაფასდა მისი შრომა, რომელიც პატივისცემაში უნდა გადაზრდილიყო. ასევე მინდა მოგიყვანოთ მაგალითი იმის შესახებ, რომ უდიდესი მოტივაციის მიცემა კადრისათვის შეიძლება ნულოვანი დანახარჯითაც კი. ამის თვალსაჩინო მაგალითია კომპანია Zappos, რომლემაც დანერგა შემდეგი მოტვიაციის ხერხი და ამით შექმნა ალბათ მსოფლიოს ერთ-ერთი შეკრული კოლექტივი. მოგეხსენებათ Zappos ფეხსაცმლის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც საკმაოდ დიდია და ყავს ძალიან ბევრი თანამშრომელი. როდესაც Zappos-ის რომელიმე თანამშრომელი ჯდება კომპიუტერთან, რომ საქმე აკეთოს და ამ კომპანიაში კომპიუტერის გარეშე არაფერი კეთდება, კომპიუტერი მას არ უშვებს სისტემაში სანამ ის არ გასცემს პასუხს კითხვას. კითხვა ყოველდღე სხვადასხვაა და ყველასთვის განსხვავებული, მაგალითისთვის „ბრედლი ჩაწერე რომელ წელს დაამთავრა სკოლა ჩვენმა საწყობის თანამშრომელმა პიტმა?“ თუ ბრედლი არ ჩაწერს პასუხს იგი ამ დღეს ვერ იმუშავებს, შესაბამისად მან უნდა გაარკვიოს მოცემული კითხვის პასუხი; ასევე არის ესეთიც „ჯიმ გადაიღე სელფი შენს ფინანსურ დირექტორთან და ატვირთე“ თუ ჯიმი არ ატვირთავს სურათს მას პროგრამა არ მისცემს მუშაობის საშუალებას.

დასკვნა: ყოველივე ზემოთ თქმულიდან გვსურს აღვნიშნოთ, რომ კომპანიების უმრავლესობაში მოტივაციას პირდაპი ფულად ანაზღაურებას უკავშირებს. მენეჯერები თანამშრომლებს არ ეკითხებიან რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, არამედ აკეთებენ იმას, რაც მათი აზრით არის სწორი. მოტივაციის არაეფექტური ხერხები კომპანიისათვის ერთ-ერთი ყველაზე ზარალის მომტანი რამ არის და თითოეულმა მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს თანამშრომლის მოთხოვნილება. Zappos შესანიშნავი მაგალითია მოტივაციის სწორი გამოყენების, ასევე იმის თუ როგორ შეიძლება კომპანიამ შეიგრძნოს თანამშრომელთა მოთხოვნილებები. და ზოგადად როგორც ბატონი დავით გოგიჩაიშვილი იტყოდა „თუ გინდა ამოტივირო შენი კადრები ისწავლე ლაპარაკი მათ ენაზე“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Steel, Piers. Motivation: Theory and Applied. Boston, MA: Pearson Learning Solutions, 2012
2. Symer, Matthew M.; Abelson, Jonathan S.; Yeo, Heather L.; Sosa, Julie A.; Rosenthal, M. Zachary - "The Surgical Personality: Does Surgery Resident Motivation Predict Attrition?". (2018).

კომერციული ბანკების საინვესტიციო მენეჯმენტი საქართველოს საბანკო სფეროს მაგალითზე
Investment Banking Management of Commercial Banks in Georgia

დავით სეფაშვილი - ეკომომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
პროექტების კორდინატორი
dato.sepashvili@gmail.com
Davit Sepashvili - Institute of Economics Research and Development
Project Coordinator
dato.sepashvili@gmail.com

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია კომერციული ბანკების საინვესტიციო მენეჯმენტი საქართველოს საბანკო სფეროს მაგალითზე. საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელობა და მისი ეკონომიკური შინაარსი, როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაზე, როგორია კომერციული ბანკების მიზანშეწონილობა არასაბანკო სექტორში და ქართული კომერციული ბანკების მიერ მოზიდული ინვესტიციების როლი თანამედროვე ბიზნესის განვითარებაში, ასევე საუბარია ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებზე საქმიანობის დაგეგმვასა და რისკების რეგულირებაზე. საქართველოში არსებული კომერციული ბანკების გამოწვევებზე სწორი რეაგირება ბიზნესის პროდუქტიულობის და ქვეყანაში არსებული ეკონომუკური კეთილდღეობის გაუნჯობესებაში დიდ როლს თამაშობს და საბოლოო ჯამში გვაძლევს ეკომომუკურად სტაბილურ და ინვესტორებისთვის კიდევუფრო საინტერესო გარემოს.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, საინვესტიციო მენეჯმენტი, რისკების მართვა, საბანკო სექტორი, კომერციული ბანკები, ეკონომიკური პოლიტიკა.

Abstract: This article discusses the investment management of commercial banks in the Georgian banking sector. Investment activity and the importance of its economic content, the role and importance of the economy, what is the feasibility of commercial banks and non-banking sector attracted investments by Georgian commercial banks' role in the development of modern business, also deals with the main functions and duties of planning and risk r gulireba on. Correct responses to the challenges of commercial banks in Georgia play a major role in improving business productivity and economic prosperity in the country, and ultimately provide an economically stable and attractive environment for investors.

Keywords: Investment, Investment Management, Risk Management, Banking, Commercial Banks, Economic Policy.

შესავალი: ამერიკელი ეკონომისტის ულიამ შარპისა და მისი თანაავტორობის აზრით ივესტიცია ეს არის ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით. ჩვენ რაც უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ არის ის, რომ: ინვესტიციები ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული რაგდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე. ნებისმიერი ინვესტირების, მთავარი მოქმედი პირი ინვესტორია. ივესტორი არის პირი ან კომპანია რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში რა სახის ინვესტირება განახორციელოს.

ძირითადი ტექსტი: ინვესტიციების როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში ძალიან დიდია. ინვესტიციები მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომერციული საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირებისა და დინამიური განვითარებისათვის. ინვესტიციები ასევე ხასიათდება ორი ურთიერთ დაკავშირებული პარამეტრით ესენია რისკი და მოგება. როგორც წესი რაც უფრო მაღალია რისკი მით უფრო მაღალია მოგებაც.

იმისათვის რომ ინვესტირების პროცესში შემცირდეს რისკები საჭიროა საინვესტიციო მენეჯმენტი რაც გულისხმობს საინვესტიციო პროცესის დროს მიმდინარე მთელი რიგი ფაქტორების მათ შორის მართვის მექანიზმების მატერიალური, ფინანსური აქტივების და ამ პროცესში ჩართულ პირთა მონიტორინგს. საინვესტიციო მენეჯმენტი მართვის დროს მიმდინარე პროცესებში ჩართული ადმინისტრაციული საქმიანობაა, გამომდინარე აქედან მისი ჩართულობის შედეგად ხდება მიზნებისა და ამოცანების დადგენა, ხოლო დადგენის შემდგომ ეტაპზე იწყება მათი

განხორციელებისათვის საჭირო სამუშაოების შერჩევა, დაგეგმვა და მონიტორინგი.

საინვესტიციო მენეჯმენტის მიზანია ეკონომიკური სუბიექტის საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების ოპტიმიზაციას და გამარტივებას. საინვესტიციო მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა საინვესტიციო მიზნების მისაღწევათ უალტერნარივო და შედეგზე ორიენტირებული (ეფექტური) გძების მოძიება.

საინვესტიციო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანებია: 1. წარმოებული საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ორგანიზაციის განვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა; 2. არსებულ ინვესტიციებზე შემოსავლის ზრდა; 3. რისკების შემცირება; 4. ინვესტიციის განხორციელების დროს ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება. 5. ინვესტიციების პროგრესულობა, სტაბილურობა და სისტემური განხორციელება.

საინვესტიციო მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია: 1. არსებული ბაზრებიდან მიზნობრივი ბაზრების გამიჯვნა შესწავლა და მისი კონიექტურა. 2. არსებულ ბაზრებზე საკუთარი რესურსებით ინვესტიციების წყაროების ძიება და საინვესტიციო რესურსების ფორმირება. 3. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული მიზნების აღმოჩენა და განსაზღვრა. 4. ინვესტიციისათვის შესაფერისი ობიექტების, საინტერესო პროექტების და იდეების ინვესტიცირება/შეფასება.საინვესტიციო მიზნებისათვის ყველაზე შესაფერისი პროექტების შერჩევა. შემოსავლის, რისკის და ლიკვიდობის დონის შედარება. 5. არსებული საინვესტიციო პროექტებიდან შერჩეული პროექტების კონტროლი და მართვა. 6. უმიზნო და არაეფექტური პროექტებიდან ეფექტურად და მყისიერად გამოსვლა და ახლის ძიება.

ზემოდ ხსენებული მისდგომენიდან და არსებული სპეციფიურობიდან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ საინვესტიციო მენეჯმენტი რთული და მრავალმხრივი სისტემაა, რომელიც ინვესტიციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მოიცავს,

როგორც სტანდარტულ ასევე არასტანდარტული მიდგომების კომპლექსს

საინვესტიციო მენეჯნემტის კომპეტენტურად აშენებული სტრუქტურა უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მახასიათებელს: 1. ინვესტიციების დაგეგმვა და პროგნოზირება (საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებების გეგმის შექმნა და განვითარება); 2. საივესტიციო საქმიანობის ორგანიზება (ყველა მონაწილის, სახსრების და მეთოდების გაერთიანება , რომლებიც ინვესტირების განსახორციელებლადაა საჭირო); 3. საინვესტიციო პროცესის რეგულირება (პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისა და აღმოფხვრის გზით ორგანიზაციის ფინანსური და საინვესტიციო მდგომარეობის შენარჩუნება); 4. კოორდინაცია (ერთიანი, ორდინირებული, საერთო მიზნების მიღწევისკენ მიმართული კომპანიის ყველა განყოფილების შეთანხმებული მუშაობა); 5. სტიმულირება (თანამშრომლების წახალისება მათი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად); 6. კონტროლი (მოწმდება გეგმის შესრულება, საინვესტიციო რესურსების გამოყენების კეთილსინდისიერობა. შეგროვებული ინფორმაციის საუძველზე , საჭიროების შემთხვევაში ხდება საინვესტიციო პროცესებში ცვლილებების შეტანა, სტრატეგიის კორექტირება , რესურსების ხელახალი გადანაწილება და ა.შ.).

თანამედროვე საბანკო სისტემა მეტად რთული მექანიზმია , უაღრესად ფაქიზი და მყიფე-ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი-წარმატებული მართვის შემთხვევაში. აღნიშნული გარემოება განპირობებულია ფართო სპექტრით იმ რისკებისა, რომლებიც საბანკო საქმიანობასა და ბანკებს ყველა ფეხის ნაბიჯზე ხვდება.

ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია . ისინი იმყოფებიან ეკონომიკის შუაგულში და როგორც სისხძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ

კავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელნი არამედ მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები, ბანკები, ეს უმნიშვნელოვანესი რესურსია და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ქართული კომერციული ბანკების მიმართ ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი ცვლილებები საზედამხედველო კაპიტალთან დაკავშირებიტ და ავღნისნოთ საქართველოს ეროვნული ბანკის სწორი პოლიტიკა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზინენტის კობა გვენეტაძის 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალურის მინიმალური ოდენობის მოტხოვნა გაიზარდა და 12 მილიონი ლარის ნაცვლად 50 მილიონი ლარი დადგინდა.

ცვლილების ბრძანების მიხედვით ძალაში ეტაპობრივად შევიდ ადა საბოლოო სახე 2018 წლის 31 რს მიიღო. 1. 2017 წლის 30 დეკემბრამდე ბანკის საზედამხედველო კაპიტალი 12 მილიონით განისაზღვრა; 2. ხოლო 2017 წლის 31 დეკემრისათვის 30 მილიონი ლარი; 3. 2018 წლის 30 ივნისისათვის 40 მილიონი ლარი; 4. 2018 წლის 31 დეკემრისათვის ბანკის საზედამხედველო კაპიტალი 50 მილიონი ლარი.

აღნიშნული ცვლილება ბაზელ სამის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, კაპიტალის მოთხოვნის ზრდა, კი ეტაპობრივად მოხდება რათა კომერციულ ბანკებს მოთხოვნის შესასრულებლათ გონივრული ვადა მიეცეთ. ბაზელ სამის საბანკო რეგულაციების ერთობლიობას მოიცავს, რომელიც საბაზრო ლიკვიდობას, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებსა და ლევერიჯის(საკუთარი და საბრუნავი სახსრებს შორის თანაფარდობის მაჩვენებელი , რომელიც ადგენს ფირმის მთელ საინვესტიციო კაპიტალში საინვესტიციო დავალიანებების წილს)

გონივრული ნიშნულის დადგენას მოიცავს. ბაზელ სამი მიზნად საბანკო სექტორის უსაბრთხოებას და სტაბილურობას ისახავს. ხოლო აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 2017 წლის მდგომარეობით 17 კომერციული ბანკიდან 3 ახალ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

არსებული მონაცემებით ირკვევა რომ ფინკა ბანკს ზირაათ ბანკს და სილქროუდ ბანკს არ გააჩნიათ 50 მილიონიანი კაპიტალი. ჩამოთვლილი ბანკები ლიცენზიის საფრთხის ქვეშ დააყენა კაპიტალის მკვეთრმა ზრდამ და ლიცენზიის შესანარჩუნებლად მხოლოდ დამატებითი კაპიტალის ძიების გზების ძბნა და მისი მოზიდვა იხსნის.

როგორც პროფესორი გიორგი ცაავა აღნიშნავს, თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ ფულადი ტუმბოს მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსის 80-90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით, მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან ისიც არის მნიშვნელოვანი , რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრეიდტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი ნაღდი ფულადი მაის შექმნა და საბანკო ფულის ერას ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ასპექტები საკმაოდ აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, საბანკო სისტემამ ფინანსური კრიზისის ბოლომდე დაძლევა ჯერ კიდევ ვერ შეძლო, თუმცა საკრედიტო დაწესებულებების რესტრუქტურიზაციასთან მიმართებაში საკანონმდებლო და ორგანიზებული ღონისძიებების საფუძველი ფინანსური კრიზისის ყველაზე მწვავე შედეგების დაძლევა იქნა უზრუნველყოფილი, ბანკების კაპიტალის, მათი აქტივების ზრდისათვის და ფინანსური მდგომარეობის გამტკიცებისათვის აუცილებელი პირობები იქნა შექმნილი.

საინვესტიციო მიზნების და მათგან გამომდინარე ფინანსური ამოცანების დასახვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც კი დასრულდება მიზნების დასახვის ეტაპი, უნდა დამუშავდეს საინვესტიციო გეგმა რაც გულისხმობს წერილობით დოკუმენტს, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ მოხდება სახსრების ინვესტირება. თითოეული მიზნისათვის უნდა დადგინდეს მისი მიღწევის ვადა და რისკის მისაღები სიდიდე. როგორც წესი ფინანსური მიზანი და რისკის სიდიდე ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს მაგალითად რაც უფრო მნიშვნელოვანია ფინანსური მიზანი , მით ნაკლები უნდა იყოს მისაღები რისკი. საინვესტიციო გეგმების შემუშავებას იმგვარად ახდენენ ხოლმე, რომ გათვალისწინებული იყოს გადასახადები და უზრუნველყოფილი-აუცილებელი დაფარვასიცაცხლის დაზღვევისათის და ლიკვიდობის მოთხოვნის შესრულებისათვის.

საინვესტიციო გეგმებთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეტაპია საინვესტიციო მიზნები , სიცოცხლის დაზღვევის მოთხოვნილებები საინვესტიციო პროგრამა და ეკონომიკური გარემოს და სასიცოცხლო ციკლის გავლენა. საინვესტიციო ამოცანების დასახვა ინვესტირების პროცესში აუცილებელია ხოლო ინვესტიციის განხორციელების დროს მას ინვესტორი უნდა ესწრაფვოდეს რაც შეიძლება სწრაფან და ეფექტურად იქნას გადაჭრილი თითოეული ამოცანა ფინანსური სახსრების დაბანდებისას.

ინვესტირებისას ფართოდ გავრცელებულ ამოცანებს მიეკუთნება: **1.** სახსრების დაზოგვა მომავალში მსხვილი პროექტების განსახორციელებლად; 2. მიმდინარე შემოსავლების გადიდება; 3. სახსრების დგროვება საპენსიო ფონდებში; 4. შემოსავლის დაცვა დაბეგვრისგან.

საინვესტიციო მიზანი ის ფინანსური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტასაც ინვესტორი ესწრაფვის ინვესტირების ნებისმიერ არსებულ ინსტრუმენტში სახსრების დაბდებისას. ცხადია, რომ

საინვესტიციო მიზნები განაპირობებენ საინვესტიციო ინსტრუმენტების სახეობების შერჩევას . ინვესტირების ფართოდ გავრცელებულ მიზნებს ეკუთვნის: 1) მიმდინარე შემოსავლის გადიდება; 2) სახსრების დაზოგვამომავალში მსხვილი ხარჟების გასაწევად; 3) ფინანსური სახსრების დაგროვება საპენსიო ფონდებში; 4) შემოსავლების დაბეგვრისაგან დაცვა.

საინვესტიციო ინსტრუმენტის უნარიანობა - გაზარდოს მიმდინარე შემოსავალი -შემოსავლის ჩვეულებრივ დივიდებნებისა და პროცენტების იმ თანხაზეა დამოკიდებული, რომელსაც ამ ინსტრუმენტებიდან ერტ-ერთი უზრუნველყოფს. პენსიაში გასული პირები , ტრადიციულად ინვესტირების იმ სახეობებს ირჩევენ , რომლებსაც არაპროპორციული სემოსავალი მოაქვსთ რისკთან მიმართებაში (მცირე რისკის დროს მოაქვთ დიდი შემოსავალი).

საბანკო საინვესტიციო გეგმა რომელიც საინვესტიციო მიზანს ოპერაციათა სისტემად გარდაქმნის . გეგმა განსაზღვრავს იმ საერთო სტრატეგიას , რომელიც თითოეული მიზნის მისაღწევად იქნება გამოყენებული. მიზნების ერთი ნაწილის მიღწევა შესაძლებელია მთავრობის ან სამუშაოს მიმცემის მიერ განხორციელებული საბანკო პროგრამის მეშვეობით, ინდივიდის მხრიდან მათი კონტროლის მიუხედავად, რის გამოც გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთი გეგმების წვლილი საერთო მიზნების განხორციელებაში.

ხოლო სახსრების დაგროვების გეგმაში აუცილებელია დივერსიფიკაციის გათვალისწინებაც, რომელიც ხაზს უსვამს ინვესტირების რამდენიმე ობიექტის ფლობის აუცილებლობასრისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ხოლო აქტივების გეგმაზომიერად დაბალანსებული პორტფელი ამგვარ რისკს ამცირებს.

საინვესტიციო პროგრამის მიმდინარეობის კვალდაკვალ სხვადასხვა დროს დაწესებული უნდა იყოს საკონტროლო წერტილები იმის შესაფასებლად, თუ როგორ სრულდება პროგრამა. ახალი ინფორმაციის შესწავლის შემდეგ შესაძლოა საწირო გახდეს

როგორც გეგმების ისე მიზნებში ცვლილებების შეტანა; მიზნები შესაზლოა იყოს მეტისმეტად გაურკვეველი ან მეტისმეტად ვიწრო ხედვების მქონე, გეგმები კი შესაბამისად არარეალური. ფაქტიური შედეგების გაცნობითა და და აუცილებელი ცვლილებების შეტანით ინვესტორი თანდათანობით იძენს გრძელვადიანი პერსპექტივისათვის რეალისტური ფინანსური მიზნების შესწავლასა და მათ მისაღწევად საჭირო ჩვევებს.

ბანკის დაგეგმვის სისტემა რამოდენიმე საფეხურიან მექანიზმს წარმოადგენს ისინი შესაძლოა დავყოთ დონეების მიხედვითაც, პირველ დონეზე იყოფება სტრატეგიული დაგეგმვა რომელიც თავშივე მოიცავს საკვანძო მიზნების, იდეის წარმოჩენის ამოცანების დაყენებას და მისი გადაჭრისათვის ძირითადი მიდგომების ძიებას. მეორე დონეთ შეგვიძლია მივიჩნიოთ ტაქტიკური დაგეგმვა, რომელიც ეხება სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციას განსაზღვრულ ღონისძიებებსა და ამოცანებს . მესამე დონე კი ფინანსური დაგეგმვაა რომელიც დაგეგმვის ხსენებულ ორ წინა ეტაპზე შემუშავებულ სტრატეგიებს ამოცანებს და ღონისძიებებს წარმოადგენს კონკკრეტული ღირებულებითი ნიშნულის სახით.

როგორც თავში ითქვა, დაგეგმვა წარმოადგენს მრავალ საფეხურიან პროცესს, მოიცავს ბანკის ყველა ქვედანაყოფს და განსაზღვრავს მისი განვითარების ლოკალურ და საერთო პერსპექტივებს, მიზნებს, სფეროების მოცულობებს, ასევე სრული საქმიანობის საბოლოო შედეგებთან წყაროებთან და დანახარჯებთან თანაფარდობას.

საინვესტიციო დაგეგმვის შედეგია ბანკის განვითარების ნაერთი გეგმის ,ასევე ოპერაციული გეგმის შემუშავება ბანკის პოლიტიკის ცალკეული პოლიტიკის მიმართულებების საინვესტიციო, სადეპოზიტო, საპროცენტო, პერსონალის და სხვა გეგმების მიხედვით. ეს დოკუმენტები საერთო ჯამში ბანკს აცნობს საერთო ამოცანების გაგებაში, არსებული რესურსების პირობებში გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა მათი საბოლოო სახის მისაღებად.

ხოლო სტრატეგიის დაგეგმვა არის სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და წარმოადგენს სტრატეგიის ფორმირების ერთ-ერთ სკოლას. სტრატეგიული დაგეგმვის საბოლოო განხორციელება ხდება მარკეტინკის პრინციპებზე დაყრდნობით.

ბანკის სტრატეგია მისი საქმიანობის კონცეფტუალური საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს არსებული მიზნებიდან პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის გზებს. ბანკის სტრატეგია არის ბანკის მენეჯმენტისათვის არსებითად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ორიენტირი, რომელიც ეხება მომავალი ბაზრების,პროდუქტების, ორგანიზაციული სტრუქტურის, მოგებისა და რისკების ხედვას.

ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა ობიექტურად მოითხოვს რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები მამოძრავებელ ბერკეტად უნდა გადაიქცეს, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ეკონომიკაში დამატებითი ფულადი სახსრების საბანკო საკრედიტო რესურსების სახით გამოყენება, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური დეფიციტიდან თავის დაღწევა და ეროვნული მეურნეობის სისტემური განვითარების უზრუნველყოფაში კატალიზატორის როლის შესრულება.

დღევანდელ პირობებში კომერციული ბანკების მამოძრავებელ ძალად გადაქცევას ხელს უშლის ის გარემოება, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებშიკომერციული ბანკების სააქციო და საკუთარი კაპიტალის სიმცირის გამო არ გააჩნიათ მეწარმეობის ინტერესის მომსახურების შესაძლებლობა, რაც ჩვენი აზრით, მოითხოვს საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირების საკითხების დეტალურ შესწავლას.

გარდამავალ ეტაპზე როდესაც საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისა და განვითარების რთული პროცესი მომდინარეობს საფინანსო ბაზრის რეგულირების მაკრო ეკონომიკული საკითხების მეცნიერული შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებ. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ საქართველოში საფინანსო ბაზარი

კლასიკური გაგებით, მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, რაც თავის მხრივ სუსტებს ამ პრობლემის სიღრმისეულ პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე განხილვას.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ბანკთაშორის სესხებზე დამოკიდებულების ხარისხს. ვინაიდან რაც უფრო მეტად არის ფულადი ბაზარი ამ პარამეტრებზე დამოკიდებული მით უფრო მცირეა შიდა კრედიტის მოცულობა და ამ სისტემის გარედან თავისუფალი რესურსების მოსაზიდად. არვე უნდა ავღნიშნოთ რომ საქართველოს საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი როის შესრულება დაიწყო ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონმა, რომელმაც ერთ მხივ საფინანსო სისტემა ფულადი სახსრებით უზრუნველყო ხოლო მეორე მხრივ საფინანსო ბაზარზე დისპროპორციების წარმოება შეზღუდა. აღნიშნულს ასევე ხელი შეუწყო ბანკთაშორის ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე გარიგებები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში წარმოებდა.

როგორც ბანკთაშორისო რესურსების აუქციონის ჩატარების პრაქტიკამ დაგვანახა 1995 წლის განმავლობაში საკრედიტო რესურსების აუქციონზე 2,7 მლნ ლარის საკრედიტო რესურსი გაიყიდა, ხოლო საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 48% შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 1996 წლელს საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია შეიმჩნეოდა, 1997 წლის დასაწყისში საპროცენტო განაკვეთების კვლავ დაბალი და თითქმის უცვლელი იყო, რაც ეროვნული ბანკის აქტიური ინტერვენციებით იყო განპირობებული. მაგრამ წლის მეორე ნახევარში საგრძნობლად შემცირდა ინტერვენციები, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთები. 1998 წლის სექტემბერშისაფინანსო კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საკრედიტო რესურსების ბაზარზე. მიუხედავად იმისა რომ ეროვნული ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონებზე

ოქტომბერ-ნოემბერში7 დღემდე ვადის რესურსებზე საპროცენტო განაკვეთი 72%-ს ხოლო 30 დღიან საკრედიტო რესურსზე 85%-ს შეადგინა, რესურსების მიწოდება მკვეთრად შემცირდა . 1998 წლის კრიზისის მიზეზით შეჩერებული აუქციონები 1999 წელს კვლავ იწყებს ფუნქციონირებას. შემდგომი პერიონი საპროცენტო განაკვეთების შედარებითი კლებითა და საკრედიტო რესურსების აუქციონების მოცულობის ზრდით ხასიათდებოდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ თუ რამდენად მეცნიერულად იქნა შესწავლილი საფინანსო ბაზრის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და როგორი სისრულით გამოვლინდება მისი თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის, დამოკიდებული ცივილიზებული ბაზრის ფორმირების დაჩქარებაზე და ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნაზე.

საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მოთხოვნები, რომელთა მეშვეობითაც იგი ზემოქმედებას ახდენს ბანკის თავისუფალი რესურსების მოცულობაზე. უნდა ავღნიშნოთ რომ საქართველოში 2000 წელს ისევე როგორც წინა წლებში, კვლავ გამოიყენებოდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ფულად-საკრეიტო რეგულირების მიზნით, რომლის ნორმაც 16%-დან 14%-მდე ეტაპობრივად შემცირდა . მიუხედავად ამისა, ბანკები მაინც თავისი ინიციატიცით აჩერებენ რეზერვში დაწესებულ ნორმასთან შედარებით მეტ ფულად საშუალებებს.

კომერციული ბანკის რესურსებით უზრუნველყოფის ფორმირებისას მეტად მნისვნელოვანია განვიხილოთ ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზისათვის გამოიყენება. მსესხებლის ფინანსური ანალიზი გულისხმობს საფინანსო ანგარიშების შედარებას

და სამეურნეო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრების რაოდენობის გაანგარიშებას, რაც შესაძლებელს გახდის განისაზღვროს მოთხოვნილი სესხის ოდენობა, ნასესხები თანხის დანიშნულება, სესხის დაფარვის ხერხები და ვადები, აგრეთვე უზრუნველყოფის რეალურობა. ასეთი ანალიზის ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება დასკვნის გაკეთება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის და კრედიტის მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან მინიმალური რეზერვი იქნება განსაზღვრული ბანკის მიერ ყველა გაცემული სესხების რისკების დასაფარავად.

კომერციული ბანკის სარესურსო ბაზის ფორმირებუისათვის მთავარი ადგილი აქტიური ოპერაციების შემოსავლიანობის უზრუნველყოფას უჭირავს. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული მოგება წარმოადგენს, რომლის მოცულობის ზრდაუშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობის ზრდასთან.

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნისნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომმიუხედავად იმისა სავალდებულო რეზერვების გამოყენება ემსახურება კომერციული ბანკების ლიკვიდობის სათანადო დონის უზრუნველყოფას საქართველოში იგი ჯერ კიდევ მაღალია და კომერციული ბანკების მიერ ფულის მოწოდების შეზღუდვას იწვევს და შესაბამისად ეკონომიკური აქტივობის ამაღლებას უშლის ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ბანკების საწესდებო კაპიტალისა და მათი კაპიტალიზაციის ზრდა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, ანალოგიური მიდგომა პოსტსაჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებშიც გამოიკვეთა.

საქართველოს საბანკო სისტემაში კონკურენტული გრემოს ჩამოყალიბებისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ეკონომიკური სუბიექტებისათვის ერთდროულად რამდენიმე ბანკში ანგარიშგების გახსნის შესაძლებლობა. ბანკთაშორისი კონკურენცია თავის მხრივ

კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას შეუწყობს ხელს. საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ისეთი შიდა ფაქტორის განხილვა, როგორიცაა კომერციული ბანკების საქმიანობის რისკების შეფასება და დაფარვის უზრუნველყოფა.

საბანკო საქმიანობა თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე დაკავშირებულია რისკთან. რისკის ქვეშ გაიგება საბანკო საქმიანობის შესაძლო შედეგების გადახრა პროგნოზულიდან უარყოფით მხარეს,ოპერაციის შესახებ გადაწყეტილების მიღების მომენტისათვის. რისკი გამოიხატრბა ბანკისათვის არასასურველი შიდა და გარე გარემოებებისშემოტევასა და კონცენტრირებაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოგების დაკარგვა, და შესაძლოა საბოლოო ჯამში გაკოტრება. საბანკო რისკის ფაქტობრივი კონტროლი ახლო პესპექტივაში მომგებიანობის გამსაზღვრელია. რისკის მიღება საბანკო საქმიანობის საფუძველია . ბანკში წარმატებას აღწევენ მხოლოდ მაშინ, რპცა მატ მიერ მიღებული რისკები განსაზღვრული და გონივრულია, ასევე წარმოქნმის შემთხვევაში შესაძლებელია მისი გაკონტროლება.

ეროვნული ბანკი მწისიერად აკონტროლებს საბანკო რისკებს და მის მართვის პროცესში ერევა რადგანაც ის ახდენს საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის რეგულირებას საფინანსო ბაზარზე. საბანკო საქმიანობა ეს არის მოზიდული სახსრების საიმედოობა და ამ სახსრების განლაგება გონივრული პოლიტიკის საფუძველზე, ყველა სხვა მომსახურება შედარებით ნაკლებად ეფექტურია. საბანკო რისკები გარე და შიდა რისკებად კლასიფიცირდება . გარე რისკებს განეკუთნება ის რისკები რომლებიც არაა დაკავშირებული ბანკის კლიენტების საქმიანობასთან, მაგრამ არასასურველ გავლენას ახდენს საქმიანობის შედეგზე. საგარეო რისკებათ მიიჩნევა მაკროეკონომიკური რისკები. ასევე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის არახელსაყრელი ცვლილება. ხოლო შიდა რისკებს მიეკუთნება რისკები რომელიც განპირობებულია თვით ბანკის და

მისი კლიენტების საქმიანობით. შიდა რისკი ასევე დაკავშირებულია ბანკის არასწორ მენეჯმენტთან პერსონალის არასაკმარის მომზადებასთან ტრენინგების დეფიციტთან და უფლებამოსილებების გადაჭარბებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე. ნაკაიძე გ. საინვესტიციო პროექტის მენეჯმენტი (უცხოეთის გამოცდილება). 2009.
2. ბარათაშვილი ნ. ნაკაიძე ნ. უცხოეთის პირდაპირი ინვესტიციების საერთაშორისო წარმოების ინტეგრირებული სისტემები. 2011.
3. კაკულია რ., ღავთაძე გ. - ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა. 2013.

სოციალური მედიის როლი ბიზნესში და ზოგადი ტენდენციები საქართველოში
The role of social media in business and general trends in Georgia

ბექა ზაუტაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
bekazautashvili1@gmail.com
დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
davit.chakhvashvili@seu.edu.ge
Beka Zautashvili – Business Management
Georgian National University
bekazautashvili1@gmail.com
Davit Chakhvashvili - Doctor of Economics
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

რეზიუმე. 21-ე საუკუნეში სოციალური მედია და ინტერნეტი ბიზნესისთვის იქცა ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საშუალებად, მათი საქმიანობის პროცესში. აღნიშნულმა პლატფორმამ ძირეულად შეცვალა არამარტო მარკეტინგული კამპანიის დაგგემვის გზები, არამედ კომპანიის საკომუნიკაციო სისტემა და ზოგადად მენეჯმენტის პროცესი, ამის გამო დღეს უკვე იშვიათია ბიზნესის სფერო ან კომპანია, სადაც არ გამოიყენება სხვადასხვა სოციალური მედია პლატფორმა საქმიანობის წარმართვისთვის. თანამედროვე მსოფლიოს ტრენდების გათვალისიწნებით რთული არაა ვიწინასწარმეტყველოთ, რომ სოციალური მედიის როლი უფრო და უფრო გაიზრდება ნებისმიერ სფეროში და ადრე თუ გვიან თითოეულ მეწარმეს მოუწევს შეეგუოს ფაქტს, რომ მათ ფეხი უნდა აუწყონ ამ პროცესებს. მსოფლიო პროცესებიდან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ საქართველოშიც გამოიყენება სოციალური მედია, როგორც ბიზნესის განვითარების საშუალება. უნდა აღინიშნოს ისიც რომ საქართველოში ეს ტენდეცია ჯერჯერობით არაა ფართოდ გავრცელებული, თუმცა ამას

გარკვეული ახსნა აქვს და ეს ახსნა თავად ის საზოგადოებაა სადაც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს უწევთ საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედიის როლი ბიზნესში; სოციალური მედია; მენეჯმენტი; მარკეტინგი

Resume. In 21st century Social media and internet became one of the most powerful tools in business activities. The fast growth of social media platform has rapidly changed not only the ways of planning a marketing campaign, but also communication system and management processes in companies and nowadays it's hard to find any business which doesn't use social media during their activities. Depend on trends it's not hard to predict that SM's role will be more and more important for the companies in the future and every entrepreneur has to consider this fact and try their best to not fall behind. Based on data SM is playing some part in Georgian business development too, but compare to other nations and trends in whole world entrepreneurs in Georgia are not using social media extensively during their business processes, but it has its own explanation, which is discussed in the article.

Keywords: Social media role in business; Social media; Management; Marketing.

ძირითადი ტექსტი: სოციალური მედია ესაა გლობალური საკომუნიკაციო საშუალება, რომელმაც ინტერნეტთან დაკავშირებული ტექნიკა აქცია ინტერაქციული დიალოგის პლატფორმად. ისეთი სოციალური მედიის წარმომადგენლები, როგორიცაა: Facebook, Youtube, Twitter, LinkedIn, Reddit და სხვ. ეკუთვნიან სივრცეს Web 2.0[13]. ასეთ პლატფორმებზე არსებული მედიის მოხმარების პროცესში რაც უფრო მეტი პიროვნებაა ჩართული, მით უფრო მეტად ღირებულია საზოგადოების თვალში,

[13] Web 2.0 ტერმინი გამოიყენება მეორე თაობის მსოფლიო ინტერნეტ ქსელის (www) აღსაწერად, აღნიშნულმა პლატფორმამ ინტერნეტქსელში არსებული ვებ-გვერდები, აქცია მასობრივი გამოყენების საგნად, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა ონლაინ სივრცეში მოიპოვოს ან გაცვალოს ინფორმაცია სხვადახვა საკომუნიკაციო და სოციალური მედიის საშუალებით.

ვინაიდან თითოეულ მომხმარებელს საშუალება ეძლევა გაცილებით ფართო აუდიტორიაზე გასასვლელად და უფრო მასშტაბური ეფექტის მოსახდენად.

ამ ფაქტის გათვალისწინებით სოციალური მედია დღეს ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილია და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამის გამო კი ხშირად კომპანიების მენეჯერები დილემის წინაშე დგანან, ვინაიდან მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაცია ან მარკეტინგული აქტივობა შესაძლოა კომპანიას იმიჯის შელახვის ფასადაც კი დაუჯდეს (რამაც შესაძლოა ბიზნესის შემოსავლებსა და გაყიდვებზე იქონიოს უარყოფითი გავლენა), ამის ნათელი მაგალითია 2011 წელს კომპანია **Adidas**-ის მარკეტინგული კამპანია, რომლის ფარგლებშიც ვარშავის დასახლებებში გრაფიტით მოხატულ კედლებზე **Adidas**-მა განათავსა საკუთარი სარეკლამო აბრები, რამაც გადაფარა აღნიშნული ნამუშევრები. ამან კი გამოიწვია გრაფიტის მოყვარული ხალხის უარყოფითი რეაქცია, რომელმაც სოციალური ქსელი Facebook მოიცვა, პროსტესტის ნიშნად კი 20 000 ახალგაზრდამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ აღნიშნული ბრენდის მიერ შექმნილი ტანსაცმლის ყიდვა შეეწყვიტა, რადგან ის საერთოად აღარ მიაჩნდათ მოდურად. მასობრივი უკმაყოფლებისა და მომხმარებელთა ბოიკოტით შეშინებულმა კომპანიამ გაანალიზა შეცდომა, ბოდიში მოიხადა და სივრცე კვლავ გრაფიტის არტისტებს დაუბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მედიას აქვს ძალაუფლება, რომ გარკვეულწილად დააზიანოს ბიზნესი, მას ასევე შეუძლია საზოგადოების თვალში მეტი ღირებულება შესძინოს ნებისმიერ საქმიანობას, სწორედ ამის მტკიცებულებაა **GWP**-ს მიერ განხორციელებული კამპანია ლოზუნგით „არც კი იცი, როგორ გვიყვარხარ!“. იმის გამო, რომ **GWP**-ს ხსირად უწევს წყლის მილების შეკეთება/გაყვანა მომხმარებლებს რაღაც პერიოდით წყლის მიწოდება უწყდებათ, რაც გასაკვირი არაა პროსტესტის გრძნობას იწვევდა მოსახლეობაში. პროსტესტი კი ფიქსირდებოდა სოციალურ

ქსელებში სხვადასხვა სალანძღავი სტატუსის მეშვეობით. კომპანიამ კი გადაწყვიტა უკმაყოფილო მომხმარებლების „დაშოშმინება“ და აღნიშნული კამპანიის ფარგლებში გადაიღო რამდენიმე ვიდეორგოლი, რომლებიც ვირუსულად გავრცელდა მთელ საზოგადოებაში და მომხმარებლებში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება ჩაანაცვლა დადებითი განწყობით. აღსანიშნავია ისიც, რომ **GWP**-მ იმ ადამიანებსაც გადასცა სპეციალურად მათთვის დამზადებული სიმბოლური საჩუქარი, რომლებიც მოტივაციას უქმნიდნენ მაშინ როდესაც საზოგადოების დარჩენილი ნაწილი უკმაყოფილო იყო კომპანიის საქმიანობით.

თუმცა სოციალურ მედიას თანამედროვე დროში, იმიჯის შექმნის გარდა გააჩნია, არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს მათივე სამუშაო პროცესების გამარტივებასა და დაჩქარებაში, კერძოდ:

- საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)
- მარკეტინგი
- გაყიდვები & მომხმარებელთა მომსახურება
- კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)
- კვლევისა და განვითარების ფუნქცია (R&D)
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (HR)

სოციალური მედიის როლის ზრდას კომპანიის საქმიანობაში არაერთი მიზეზი აქვს, მის მთავარ უპირატესობასთან ერთად, რომელიც გულისხმობს მარტივად მისაღწევ სამიზნე აუდიტორიასა და ყველაფრის ერთ სივრცეში მოქცევას, მსგავსი საშუალებების გამოყენება გაცილებით ნაკლებ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული და გააჩნია უამრავი მექანიზმი, რომელიც კომპანიის საქმიანობას აუმჯობესებს, მაგ:

• **მიკრობლოგი** ამარტივებს ნებისმიერი შეტყობინების ფართო მასებზე გავრცელების პროცესს და ასევე ამცირებს ინფორმაციის გავრცელების დროს.

• კომპანიები მრავალ მომხმარებელთან თანადროული და სწრაფი კონტაქტისთვის ხშირად მიმართავენ **Twitter**-ს, სადაც ისინი ქმნიან საკუთარ პროფაილებს და ასეთი სახით უკავშირდებიან პოტენციურ და ლოიალურ მომხმარებელს.

• **LinkedIn** საკუთარ სივრცეში ნებისმიერ დამქირავებელს საშუალებას აძლევს განათავსოს და მოიძიოს შესაბამისი სამუშაო კადრი, რაც გაცილებით ნაკლებ დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

• ბიზნესის სფეროში ასევე დიდ როლს თამაშობს **Facebook**-იც, რომლის მეშვეობითაც არამარტო მომხმარებელთან კონტაქტი ან საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციაა შესაძლებელი, არამედ სრული მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვა და შესაბამის მიზნობრივ აუდიტორიაზე გასცვლაც. ამის საშუალებას კი Facebook business ფუნქცია იძლევა, რომელიც კომპანიებს სთავაზობს მულტიფუნქციურ ინსტრუმენტს, საიდანაც ბიზნესს არამარტო რეკლამების განთავსება და ე.წ ბუსთინგი შეუძლიათ, არამედ მისი მეშვეობით შესაძლებელია ფინანსური ანალიზი, ანუ Facebook ბიზნესის წარმომადგენლებს უჩვენებს მათ მიერ განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობას: ტრანზაქციებს, ინვოისებს, დახარჯულ თანხებსა და გადახდის სხვადასხვა მეთოდიკას Facebook business-ს გამოყენების პროცესში.

• ასევე ეს ფუნქცია გამოიყენება მარკეტინგული აქტივობების უკეთესად დაგეგმვისთვისაც, ვინაიდან შესაძლებელია არა ერთი კონკრეტული გვერდის მართვა, არამედ რამდენიმესი, რაც ამარტივებს ზოგად პროცესებსა და ამცირებს სამუშაო დროს, მარტივი ხდება კატალოგებისა და ინვენტარის მენჯემენტიც, ონლაინ სივრცეში გაყიდვების შედარებით უკეთესი მენეჯმენტი და სხვ.

სოციალური მედიის კლასიფიკაცია

Social media classification according to the main area of their utilization in the company
(source:THE ROLE OF SOCIAL MEDIA IN CORPORATE REPUTATION MANAGEMENT-THE RESULTS OF THE POLISH ENTERPRISES
Danuta SZWAJCA

სახეობა	გამოყენების სფერო	გამოყენების ხასიათი	სოც. მედიის მაგალითები
სოციალური ქსელები (გასართობი)	PR, მარკეტინგი, გაყიდვები, მომხმარებელთა მომსახურება, CSR, R&D	ურთიერთობათა ჩამოყალიბება და მათი შენარჩუნება	FACEBOOK, GOOGLE+, NK.PL, MYSPACE
სოციალური ქსელები (ბიზნესისთვის)	HR, PR, R&D		LINKEDIN, GOLDENLINE
ვიდეო ქსელი	PR, მარკეტინგი, გაყიდვები	გაზიარება	YOUTUBE, DAILYMOTION
ფოტო ქსელი			PINTEREST, INSTAGRAM
მიკრობლოგი	PR, მარკეტინგი, CSR	საზოგადოების მყისიერი ინფორმირება და ახალი ამბები	TWITTER, BLIP, TUMBLR
ბლოგი		შინაარსის (კონტენტის) გადმოცემა(მოსაზრე-ბები და შეხედულებები)	WORDPRESS.COM, BLOGGER, BLOGSPOT
WIKI ვიკი	საინფორმაციო მენეჯმენტი, CSR		WIKIPEDIA, MFILES
ჯგუფური შოპინგი	გაყიდვები, მარკეტინგი	პროდუქციის გაყიდვა	GROUPON, GRUPER, FASTDEAL
ქრაუდსორსინგი	R&D, მარკეტინგი, CSR	თანაარსებობა და თანამშრომლობა	IDEABREWERY, MY STARBUCKS IDEA, BANK OF IDEAS BZ WBK
გეოლოკაცია		ინფორმაციის გაცლა ადგილის შესახებ	FOURSQUARE, FACEBOOK PLACES

ამ ფუნქციებზე დაყრდნობით გასაკვირი არაა, რომ სოციალურ მედია საშუალებებს მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია იყენებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა სოციალური მედია ჩვენს ქვეყანაში არ გამოიყენება იმ ტემპებით, როგორც სხვა ქვეყნებში. **საქსტატის** მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ბოლოს განახლდა 2016-2017 წლებში, საწარმოებში სოციალური მედიის გამოყენების ტენდენციები ასეთია:



[14]

დიაგრამა 1-ზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხული კომპანიების უმეტესობა, არ იყენებს სოციალურ ქსელებს და მათი რაოდენობა 2017 წელს შემცირდა მხოლოდ 1%-ით. გამოკითხულთა თითქმის 1/3-მა განაცხადა, რომ იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს, თუმცა ასეთი კომპანიების პროცენტული ზრდა 1 წლის შუალედში ძალიან მცირეა და შესაძლოა ითქვას, რომ უმნიშვნელოც კი. მულტიმედიური საშუალებების (ძირითადად YouTube) გამოყენებაში კი კომპანიათა დაახლოებით 9%-ია დაკავებული, რაც შეეხება დანარჩენ სოციალურ მედია-საშუალებებს გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ მცირე ნაწილი

[14] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi, შენიშვნა: პროცენტები მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის მიხედვით

იყენებს მათ და ამის პარალელურად მათი ტემპი ხასიათდება ზოგადი კლების ტენდენციით.

დიაგრამა 2 გვიჩვენებს თუ რა მიზნით გამოიყენებენ საწარმოები საქართველოში სოციალური მედიას. გამოკითხულთა უმეტესობა სოციალური მედიის პლატფორმას იყენებს კომპანიის იმიჯის შექმნისთვის და მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1 წლის ინტერვალში სოციალური მედიის გამოყენება, როგორც იმიჯის შექმნის საშუალება შემცირდა 3,4%-ით. 2017 წელს კომპანიებში 6%-ით გაიზარდა სხვადასხვა სოციალური მედია საშუალების გამოყენება პარტნიორებთან ან მომწოდებლებთან კონტაქტისთვის. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ მიზნებს ისინი ძირითადად მცირე ზრდის ან კლებადობის ტემპებით ხასიათდებიან.



[15]

[15] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi, შენიშვნა: პროცენტები მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის მიხედვით



საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბიზნეს საქმიანობაში სოციალურ მედიას არ უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, თუმცა ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს და ეს ახსნა თავად ის საზოგადოებაა სადაც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს უწევთ საკუთარი საქმიანობის განხორციელება. Alexa.com-ის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში დღეს მომხმარებლებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს შემდეგი 15 ვებ-გვერდი:

მიუხედვად იმისა, რომ მონაცემები უახლესია (10/11/2019) და Facebook დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სოციალური ქსელია - მას ყველაზე მეტი აქტიური მომხმარებელი გააჩნია მსოფლიო მასშტაბით (უკანასკნელი მონაცემებით 2 375 მილიონი აქტიური იუზერი), ის საქართველოს მოსახლეობის ტოპ ვებ-გვერდების ჩამონათვალში იკავებს მე-12 ადგილს, ხოლო არც თუ ისე

პოპულარული სოციალური ქსელი Ok.ru კი მე-7 ადგილზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ Facebook-ს საქართველოში უსწრებს ისეთი საიტები, როგორიცაა Crystalbet.com და Adjarabet.com. ამ მონაცემების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა რომ საქართველოში მოღვაწე კომპანიები ისეთ სოციალურ მედია საშუალებებს (Twitter, LinkedIn და სხვ.), რომლებიც XXI საუკუნეში ბიზნესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, არ იყენებენ ინტენსიურად.

ვინაიდან მათი სამიზნე აუდიტორია არაა ამ ონლაინ პლატფორმების აქტიური მომხმარებელი და შესაბამისად ბიზნეს სუბიექტები ვერ გავლენ იმ სასურველ შედეგებსა და სარგებელზე, რასაც აღნიშნული სოციალური მედიის წარმომადგენლები სთავაზობენ კომპანიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "რეალურ ისტორიებზე დაფუძნებული ვიდეორგოლები– GWP-ის კამპანია". Marketer. 10 Jul. 2018, https://www.marketer.ge/gwp-campaign-rogor-gvikvarkhar/
2. THE ROLE OF SOCIAL MEDIA IN CORPORATE REPUTATION MANAGEMENT – THE RESULTS OF THE POLISH ENTERPRISES Danuta SZWAJCA
3. https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/ (გადამოწმებულია 20.11.2019)
4. https://www.alexa.com/topsites/countries/GE (გადამოწმებულია 20.11.2019)
5. ციფრული კომუნიკაციების მნიშვნელობა სტრატეგიული კომუნიკაციის კონტექსტში ნინო ჯარიაშვილი, თეონა გაგნიძე, ლია ლაცაბიძე

კომპანიების ეკონომიკურ საქმიანობაზე მოქმედი გარე ფაქტორების ანალიზი

Analysis of external factors affecting the economic performance of companies

სალომე ოდიშარია
ეკონომიკის დოქტორი
s.odisharia@yahoo.com
Salome odisharia
Doctor of Economics
s.odisharia@yahoo.com

რეზიუმე. მიუხედავად ჟამთა სვლისა, ეკონომიკური უსაფრთხოების უარუნველყოფა ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის საზრუნავი. მისი აქტუალურობა განსაკუთრებით იზრდება იმ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური თუ სხვა პროცესებისა და მოვლენების მწვავე კრიზისულ პერიოდში, როდესაც ქვეყანა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან გადადის სრულიად ახალ სისტემაზე, ისეთ სისტემაზე, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს დემოკრატიულ ღირებულებებზე.

ამასთან, თვით ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს რთულ შინაგან სტურქტურას, რომლის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს: ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. აღნიშნულზე საუბრისას აუცილებლად გამოსაყოფი და აღსანიშნავია საინვესტიციო გარემო, რომელიც როგორც ეკონომიკური კატეგორია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განსაზღვრაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო გარემოს შეფასება, როგორც წესი, იწყება ცალკეული კონკრეტული უბნიდან და მთავრდება მთელი ქვეყნის დონეზე. იერარქიულად იგი შეიძლება ასეც წარმოვადგინოთ: სამუშაო ადგილი - კომპანია - დარგი - სოფელი -

რაიონი - ქალაქი - რეგიონი - სახელმწიფო. როგორც ვხედავთ შეფასებათა ამ ჯაჭვში არანაკლები მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპანიას და უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში უცხოელი ინვესტორისთვის, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და წარმატების დონე, მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების ძალიან კარგი კატალიზატორია.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სიტუაციური მიდგომა ფართოდ იქნა აღიარებული. რუსი ს.იუ. გლაზევი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეკონომიკის მდგომარეობა, რომელშიც საწარმო დამოუკიდებლად უზრუნველყოფს მდგრად სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და უზრუნველყოფს კონკურენციის აუცილებელ დონეს[5]. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოება სწორად და კარგად შემუშავებული პროცესების შედეგია. მაშასადამე, კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოება ხასიათდება მისი მრავალი ტიპისა და მიდგომის მიხედვით.

კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მისი წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არსებობდეს მართვის სისტემა, რომელიც მისი ყველა უბნის, განყოფილების საქმიანობის დაგეგმვასა და კოორდინირებას მოახდენს. მართვა თავის მხრივ წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების, გადაცემისა და დამუშავების პროცესს მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. კომპანიის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც სამეურნეო საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის დამაკავშირებელი რგოლია. უნდა ითქვას, რომ სააღრიცხვო ინფორმაციის მოხმარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციულ სისტემაში შედის საგარეო, ანუ ფინანსური აღრიცხვა და შიდა, ანუ მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა.

როდესაც საუბარია კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაზე, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილზე, აუცილებელია გარე გარემოს ფაქტორების ზეგავლენების შეფასება, რომელშიც კომპანიას ეხმარება სტრატეგიული მენეჯმენტი.



ნახ.#1. სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლები

სტრატეგიული მენეჯმენტი მენეჯერული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლიც კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიან პერსპექტივას განსაზღვრავს. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით:



ნახ.#2. სტრატეგიული მენეჯმენტის ელემენტები და მათი უერთიერთქმედება

მნიშვნელოვანი ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესების მქონე სისტემის ჩამოყალიბებისას, რომელიც საჭიროებს კომპანიის ეკონომიკური განვითარების პროცესში დაცვას, საჭიროა განისაზღვროს სტრატეგიული ეკონომიკური უსაფრთხოების კომპონენტების მთლიანობა. ამ კომპონენტების კომპლექსიდან გამომდინარე აუცილებელია კომპანიის ეკონომიკური უსაფრთხოების შესაძლო გარე და შიდა საფრთხეების იდენტიფიცირება.

გარე ფაქტორებს შორის, რომლებიც კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენას ახდენენ, აღსანიშნავია ცვლილებები საგადასახადო თუ სხვა კანონმდებლობაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როდესაც კომპანიას გააჩნია ძლიერი მენეჯერული აღრიცხვა, იგი ადვილად ეგუება ყველა იმ საკანონმდებლო სიახლეს, რომელიც 21-ე საუკუნის მსოფლიოში საკმაოდ ხშირად ხორციელდება.

დღეს, საქართველოს თითოეული კომპანიის მენეჯმენტი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში არა ერთი მნიშვნელოვანი ცლილება განხორციელდა საკანონმდებლო პოლიტიკაში.

როგორც იცით 2014 წლის 26 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა მიიღო ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. სწორედ ამ სამწლიანი გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ როგორც საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის, ასევე ქვეყნაში ბუღალტრული აღრიცხვის უფრო გამჭირვალედ წარმართვის ვალდებულება აიღო, რაც მიზნად ისახავს ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, ანგარიშგებისა და აუდიტის მიდგომების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას.

თუ გადავხედავთ საქართველოში აღრირცხვა-ანგარიშგების წარმოების სისტემის განვითარების ისტორიას, ვნახავთ, რომ 90-იან წლებში, ჩვენთვის ცნობილი იყო და გამოიყენებოდა ბუღალტრული აღრიცხვის მხოლოდ ერთი საბჭოური სისტემა, რომელიც შესაბამის სტანდარტებს ეყრდნობოდა. იგი საუკეთესოდ იყო მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული სისტემა "მატერიალური ფასეულობების, შრომისნაყოფიერების ყოველდღიური მკაცრი კონტროლისა" და „უ ზარმაზარი ეკონომიის მიღწევის" საშუალებას იძლეოდა. ბუღალტრული აღრიცხვის მომქმედი სისტემა ემსახურებოდა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს. ამ პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის ერთადერთ მიზანს სახელმწიფო ორგანო-ებისათვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა და ფინანსური ინფორმაციის ერთადერთი მომხმარებელი სახელმწ იფო იყო.

ქვეყნის ეკონომიკურმა რეფორმამ, ეკონომიკაში მიმდინარე ძი რეულმა გარდაქმნებმა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა განაპირობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

საქართველოში მოქმედი საბჭოური ბუღალტრული აღრიცხვა, სააღრიცხვო საქმიანობის ცენტრალიზებულად მართვა, უკვე აღარ აკმაყოფილებდა ქვეყნის წინაშე დასმულ ამოცანებს.

აქედან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის გარდაქმნის შესახებ. რეფორმის არსი, ბუღალტრული აღრიცხვის არა მხოლოდ ორგანიზაციულ ცვლილებებში, არამედ მისი მეთო დოლოგიის გარდაქმნაში მდგომარეობს.

ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლ ებს უნდააკმაყოფილებდეს, რაც მათ დაეხმარება სწორი ეკონომიკ ურიგადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ძირითადი და მეტად მნიშვ ნელოვანი მიზნის შესასრულებლად კი იგი უნდა ეყრდნობოდეს

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს/IFRS)[16], რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ბიზნესის ურთიერთობების საერთო გლობალურ ენას წარმოადგენს, რაც თითოეული კომპანიების ანგარიშგებას გასაგებსა და შესადარისს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი სხვა კომპანიის ანგარიშგებასთან.

1994 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "მეწარმეთა" შესახებ, რომლის მე-13 მუხლით განისაზღვრა აღრიცხვაანგარიშგების წარმოების ზოგადი პრინციპები. ამით ფაქ ტიურად, პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასა სვლელად და იგი გახდა საქართველოში მათი დამკვიდრების სერიოზული საფუძველი, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კანონს არ გააჩნდა მავალდებულებელი ძალა, თითქმის ყველა სამეურნეო სუბიექტი თავისი საქმიანობის აღრიცხვას აწარმოებდა მხოლოდ სწორი საგადასახადო ადმინისტრირების მიზნებისთვის რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ფინანსური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც პოტენციური ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას, მოახდინოს თუ არა მასში ინვესტირება, გამორიცხული არ არის ყოფილიყო დამახინჯებული და შეცდომების დაშვებისგან დაუცველი.

შეიძლება ითქვას, რომ ევროასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, 2016 წლის 26 ივნისს ამოქმედებული კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ თანახმად ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. აღნიშნული ცვლილება, თავის მხრივ, წინაპირობა გახდა იმისა, რომ შექმნილიყო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

[16] ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, International Financial Reporting Standards

ზედამხედველობის სამსახური. აღნიშნული სამსახურის მთავარ ორიენტირს, საწარმოთა აღრიცხვა-ანგარიშგების გამჭვირვალობის უზუნველყოფის მეშვეობით კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარება წარმოადგენს. ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების შექმნა სწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს შეუწყობს ხელს და, შესაბამისად, ბიზნესის სფეროს განვითარებას უზრუნველყოფს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას.

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი

წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები.

მოცემული კანონის ფარგლებში საწარმოები მასშტაბის მიხედვით დაყოფილია ოთხ კატეგორიად და თითოეული მათგანისთვის განისაზღვრა აღრიცვის წარმოებისთვის საჭირო საერთაშორისო ან ადგილობრივად შემუშავებული სტანდარტი, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის ბაზაზეა შექმნილი.

- ქვეყანაში დღეის მდგომრეობით მოქმედი სტანდარტებია:

1. **ბასს/ფასს/IAS/IFRS (International Accounting Standarts/International Financial Reporting Standards)** - 1973 წელს, ლონდონში დაფუნძდა ბასსკ[17], რომელიც 2001 წლის 1-ელ აპრილამდე გამოსცემდა ბასს-ებს[18]. 2001 წლიდან ბასსკ-ი ჩაანაცვლა ბასსს-მ[19]. ბასსს-მა დაიწყო ფასს-ების გამოცემა და ნელ-ნელა ცვლის ყველა ბასს-ს;

2. **მსს ფასს/IFRS for SMEs (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის)** – 2009 წლის ივლისში ბასსს-მა შეიმუშავა ფასს-ზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის; პირველი შესწორებები გამოქვეყნდა 2015 წლის მაისში;

3. **მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი** - მიღებული იქნა 2018 წლის ნოემბერს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფასს-ზე დაყრდნობით და მას ადგილობრივ სტანდარტსაც უწოდებენ;

4. **ა(ა)იპ-ების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი** - მიღებული იქნა 2018 წლის ივნისში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და

---

[17] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი
[18] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
[19] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო

აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ და მას ადგილობრივ სტანდარტსაც უწოდებენ.

კატეგორიაში ხვდება სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამი კრიტერიუმიდან (აქტივები, შემოსავლები, დასაქმებლ პირთა რაოდენობა) სულ მცირე ორს აკმაყოფილებს. მეხუთე კატეგორიად გამოყოფილია საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (სდპ), მათი მასშტაბის მიუხედავად.

საწარმოს (ჯგუფის) ტიპი	აქტივები (ლარი)	შემოსავალი (ლარი)	დპრ*	ანგარიშგების მომზადება	სავალდებულო აუდიტი
4 კატეგორია (ე.წ.მიკრო)	< 1 000 000	< 2 000 000	< 10	ადგილობრივი სტანდარტი	არა
3 კატეგორია (ე.წ.მცირე)*	< 10 000 000	< 20 000 000	< 50	IFRS for SME**	არა
2 კატეგორია (ე.წ.საშუალო)	< 50 000 000	< 100 000 000	< 250	IFRS for SME	კი
1 კატეგორია (ე.წ.მსხვილი)	> 50 000 000	> 100 000 000	>250	IFRS***	კი
სდპ საზოგ. დაინტერესების პირი)	-	-	-	IFRS	კი

ცხრ.#1. სუბიექტების დაყოფა კატეგორიებად ახალი კანონმდებლობით:

*დასაქმებულ პირთა რაოდენობა

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

***ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

სდპ-ებში გაერთიანებულია საწარმოები, რომელთა ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, კომერციული ბანკები, კვალიფიციური საკრედიტო, მიკროსაფინანსო, სადაზღვევო და სხვა ორგანიზაციები.

საწარმოს ზომითი კატეგორია სამი კრიტერიუმის, აქტივების ჯამური ღირებულების, შემოსავლისა და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის, მიხედვით უნდა განისაზღვროს 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან და შემდგომ პერიოდებში;

საწარმოს ზომითი კატეგორია შეიცვლება თუ:

✓ ზომითი კატეგორიის ცვლილება დაფიქსირდება ზედიზედ ორჯერ; ან

✓ საწარმო გაიზრდება 2 ან მეტი ზომითი კატეგორიით წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით



ნახ.#3. საწარმოს ზომითი კატეგორიის ცვლილება წლების მიხედვით

კანონის მოქმედების სფერო ეხება:

- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;
- ინდივიდუალურ მეწარმეს, თუ ის აკმაყოფილებს 1-ლი, მე-2 და მე-3 კატეგორიის საწარმოთა მოთხოვნებს
- სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალს, თუ ის აკმაყოფილებს 1-ლი, მე-2 და მე-3 კატეგორიის საწარმოთა მოთხოვნებს

კანონის მოქმედების სფერო არ ეხება:

- საქ-ოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს;
- საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- ინდივიდუალურ მეწარმესა და სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალს თუ ის აკმაყოფილებს მე-4 კატეგორიის საწარმოთა მოთხოვნებს

აღნიშნული კანონის თანახმად თითოეული ზომითი კატეგორიის სამეურნეო სუბიექტს დაევალა ზედამხედველობის სამსახურში ელექტორნული პორტალის მეშვეობით წლიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება. ერთი თვის თავზე კი მოხდება მათ მიერ წარდგენილი ანგარიშგებების გასაჯაროება (გარდა მე-4 კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებებისა), რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე პოტენციურ ინვესტორს ონლაინ რეჟიმში შეეძლება მისთვის საინტერესო ნებისმიერი კომპანიის საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის ნახვა და სათანადო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება.

აქამდე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობაში არ იყო განსხვავებული მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილი ბიზნესისაგან და არ იყო არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც უპირატესად მცირე და საშუალო მეწარმეობას და მათი პრობლემების გადაჭრას შეეხებოდა. საქართველოში არსებობდა უნიფიცირებული სისტემა, სადაც მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილ მეწარმეობასთან ერთად თავისი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ბუღალტრული

აღრიცხვის ერთიან სტანდარტს ფასს იყენებდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თვითონ მსს ფასს-ი არც თუ დიდი ხნის წინ, 2009 წლის ივლისში იქნა შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. აღნიშნული საბჭოს თანახმად დაახლოებით მსოფლიოს კომპანიების 95% იქნება უფლებამოსილი ისარგებლოს მსს ფასს-ით.

საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე ქვეყანაში კომპანიების კატეგორიები სხვა კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრებოდა, რასაც მხოლოდ სტატისტიკური დატვირთვა გააჩნდა:



სურ.#1. სუბიექტების დაყოფა კატეგორიებად ახალი კანონმდებლობის ამოქმედებამდე

რატომ არის მნიშვნელოვანი კომპანიების კატეგორიების ასეთი სახით დაყოფა?

თითოეული კატეგორიის კომპანიისათვის საკანონმდებლო დონეზე მოხდა ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრა. აღნიშნული კანონით დადგენილი სავალდებულო აუდიტიც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საშუალო და მსხვილი კომპანიების მიერ მართვის სისტემის სწორ და გამართულ ფუქნციონირებას.

სამეურნეო სუბიექტი აღნიშნული კანონით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულისა და საქმიანობის გათვალისწინებით:

- განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას;
- შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოებისა და კონტროლის მექანიზმსა და პროცედურებს;
- შეიმუშავებს ანგარიშთა გეგმას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში;
- განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიას;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს;
- შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებისა და ბიზნესწესების ერთობლიობას (შიდა კონტროლის სისტემას), რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტურობას, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და საქართველოს კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფასს-ი (მსს ფასს) მარტივ, მტკიცე, უფრო მეტად ხელმისაწვდომ და სტაბილურ სისტემას წარმოადგენს მცირე და საშუალო დონის საწარმოებისთვის ფასს-თან შედარებით. გარდა ამისა, აღნიშნული სტანდარტის გამოყენება მათ თავიდან ააცილებს ზედმეტ ძალისხმევასა და არასათანადო ხარჯების გაწევას.

ბოლო წლებში ქვეყანაში კიდევ ერთი მასშტაბური, მნიშვნელოვანი რეფორმა საგადასახადო კანონმდებლობაში განახორციელდა, რომელიც „ესტონური მოდელის“ სახელით არის ცნობილი და იგი ძალაში 2017 წლის პირველი იანვრიდან შევიდა. საკანონმდებლო სიახლის მიზანია: ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკური

ზრდის დაჩქარება. აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად გაუქმდა საგადასახადო მოგება, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს წლის ბოლოს მთავრობისთვის აუცილებლად გადასახდელი 15% ისევ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებასა და განვითარებას მოახმარონ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რადგან 2017 წლამდე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაცია განსხვავდებოდა საგადასახადო ინფორმაციისგან, ხშირ შემთხვევაში კომპანია, რომელიც ფინანსური კუთხით ზარალზე გადიოდი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე მას წლის ბოლოს მოგება უფიქსირდებოდა და იძულებული იყო 15% თავისი ფულადი სახსრებისა ბიუჯეტში გადაეხადა. ეს უკანასკნელი კი კომპანიას დამატებითი სახსრების მოძიებისკენ უბიძგებდა, რაც თავისთავად დამატებით დროით ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა. სტატისტიკის სახით შეიძლება მოვიყვანოთ 2017-2018 წლების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი:

წელი	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 729.1**	**1 650.3**	**1 962.6**	**1 265.2**
I კვ	291.8	331.9	343.4	392.2	411.7	323.5
II კვ	224.1	217.6	493.2	452.1	394.0	403.6
III კვ	271.6	749.5	531.1	506.5	627.9	367.0
IV კვ	251.6	538.0	361.3	299.5	529.0	171.0

სურ.#2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი მლნ. აშშ დოლარი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეფორმის მიზანია:

- კორპორაციული მართვის და სააღრიცხვო დისციპლინის გაუმჯობესება
- ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლება
- კაპიტალური ბაზრების განვითარების ხელშეწყობა
- ფინანსური სექტორის ეფექტურობის ზრდის ხელშეწყობა
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება
- საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურობის ზრდა
- საზედამხედველო და საანგარიშგებო სფეროში ევროკავშირის და მსოფლიოში წამყვანი პრაქტიკის გაზიარება და დანერგვა

სამეურნეო სუბიექტების „ესტონურ მოდელზე“ გადასვლა შეიძლება ითქვას, ერთგვარი ტრამპლინი იყო იმისთვის, რომ მათ აღრიცხვა ეწარმოებინათ მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე და აღმოფხვრილიყო ორმაგი აღრიცხვის ფაქტი (ცალკე საგადასახადო მიზნებისთვის და ცალკე ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნებისთვის), გამომდინარე იქიდან, რომ „ესტონურ მოდელზე“ გადასვლის შემდეგ სამეურნეო სუბიექტები მოგების წლიური საგადასახადო დეკლარაციის შედგენიდან თვიური დეკლარაციის წარდგენაზე გადავიდა და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას პრაქტიკაში შემდეგი დაბეგვრის ობიექტებიდან რომელიმეს ექნება ადგილი:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის

➢ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

➢ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

შეიძლება ითქვას, თითოეული კომპანიისთვის სერიოზული გარდამავალი პერიოდია 2017-2019წწ. თუმცა, მიუხედავად ერთი შეხედვით პროლემების სრულად აღმოფხვრისა რაც აღრიცხვიანობას შეეხება, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ ბიზნეს სექტორში გამოიწვია მთელი რიგი შეუთავსებლობა საქართველოს საგადასახადო კოდექსთან, რომლებიც დამატებით დაზუსტებას ან/და გადახედვას საჭიროებენ, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო/ადგილობრივ სტანდარტების პრინციპებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებები და არათავსებადობა, მათ შორის ტერმინებშიც.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან განსხვავებას რომელიც საგადასახადო კოდექსსა და სტანდარტებს შორის არსებობს:

✓ სტანდარტებით, იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივი (ფასს, მსს ფასს, მე-4 კატეგორიის საწარმოთათვის განკუთვნილი ფას), დაკონკრეტებულია რას მოიცავს „შემოსავალი“ (ამონაგები და შემოსულობა). ამავე დროს განმარტებულია და მოცემულია ძირითადი პირნციპები თუ როდის უნდა აღიაროს კომპანიამ შემოსავალი ამონაგების სახით. სტანდარტების მოთხოვნისგან განსხვავებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში არ არის ნახსენები ამონაგები და შემოსავალი მოხსენიებულია როგორც ერთობლივი შემოსავალი (მუხლი 100) ან დასაბეგრი შემოსავალი (მოგება). გარდა ამისა, კოდექსი არ განიხილავს ისეთ ტერმინს როგორიც არის კონსიგნაცია, მაშინ, როდესაც აღნიშნული სტანდარტის საფუძველზე კონსიგნაციით რეალიზაციის დროს სამეურნეო სუბიექტს არ აქვს უფლება აღიაროს შემოსავალი ამონაგების სახით სანამ საბოლოო მომხმარებელზე არ იქნება რისკი

და სარგებელი გადაცემული. აღნიშნულ საკითხების, ტერმინებს შორის განსხვავება იწვევს გარკვეულ გაუგებრობას აღრიცხვის დროს როგორც შემოსავლის განსაზღვრის კუთხით ასევე დღგ-ს სწორად გაანგარიშების მიზნებისთვის;

✓ ფინანსური აღრიცხვის სართაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულია ძირითადი საშუალებების აფასება და გაუფასურება, მათი სამართლიანი ღირებულებით წარდგენის მიზნით. საგადასახდო კოდექსით ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს საწარმოს ბალანსზე რიცხული ქონება, რომელიც რიგ შემთხვევაში არ ასახავს სამართლიან საბაზრო ღირებულებას. სტანდარტებით ქონების ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია როგორც მოწვეული ექსპერტის ასევე კომპანიის მენეჯმენტის მიერ, რის საშუალებასაც საგადასახადო კოდექსი არ იძლევა, კერძოდ, უძრავი ქონების შემთხვევაში მხოლოდ ექსპერტის მიერ შეფასებულ ღირებულებას აღიარებს რაც აისახება აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (მუხლი 202, ნაწილი 2); ასევე აქვე ჩნდება საშიშროება საგადასახდო შემოწმების დროს შემმოწმებლის მიერ განსაზღრულ ქონების ღირებულებაზე დარიცხული ქონების გადასახდის წინა პერიოდზე (ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით) გავრცელებაზე. საგადასახდო კოდექსში საერთოდ არაფერია ნათქვამი აქტივის გაუფასურების აღიარებასთან დაკავშირებით.

✓ სტანდარტით საწარმომ სასაქონლო-მატერიალური მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები, ხოლო საგადასახადო კოდექსით მარაგების გაუფასურება არ არის განხილული და აღირიცხება თვითღირებულებით.

✓ შესაბამისი სტანდარტის თანახმად საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან

ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ხარჯი მოგებაში ან ზარალში. აქ პირველ რიგში საუბარია საეჭვო და უიმედო სავაჭრო მოთხოვნებზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის თანახმად საწარმოს უფლება აქვს სავაჭრო მოთხოვნა აღიაროს უიმედოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ბ) აღსრულების ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის შედეგად კრედიტორის მიერ კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე; გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების ან/და რეაბილიტაციის დაწყების შესახებ, თუ მოსამართლის მიერ ამ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული; დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა. სასურველია ბიზნეს სექტორს აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით მიეცეს დამატებითი რეკომენდაციები, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადასახადებისა და ხარჯების აღიარების ორმაგი სტანდარტი;

- ✓ ქვეყანაში მოქმედებს სამი სხვადასხვა სტანდარტი (ფასს, მსს ფასს და მე-4 კატეგორიის საწარმოთათვის განკუთვნილი ფას), რომელთაგან თითოეული შედგება სხვადასხვა სტანდარტებისა თუ განყოფილებებისგან. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილი სტანდარტი არის ადგილობრივი, ვინაიდან მისი შემუშავება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ. საქართველოს საგადასახადო კოდექსში

განამრტების დონეზე მოყვანილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები შემდეგნაირად (მუხლი 8, ნაწილი 7): **ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.** გარდა ამისა, როდესაც კოდექსში საუბარია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, იგი განმარტების დონეზე მიგვითითებს, რომ ეს არის ბასს 41-ით გათვალისწინებული საქმიანობა (მუხლი 8, ნაწილი 6 პრიმა 1), მაშინ როდესაც აღნიშნულ საქმიანობას სხვადასხვა სტანდარტის დროს შეიძლება სხვა სტანდარტი ან განყოფილება კურირებდეს. აღნიშნული გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად სასურველი იქნებოდა ამ ტერმინების დაახლოება-დაკონკრეტება.

დასკვნა. გამომდინარე იქიდან, რომ ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებების შესახებ ინფორმაციას და იგი იძლევა საშუალებას განისაზღვროს სამეურნეო სუბიექტის ქონება, მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და საბოლოო ფინანსური შედეგი, მნიშვნელოვანია, ნებისმიერი კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა მოწესრიგებული, გამჭირვალე დ შეცდომებისგან თავისუფალი იყოს, რათა პოტენციური ინვესტორი დაინტერესდეს მასში ინვესტიციის ჩადებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ის შემთხვევაა როდესაც მომხდარმა გარე ფაქტორებმა: მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, საგადასახადო კანონმდებლობასა დ ბუღალტრულ აღრიცხვაში მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა დადებითად უნდა იმოქმედოს თითოეული კომპანიის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გარდა კომპანიების შიდა აღრიცხვის მოწესრიგებისა, ევროპის ბაზარზე დამკვიდრების საწინდარია და ერთგვარი სტიმული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

ვფიქრობთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და სტანდარტების მოთხოვნებს შორის არსებული განსხვავებების დაახლოება და თანხვედრაში მოყვანა დაეხმარება ბიზნესის წარმომადგენლებს შესაბამისად აწარმოონ ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება. აღნიშნული რეფორმა სწორედ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება განსაკუთრებით მცირე და საშუალო დონის საწარმოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვა, ა.ხორავა, ნ.კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, 2014წ.;
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS), თბ. 2009წ.;
3. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში, 2006 წ.;
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2019 წ.;
5. International Financial Reporting Standards, 2009;
6. Understanding regulations for Small and Medium-size Enterprises, 2013;
7. Intermediate accounting. Kieso, Wygandt, Wrfield, 2008;
8. Strategic management and Business policy, Thomas L. Wheelen, J. 2012;
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
10. https://www.ifac.org/global-knowledge-gateway/business-reporting/discussion/research-insights-study-countries-adoption;
11. https://ec.europa.eu/taxation_customs/general-information-customs/customs-security/authorised-economic-operator-aeo/authorised-economic-operator-aeo_en

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესის გავლენა მომავლის საგანმათლებო სისტემაზე
The Impact of the Information Technology Business on the Future Education System

ქეთევან შენგელია - ეკონომიკის დოქტორი,
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი
ketevanshengelia@yahoo.com
ნინო მაღლაკელიძე - მაგისტრი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ketevan Shengelia - Asoc. Professor
Georgian Technical University
ketevanshengelia@yahoo.com
Nino Maglakelidze - Master
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რეზიუმე. ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად სამყაროში. ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ათიოდე წლის წინ წარმოუდგენელიც კი იყო. განსაკუთრებით ეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ეხება. ინტერნეტმა სამყარო რადიკალურად შეცვალა, უფრო პატარა, გამჭვირვალე, გლობალურ-ვირტუალურ სივრცედ გადააქცია. ჩვენ წამებში ვიგებთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მომხდარ სიახლეებს.

ცხადია, ეს ყოველივე გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე. გამოწვევები განათლების მიმართ მუდმივად იცვლება. თუკი ადრე უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ადამიანს ათეული წლების განმავლობაში თან დაყვებოდა და არ იცვლებოდა, დღევანდელი კურსადმთავრებულისთვის სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. უნივერსიტეტში მიღებული ინფორმაცია ახალგაზრდამ მუდმივად უნდა განაახლოს და პრიორიტეტი თვითგანვითარებას მიანიჭოს. თუმცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწავლა საჭირო არაა, ან ახალ ინფორმაციას ინტერნეტიდანაც მივიღებთ, რა საჭიროა უმაღლესი განათლება და სხვა, არაკორექტულია, რბილად რომ ვთქვათ. სკოლაც და უმაღლესი განათლებაც უნდა იყოს იმდაგვარი, რომ ახალგაზრდას განუვითაროს მახსოვრობა, კრეატიული აზროვნება, სიახლეებისაკენ სწრაფვა და თვითგანვითარების უნარი. ეს არ არის მარტივი საქმე.

გადავხედოთ საქართველოს შრომის ბაზარს. უმუშევრობა აღემატება 12,7%-ს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუმცა NDI უფრო მაღალ მაჩვენებელზე მიგვითითებს. რამდენი შრომას მოწყურებული ადამიანია, რომელსაც სურს იპოვოს შესაბამისი სამსახური, მაგრამ არ ყოფნის კვალიფიკაცია, ან არც არის სამუშაო ადგილები. იზრდება როგორც ფრიქციული, ასევე სტრუქტურული უმუშევრობა, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 20,1% საკმაოდ მაღალია ასეთი პატარა ქვეყნისთვის.

უმუშევრობის დასაძლევად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კერძო სექტორს, რომელიც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით მოეკიდება თითოეულ ადამიანს. ინტელექტუალური კაპიტალის განვითარება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრების დონის ასამაღლებლად და სიღარიბის დასაძლევად. ასე ქვეყანაც უფრო ძლიერი გახდება და საზოგადოებაც განვითარდება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მომავლის განათლება, გლობალური სამყარო, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა, დასაქმება.

Resume

We live in rapidly changeable world. Technologies changes so fast that was absolutely impossible to imagine ten years ego. Especially it concerns to information technologies. Internet has radically changed the world, it made in small, transparent, global-virtual space. We get information about the latest events happened in any corner of the world in few second.

It is evident, that educational system is under influence. Challenges towards the educational system change permanently. If knowledge got in University was enough for several decades and was unchanged, for graduates situation is importantly changed. Knowledge received in University must be permanently renewed by the young generation and give reference to self – development. School and University must improve skills of memory, creative thinking, aspiration towards the innovations and self-development. This is not a simple case.

To overcome the unemployment the priority must be awarded to private sector, which will have a high social responsibility to each person. The development of the intellectual capital is the most important for the elevation of the life quality

and defeat the poorness. In such way country will get stronger and society will develop.

Keywords: artificial intelligence, information technologies, education of the future, global world, frictional and structural unemployment, employment.

ძირითადი ნაწილი. განათლებისადმი მზრუნველობით მუდამ გამოირჩეოდა ევროპა. ვოლტერი, დიდრო, რუსო, მონტესკიე, კანტი, ჰეგელი და სხვათა პროგრესული იდეები დღესაც უნათებს ევროპელებს არცოდნის სიბნელეს. ისინი სამყაროს ცენტრში ადამიანს აყენებენ და ყველაზე ფასეულად ცოდნას, გონებას მიიჩნევენ. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორმა თომას ჯეფერსონმაც იგივე მოსაზრება გაიზიარა, როცა აღნიშნა, რომ უცოდინარი ერი არასოდეს იქნება თავისუფალი. კაცობრიობის განვითარება მხოლოდ ცოდნას (განათლებას) ეფუძნება. ცოდნაა მისი პროგრესის უმთავრესი და უშრეტი რესურსი. ძველი ჩინური ანდაზაც ამაზე მიგვანიშნებს: ერთწლიანი გეგმის შედეგი შეიძლება იყოს ბრინჯი, ათწლიანი გეგმისა ხე, ხოლო მთელი სიცოცხლით დაგეგმვისათვის უნდა ასწავლო ხალხს.

სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად სწორედ **კრეატიულ-კოგნიტური აზროვნების განვითარებაა** მნიშვნელოვანი. ძირითადი აქცენტი ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებაზე უნდა გაკეთდეს. მომავალში მრავალი დარგი გაქრება, მაგრამ გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები სხვა სფეროში, რასაც ადამიანთა გადამზადება დასჭირდება. ვინ აიღებს თავის თავზე ამ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო თუ ბიზნესი? ცხადია, ეს უნდა განხორციელდეს კერძო ბიზნესის ძალისხმევით და სახელმწიფოს ხელშეწყობით.

რაც შეეხება მომავლის განათლებას, როგორი იქნება ის, ამის წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია, ისევე როგორც ჯონ როკფელერს ვერ წარმოედგინა ანტიბიოტიკების, მობილური ტელეფონის ან ინტერნეტის არსებობა. აბრაამ ლინკოლნმა არაფერი

იცოდა ავტომობილების, თვითმფრინავების, რადიოს თუ ელექტრონათურების შესახებ. რუზველტი ვერც კი იფიქრებდა ქსეროქსზე ან მაგნიტოფონზე. ჯონ კენედი ვერც კი წარმოიდგენდა კომპიუტერების, DVD-ის და ინტერნეტის არსებობას...

ახალი ტექნოლოგიები ახალ ბაზრებსა და შესაძლებლობებს აჩენს. როდესაც ძველი ინდუსტრიები ახალ ტექნოლოგიებს ებრძვიან, ისინი კვდებიან. აშშ კვლევასა და განვითარებაზე წელიწადში 300 მილიარდზე მეტს ხარჯავს. დღეს მეცნიერები ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ფართო წრეს იკვლევენ, დაწყებული მზის ენერგიით, ელექტრომანქანებით, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებით, დამთავრებული ხმით მართვადი კომპიუტერებით და გენური ინჟინერიით.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ არის IT ევოლუცია, ინფორმაციული ბაზრის განვითარება. იგი საშუალებას იძლევა უფრო ნაკლები დანახარჯებით შეიქმნას სრულყოფილი ბიზნეს-მოდელი. “ღრუბლოვანი ტექნოლოგიის“ სისტემაში მოსახვედრად, საკმარისია ინტერნეტთან მიერთება, რათა შესაძლებელი გახდეს ინფრასტრუქტურის და პროგრამული უზრუნველყოფის სერვისების გამოყენება. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სერვისებთან დაშვება შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან სხვადასხვა მოწყობილობების (ნოუთბუქების თუ პლანშეტების) გამოყენებით. თუმცა ჯერ არ არის ყველა ორგანიზაცია მზად ასეთი ტექნოლოგიების და გადაწყვეტილებების მისაღებად.

მაიკროსოფთის ლიცენზირებული „ღრუბლოვანი ტექნოლოგია“ წარმატებით დაინერგა ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსიში (GASA). ეს გახლავთ office 365, მათ შორის ღრუბლოვანი საცავი “One Drive ბიზნესი”, სადაც ტექნიკური სამუშაოები განახორციელა კომპანია „სინტაქსმა“. აღნიშნულმა კომპანიამ ასევე განახორციელა „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის“ ტექნიკური სამუშაოები კომპანია „აქსისში“, რომელიც მიმდინარეობდა „მაიკროსოფთან“ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

“One Drive ბიზნესის” დახმარებით შესაძლებელი ხდება ელექტრონულ ღრუბლოვან საცავში შენახული ფაილები ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ინტერნეტის მეშვეობით.

მაიკროსოფთის ლიცენზირებული ღრუბლოვანი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს ოპერატიული ინფორმაცია განათავსონ 2 კონტინენტზე გადაზღვეულ დაცულ ღრუბლოვან საცავში, რაც მკვეთრად ამცირებს მართვასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კომპანიებს მეტი დრო რჩებათ ბიზნესის განვითარებისათვის. საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომია უფლებამინიჭებული თანამშრომლებისთვის. არსებობს კონტროლის არაერთი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს ქსელურ უსაფრთხოებას და დაცულობას. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება ინერგება სასწავლო პროცესებშიც, ელექტრონული სწავლების განვითარების მიმართულებით, ასევე სხვადასხვა არქიტექტურის და ოპერაციული სისტემის მქონე მოწყობილობებისთვის.[20]

მიუხედავად დიდი გარანტიებისა, რასაც გვთავაზობს „მაიკროსოფთის“ და გუგლის ლიცენზირებული „ღრუბლოვანი ტექნოლოგია“, რისკები მაინც არსებობს. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ არის კიბერ შემოტევის ცალკეული შემთხვევები, რომლის დროსაც ტრადიციული დაცვის მექანიზმები სრულიად უშედეგო ხდება. დღეს მსოფლიოს გამოცდილი პროვაიდერები მუდმივად ცდილობენ რისკების აღმოჩენას და მათ გაუვნებელყოფას.

მუდმივად ვითარდება ხელოვნური ინტელექტი. ილონ მასკი აცხადებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ბევრად უფრო ჭკვიანი იქნება, ვიდრე ყველაზე გონიერი ადამიანი. როგორც შიმპანზე ვერ გაუგებს ადამიანს, ისე ვერ გაუგებს ადამიანი ხელოვნურ ინტელექტს.

---

[20] ქეთევან შენგელია, „პროექტების მართვის და ბიზნეს სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები“, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, 2018წ. №4, გვ. 66.

მასკი ამ ყველაფერში დადებით გავლენასთან ერთად ადამიანისთვის დიდ საფრთხესაც ხედავს. იგი აცხადებს, რომ ამჟამად მუშაობს თავის ტვინის მიკროჩიპებზე, რომლებიც ადამიანის ტვინს კომპიუტერთან დააკავშირებს. მან მსოფლიოს ნეირომეცნიერებს მოუყარა თავი ლაბორატორიაში, კალიფორნიის უნივერსიტეტში და ამ კვლევისთვის 100 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ტვინის და კომპიუტერის დაკავშირების ახალი ტექნოლოგიების შექმნის მცდელობისთვის, მრავალი ადამიანი აღფრთოვანებულია. ჯერ კიდევ პლატონი ოცნებობდა, ნეტავ შეიძლებოდეს „ორი სულის სიახლოვით ერთი სულიდან მეორეში სიბრძნის გადასხმა, ისევე, როგორც წყალი გადაისხმება სავსე თასიდან ცარიელშიო“. ამ ოცნების ასრულებაზე მუშაობს სწორედ ილონ მასკი. თუმცა არიან სკეპტიკურად განწყობილებიც. ფრაიბურგის უნივერსიტეტის მიკროტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლის თომას შტიგლიცის აზრით, ფანტასტიკას უფრო გავს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსებული ინფორმაცია შეიძლება მიკროჩიპით ჩაიტვირთოს ადამიანის ტვინში. იგი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ეთიკურ-სამართლებრივი მხარე საკმაოდ ბუნდოვანია. ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შესაძლოა ადამიანთა არსებობას საფრთხე შეუქმნას. თუმცა ვინ იცის?! მრავალი ფანტასტიკა ხომ აცხადდა...

მაგრამ საზოგადოებას პირველ რიგში ახალი ტექნოლოგიების უსაფრთხოება ჭირდება. იქმნება გარკვეული რეგულირება მომხმარებელთა დასაცავად, რათა შეიქმნას ცხოვრების ჯანმრთელი, უკეთესი ხარისხი. როგორც ბრაიან თრეისი, მრავალი ბესტსელერის ავტორი აღნიშნავდა, ადამიანთა ბედნიერების 85 % მომდინარეობს ადამიანური ურთიერთობებიდან, ხოლო მხოლოდ 15% მოაქვს პროფესიულ წარმატებებს.

ძნელი წარმოსადგენია რა იქნება მომავალში. ერთი რამ კი ცხადია, თანამედროვე ადამიანისთვის გონების განვითარებაა მნიშვნელოვანი. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ ინტერნეტ-

ტექნოლოგიებით, გაჯეტებით არ შეიძლება. პირიქით, ზოგ შემთხვევაში საზიანოც კია. მაგალითად, საფრანგეთში სკოლის მოსწავლეებისთვის აიკრძალა მობილური ტელეფონებით სარგებლობა. მედიცინა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე გაჯეტები ერთი მხრივ ანვითარებს გონებას, მეორეს მხრივ კი თრგუნავს მას. მოზარდები გადაეჩვივნენ საუბარს, ურთიერთობას და ვირტუალურ სამყაროს ამჯობინებენ. მათი გონება ზარმაცდება. პატარა ბავშვები ვერ იწყებენ ლაპარაკს იმის გამო, რომ ნაადრევად ეჩვევიან და ინტერნეტ-დამოკიდებულნი ხდებიან. უნივერსიტეტის სტუდენტებსაც უჭირთ მეტყველება და საკუთარი აზრის თანმიმდევრულად გადმოცემა. დაუქვეითდათ მახსოვრობის უნარი. ჩვენი დედები და მამები სკოლაში საზეპიროებს რომ სწავლობდნენ, ეს შეიძლება არაფერში გამოადგათ, მაგრამ მათი გონება ბევრად უფრო გამოწრთობილი იყო. როგორც ფოლადი იწრთობა მაღალ ტემპერატურაზე, ისე იწრთობოდა ადამიანის ტვინი სხვადასხვა ტექსტების დამახსოვრებით. სამწუხაროდ, ამას ბევრი უგულებელყოფს. ოპონენტები იტყვიან..... თუმცა რეალობა ასეთია.

მართალია, მომავლის საგანმანათლებლო სისტემა პროფესორის მოვალეობას მნიშვნელოვნად ცვლის, შემფასებლის ფუნქცია მას უკვე ჩამოშორდა, მაგრამ იგი ყოველთვის დარჩება მიმართულების „შუქურად“, მნიშვნელოვან კონსულტანტად. სტუდენტისთვისაც პროფესორთან უშუალო დიალოგი, ლექციის მოსმენა ან მასალის მოყოლა, კიდევ უფრო საჭირო და სიღრმისეული გახდება. ზოგჯერ სტუდენტი ფიქრობს, რომ მასალა სწორად გაიგო, მაგრამ დიალოგში აღმოჩნდება, რომ რაღაცას სრულყოფილად ვერ ჩასწვდა. შესაბამისად, მასალის სიღრმისეული ანალიზისთვის სტუდენტს მუდმივად ჭირდება ცოცხალი დიალოგი პროფესორთან. მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი.

ისევე, როგორც ძველი ბერძენი მოაზროვნეების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს შეგონებები არ კარგავს აქტუალურობას და დღესაც ღირებულია, ასევე იქნება ღირებული მოაზროვნე

პროფესორთა რჩევები ცოდნის შესახებ მომავალშიც. პლატონი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება“, შესაბამისად ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბუნებრივი მონაცემების, ნიჭის, აზროვნების, ენერგიის მიხედვით. ცხადია, ამ განსხვავებას ილონ მასკის „ტვინის მიკროჩიპები“ ვერ შეცვლის. ისევე, როგორც წიგნის გამოგონებამ გარკვეული „ყავარჯნები“ შეუქმნა ადამიანის მახსოვრობას, მსგავსი „ყავარჯნების“ როლს შეასრულებს მომავლის მიკროჩიპები სავარაუდოდ. ისიც გარკვეული საფრთხის სანაცვლოდ. მედიკოსები აღიარებენ, რომ ადამიანის ტვინში ამგვარი მიკროჩიპების ჩანერგვამ შეიძლება ტვინის შეშუპებაც კი გამოიწვიოს. თუმცა ეს მომავლის მოვლენაა... ზედმეტმა ტექნოლოგიამ შეიძლება ადამიანი თავის პირვანდელ მდგომარეობაში, ადამის და ევას ეპოქაშიც კი დააბრუნოს...

ახლა კი უნდა ვიფიქროთ უშუალოდ დღევანდელობაზე. საქართველოს შესაძლებლობები შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას მუდმივად იზიდავს. მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართველოს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი.

ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში აუცილებელია, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებასაც – ტელეკომუნიკაციები,

ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. [21]

საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია ევროპა (მოსახლეობა 495 მილიონი), შავი ზღვის აუზის ქვეყნები (მოსახლეობა 243 მილიონი), თურქეთი (მოსახლეობა 73 მილიონი), კავკასიის რეგიონი (16 მილიონი). უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. საქმე იმაშია, რომ ინტეგრაციის პროცესი თანაბარზომიერად არ მიმდინარეობს და ამ პროცესში ის ქვეყნები ხვდებიან გართულებებს, რომლებიც ისევე სწრაფად ვერ ერთიანდებიან გლობალურ ეკონომიკაში, როგორც სხვები. ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას. ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ხოლო მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

---

[21] ქეთევან შენგელია, „გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები.“ ჟურნ. ეკონომიკა, 2016წ. №3-4, გვ. 331-342.

საქართველოს ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს ახალი საუნივერსიტეტო პროექტი, რომელიც იგეგმება ქალაქ ქუთაისში მიუნხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებით, რაც ამ ქალაქს გადააქცევს ევროპული სტანდარტის საუნივერსიტეტო ჰაბად. ამ პროექტში ერთი მილიარდი ინვესტიცია განახორციელა ქართველმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ბიძინა ივანიშვილმა. ახალ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორ - მასწავლებლები ქართველებთან ერთად წაუკითხავენ ლექციებს სტუდენტებს. სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება 2020 წლის შემოდგომიდან იგეგმება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე (1981). რიტორიკა. თბ., „თსუ“.
2. პლატონი. სახელმწიფო. წიგნი VI, წიგნი VII.
3. შენგელია ქ., „პროექტების მართვის და ბიზნეს სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები“. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, 2018წ. №4, გვ.66.
4. შენგელია ქ., „გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები“. ჟურნ. ეკონომიკა, 2016წ. №3-4.
5. ling Dong, Lun Han et al, The Shallow Analysis of the Enlightenment of Cloud Computing to Distance Education, 2010 International Conference on e-Health Networking, Digital Ecosystems Technologies pp-301-303.
6. http://www.aum.news/nauka/1206-poslednyaya-statya-s-p-kapitsy
7. www.microsoft.com

კომპანიების შთანთქმისა და შერწყმის მოტივები თანამედროვე ბისზესში
Motives for acquisitions and mergers in modern business

გიორგი ქევხიშვილი - კავკასიის უნივერსიტეტი
მაგისტრი
pplzfly@gmail.com
Giorgi Kevkhishvili - Caucasus University
Master
pplzfly@gmail.com

რეზიუმე. სტატია ეძღვნება კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის მიზეზების გარკვევას. ახსნილია მისი განხორციელების ეტაპები. გარკვეულია შერწყმისა და შთანღქმის მოტივები. განხილულია შერწყმის და შთანთქმის საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ განხილულია მსოფლიო ეკონომიკაში საწარმოთა შერწყმის თუ შთანთქმის მაგალითები, რომლებიც დაბოლოვდნენ წარმატებით, ან განიცადეს ფიასკო. ამასთან მოცემულია ის მეთოდები, რომლებიც შეიძლება კომპანიებმა გამოიყენონ შერწყმა-შთანთქმამდე თავდაცვის

საკვანძო სიტყვები: კომპანიების შერწყმა და შთანთქმა, ეკონომიკური მაჩვენებლები, ბაზრის წილი, ბიზნეს გარემო, კონგლომერატი;

Resume: This article is devoted to explaining the reasons for mergers and acquisitions. The stages of its implementation are discussed. The motives for mergers and acquisitions are clear. It examines the international practices of mergers and acquisitions, in particular examples of mergers or acquisitions in the global economy that have ended successfully or failed. It also describes the methods that companies can use to combine protection.

Key words: mergers and acquisitions of companies, economic indicators, market share, business environment, conglomerate.

შესავალი: შევჩერდეთ კომპანიების შერწყმის იმ სახეებზე, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. გაერთიანების ხასიათიდან გამომდინარე გამოიყოფა:

- ჰორიზონტალური შერწყმა. ერთიანდებიან კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ერთ დარგში, აწარმოებენ მსგავს

ნაწარმს ან ახორციელებენ ანალოგიურ საწარმოო პროცესებს. ასეთი შერწყმის დროს ხშირად გამოიყენება კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის იძულებითი მეთოდები (ბაზარზე შევიწროვებიდან დაწყებული რეიდერული მიტაცებით დამთავრებული).

- ვერტიკალური შერწყმა. გაერთიანდებიან საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ სხვადასხვა დარგში, დაკავშირებულნი არიან ტექნოლოგიური პროცესით (მაგალითად, სამთო, მეტალურგიული და სამშენებლო კომპანიები). როგორც წინა შემთხვევაში, შერწყმის ცივილიზებული მეთოდებტან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შერწყმისა და შთანთქმის საკმაოდ ხისტი მეთოდები .

- სახეობითი შერწყმა. იმ ფირმების გაერთიანება, რომლებიც უშვებს ურთიერთდაკავშირებულ საქონელს (მაგალითად, კომპანია, რომელიც უშვებს მეხსიერების ფლეშბარათებს ერთიანდება ფოტოაპარატების წარმოებასთან). კომპანიების შერწყმის ხისტი მეთოდები გამოიყენება იშვიათად, ვიდრე წინა შემთხვევებში.

- კონგლომერატული შერწყმა. სხვადასხვა დარგის საწარმოების გაერთიანებაა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული საწარმოო პროცესის ერთიანობით. ასეთი შერწყმის მიზანი შეიძლება იყოს პროდუქციის ხაზის გაფართოება ან ახალი ბაზრის დაპყრობა (მაგალითად, კომპანია-მწარმოებელი იძენს სუპერმარკეტებს რეგიონში პროდუქციის რეალიზაციის დამატებითი არხების შესაქმნელად). იმის მიხედვით თუ რა დამოკიდებულება აქვს ფირმის ხელმძღვანელობას შერწყმისადმი და შერწყმის და შთანთქმის რა მეთოდები გამოიყენება თითოეულ შემთხვევაში,განარჩევენ:

- მეგობრული შერწყმა, რომლის დროსაც შეთანხმებას მხარს უჭერს ორივე მხრის ხელმძღვანელობა და აქციონერები;

- მტრული შერწყმა, რომელიც ტარდება საწარმოს ხელმძღვანელობის-სამიზნე კომპანიის სურვილის წინააღმდეგ.

იმისთვის რომ უფრო დეტალურად განვსაზღვროთ შერწყმისა და შთანთქმის მომავალი ცვლილებები და ეფექტები უნდა გამოკვლეულ იქნას ამ პროცესების დამახასიათებელი ფორმები.

საწარმოთა შერწყმის ფორმების დახასიათება

საწარმოს შერწყმის ფორმები	იურიდიული სტატუსის ცვლა	მართვის უფლებამოსილების ცვლა	სუბორდინაციური კავშირების ფორმირების ხერხები
ინტეგრაცია	სტატუსი იცვლება ორივე საწასმოში	უფლებამოსილებები გადანაწილდება	იქმნება ახალი საწარმო, რათა გადაეცეს მომავალში იმ საწარმოების აქტივები, რომლებიც ერთიანდებიან
შთანთქმა	ერთი საწარმოს სტატუსი იცვლება, მეორესი არა	რამოდენიმე ან ერთერთი მონაწილეს უფლებამოსილებები წყდება	ერთერთი საწარმოს ლიკვიდაცია მომავალში მისი აქტივების სხვა საწარმოსთვის გადასაცემად
დაქვემდებარება	სტატუსი არ იცვლება	ერთერთი საწარმოთაგანი კარგავს უფლებამოსილების ნაწილს	კონტროლის მოპოვება საწარმოს აქციების შეძენის გზით
კონსოლიდაცია	სტატუსი არ იცვლება	რამოდენიმე საწარმო კარგავს უფლებამოსილების ნაწილს	კონტროლის მოპოვება საწარმოს აქციების შეძენის ან მათი გაცვლის გზით
მთავარი საწარმოს შექმნა	სტატუსი არ იცვლება	უფლებამოსილების ნაწილი გადაეცემა კვლავ შექმნილ საწარმოს	შერწყმული საწარმოების აქციების გადაცემა კვლავ შექმნილ საწარმოსთვის

შერწყმასა და შთანთქმას თავისი თავისებურებები გააჩნიათ იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში ან მსოფლიოს რომელ რეგიონში ხდება ეს შერწყმა. აშშ-ში შერწყმისა ან შთანთქმის პროცესები მიმდინარეობს, პირველ რიგში, დიდ ფირმებთან მიმართებაში.

ევროპაში ეს პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობს, ამ დროს დიდი კომპანიები შთანთქავენ წვრილ და საშუალო კომპანიებს, ასევე მცირე საოჯახო ფირმებს და სააქციო საზოგადოების საწარმოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ მომიჯნავე დარგებში.

სინერგიული ეფექტის მიღება მნიშვნელოვანი მოტივია შერწყმის და შთანთქმის დროს.

ძირითადი მიზეზი კომპანიის სტრუქტურის შეცვლისა შერწყმისა და შთანთქმის სახით -ეს არის სწრაფვა მიიღოს და გააძლიეროს სინერგიული ეფექტი (ურთიერთშემავსებელი ქმედება კომპანიის აქტივებისა, რომლებიც შეერთდნენ);

სინერგიული ეფექტი შეიძლება გაჩნდეს შემდეგი გარემოებების წყალობით:

-ეკონომიით, ეს განპირობებულია მოქმედების მასშტაბებით;

-ურთიერთშემავსებელი რესურსების კომბინირებით;

-ფინანსური ეკონომიით ტრანზაქციული გასავლების შემცირების გზით;

-საბაზრო მდგრადობის ზრდით კონკურენციის შემცირებით (რაც გამომდინარეობს მონოპოლიის მოტივიდან)

- სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ- კონსტრუქტორულ სამუშაოების სფეროში საერთო მოღვაწეობით.

მასშტაბის ეკონომია, ის მიიღწევა მაშინ, როცა ხარჯის სიდიდე პროდუქციის ერთეულზე მცირდება პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად. ერთერთი ძირეული ელემენტი ასეთი ეკონომიის არის მუდმივი ხარჯის გადანაწილება პროდუქციის დიდ რაოდენობაზე, რომელსაც უშვებს. მასშტაბის ხარჯზე ეკონომიის პირველადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ იზრდება სამუშაოს მოცულობა იგივე საწარმოო სიმძლავრით და არსებული ინფრასტრუქტურით, იმავე რაოდენობის თანამშრომლებით და უცვლელი რესურსების სისტემის განაწილებით და ფინანსური საშუალებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ გამოვიყენოთ არსებული რესურსები უფრო ეფექტურად. მიუხედავად ამისა,

ყოველთვის უნდა გასათვალისწინებელია ის, რომ, რომ არსებობს წარმოების რაოდენობის გაზრდის განსაზღვრული ზღვარი, რომლის დროსაც წარმოების ხარჯები შეიძლება არსებითად გაიზარდოს, რაც მომავალში მიგვიყვანს რენტაბელობის დაცემასთან.[22]

და მაინც ამასთან აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ კომპანიის შთანთქმა უკვე მოქმედ სტრუქტურაში- ძალიან რთული პროცესია. ამიტომ ზოგიერთი კომპანია, როცა განახორციელებს შერწყმის პროცესს და არ გააჩნიათ ერთიანი მეურნეობრიობის პოლიტიკა, აგრძელებენ მტრულ ურთიერთობას და კონკურენციას ერთმანეთთან, თუმცა ისინი უკვე ერთი კომპანიას წარმოადგენს და უნდა გაატარონ ერთი საერთო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომ მიაღწიონ გაერთიანებული კომპანიის დასახულ ინტერესებს. ამასთან მართვის ცალკეული ფუნქციების ცენტრალიზებითაც კი ასეთი მიდგომის დროს უკვე გაერთიანებულ კომპანიასაც ვერ აღწევს ეკონომიურ ეფექტს. გარდა ამისა, თუ კორპორაციას აქვს რთული სტრუქტურა, პირველ რიგში კონგლომერატიული ტიპის, მაშინ პირიქით, ამან შეიძლება გამოიწვიოს მმართველი პერსონალის მნიშვნელოვანი რიცხობრიობის ზრდა და მნიშვნელოვანი რაოდენობის „ზედმეტი“ მენეჯერების და საშუალო რგოლის ხელმძღვანელების თანამდებობების შექმნა.

ურთიერთშემავსებელი რესურსები. შერწყმა შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად და პრაქტიკულად განხორციელებადად, თუ კომპანიებს აქვთ განზრახვა შერწყმისა და გააჩნიათ ურთიერთშემავსებელი რესურსები. თუ ერთერთ კომპანიაში განსაზღვრული რესურსების უკმარისობაა (მატერიალური, ადამიანური, სამეცნიერო), ხოლო მეორეში- მათი სიჭარბე, ეს შეიძლება ორივე კომპანიისათვის საერთო სარგებლის მომტანი იყოს,

---

კასრაძე თ. კომპანიების შერწყმა-შესყიდვის გლობალური ტენდენციები. შრომების კრებული - გლობალიზაციის გამოწვევები. ეკონომიკასა და ბიზნეში. თბილისი: თსუ, 2017

როდესაც ისინი შეერწყმებიან და შეძლებენ უზრუნველყონ ეფექტური საქმიანობა. ბუნებრივია ასეთი კომპანიების ღირებულება შერწყმის შემდეგ არსებითად გაიზრდება, და ჯამში ისინი უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე შერწყმამდე. იმიტომ რომ ყოველი კომპანია მიიღებს მოთხოვნად რესურსებს მნიშვნელოვნად იაფად, ვიდრე ისინი დაუჯდებოდა ამ კომპანიას საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძენისა და საკუთარი ფინანსების ჩადების დროს.

შერწყმა ურთიერთშემავსებელი რესურსების მიღების მიზნით დამახასიათებელია როგორც დიდი ფირმებისთვის, ასევე მცირე ფორმის საწარმოსთვის. უფრო ხშირად დიდი კომპანიების მხრიდან შთანთქმის საგანი ხდება ასეთი პატარა საწარმოები, რადგან მათ ამით შეეძლებათ მოძებნონ კომპონენტების სწრაფი შემცვლელი ბაზრის პირობებში შემდგომი საქმიანობისთვის. მცირე ზომის საკუთრების საწარმოები დროდადრო უშვებენ უნიკალურ და მოსახლეობისთვის უკიდურესად საჭირო პროდუქციას, მაგრამ თავისი სპეციფიკის ფარგლებში არ გააჩნიათ შესაძლებლობა მოახდინონ მსხვილმასშტაბიანი წარმოება და თავისი პროდუქცის დიდი რაოდენობით რეალიზება. დიდ კომპანიებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შექმნან მათთვის საჭირო კომპონენტები, ასევე შეუძლიათ მიიღონ მათზე უფრო სწრაფი წვდომა, თუ მოახდენენ შერწყმას იმ კომპანიასთან, რომელიც უკვე აწარმოებს მოცემულ პროდუქციას საერთო ბაზარზე.

ხანდახან კომპანიების შერწყმის დროს მათი ხელმძღვანელები მიისწრაფიან გახდნენ ძირითად მოთამაშეებად- მონოპოლისტებად ბაზარზე. ამ შემთხვევაში შერწყმა იძლევა საშუალებას კომპანიისთვის შეამციროს საფასო კონკურენცია, რომ ისე არ გამოვიდეს, რომ მყიდველისთვის ბრძოლაში ნებისმიერი მწარმოებელი განწირული იყოს მინიმალური შემოსავლისთვის. თუმცა ბევრ ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლური კანონმდებლობა ზღუდავს შერწყმას ფასების გაზრდის აშკარა განზრახვის გამო.

ეკონომია. სარგებელი, რომელიც მიიღება შერწყმისგან, შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიის სახით ძვირი სამუშაოების შესრულებისას, უახლესი ტექნოლოგიების დამუშავებისას და ახლის შესაქმნელად, პროდუქციის სახით, რომელსაც ადრე არ უშვებდნენ, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოსაზიდად ახალ ტექნოლოგიებში და ახალ პროდუქტში. მაგალითად, ერთი ფირმის შტატში შეიძლება იყოს ბევრი ნიჭიერი ინჟინერ მკვლევარი, რაციონალიზატორი, მენეჯერი, პროგრამისტი და მისი მსგავსნი, მაგრამ აღნიშნულ ფირმას არ გააჩნია მოთხოვნადი ინფრასტრუქტურა და მოთხოვნადი სიმძლავრე მოგების მისაღებად ახალი პროდუქციისგან, რომელსაც ისინი ამუშავებენ. მეორე კომპანიას შეიძლება ჰქონდეს მკვეთრად დალაგებული არხები პროდუქციის რეალიზაციისათვის, მაგრამ მისი თანამშრომლები შემოქმედებითად შეზღუდულნი არიან. .მაგრამ თუ ეს კომპანიები გაერთიანდებიან, ისინი ერთად შეძლებენ გადაჭრან მათ წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემა. შერწყმის შედეგად შეიძლება გაერთიანდეს გარდამავალი სამეცნიერო იდეები და ფულადი საშუალებები, რომლებიც საჭიროა ამ იდეების რეალიზაციისთვის. შერწყმის ასეთი სახე უფრო მეტად დამახასიათებელია შემოქმედი ახალგაზრდებისთვის.

მართვის ხარისხის ამაღლება. კომპანიების შერწყმას და შთანთქმას შეიძლება თან ახლდეს დიფერენცირებული ეფექტიანობის მიღწევის მიზანი. ეს მიზანი მდგომარეობს შემდეგში: ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ერთერთი ფირმის აქტივების მართვა იყო არაეფექტური, თუმცა შერწყმის შემდეგ მიიღება ადმინიტრაციული და საკადრო ზომები კორპორაციის აქტივების ეფექტური მართვისთვის. ბუნებაში არსებობს ბევრი კომპანია, რომელთა საქმიანობის ეფექტურობის ზრდას აფერხებს უზარმაზარი მართვის აპარატი, რომელსაც არ გააჩნია შემოქმედად აზროვნება. ასეთი კომპანიები შეიძლება შთაინთქას დიდი ფირმების მხრიდან, რომლებსაც გააჩნიათ უფრო თანამედროვე მართვის სისტემა.

საგადასახადო მოტივები. მოქმედი თანამედროვე საგადასახადო კანონმდებლობა ახდენს ხანდახან მასტიმულირებელ გავლენას შერწყმისა და შთანთქმის პროცესზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადასახადის შემცირება ან საგადასახადო შეღავათის. მაგალითად, დიდ მომგებიან ფირმისთვის, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი საგადასახადო ტვირთი, ხელსაყრელია შეიძინოს კომპანია დიდი საგადასახადო შეღავათებით, რის შედეგადაც შეიძლება დაიზოგოს ბიუჯეტში გადასახადები საგადასახადო შეღავათების რაციონალური გამოყენებით, მაგრამ ყურადსაღებია მისი მოგების დონე, ეს შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმაო უპირატესობად.

წარმოების დივერსიფიკაცია. ეს არის ჭარბი რესურსის გამოყენების შესაძლებლობა. ეს არის ერთერთი შერწყმისა და შთანთქმის მიზეზი - დივერსიფიკაცია ბიზნესის სხვა სახეებში. დივერსიფიკაციას მივყავართ შემოსავლების სტაბილურ შემოდინებამდე, რაც ხელსაყრელია როგორც მოცემული კომპანიის თანამშრომლებისთვის, ასევე მომხმარებლისთვის, რაც მიიღწევა საქონლის ასორტიმენტის და მომსახურების ეფექტის გაფართოებით. თუ კომპანიაში გამოჩნდა დროებით თავისუფალი რესურსი, მაშინვე ჩნდება მისი შესყიდვის მოტივაცია. ეს მოტივი ჩვეულებრივ უკავშირდება მეწარმეთა იმედებს ხელსაყრელად შეცვალონ თავიანთი ბიზნესი , აიღონ ორიენტაცია ახალი რესურსების და უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების მისაღწევად.

სხვაობა კომპანიის საბაზრო ფასსა და მისი ჩანაცვლების ღირებულებებს შორის. უფრო ხშირად გაცილებით ადვილია იყიდო უკვე გამართული საწარმო, თავისი პერსონალით და მენეჯერით, ვიდრე ააშენო ახალი და შეარჩიო მისთვის საკადრო მუშაკები. ეს მიზანშეწონილია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამიზნე კომპანიის საბაზრო ფასი ფულადი გამოხატულებით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი აქტივების გაცვლის ღირებულება.

სხვაობა სალიკვიდაციო და მიმდინარე საბაზრო ღირებულებას

შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არის შესაძლებლობა „იაფად იყიდო და ძვირად გაყიდო“. ხშირად კომპანიის სალიკვიდაციო ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი მიმდინარე საბაზრო ღირებულება . ამ შემთხვევაში ფირმა, მისი მაღალ ფასად შეძენის შემთხვევაშიც, ვიდრე იგეგმებოდა, მომავალში შეიძლება გაიყიდოს „ბითუმად“, ანუ ნაწილ ნაწილ, ამ ღონისძიებით ფირმის გამყიდველი საგრძნობ ფინანსურ შემოსავალს იღებს.

დ ა ს კ ვ ნ ა: მენეჯერების პირადი მოტივები ინტერპრეტირდება როგორც სწრაფვა გაიზარდოს კომპანიის ხელმძღვანელობის პოლიტიკური წონა. ეჭვგარეშეა რომ ხელმძღვანელობის ყველა გადაწყვეტილება რაც შეეხება შერწყმას და შთანთქმას უნდა იყოს დაფუძნებული ეკონომიკურ მიზანსწრაფვაზე და მხოლოდ მასზე, ყოველგვარი ლირიკული მოტივების გარეშე. თუმცა ისტორია ცხადყოფს, რომ ხანდახან გადაწყვეტილებები მიიღება ძალიან სწრაფად მმართველის პირად მოტივებით , ვიდრე ყოველმხრივი ეკონომიკურ ანალიზით. ეს სრულებით ახსნადია, რადგანაც კომპანიის ხელმძღვანელობას არ სურს გაუზიაროს თავიანთი ძირითადი პრეროგატივა (ძალაუფლება) ამასთან პრეტენზია აქვთ შრომის დიდ ანაზღაურებაზე, ძალაუფლების მასშტაბები და ანაზღაურებაც პირდაპირ დამოკიდებულია კორპორაციის სიდიდეზე. რა თქმა უნდა კომპანიის მასშტაბების გაზრდის შემთხვევაში ჩნდება მოთხოვნა გამოიყენონ გადახდები სხვადასხვა სახის პრემიებისთვის, რათა წაახალისონ საშუალო რგოლი. ეს გადახდები წარმოადგენენ მენეჯერების ხელფასის მნიშვნელოვან წილს და მიბმულია მათ მიერ მართული კომპანიის ღირებულებასთან. ამასთან დაკავშირებით მენეჯერებისთვის არსებობს პირდაპირი სტიმული შემდგომში გამოიყენონ თავიანთი მოგება ახალი აქტივების შეძენისთვის თავისი ბიზნესის ნებისმიერ სფეროში.

გავლენის გეოგრაფიის გაფართოება. კომპანიის გეოგრაფიის გაფართოება ქმნის კარგ წინაპირობას ახალ ბაზრებზე გასასვლელად,

მაშინ როცა ტრადიციული ბაზრის შესაძლებლობები ახლოსაა ამოწურვასთან. გარდა ამისა, როცა კომპანია ხდება ტრანსნაციონალური იგი ამცირებს ლოკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შესაძლებლობას, აძლიერებს თავის პოზიციებს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს.

ეკონომიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, (თანმდევი მოტივი-საბაზრო პოზიციების გაძლიერება). უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივი(მათ შორის ეკონომიურიც)-ნედლეულის მიწოდების დაქვემდებარების და მზა პროდუქციის გაყიდვის შესახებ, მათზე ფასების განსაზღვრა, საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძველია ვერტიკალური ინტეგრაციისთვის.

კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ. ფირმა თანხმდება შერწყმასა და შთანთქმაზე, რათა უზრუნვეყოს ფულის საზღვარგარეთ გატანა. კაპიტალის უსაფრთხოების მოტივი გადამწყვეტია ამ შემთხვევაში.

აქციებზე მოგების ზრდა. შერწყმის შემდეგ PPS/EPS (აქციების ფასი/მოგება აქციაზე) მაღალი მაჩვენებლის მიზეზი არის ის, რომ ინვესტორებს იზიდავს მოგების სწრაფი ზრდა ახლო მომავალში.

თუ კომპანიამ მიაღწია ამ მაჩვენებლის ზრდას ისეთი კომპანიების შეძენის ხარჯზე, რომლებსაც აქვთ ზრდის ნელი ტემპი და PPS/EPS -ს დაბალი მაჩვენებელი, მაშინ მას მოუწევს გააგრძელოს შემდგომი შერწყმა, რომ შეინარჩუნოს ეს დადებითი ტენდენცია.

გარდა ინტეგრაციის ტრადიციული მოტივებისა შეიძლება შეგვხვდეს სხვა, არაორდინალური მოტივები. მაგალითად, კომპანიებისთვის შერწყმა არის ერთერთი ხერხი წარმატებულად წინ აღუდგნენ მოქმედ ბაზარზე უფრო ძლიერ მონოპოლიური კომპანია-კონკურენტების ეკსპანსიას. საერთოდ, შერწყმის ან შთანთქმის ყველა ოპერაცია ბიზნესში შეიძლება გავთვალოთ წინასწარ, ამისათვის საკმარისია გქონდეს ზოგიერთი მონაცემი სამიზნე კომპანიის შესახებ, რომელთანაც მოხდება მომავალი შთანთქმა. გამოთვლების შედეგებიდან გამომდინარე აირჩევა შთანთქმის მომავალი სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The Economist, 'The new rules of attraction', 15 Nov 2014
2. Barusch R. "WSJ M&A 101: A Guide to Merger Agreements". WSJ Deal Journal. Retrieved 19 August 2013
3. Hof R. "Attention Startups: Here's How To Get Acqui-Hired By Google, Yahoo Or Twitter". Forbes. 2014.

საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სივრცის პერსპექტივა
Perspective of the maritime transport space of Georgia

იური კოჩარიან - დოტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
iuri.kochariani@yahoo.com
Iuri Kocharian – Doctoral student GTU
iuri.kochariani@yahoo.com

რეზიუმე. თანამედროვე სამყაროში, მუდმივად მზარდი სამომხმარებლო საზოგადოების პირობებში, გლობალიზაციის პროცესის ხელშეწყობით, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა სამომხმარებლო პროდუქციაზე, რაც ზრდის სხვადასხვა პროდუქციის გადაზიდვებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. არსებობს საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო გადაზიდვები, თუმცა საზღვაო ტრანსპორტს გამორჩეული ადგილი უკავია პროდუქციის ტრანსპორტირებაში. სტატიაში განხილულია საქართველოში ღრმაწყლოვანი პორტის და ლოგისტიკური ცენტრების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. განხილულია საქართველოს პორტების მოცულობა და ის საგარეო ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა საქართველოში ტვირთბრუნვის ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკა, საზღვაო ტრანსპორტი, ტვირთბრუნვა.

Resume. In the modern world, in an ever-growing consumer society, through the process of globalization, the demand for consumer goods is increasing every year, increasing the number of deliveries of various goods to different countries of the world. There are road, rail, air and maritime transport, but maritime transport has a prominent place in the transportation of products. The article discusses the role of the deep sea port and logistics centers in the development of the country's economy. The volume of Georgian ports and external factors affecting the increase in cargo turnover in Georgia are discussed.

Keywords: Globalization, Economic, Maritime transport, Cargo turnover.

გლობალური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუქნციას საზღვაო გადაზიდვები წარმოადგენენ. გლობალიზაციის პროცესი სწორედ მე-19 საუკუნეში იწყება, როდესაც შეიქმნა პირველი ორთქლის ძრავიანი გემი, რომლის შედეგადაც მოხდა შორეული ქვეყნების დაკავშირება და მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება. იმ დროს ახალი ტექნოლოგიების შედეგად გაუმჯობესებული საზღვაო ტრანსპორტის წყალობით მსოფლიოში სწრაფი ტემპით დაიწყო წარმოების ზრდა, რამაც გაზარდა საერთაშორისო ვაჭრობა.

საზღვაო გადაზიდვები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ -ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. ყოველწლიურად მსოფლიოში იზრდება საზღვაო გადაზიდვების რაოდენობა, რადგან საზღვაო გემის შედეგად შესაძლებელია დიდი რაოდენობის ტვირთის გადაზიდვა, გარდა ამისა საზღვაო გადაზიდვები სხვა სატრანსპორტო გადაზიდვებთან შედარებით, უფრო იაფი სატარიფო პოლიტიკით გამოირჩევა.

სწორედ ამ გლობალური ეკონომიკური ტენდენციების შედეგად საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს გლობალური ბაზრის სატრანზიტო სისტემაში. უკანასკნელ წლებში იზრდება ტვირთბრუნვა საქართველოს პორტებში და წლევანდელმა მონაცემებმა უკვე მიაღწია რეკორდულ ნიშნულს. შესაბამისად, იქმნება სამომამვლო პოზიტიური მოლოდინები, რომელიც გაცილებით მზარდი იქნება თუ მოხდება საზღვაო პოტენციალის სწრაფად და აქტიურად გამოყენება.

2019 წლის ხუთ თვეში ქართულ პორტებში (ფოთის პორტი, ბათუმის პორტი) ტვირთბრუნვა გაზრდილია 35%-თ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საქართველოში გაზრდილი ტვირთების მოცულობა ძირითადად გამოწვეულია გარე ფაქტორების შედეგად. მნიშვნელოვანი გარემოება, რამაც მოცულობის ზრდას ხელი შეუწყო, ესაა ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეკონომიკის ზრდა და კასპიის

ზღვის რეგიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რამაც ასევე რეგიონში ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას. თუმცა ყველაზე დიდი გავლენა ტვირთების მოცულობის ზრდაზე მოახდინა ირანზე დაწესებულმა საქნციებმა, რის შედეგადადაც მოხდა ირანული პორტებიდან ტვირთის გადმომისამართება საქართველოს პორტებში.

დიაგრამა N1. საქართველოს საკონტეინერო ტვირთბრუნვა (იან-მაისი) TEU.



წყარო : ანაკლიის კონსორციუმი

რეგიონალური ეკონომიკის გაუმჯობესების და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების შედეგად, შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკამ გაცილებით დიდი სარგებელი მიიღოს ანაკლიის პორტის აშენებით. ანაკლიის პორტი არამხოლოდ უნდა აშენდეს, არამედ ეს უნდა მოხდეს ძალიან სწრაფ ვადებში, ვინაიდან ღრმაწლოვანი პორტის არ არსებობა საქართველოს აკარგვინებს სატრანზიტო პოტენციალის უფრო აქტიურად გამოყენების საშუალებას.

საქართველოს პორტები ამ ეტაპზე ვერ ღებულობენ შავ ზღვაში შემოსული საკონტეინერო გემების 75%-ს. ანაკლიის ღრმაწლოვანი პორტი ხსნის ამ პრობლემას და გადამზიდავ კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ტვირთის გადაზიდვა მოახდინონ საქართველოს გავლით უკვე დიდი Panamax-ის ტიპის გემებით, რომელიც 10 000 მდე

კონტეინერის გადატანას ახორციელებს. ამ ეტაპზე გემის მაქსიმალური მოცულობა 1400 კონტეინერს შეადგენს, რისი მიღებაც შეუძლია ქართულ პორტებს. ღრმაწლოვანი პორტის გამოყენების შედეგად, ეფექტურ ეკონომიკურ სარგებელს ნახულობს, როგორც ანაკლიის პორტი, ასევე გადამზიდავი კომპანიებიც, რომლებიც უკვე პირდაპირ შემოვლენ საქართველოში და არ მოუწევთ სხვა პორტებში გაჩერება და ტვირთის გადმოზიდვა მცირე ზომის გემებზე. სწორედ ეს შესაძლებლობა ქმნის კონკურენტუნარიან გარემოს, კერძოდ მცირდება ტარიფები, ვინაიდან Post-Panamax-ის ტიპის გემები ახორციელებენ დიდი ტვირთის გადაზიდვას, რაც შესაბამისად შედარებით ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს საბოლოო თვითღირებულების შემცირებაზეც. ანაკლიის პორტის შედეგად გადაზიდვების ტარიფი დაახლოებით 25-30%-ით შემცირდება. ამ გარემოების წყალობით, ანაკლიის პორტი გაუწევს დიდ კონკურენციას არამხოლოდ შავი ზღვის პორტებს, არამედ თურქეთის, ირანის და ბალტიისპირეთის პორტებს, იმ ახალი მძლავრი დერეფნის წყალობით, რომელიც რეგიონში გაჩნდება.

ანაკლიის პორტის უნიკალურობა, ასევე მისი ადგილმდებარეობაა, რომელიც აზიის და ევროპის ქვეყნებს აძლევს საშუალებას, რომ მათი სავაჭრო ურთიერთობა გაცილებით მცირე ვადებში განხორციელდეს, რაც ყველაზე მდიდარ რესურს, ანუ ორივე მხარეს დროის დაზოგვაში შეუწყობს ხელს. სწორედ ანაკლიის პორტის, როგორც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად რეგიონის სტრატეგიულად მნიშნვნელოვანი ფუნქციის წყალობით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აქტიურად თანამშრომლობენ ანაკლიის კონსორციუმთან და მზად არიან განახორციელონ მრავალ მილიონიანი ინვესტიციები. ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი ფაზის საინვესტიციო კაპიტალი უკვე შევსებულია, რომელიც შეადგენს 620 მილიონ ა.შ.შ დოლარს. ამ ეტაპზე ანაკლიის კონსორციუმი ახორცილებს ინვესტიციების

მოზიდვას დარჩენილი ფაზების განსახორციელებლად. ანაკლის პორტი სულ შედგება 9 ფაზისგან და მისი განხორციელება 2,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.[1]

ანაკლიის პორტის ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში, საქართველო შესაძლებელია გადაიქცეს რეგიონის ლოგისტიკურ ჰაბათ. ამისთვის მნიშნელოვანია მოხდეს სატრანსპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც, რომელიც ამ ეტაპზე მაღალი დონით არ გამოირჩევა. ამ ეტაპზე პრაქტიკულად არ არსებობს საქართველოში ლოგისტიკური ცენტრები, რის შედეგადაც საქართველო ვერ უზრუნველყოფს სატრანზიტო კორიდორის ეფექტურად გამოყენებას. 2017 წელს შემუშავდა პროექტი, რომელიც გულისხმობდა ორი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობას, ერთი თბილისთან მიმდებარეთ კუმისში, რომლის საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 95 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო მეორე ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის კი 73 მილიონ დოლარს შეადგენს. თუმცა სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ დაწყებულა მათი მშენებლობის პროცესი, იმის და მიუხედავად, რომ თავდაპირველად ამ ცენტრების მშენებლობით დაინტერესებული იყო 5 კომპანია.[2]

ლოგისტიკური ცენტრების არსებობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას შეუწყობს ხელს, პირველ რიგში ამ ცენტრების მეშვეობით შეიქმნება სამუშაო ადგილები, შეიქმნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. ლოგისტიკური ცენტრი არ გულისხმობს მხოლოდ ტვირთების დროებით დასაწყობებას, ამ ცენტრების მეშვეობით, საქართველო გახდება წარმოების და დამატებითი ღირებულების შექმნის ადგილი, რაც გულისხმობს ტვირთების შეფუთვას, გადაფუთვას და სხვა. სწორედ ამ ფუნქციის და სამომავლო პროგნოზირებადი ტვირთბრუნვის ზრდის წყალობით, საქართველო გადაიქცევა რეგიონალურ ჰაბათ, რაც ქვეყანაში წაახალისებს ექსპორტის ზრდას, ასევე გაზრდის ეკონომიკის ტემპს, შექმნის სამუშაო ადგილებს.

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობის გარდა, აქვს უმნიშვნელოვანესი უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, ესაა მისი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია. საქართველო რეგიონში პირველი და ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს დადებული, როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან ასევე ჩინეთთან, გარდა ამისა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს აქვს დადებული დსთ-ს ქვეყნებთანაც. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა ინვესტორებისათვის, რომლებსაც საქართველოს მეშვეობით შეუძლიათ ევროპის ბაზრებზე დაბეგვრის გარეშე შესვლა.

საქართველო მიმზიდველ გარემოდ ითვლება ინვესტორებისათვის ასევე დაბალი საგადასახადო სისტემით, შესაბამისად, ეს კიდევ ერთი დამატებითი უპირატესობაა.

საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ რეგიონში გახდეს მოწინავე ქვეყანა, ამრიგად მნიშნელოვანია დაიხვეწოს კანონმდებლობა, რომელიც იქნება საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი, რაც მეტ უსაფრთხოებას მისცემს, როგორც დაინტერესებულ ინვესტორებს ასევე ადგილობრივ მეწარმეებს. სწორედ ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს იმ უპირატესობების რეალურად გამოყენება, რითაც რეგიონში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში გამოირჩევა საქართველო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სწრაფად ამუშავდეს ანაკლიის პორტი და ლოგისტიკური ცენტრები, რომ საქართველო გამოჩნდეს აქტიურად გლობალურ ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://anakliadevelopment.com/ka/info/. გადამოწმებულია 20.11.2019.
2. http://www.economy.ge/?page=news&nw=538 გადამოწმებულია 20.11.2019.

სოციალური დაზღვევა, როგორც სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი
Social security as an important factor in social security

გიორგი გოგოლაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
giorgi.gogoladze51@gmail.com
Giorgi Gogoladze
Georgian National University
MA student
giorgi.gogoladze51@gmail.com

რეზიუმე. სოციალური რისკი ყოველთვის არსებობდა და მუდმივად განიცდიდა განვითარებას და ზრდას. სოციალურ რისკებს აქვთ დადებითი და ასევე უარყოფითი შედეგები. რისკების წარმოქმნა უმეტესად დამოკიდებულია სოციალური სუბიექტის ქმედებებთან. სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარ პიროვნებისადმი სოციალური ჯგუფებისადმი და გარემოსადმიქმნის სოციალური საქმიანობასთან დინამიურსისტემას, სადაც ეს მოქმედებები ხდება არა ლიმიტირებული ხასიათისაა და შესაბამისად საკმაოდ ძნელია იმ შედეგების და განსაზღვრა რომელიც შესაძლებელია მოყვეს ამ ქმდებებს.

გავითარებად ქვეყნებში პირველი დღიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლიბებები მოხდა მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემებში: ჩამოყალიბდა შეღავათები და დახმარებები, მაგრამ ძირითადად საუძველი მაინც ძველი მოდელი ქონდ მიუხედავად რეფორმებისა, სოციალური ტრანსფერი მაინც სამ სახედ იყოფა ესენია: ფინანსური გადახდები, გადახდები ნატურალური ფორმით და სხვადასხვა სუფსიდიები.

საკვანძო სიტყვები: სოციალური რისკი, დაზღვევა, სოციალური დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა, სახელმწიფო სუბსიდია, ფინანსური სექტორი.

Resume. Social risk has always existed, is constantly evolving and growing, social risks have both positive and negative consequences. Risk generation is largely dependent on the actions of the social subject. Therefore, it is rather difficult to determine the relationship of the subject to his personality to social groups and to

the environment with social activities, where these actions are unlimited, and the consequences that these creatures can have.

In developing countries, there have been significant changes in social security systems from the first day of development: benefits and allowances have been established, but mostly without a model.

Keywords: social risk, insurance, social security, social responsibility, state subsidy, financial sector.

შესავალი: სოციალური პოლიტიკა ოცდამეერთე საუკუნეში აქტუალური თემა გახდა და მოხდა სოციალური სისტემის ორგანიზება რომლის მიზანია – იმისათვის რომ მოსახლეობის ცხოვრების და ხარისხობრივი მახასიათებელები შეესაბამებოდეს ადამიანურ სტანდართებს საჭიროა მოხდეს სწორად და ადეკვატურად სახელმწიფო (ადილობრივი) შემოსავლის სწორი გადანაწილება, რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ნაწილის, პრობლემების მოგვარებას რომელშიც შედის ნაკლებ შემოსავლიანი და ასევე შრომის უუნარო საზოგადეობა, რაც მოახდენს მოცემული ფენის სოციალური სოლიდარობის პრინციპის რეალიზებას. თანამედროვე პირობებში სოციალური დაცვის პრობლემების საკმაოდ მომატებულმა ტენდენციამ, მოცემული სისტემის დაცვის განსხვავებული სახით გამოყენებამ დიდი ბიძგი მისცა სრულყოფილებისკენ სწრაფვაში რომელიც ეკონომიკური კველვის ცენტრალურ ნაწილთან. მიუხედავად იმისა რომ ოც წელზე მეტია რაც ჩვენმა ქვეყანამ განახორციელა საბაზრო სისტემის ცვლილება, ანუ გეგმიან-მბრძანებლური სისტემიდან მოახდინა გადასვლა საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე.

მიუხედავად ამ ცვლილებების ერთობლიობისა ვერ მოხერხდა თანამედროვეობაზე ადაპტირება და მორგება რომელიც თანხვედრაში უნდა მოსულიყო დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნილებებთან და შესაბამისად არსებულ სისტემაზე მოახდინა გავლენა, რამაც ასახვა ჰპოვა სისტემურად ჩამოუყალიბებელ სოციალურ დაცვაში. თანამედროვე პირობებში პრაქტიკამ ცხადყო

რომ თუ გვსურს შეიქმნას სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემა ამისათვის საჭიროა მოხდეს მექანიზმების შემოუშავება რომელიც დაფუძნებული იქნება კანონმდებლობით და ნორმებით გათვალისწინებულ აქტებზე.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანას წარმოადგენს დასაქმებული ადამიანების სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მთავარ რგოლს სოციალური დაზღვევა წარმოადგენს. მოცემული მექანიზმით ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება კვლავწარმოების პროცეზე ზემოქმედება და კაპიტალის წილის ზრდა.

ძირითადი ტექსტი: სოციალური რისკი ყოველთვის არსებობდა და მუდმივად განიცდიდა განვითარებას და ზრდას.სოციალურ რისკებს აქვთ დადებითი და ასევე უარყოფითი შედეგები.

არსებითია, რომ ყოველდღიურად ნებისმიერი ადამიანი რისკის ქვეშ არის.მნიშნელოვანია განვასხვავოთყოველდღიუარად ადამიანს რა რისკი ხვდება და როგორ უნდა მოაგვაროს ეს რისკი. რისკი არის მოსალოდნელი საფრთხის შესაძლო გარემოებები, რომელსაც მოჰყვება სოციალური ან მატერიალური დანაკარგები, შესაძლო ზარალი, წარუმატებლობა რაიმე საქმეში.[23]რისკის განმარტებას მრავალი მეცნიერი და მკვლევარი სწავლობს რადგან არის რისკის სხვადასხვა კატეგორიები სოციალური ეკოლოგიური ბიოლოგიური და ა.შ

რისკების წარმოქმნა უმეტესად დამოკიდებულია სოციალური სუბიექტის ქმედებებთან. სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარ პიროვნებისადმი სოციალური ჯგუფებისადმი და გარემოსადმიქმნის სოციალური საქმიანობასთან დინამიურსისტემას, სადაც ეს მოქმედებები ხდება არა ლიმიტირებული ხასიათისაა და შესაბამისად საკმაოდ ძნელია იმ შედეგების და განსაზღვრა რომელიც

[23] Лапин В.Л., Попов В.М., Рыжов Ф.Н., Томаков В.И. “Безопасное взаимодействие человека с техническими системами”, Курск. 2011.

შესაძლებელია მოყვეს ამ ქმდედბებს. შედეგად შევიძლია დავასკვნად,რასაც ადასტურებს ის რომ რისკს შეუძლია გამოვლიდე როგორც ერთ ინდივიდთან ასევე საზოგადოებაში და მისი ზარალი ცვალებადია.

სოციალური რისკების დეტალურად ჩამოყალიბებისთვის რისკების ორი მიმართულება უნდა გამოიყოს: ტექნოგენური და სოციოგენური.

უნდა მოხერხდეს და გაერთიანდეს სოციალური რისკები, რომელსაც ტექნოგენურიხასიათი აქვს და სოციალური რისკები სუბიექტის შესაძლებლობებზე და თავისებურებებზეა დამოკიდებული.

ტექნოგენური რისკები დაკავშირებულია ადამიანების შექმნილი ისეთ ფაქტორებთან რომელშიც ჩართულია უშუალო ტექნოლოგიური საქმიანობა, რომელთა მუშაობის დროსშეიძლება წარმოიქმნას რისკი მაგალითად სხვადასხვა სახის კატასტროფები და ასევე შეიძლება მოვიაზროთ ავარიები, ამ დროს მიღებული რისკი სოციალური რისკების მდგომარეობას აუარესებს. შესაბამისად სოციალური რისკები შეგვიძლია გავიგოთ როგორც კონკრეტული სუბიექტის ამ დროს არსებული სიტუაცია რომელშიც ის აღმოჩნდა ასე ვთქვათ მოხვდა არაკონტროლირებად მოვლენების გავლენი ქვეშ.

არსებობს გაუაზრებელია და გააზრებული. ყურადღება გავამახვილოთ რისკებზე, რომელიც მსხვერპლი სოციალური სუბიექტი აღმოჩნდება გარემო პირობების გამო.(პოლიტიკური დაძაბულობა, უმუშევრობადა ა.შ.) გაანალიზებული ფაქტორები საშუალებას იძლევა რისკები და ჯგუფდეს შემდეგი სახეების მიხედვით:

- ზოგადი რისკები
- ცხოვრების გარკვეული ეტაპების რისკები;
- თაობათა შორის რისკები
- მიღებული განათლების ნაკლებობა და საჭირო სოციალური უნარების არარსებობა.

➢ საერთო არსებით ირისკები

სოციალური რისკების ჯგუფის განსაზღვრისთვის შემოტანილია სხვადასვხა ნიშნები რომელშიც სოციალურ დემოგრაფიული ნიშნებით ხდება განსხავება: აქ მოიაზრება როგროც სქესი ასევე პროფესია დაასაკი ასევე სხვა ბევრი ფაქტორი.

კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლოა შეისწავლონ ცალკეული სუბიექტები ასევე სოციალური ჯგუფები, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ გაითავისონ ეს რისკი და გაუმკლავდნენ მას ასევე გამოიკვეთება ჯგუფები რომლების ვერ მოახდენენ ამის ადაპტირებას.

სოციალური რისკების განსაზღვრების ასევე მისი ფორმების სრულად ჩამოუყალიბებლობა აფერხებს მის უფრო განვითარებას და მისი დაზღვევის გაუმჯობესებას.

სოციალური მდგომარეობა, პირველად ხასიათდებაერთ გარკვეულ, ან ერთდროულადრამდენიმე კატეგორიაზე მიკუთვნებით რომელიც იყოფაკრიტერიუმებით: მუშა, უმუშევარი, მოსამსახურე აქ შეიძლება მოვიაზროთ საჯარო მოხელე, ასევე პენსიონერი და სტუდენტი..

სოციალური მდგომარეობის დახასიათება შესაძლოა გაიმიჯნოს ასე: ქონებრივი სტატუსით, აქვს თუ არა მაღალი სამუშაო კვალიფიკაციისდონე. ასევე განისაზღვრება უფლებებით რომელიც მოქალაქეს აქვს, სხვადასხვა დაკისრებული საქმიანობით და პასუხისმგებლობი დონით. საკითხების შესასწავლათ რომელიც დაკავშირებულია სოციალური დაზღვევის საკითხებთან ასევე სოციალურ რისკებთან უნდა მოხდეს გარკვევა იმაში რისი გაგება და განსაზღვრება უნდა მოვახდინოთ როცა განვიხილავთ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლითან ხდება დახასიათება მოქალაქის სიცოცხლის მატერიალურ დონესა და ასევე ხარისხისა. გაეროს საყოველტაო დეკლარაციის 25-ე მუხლსი საკმაოდ კარგად და ფართოდ არის წარმოდგენილი სოციალური მოთხოვნილებების შემადგენლობა სადაც ვკითხულობთ: "ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთი დონის ცხოვრებისა, (მათ შორის

საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სამედიცინო და საჭიროების შემთხვევში სოციალური მომსახურების,) რომელიც აუცილებელია თვით ადამიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ასევე უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის ან სხვა მიზეზით, მატერიალური რესურსების ზარალის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება."[24]

სოციალური დაცვისსისტემების წინწამოწევამ, მოქალაქეების საკმაოდ პოზიტიურმა განწყობამ , საკმაოდ მაღალმა მოტივაციის ქონამ – მოითხოვონილი იყოს სოციალური დაცვის სტანდარტებით დაკმაყოფილება, მოახდინა გაზრდა სახელმწიფოს ჩართვის სოციალური რისკებისაგან დაცვაში. წიგნში – „პროფესიული რისკები", სოციალურ რისკების განსაზღვრება ხდება , როგორც „ტიპიურ მასობრივი სახის საშიშროებებს, როგორიცაა მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის ფაქტორების გაუარესება, რაშიც იგულისხმება საზოგადოების მხრიდან მათი მნიშვნელობის შეფასება და შესაბამისობა ცხოვრების პირობებთან".[25] ეს გამოხატავს, რომ „სოციალურ საშიშროებად ხდება იმ რისკების აღიარება ის , რომლებიც წარმოიქნმება საზოგადოებრივი ხასიათის მიხედვით და საკმაოდ ხშირ შემთხვევაში მათგან დამოუკიდებლად დაცვა თანაც მაღალი ხარისხიტ საკმაოდ რთულია ხშირად კი შეუძლებელი". ამ კონცეფციის განსხავევბული და ამავდროულად უფრო დეტალური და ფართო განმარტება შესაძლოა ჩამოყალიბდეს დაახლოვებით ასე: „სოციალური რისკს ქმნის ადამიანის ნორმალური სოციალური მდგომარეობის ჩაშლის ფაქტორები. კერძოდ: ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის დაკარგვა, ან შრომის მოთხოვნილების არარსებობა (უმუშევრობა), რასაც თან ახლავს დასაქმებული მოსახლეობის მიერ მატერიალური

---

[24]ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - გაეროს ადამიანის უფლებათა ქარტია: მუხლი 25

[25] Роик В.Д. „Профессиональные риски. - М.: АНКИЛ. 2014.

უზრუნველყოფის გაურესება, მკურნალობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაჩენა, ხოლო ოჯახებისათვის - მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემოსავლის წყაროს შეწყვეტა“.

„სოციალური რისკის“ უშუალო არსს და განმარტებას მომხდარ მოვლენების განხილვისას ახასიათებს საკმაოდ მტკიცედ გამოხატული შეზღუდვა. სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის პაკეტები ასევე გადაეცემა უმუშევარ მოსახლეობას რომელიც საკმაოდ მრავლადაა, ვ. დ. როიკი სოციალური რისკების ხასიათი დაკავშირებულია ადამიანების შრომითი შესრულების ნაირსაბეობებთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იმასთანაა დაკავშირებული თუ როგორ ვითარედება შრომის ბაზარი. ასევე უნდა დავაკვირდეთ იმას რომ ადამიანების სოციალური მდგომარეობას საფრთხეს უქმნის სხვადასხვა რისკ ფაქტორების ერთობლიობა მაგალითად როგორიცაა: აქ შეიძლება მოვიაზროთ ისეთი რისკები როგორიცაა ადამიანებისთვის სხვადასხვა ავადმყოფობები ანუ ვირუსები ასევე სხვადასხვა კატასტროფები ასევე სხვადასხვა რისკები რომელიც მიმართულია ადამიანისთვის ზიანის მისაყენებლად და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის დამთავრებითაც კი მთავრდება ამ რისკების გამოვლენა.

შესაძლოა ერთი ფაქტორის ზემოქმედებით გამოიწვეული იყოს სხვის სოციალური მდგომარეობის გაუარესება რაც მიუთითებს სოციალური რისკების არსებობაზე, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ სოციალური რისკები, რომელელსაც ადამიანის საქმიანობს დროს მოდის და ასევე რისკები, რომლებიც მიუხედავად იმისა, ეწვიან თუ არა ამ საქმიანობას მაინც ხვდებიან ამ რისკების დაქვემდებარების ქვეშ. ოღივე განხილული ფაქტორი იმისტის რომ იყოს რისკები თავიდანა ცილებული საჭიროა მოვახდინოთ დაძღვევის ქვეშ.

სოციალური რისკების განსხაზღვრება საფუძვლად უდევს მისი მოდელის ჩამოყალიბებას. მისი შეფასების შემდეგ მეორე ეტაპია მიკუთვნება სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმას, შესაძლებელია მოხდეს განსაზღვრა რისკის არსებობის დროს, რომელიც

მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისკენ და შესაძლოა მოახდინოს რამის დაზიანება ესეთი რისკები უნდა მივაბაროთ დაზღვევას რათქმაუნდა ამას ადამიანების გადაწყვეტილების მეშვეობით ვაკეთებთ. მაგრამ რათქმაუნდა არსებობს ისეთი რისკები რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებენ და ადამიანებზე ან ადამიანთა ჯგუფზე ამ რისკების მიბარება უნდა მოხდეს სოციალური დახმარების მიმღებ კატეგორიას.

სოციალური რისკი - ნაბიჯია გარდამავალი ეკონომიკისაკენ. გარდამავალი ხანის ეკონომიკას ახასიათებს:

I. შემოსავლის დაცემა სიღარიბის და უმიშევრობის ზრდა.

II. ჯანმრთელობის გაუარესება (სიცოცხლის ხანგრძლივობა)

III. განათლების დონის დაცემა

IV. სოციალური დაშლა

V. ომები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

არის თუ არა საბაზრო ეკომომიკა სოციალური კატასტროფა?

გარდამავალ პერიოდში სოციალური დანახარჯების გამიჯვნას გამოყოფს ორი მაჩვენებელი: უნივერსალიზაცია და დროებითი სიღარიბე კონცენტრაცია და ქრონიკული სიღარიბე;. ამ პროცესების გაერთიანება მთავარი პრობლემაა. სიღარიბეც მნიშვნელოვნად აზიანებს სციალურ დინამიკას. ქვეყნებში სადაც გარდამავალი ეკონომიკაა ძალიან რთულია რესურსების განაწილება. სოციალურ დაძაბულობას თან ახლავს პოლიტიკური არასტაბიმლურობა, ეს კი ამაღლებს რისკს.

სოციალური რისკი წამრმოდგენილია ასე: ოდნობა დანაზოგების და კაპიტალის, ასევე დანაზოგები, მიწაზე საკუთრება/უძრავი ქონება, ქონების ღირებულება. მდგომარეობა და კრედიტის პირობები შრომის ბაზარზე ხელფასისწილი შემოსავლებში, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და საოჯახომეურნეობებისათვის კრედიტის სიიოლე. პენსიონერების წილი, პენსია, ხელფასი, შემწეობის მიმღებთა წილი, შემწეობის წილიშემოსავალში, შიგასაოჯახო და საოჯახთაშორისო

გადანაწილების მასშტაბები, შემწეობაზედაშვება კატასტროფების დროს.

გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში საპენსიო რეფორმების დროს გამოწვეული ხარჯები შესაძლოა მძიმე ტვირითი გახდეს ქვეყნისთვის შესაბამისად ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რეფორმისას. სააპენსიო რეფორმა შეიძლება მოიცავდეს პენსიის მიღების უფლებაზე მოთხოვნის გამკაცრებას.

სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილში ქვეყნებში ღარიბების რიცხვში

	სოციალური რისკების ტიპები		
	მიკრო	მეზო	მაკრო
ასაკი	ბავშვის დაბადება ავადმყოფობა შრომისუნარიანობის დაკარგვა უბედური შემთხვევები	ადგილობრივი მნიშვნელობის ეპიდემიები	ბუნებრივი კატასტროფები
სოციალური	ყოფითი დანაშაულობები	ორგანიზებული დანაშაულობები	სამოქალაქო კონფლიქტები
ეკონომიკური	სამუშაოს დაკარგვა სამუშაოს პოვნის შეუძლებლობა გაკოტრება		წარმოების დაცემა, კრიზისი, ფინანსური კრიზისი მსოფლიო ფასების ცვალებადობა
პოლიტიკური გარემო პირობები	დისკრიმინაცია	უწესრიგობა გაჭუჭყიანება კატასტროფები	ომები გადასახლება შინაგანი დეფოლტი
შედგენილია ავტორის მიერ			

გამოირჩევიან ბავშვები, გამოირჩევიან ბავშვები (7-15 წელი)

რისკების მართვის მექანიზმი (შედგენილია ავტორის მიერ)

	არაფორმალური ანუ საოჯახო	**საბაზრო**	**სახელმწიფო**
რისკის შემცირება	მიგრაცია		მაკრო პოლიტიკის შედეგების ანალიზი და მოდიფიკაცია შრომის ბაზრის პოლიტიკა
ზარალის მინიმიზაცია			
დივერციფიკაცია	სამუშაოთა შეთავსება ინვესტიციები	ფინანსური ინვეტსიციები	დანაზოგები საპენსიო სისტემა
დაზღვევა	შიდასაოჯახო ურთიერთობები მეზობლობა	პირადი დაზღვევა	სოციალური დაზღვევა
გაცვლა	საოჯახთაშორისო ურთიერთობები		
შედეგების შემსუბუქება	ქონების გაყიდვა პირადი დანაზოგები სესხება, დახმარება და ქველმოქმედება	კრედიტი და ფინანსური აქტივების გაყიდვა	სოციალური დახმარებები სუბსიდიები საზოგადოებრივი სამუშაოები

გარდამავალი ეკონომიკის ზოგ ქვეყნაში საპენსიო კანონმდებლობამ უფლება მისცა პენსიონერებს მიიღონ პენსიაც და ხელფასიც ერთად, რის გამოც პენსიონერები ღარიბის მოსახელობიდან გამოვიდნენ. ქალებს რომლების წინასაპენსიო ასაკში არიან ძირითადად უწევთ ისეთი სამუშაოს შესრულება სადაც არაა მაღალი ანაზღაურება რაც მათ სიღარიბის ფენაში წარმოადგენს.

დ ა ს კ ვ ნ ა: გაცნობილი ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური დაცვის სისტემა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო, ანუ დაბალ განვითარებად ქვეყნებში უშუალო კავშირშია და დამოკიდებულია სოციალურ

ტრანსფერებზე, რაც თავისთავად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციაზე, სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ კონცეფციებზე, ლიბეალიზმსა და პატერნალიზმზე.

სტრუქტურის გამართულ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგალითად იმ შემთხვევაში თუ სტრუქტურა გაუმართავად მუშაობს, ამის საფუძველს ქმნის ნაკლებად სოციალურობის შინაარსის მატარებელი ელემენტების შეტანა სისტემაში, რაც იწვევს ბიუჯეტის ხარჯვთი წილის ზრდას და საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომრლიც ისედაც ნაკლებად აქტიურობს, ინაცვლებს პასიურ როლში. აქედან გამომდინარე კი მნიშვნელოვანი როლი შეგვიძლია მივაკუთვნოთ სახელმწიფოს როლს მოცემულ პროცესში, რომელმაც უნდა გამიჯნოს სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი სოციალური პრობლემები და თავად მოსახლეობის მიერ გადასაწბეტი პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავაა., გელაშვილინ., "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტიული ხედვა", ჟ. ეკონომიკა, 2007
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - გაეროს ადამიანის უფლებათა ქარტია: მუხლი 25
3. ანთაძეც. "სოციალური სფეროს რეფორმირების ძირითადი შედეგები", ჟ. სოციალური ეკონომიკა, 2006
4. Роик В.Д. „Профессиональные риски. - М.: АНКИЛ. 2014.
5. Лапин В.Л., Попов В.М., Рыжов Ф.Н., Томаков В.И. "Безопасное взаимодействие человека с техническими системами", Курск. 2011.

მიწის ბაზრის განვითარებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში
Land Development and Management Improvements in Georgia

თენგიზ ლაჭყეპიანი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
t.lachkepiani@gtu.edu.ge
ლეილა გეგენავა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
leilagegenava@yahoo.com
Tengiz Lachkepiani - Doctor of Economics
t.lachkepiani@gtu.edu.ge
Leila Gegenava - Doctor of Economics
leilagegenava@yahoo.com

Resume: The land market, as an economic category, has started to operate in full compliance with market laws in Georgia. At the same time, he took a leading role in the life of the Georgian people. It is a basic and indispensable means of agricultural production. Land has become an important source of cash revenue, both in terms of budget completion and a reliable guarantee of citizens' cash income.

The article discusses the effectiveness of using land as the main means of production with specific features and the directions of its economic effectiveness. Given the positions and measures of land market regulation, it is noted that there is a need to refine the legislation governing land regulation to make it easier to go through the necessary procedure for regulation. In this regard, the state should consider and maximize procedures. The key factors that hinder the development and effective development of the land market are formulated and analyzed.

Keywords - land market, agriculture, land reform, public Registry.

მიწა წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტს და განსაკუთრებული ადგილი უკავია ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს არის

ადამიანთა ცხოვრების სივრცობრივი ბაზისი; პოლიტიკურით კი - ესაა ტერიტორია რომელზეც სახელმწიფო აყალიბებს გარკვეულ სამართლებრივ სისტემას; ეკონომიკურ სფეროში - სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალებაა და საფუძველია ეკონომიკის სხვა დარგების განლაგებისა და განვითარებისათვის. მიწის მრავალფუნქციონურობა შესაძლებლობას არ იძლევა კონკურენციის ტიპის მიხედვით განისაზღვროს ბაზარი. აუცილებელია იგი დაიყოს სეგმენტებად ფუნქციონალური დანიშნულებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2005 წლამდე ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს. 2004 წელს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა საქართველოს იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის, რის გამოც მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – პირობითი გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. უკანასკნელ პერიოდში ეს

პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

მიწის ეფექტიან მართვას, რომელიც ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, გააჩნია გამოწვევები, რომლებიც პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად:

1. მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა, რაც შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას;

2. მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა მართავდეს მიწის საინფორმაციო სისტემას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის დანიშნულების, კატეგორიის, ხარისხის, საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შესახებ.

მიწის საინფორმაციო სისტემა ინტერდისციპლინარულ პროდუქტს განეკუთვნება, იგი მჭიდრო კავშირშია სხვა უწყებებისთვის საჭირო ინფორმაციასთან და ამდენად იგი უნდა აიგოს სხვადასხვა დაინტერესებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან კოორდინაციით (მაგალითად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვა).

მიწის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ასევე მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არარსებობა, თავის მხრივ, სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონალურ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების

ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაზე, სოციალური, დასაქმების, მიწის ბაზრის აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და ასევე ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

მიწის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ევროკავშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მიწაზე კერძო საკუთრებაა და მიწის ბაზარი საერთოდ არაა, ან სუსტადაა განვითარებული. სამწუხაროდ, საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მიწის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არსებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. ამ გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის პილოტპროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.

გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მიწის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. მიწის კონსოლიდაციის პილოტპროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ. სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად იქცა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ განხორციელდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, „შეღავათიანი აგროკრედიტის

პროექტი“, პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა და ამით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანამ და მიწის დამუშავების ხელშეწყობის გაზრდამ გამოიწვია ქართველი ფერმერების დაინტერესება მიწებით. აქედან გამომდინარე, საქართველოში ადგილობრივი ფერმერების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შეიქმნა გარკვეული პირობები.

საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგების მიმართულებით. შესაბამისად გამოიკვეთა პირობები, რათა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეთ განახორციელონ ინვესტიციები საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

იგეგმება „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტის შემუშა ვება, რომელიც დაარეგულირებს სასოფლო-ამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის საკუთრების უფლების მქონე პირთა წრეს და შეზღუდვების სახეებს.

ეს შეზღუდვები მაქსიმალურად გამორიცხავს შემთხვევითი ადამიანების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას, რადგან საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს შესაბამისი გამოცდილება სასო ფლო-სამეურნეო სფეროში და რაც მთავარია, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელება. ასევე გამოირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არამიზნობრივად (მაგალითად, განსახლებისათვის) გამოყენება.

მიწის რეფორმის ბოლომდე მიყვანის, კერძოდ, პირველადი რეგისტრაციის დასრულების უმთავრეს სამოქმედო პრინციპად პრაქტიკული მიდგომა, ანუ მიწის ფაქტობრივი მფლობელობის აღიარების მექანიზმი უნდა განიხილებოდეს, თუკი ფაქტობრივ მფლობელს არ უკავია სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ფართობები. ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება უკვე დასრულებული პროცესების როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური და იურიდიული ინვენტარიზაცია, მეტად გართულდება პროცესის ბოლომდე მიყვანა. მართლაც შესაძლებელია, რომ მიწა თავდაპირველად მფლობელების ნაწილს გაუმჭვირვალედ გადაეცა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივ მფლობელს არავინ ედავება, მას დაუბრკოლებელი რეგისტრაციის საშუალება უნდა მიეცეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინაიდან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ვინც მიწა რეფორმის შედეგად მიიღო არ გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი საკუთრება სრულყოფილი არ არის. ამ ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მათ დამატებითი ხარჯების გაღებად დროის ხარჯვა მოუწევთ, უპერსპექტივოა. ამიტომაც მიზანშეწონილია პროგრამის მაქსიმალურად იაფად, შესაძლოა დონორთა დახმარებით განხორციელება, მაგრამ ამავე დროს, თავად პროცესს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უნდა უძღვებოდნენ. მასში აქტიურად უნდა ჩაერთონ თემები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც დააჩქარებს პროგრამას და უზრუნველყოფს მის მაღალ ხარისხს. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ აუცილებელია ძირითადი აქტორების - სახელმწიფოსა და მიწის ფონდის აღრიცხვაში მონაწილე ორგანიზაციების (ვინც უშუალოდ ადგენს აზომვით ნახაზებს) უფლება-მოვალეობათა მკაფიო გამიჯვნა. ეს აუცილებელია პროექტის ხარისხისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ორივე ფუნქცია სახელმწიფომ არ უნდა შეითავსოს. ამ უკანასკნელმა უნდა შეძლოს პროცედურების გასავლელად მაქსიმალურად კომფორტული და ,,იაფი” გარემოს

შექმნა, ასევე შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისა და საჯაროობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ასევე უნდა მოხდეს მიწაზე საკუთრების მარწმუნებელი კანონმდებლობის დახვეწა, რათა მაქსიმალურად გაადვილდეს რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურების გავლა. ეს ეხება როგორც არამართლზომიერ, ისე მართლზომიერ მფლობელობას, მემკვიდრეობის საკითხებს და სხვა. სახელმწიფომ უნდა განიხილოს და მაქსიმალურად გააიაფოს პროცედურები, რათა არ შეფერხდეს პროგრამის მიმდინარეობა. მიწის პირველადი რეგისტრაციის დასაჩქარებლად შესაძლოა განხილულ იქნას პირველად რეგისტრაციაზე ამჟამად გაუქმებული ერთჯერადი გადასახადის გაუქმების, ან გაუქმების გაგრძელების ოფცია, ვინაიდან საჯარო რეესტრისაათვის ეს ისედაც დაუგეგმავ შემოსავალს წარმოადგენს. აუცილებელია შემუშავდეს პოტენციური დავების სწრაფად და ეფექტიანად გადაჭრის მექანიზმები ადგილებზე არსებული კულტურული, რეგიონული თუ სხვა თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეგიაშვილი დ.-საქართველოს მიწის რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა

საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბ. 2009.

2. კოღუაშვილი პ.- მიწა და სახელმწიფო. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. N 1.2012.

3. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ.- მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. N12 2010.

4. კოღუაშვილი პ.- მიწის რესურსების ეფექტური მართვა სიღარიბის დაძლევის წინაპირობაა. ჟ. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება. N2 2014.

5. ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ. - მიწის რესურსების მართვა. სახელმძღვანელო. 2013.

6. ტურაბელიძე ნ., ცაავა შ.- მიწის ფასის განსაზღვრის საკითხისათვის. ჟ. "ეკონომიკა". 2007 წ.

აგრო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოსთვის და მისი განვითარების პრობლემები
Importance of Agro Business in Georgia and Its Development Problems

ბელა კუტიბაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
bkutibashvili@gmail.com
Bela Kutibashvili – doctoral student
Georgian Technical University
bkutibashvili@gmail.com

რეზიუმე: მრავალი ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს ეკონომიკის სიძლიერისთვის აგრობიზნესს და სოფლის მეურნეობას აქვს არსებითი მნიშვნელობა. საქსტატის ბოლო წლების მონაცემებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის საშუალოდ 50%, საიდანაც 90-95% თვითდასაქმებულია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის როლის გააზრება და მისი განვითარების შემაფერხებელი პრობლემების აღმოჩენა. გამომდინარე იქიდან, რომ აგროსფეროს განვითარებას შეუძლია მრავალი ისეთი პრობლემის მოგვარება, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა, ექსპორტის ზრდა/იმპორტის შემცირება და სხვა, აუცილებელია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარება, აგროტურიზმის ხელშეწყობა. საქართველოში ვხვდებით ყველა სახეობის ნიადაგსა და გეოგრაფიულ ზონას, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს რომ ქვეყანაში აუცილებელია იყოს განვითარებული აგრობიზნესი. მიუხედავად ამისა, ისტორიული მონაცემების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი არ აღემატება 15%-ს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციული მეურნეობები სუსტადაა განვითარებული. არსებულ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს. აგრობიზნესის განვითარებას შეუძლია დიდი წვლილის შეტანა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, თუმცა მანამდე აუცილებელია ქვეყნის პოტენციალის შესწავლა და შეფასება აღნიშნული მიმართულებით. მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპის და შეზღუდული ბუნებრივი რესურსების ფონზე, სოფლის მეურნეობის სფერო და ჯანსაღი პროდუქტის წარმოება სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, აგრო ბიზნესი, ცხოვრების დონე, ეკონომიკა.

Resume: Agriculture is essentially important for strong economic in many countries and for Georgia among them. According to Geostat's recent data, half of the country's workforce is employed in agriculture, and 90-95% of them are self-employed. Because all of this, understanding of agriculture's role in economic and discovering its development problems is important. According to the fact, that developed agro sphere can solve the problems, such as high unemployment rate, economic growth, export growth/import reduce and etc., it's necessary to stimulate creating jobs in rural areas, developing households and promote agro-tourism.

There are soils of all species and geographical area in Georgia, so we can say that agriculture must be developed in this country. Despite of this, according to historical data, share of income from agriculture is always under 15%, which means that commercial farming is less developed. Most of manufacturers produce goods for their consumption. Well-developed agriculture can contribute to increasing the standards of living of the population, but before this, exploring and evaluating the potential of the country is essential. While the rapid growth rate of population and limited natural resources, agriculture and producing healthy product become more and more important issue.

Key Words: Agriculture, Agro-Business, Life level, Economic.

შესავალი: აგროსექტორის ყოველწლიური ზრდის მიუხედავად ის ჯერ კიდევ არარის იმ დონეზე განვითარებული, რომ შეძლოს ქვეყნის მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფა აგრო პროდუქტებით, რის გამოც ქვეყანა დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტი-რებულ საკვებ პროდუქტებზე. დანახარჯების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმპორტირებული საკვების ხარისხის კონტროლი, რაც ხშირად ვერ ხორციელდება ან მოითხოვს დიდ რესურსს. აგრო ბიზნესის შემდგომი განვითარება მოაგვარებს არაერთ პრობლემას, შექმნის დამატებით მუშა ხელს, აღმოფხვრის იმპორტის საჭიროებას, გაზრდის ქვეყნის ეკონომიკას, მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს,

ექსპორტის შემთხვევაში შექმნის დამატებით შემოსავალს. ამ და სხვა მიზეზების გამო საინტერესოა და აქტუალურია აგრო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების უფრო დეტალური კვლევა.

თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური გახდა მდგრადი განვითარბეის პრინციპების დანერგვა საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. მდგრადი განვითარების სისტემისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი რესურსების ხარისხის შენარჩუნებასა და გარემოს დაცვას. აგრობიზნესი არის სფერო, რომელიც ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მდგრადი განვითარების შესწავლისას, რადგან სწორედ აგრობიზნესში ხდება ბუნებრივი რესურსების დიდი ოდენობით გამოყენება/გადამუშავება და გარემოსთან კავშირი. ძლიერი აგრო ბიზნესის სფერო სამიზნეს წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის, თუმცა აღნიშნული სფეროს განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ქვეყნისთვის რომელსაც მინერალური წყლებისა გარდა არ გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი და შესაბამისად შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. დღესდღეობით სოფლის მეურნების მიმართულებით ყველაზე განვითარებულია მეღვინეობა. ქართული ღვინო ცნობილი და პატივსაცემია ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში, თუმცა მხოლოდ მეღვინეობის საფუძველზე ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანას გააჩნია ძლიერი სოფლის მეურნეობა. საქართველოში პერსპექტიული მიმართულებაა აგროტურიზმის განვითარებაც, რაზეც მეტყველებს შემდეგი ფაქტორები:

1. საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელია აგროტურიზმის განვითარებისათვის.

2. მეურნეობის ნატურალური ხასიათი, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტრუქტურა, ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენება, წარმოებული პროდუქციის მეურნეობაშივე გადამუშავების ტრადიცია, ადგილობრივი პროდუქტებით გემრიელი კერძების მომზადების შესაძლებლობა სერიოზულ მოტივაციას

უქმნის ქალაქის მცხოვრებთ აგრარული ტურიზმის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. სოფლად მცხოვრებთა სახლების საერთო ფართობი, ოთახების რაოდენობა და განლაგება, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა შესაძლებელს ხდის შედარებით მცირე დანახარჯებით მოეწყოს ტურისტებისათვის დასვენების პირობები.

4. სოფლად შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი უბიძგებს სოფლის მცხოვრებთ გაიჩინონ დამატებითი შემოსავლის წყარო, რაც შესაძლებელია აგრარული ტურიზმის განვითარებით.

ტურიზმის ეს სახე საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზეა. ამ მხრივ საქართველოს თითოეული რეგიონი დიდი პოტენციალის მატარებელია. იზრდება როგორც სოფლად მცხოვრებთა შემოსავლები (საცხოვრებლის დაქირვება, მომსახურება, კვების პროდუქტების, ეროვნული სამზარეულოს წარმოჩინება, ხალხური რეწვის ნაწარმის გაყიდვა), ასევე მათი დასაქმებაც.

მიუხედავად იმისა, რომ აგრო ბიზნესი არ იმყოფება განვითარების საჭირო დონეზე, მის შესახებ მაინც შესაძლებელია გარკვეული ინფორმაციის მოძიება. ქვეყანაში არსებულ სტატისტიკაზე ინფორმაციას გვაწვდის სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი. 2013 წლის შემდეგ ქვეყანაში აგრო ბიზნესის პროდუქტების წარმოება ყოველწლიურად მცირდება და ის შეადგენს საქართველოს მშპ-ს 10%-ზე ნაკლებს (საქსტატი, 2018). ასევე საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში შეადგენს 40-50%-ს (Stat, 2019). აღნიშნული შინამეურნეობებისთვის საჭირო სურსათით უზრუნველყოფა ხდება უმეტესწილად იმპორტის საშუალებით. შიდა წარმოების განვითარება იმ დონემდე, რომ ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტმა შეძლოს ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება, დადებითად აისახება ქვეყნის მუდმივად უარყოფით სავაჭრო სალდოზე. ეს და სხვა

არგუმენტები ხაზს უსვამს ამ სფეროსა და მის განვითარებაზე ზრუნვის მნიშვნელობას. გაეროს პროგნოზით (United Nations Organization, 2017), მოსალოდნელია მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, რომელიც დღეს არსებული 7 მილიარდიდან 9 მილიარდს მიაღწევს. ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს ქმნის ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აგრო სფეროს პრობლემებსა და გამოწვევებზე ქვეყნის პოზიციასა და შეხედულებას შეგვიძლია გავეცნოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ“, რომელიც ნათლად და ხმამაღლა ამბობს, რომ ქვეყანაში მწვავედ დგას სიღარიბის და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. დოკუმენტი ასევე გვეუბნება, რომ მომავალი წლების უმნიშვნელოვანესი მიზანია აგროსასურსათო სექტორის განვითარება ისე, რომ მან შეძლოს მოსახლეობის ხარისხიანი პროდუქტით დაკმაყოფილება. განვითარებული აგროსექტორი ხელს შეუწყობს კონკურენტულ უპირატესობას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

კონკრეტულ ქვეყანასა თუ რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგრო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, თუმცა მათგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შევისწავლოთ ეს ფაქტორები და მათ შესახებ არსებული ინფორმაცია საქართველოს მაგალითზე. ძირითადი ფქტორებია:

კლიმატური პირობები - საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატი ხელშემწყობ პირობებს ქმნის მრავალნაირი ხილის, ბოსტნეულის, თუ მარცვლეულის მოსაყვანად და გადასამუშავებლად. საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომლებიც ასევე მოიცავს საძოვრებს და მდელოებს.

დანარჩენი ფართობის 43% დაფარულია ტყის საფარით. ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს ბიოსფერო მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაცგანპირობებულია 12 განსხვავებული ზონისა და 49 სხვადასხვა ნიადაგის არსებობით (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015). საქართველოში ვხვდებით ბევრ მდინარეს, ასევე ქვეყანა ესაზღვრება შავ ზღვას, რაც ხელს უწყობს მეთევზეობის განვითარებასაც. ქვეყნის ტერიტორიაზე მოიძებნება თითქმის ყველა მცენარის, ბოსტნეულისა თუ მარცვლეულის მოსაყვანად აუცილებელი კლიმატი.

დანახარჯები - საქართველოს გააჩნია მზარდი ეკონომიკა, ლიბერალური შრომის ბაზარი და დაბალი შრომის დანახარჯები. დაბალი, ფიქსირებული გადასახადები და გამარტივებული საგადასახადო ადმინისტრირება უპირატესად ხელსაყრელია ექსპორტიორებისათვის. ქვეყანაში დღემდე აქტუალურია დასაქმების პრობლემა, რაც უზრუნველყოფს იაფ მუშა ხელს ინვესტორისა თუ დამქირავებლისთვის. სხვა პროდუქტებთან ერთად, საქართველოს გააჩნია კონკურენტუნარიანი წყლის და ენერგო რესურსები, რაც ერთერთი ყველაზე ძვირადღირებული რესურსია ბევრ რეგიონში.

მოთხოვნა აგრო პროდუქტებზე - ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები ევროპასა და სხვა რეგიონებთან, ასევე ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი და რეგიონული მოთხოვნილების ზრდა, საქართველოს მიმზიდველს ხდის როგორც აგრობიზნესის განვითარების, ასევე ექსპორტის თვალსაზრისით. ისტორიულად საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ძირითადი წილი მიდიოდა რუსეთის ფედერაციის ბაზარზე, რის გამოც დამოკიდებული ვიყავით ერთი ქვეყნის ეკონომიკასა და შეხედულებებზე. დღესდღეობით მოქმედებს 2014 წლის 27 ივნისს

ხელმოწერილი DCFTA-ს შეთანხმება (Europian Comission, 2016). საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდიდან[26] ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ შეთანხმებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისთვის, რადგან DCFTA-ს ამოქმედებით საქართველოში წარმოებულ საქონელს გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც შედგება 28 ქვეყნისა და 500 მილიონზე მეტი მომხმარებლისგან. საქონლის ამ ბაზარზე გატანა გააძლიერებს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს, საქართველო გახდება მიმზიდველი ინვესტორებისთვის და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

კანონმდებლობა - საქართველოში აგრობიზნესის წარმოება ნიშნავს გამარტივებული, ხელსაყრელი და გააზრებული საგადასახადო კანონმდებლობით და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობას. სსკ-ს 82 მუხლში შესული ცვლილების საფუძველზე (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2016) 150 000 ლარიდან 200 000 ლარამდე გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ იბეგრება. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სახელმწიფოსთვის სექტორის განვითარების პრიორიტეტულობას და დამწყები მეწარმეებისთვის შეღავათიანი და ხელშემწყობი პირობების არსებობას. მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქვეყანას სჭრდება მეტად ლოალური საგადასახადო სისტემა წარმოების განვითარებისთვის, იაფი გადასახადები, სუბსიდიები და ა.შ.

აგროსფეროს განვითარების პრობლემებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ხალხის აზრი, რომლებიც უშუალოდ აწყდებიან აღნიშნულ პრობლემებს ყოველდღიურ

[26] http://www.moa.gov.ge/Ge/AboutDCFTA

საქმიანობაში. ჩატარებული მცირე გამოკითხვის (მეწარმეები, 2019) შედეგად, რომელიც მოიცავდა 30 რესპოდენტს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და სხვადასხვა მიმართულების აგროსფეროდან, გამოვლინდა სექტორში არსებული ტენდენციები, პრობლემური საკითხები და მოგვარების ალტერნატივები. მაგალითად, კითხვაზე, თუ რა არის აგროსფეროში დასაქმების ძირითადი მოტივატორი, 43%-მა დააფიქსირა რომ ეს არის პირადი საჭიროება და მაღალი მოთხოვნა სასურსათო პროდუქტებზე, 30%-მა დააფიქსირა აგრობიზნესში ჩართვის სიმარტივე, ხოლო 20%-მა სხვა ალტერნატივის არ არსებობა. გამოკითხვის შედეგად ასევე გამოვლინდა 4 მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან აგრობიზნესში დასაქმებული მეწარმეები: საჭირო რესურსებთან წვდომის სირთულე, ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, რეალიზაციის ბაზრების სიმცირე და აღნიშნულ სფეროში განათლების დაბალი დონე. რესპოდენტებმა ასევე დააფიქსირეს შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარება აგროსფეროს განვითარებაში. ესენია: საზოგადოებაში ქართული პროდუქციის რეკლამირება/პრომოუშენი; ექსპორტის გამარტივება და ახალი ბაზრების ძიება; შეღავათიანი აგროკრედიტები; მეწარმეთა განათლების დონის ამაღლება; ტექნოლოგიური განვითარება; აგრო დაზღვევის განვითარება და სხვა.

ქვეყნისთვის აგრო სფეროს განვითარების მნიშვნელობაზე და ამ სფეროს პრობლემებზე საუბრის შემდეგ აუცილებელია განვიხილოთ შესაბამისი ორგანოების მიერ ამ კუთხით განხორციელებული თუ დაგეგმილი ღონისძიებები, გადადგმული თუ გადასადგმელი ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნის, სექტორის განვითარების მისაღწევად. დღესდღეობით აგრო ბიზნესის კონტროლსა და განვითარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის მიერაც იქნა შემუშავებული ზემოთ უკვე ხსენებული დოკუმენტი - „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ“

(საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015). დოკუმენტში შეგვიძლია ამოვიკითხოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხედვა: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. აღნიშნულ ნაშრომში ვხვდებით 7 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას: აგრალურ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ინსტიტუციური განვითარება; მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება; რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა; კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. აღნიშნული მიმართულებების მიხედვით სამინისტრო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და კომერციალიზაციას.

დასკვნები: საქართველოში არსებული უდიდესი პოტენციალის მიუხედავად დღესდღეობით ვერ ხერხდება მისი სათანადო გამოყენება. აგრობიზნესს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, ასევე ქვეყანაში მრავალი ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების დაძლევისთვის. ადგილობრივი წარმოების განვითარება შეამცირებს საბაზრო ფასებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში შეინიშნება გარკვეული წინსვლა აგრობიზნესში, იზრდება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების კულტერების ნათესი ფართობები, პირუტყვის სულადობა, რძის

წარმოება, მეფრინველეობა. სახელმწიფო ახორციელებს პროექტს „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც ხდება შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა და საწარმოების დაფინანსება. ეს ყველაფერი კარგია, თუმცა არასაკმარისი და აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, საინფორმაციო სისტემის შექმნას, მოქნილი საკანომდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას, ხელმისაწვდომი რესურსების უზრუნველყოფას და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Europian Comission. (2016, July 1). Europian Comission. Retrieved from ec.europa.eu: http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/
2. Stat, G. (2019). Geostat.ge. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba
3. United Nations Organization. (2017, June 21). United Nations. Retrieved from www.un.org: https://www.un.org/development/desa/publications/world-population-prospects-the-2017-revision.html
4. მეწარმეები. (2019). აგრობიზნესის პრობლემების კვლევა. (ბ. კუტიბაშვილი, Interviewer)
5. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2016, 06 22). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. Retrieved from matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3318347?publication=0

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. თბილისი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

7. საქსტატი. (2018, October 28). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved from Geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

სამართალი

საზოგადოებრივი პროკურატურა ამერიკის შეერთბულ შტატებში და მისი პერსპექტივები საქართველოში
Public Prosecutor's Office in the United States and its Perspectives in Georgia

ნიკოლოზ დგებუაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი
ndgebuadze@pog.gov.ge
Nikoloz Dgebuadze - Georgian Technical University doctoral student
ndgebuadze@pog.gov.ge

რეზიუმე. საზოგადოებრივი პროკურატურის უპირველესი მიზანი საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა. აღნიშნული სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990 წლიდან და ამჟამად ექვს შტატში მოქმედებს.

ინსტიტუტის წარმატებამ ბიძგი მისცა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა შვედეთი, იაპონია ავსტრალია და ა. შ., დაენერგათ საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელი.

კრიმინალურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის სხვადასხვა მოდელი მოქმედებს.

ორეგონის შტატში საზოგადოებრივი პროკურატურის მიზანი დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება, მათი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის მარტივი გზების ძიებაა.

პორტლანდის საზოგადოებრივი პროკურატურა ძირითად ყურადღებას უთმობს მსუბუქი დანაშაულის პრევენციის მიზნით ეკონომიური და ეფექტური ღონისძიებების გატარებას. მართლმსაჯულების ადმინისტრირების ეს მოდელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით ბერკეტად ითვლება, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

ქალაქ სიეტლში საზოგადოებრივი პროკურატურის პილოტური პროექტების დანერგვა 1990 წელს დაიწყო. მისი ძირითადი ასპექტი არა უკვე ჩადენილ დანაშაულებზე ორიენტირება, არამედ მათი ადრეულ ეტაპზე გამოაშკარავება და აღკვეთაა .

რედ ჰუკის საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელი ორიენტირებულია სოციალურ და საზოგადოებაზე მორგებული პროგრამების დანერგვასა და მათ განხორციელებაზე.

საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის განხორციელება 2006 წელს დაიწყო. თავდაპირველად იგი დაინერგა მცხეთის, თელავის და ძველი თბილისის პროკურატურებში. ამჟამინდელი მდგომარეობით კი პროექტი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს.

Resume. Community Prosecution targets on campaigning against crime though cooperation with society. Community Prosecution has been functioning successfully in the United States since 1990 and it is currently implemented in 6 different states.

The success of the institution motivated other countries, such as Sweden, Japan, Australia and others to implement various models of Community Prosecution in their justice system.

United States Administers different models of Community Prosecution in aspiration of creating criminally secure environment.

The State of Oregon targets its Community Prosecution on establishing solid relationship with society, identifying their problems and seeking smooth solutions to achieve the goals of crime prevention.

The state of Portland pays great attention to misdemeanor prevention through smoother and economical measures. This type of justice administration is considered to be one of the most efficient tools proven by statistics.

In the city of Seattle the pilot projects of Community Prosecution took off in 1990. The core aspect of the project is revealing the crime before it is committed and suppression on early phase.

Community Prosecution by Red Hook is directed on implementation and utilization of social and public oriented projects.

Community Prosecution in Georgia which is known as Prosecutor's Service of Georgia started in 2006 and initially it was implemented through Mtskheta, Telavi and Old Tbilisi District Prosecutors' Offices. Currently the project is functioning nationwide.

ძირითადი ტექსტი. საზოგადოებრივი პროკურატურის უპირველესი მიზანი საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა. აღნიშნული სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990 წლიდან და დღეის მდგომარეობით 6 შტატი მოიცვა. საზოგადოებრივი

პროკურატურის წარმატებულობამ ბიძგი მისცა სხვა ქვეყნებსაც (შვედეთი, იაპონია ავსტრალია და ა. შ.) დაენერგათ საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელი.

სანამ საზოგადოებრივი პროკურატურის მნიშვნელობასა და როლზე გადავალთ აუცილებელია გავიგოთ რა არის პროკურატურა:

პროკურატურა არის ორგანო, რომელიც საპროცესო ხელმძრვანელობას უწევს გამოძიებას; სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას; აწარმოებს გამოძიებას პოლიციის მუშაკების, თანამდებობის პირების და სხვათა მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე.

პროკურატურის ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე საზოგადოებაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ პროკურატურა იყო სადამსჯელო რეპრესიული დაწესებულება, ხოლო პროკურორი მკაცრი, უგულო და არაკომუნიკაბელური.

ამ შეხედულებების შეცვლის მიზნით 2006 წელს დაიწყო საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის განხორციელება. საქართველოში თავდაპირველად იგი დაინერგა მცხეთის, თელავის და ძველი თბილისის პროურატურებში. დღეის მდგომარეობით ეს პროექტი მთელი საქართველოს მაშტაბით ფუნქციონირებს. (http://pog.gov.ge/geo/public).

პროექტის ძირითადი მიზანია:

- საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება-ამაღლება პროკურატურის სისტემის და თვით პროკურორების მიმართ.
- პროკურატურის ჩართულობა საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში
- დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისზიებების განხორციელება.

ამდენად, საზოგადოებრივი პროკურატურა საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურა არ ელოდება

დანაშაულის ჩადენას, არამედ ცდილობს მის დროულად გამოაშკარავებას და ადრეულ ეტაპზე აღკვეთას.

უსაფრთხო გარემოს შექმნის კუთხით ამერილის შეერთბულ შტატებში საზოგადოევბრივი პროკურატურის პროექტი სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, განვიხილოთ თითოეული მათგანი,

<u>ორეგონის შტატში (კლაკამას ადმინისტრაციული ერთეული)</u>

ორეგონის შტატის საზოგადოებრივი პროკურატურის მიზანი დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება, მათი პრობლემების იდენტიფიკაცია და გადაჭრის მარტივი გზების ძიებაა.

კლაკამას საზოგადოებრივი პროკურატურის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:

- საზოგადოებრივი და ტრადიციული პროკურორის ფუნქციების სინთეზი;
- საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობა, შეხვედრების ორგანიზება და პრობლემათა იდენტიფიკაცია;
- პრობლემათა გადაჭრის მარტივი და ეფექტური გზების ძიება; ღონისძიებათა გატარება, რომელიც შეეხება არამარტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ სოციალურ სფეროსაც;
- სოციალური საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტებულია მოხალისეებისა თუ საზოგადოებრივად აქტიური წევრებისგან, რომელთაც თავის მხრივ, მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან, ასევე საზოგადოებასთან. ისინი ასრულებენ შუამავლის როლს საზოგადოებასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის;
- პრობლემათა გადაჭრის მიზნით, სხვადასხვა სახის პროექტების/პროგრამების შემუშავება;
- პროგრამების/პროექტების იმპლემენტაციის მიზნით ბიზნესთან მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა.

ორეგონის შტატი 37 ადმინისტრაციულ ერთეულად არის დაყოფილი. თითოეული შტატში ფუნქციონირებს პროკურატურის

სამსახური სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივი და ტრადიციული პროკურორის ფუნქციები კომბინირებულია.

საზოგადოებრივმა პროკურატურამ, ნარკოტიკული და სხვა მსუბუქი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით, შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც კერძო საკუთრების მფლობელებთან მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს. მისი მიზანი, დანაშაულის ადრეულ ეტაპზე პრევენციის მიზნით, პირის სამეზობლოდან გასახლებაა.

ამ მიზნის მიღწევისთვის პროგრამა ითვალისწინებს კერძო საკუთრების მფლობელთა პასუხისმგებლობის მექანიზმის შემოღებას, რომლებიც ვალდებულნი ხდებიან გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა დაწესებულების (შენობის) შიგნით აღიკვეთოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა შენობის განათება, საკეტებით უზრუნველყოფა და სხვა მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება.

მესაკუთრესთან ურთიერთობის გამარტივების მიზნით შეიქმნა განაცხადის ფორმა, რომლის მიზანი დანაშაულებრივი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე პრევენციაა. მესაკუთრე ვალდებული ხდება (მოხალისე) სამოქალაქო აქტის განხორციელების მომენტში წარადგინოს შევსებული განაცხადის ფორმა, რომელშიც მოცემულია საკუთრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამავე დოკუმენტით იგი თანხმობას გამოხატავს პროკურატურასთან თანამშრომლობაზე და ერთობლივად პრევენციულ ღონისძიებაში ჩართულობაზე. ამ ფორმით პროკურატურის მუშაკები ინფორმირებულები ხდებიან კონკრეტულ სამეზობლოში შესაძლო დანაშაულის მომზადებაზე, რაც შესაძლებელს ხდის ადრეულ ეტაპზევე განხორციელდეს დანაშაულის პრევენცია.

<u>კლაკამას საზოგადოებრივი სასამართლო</u>

საზოგადოებრივი სასამართლოსათვის დამახასიათებელია არაფორმალური გარემო. საქმე განიხილება 1 მოსამართლის მიერ. განხილვის პროცესში მონაწილეობენ დამცველი და საზოგადოებრივი პროკურორი, სოციალური მუშაკი. საზოგადოებრივი სასამართლოს მიზანი პირის გასამართლებით/დასჯით არ შემოიფარგლება, არამედ მისი უმთავრესი ფუნქცია, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის გამოსწორება, რეაბილიტაცია და გამოსავლის ძიებაა. სასამართლო სხდომის დაწყებამდე უკვე მიღწეულია კომპრომისი მხარეებს შორის. შესაბამისად, საქმე არსებითად არ განიხილება. მოსამართლე დასკვნით სიტყვაში მიმართავს განსასჯელს და მასზე ახორციელებს მორალურ ზემოქმედებას და ყურადღებას ამახვილებს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის უარყოფით შედეგებზე.

საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს საქმეებს მხოლოდ მსუბუქ დანაშაულებზე და აკისრებს მას სასჯელს, რომელიც უმეტესად მოიცავს საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულებას. მსჯავრდებულის მიერ დაკისრებული მოვალეობისგან თავის არიდება იწვევს საქმის ხელმეორედ განხილვას (გადასინჯვას), რაც არ გამორიცხავს მის მიმართ სასჯელის (აღკვეთი ღონისძიების) გამოყენებას. პრაქტიკაში მოსამართლეები თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ რამოდენიმე დღის ვადით გამოიყენებენ.

აღსანიშნავია მოსამართლის გადაწყვეტილების სამართლებრივი ხასიათი და მისი გასაჩივრების პროცედურა. როგორც წესი, საზოგადოებრივი მოსამართლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება, თუმცა არსებობს გამონაკლისი, როცა მოსამართლე მოქმედებს მისი დისკრეციის (კომპეტენციის) ფარგლებს გარეთ. ნებისმიერ დანარჩენ შემთხვევებში, მოსამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება დანაშაულთა სტატისტიკურ მაჩვენებელს აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი პროკურატურის ეფექტი მძიმე დანაშულებზე ნაკლებად შეინიშნება და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან,

საზოგადოებრივი პროკურატურის უპირველესი ფუნქცია მსუბუქი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

ხაზგასასმელია საზოგადოებრივ სასამართლოსთან არსებული მოხალისეთა ჯგუფი (სოციალური საბჭო), რომელიც პერმანენტულად ურთიერთობს საზოგადოებასთან, ისევე როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან.

სასამართლოს ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი პროექტების შემუშავება (ბავშვების ან მათი მშობლებისთვის სათანადო კითხვარების შემუშავება და ამ გზით მათი პრობლემების იდენტიფიკაცია, ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება); ბიზნესის ჩართვა სხვადასხვა საზოგადოებრივ პროექტებსა და ღონისძიებებში. ბიზნესის მხრიდან მსგავსი პროექტების დაფინანსებას მათთვის სასარგებლო ეფექტი გააჩნია იმის გათვალისწინებით, რომ უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივად უსაფრთხო გარემოს შექმნა მათი მთავარი ინტერესია.

<u>ორეგონის შტატი (პორტლანის ადმინისტრაციული ერთეული)</u>

უბანი, სადაც განწესებულია 5 საზოგადოებრივი პროკურორი, რომელთა მთავარი ფუნქცია საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირია.

აღსანიშნავია, რომ კლაკამას საზოგადოებრივი პროკურატურის სისტემისგან განსხვავებით, პორტლანდში საზოგადოებრივი პროკურატურა ცალკე, ტრადიციული პროკურატურისგან იზოლირებულად მოქმედებს.

პორტლანდის საზოგადოებრივი პროკურატურა უდიდეს ყურადღებას უთმობს მსუბუქი დანაშაული პრევენციის მიზნით მარტივი (უფასო) ღონისძიებების ეფექტურ გატარებას, რაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ბერკეტია, რაზეც სტატისტიკური მაჩვენებელიც მეტყველებს. (მაგალითისთვის: სკვერში, რომელიც ხშირად ბანდების თავშეყრის ადგილია, განსხვავებული მიმდინარეობის აუდიო მუსიკის ჩართვა (მაგალითად ფრენკ სინატრა), რაც მათ დაშლას

იწვევს, ვინაიდან ბანდის წევრები, როგორც წესი, ნაკლებად ეგუებიან მსგავსი ჟანრის მუსიკის მოსმენას).

ხაზგასასმელია, საზოგადოებრივი პროკურატურის, ერთის მხრივ, პოლიციასთან, მეორეს მხრივ, საზოგადოებასთან თანამშრომლობა. ინფორმაციის გაცვლის მიზნით პორტლანდში იმართება ყოველთვიური შეკრება პოლიციისა და საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენლებს შორის, ხოლო კვირაში 3 ჯერ საზოგადოებასა და პროკურორებს შორის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ''პირველი ხელიდან.''

<u>სიეტლის საზოგადოებრივი პროკურატურა</u>

ქ. სიეტლში საზოგადოებრივი პროკურატურის პილოტური პროექტები დაიწყო 1990 წელს. 1994-96 წწ ფაქტიურად განისაზღვრა საზოგადოებრივი პროკურატურის როლი. პროკურორის კომპეტენცია ტრადიციული როლით აღარ შემოიფარგლება, იგი მხოლოდ საქმისმწარმოებელი და ბრალმდებელი როდია, არამედ მის უფლებამოსილებას შეადგენს სხვადასხვა ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, საზოგადოებრივი პრობლემების იდენტიფიკაცია, მათი გადაჭრის გზების ძიება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოების წევრთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

სიეტლის საზოგადოებრივი პროკურატურისთვის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ პრობლემების გადაჭრა საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის გზით;
- ✓ სამიზნე არეალის იდენტიფიკაცია;
- ✓ თანამშრომლობა სხვადახვა ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან;
- ✓ გრძელვადიანი სტრატეგიის დანერგვა;
- ✓ ისეთი დანაშაულების გამოაშკარავება, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოვრების ხარისხზე;

✓ ქალაქის მუნიციპალიტეტთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა.

საზოგადოებრივი პროკურატურის ფინანსური რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრება.

როგორც სიეტლის საზოგადოებრივი პროკურორი განმარტავს: ''საზოგადოებრივი პროკურატურის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ ველოდებით დანაშაულის ჩადენას, არამედ ვცდილობთ მის დროულად გამოაშკარავებასა და ადრეულ ეტაპზე აღკვეთას.''

სიეტლი ის ქალაქია, სადაც დაიწყო სხვადასხვა ექსპერიმენტული პროექტების დანერგვა. მაგალითად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროკურორები რეგიონალურ პრინციპით არიან გადანაწილებულნი, თავდაპირველად, გამოიყენებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა სატელეფონო კავშირების მეშვეობით. თუმცა, ამ მოდელმა არ გაამართლა, რის შემდეგაც დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც თითოეული პროკურორი მისივე სამოქმედო ტერიტორიაზე არის განთავსებული.

ამავდროულად, დამკვიდრებული წესის თანახმად, წელიწადში ერთხელ ეწყობა ყველა შტატის საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც ხდება აზრთა გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

სიეტლის ძირითადი პრობლემატიკა მანისფესტაციების სიხშირესა და კლუბების სიმრავლეში მდგომარეობს. ამიტომ, საზოგადოებრივი პროკურატურის ძალისხმევა ამ კუთხით არის მიმართული. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგისა და სათანადო პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით ხდება ორგანიზატორთა, მანიფესტაციის პოტენციურ მონაწილეებთან შეხვედრა და მათი გეგმების, მიზნების თუ პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოაშკარავება. რაც შეეხება კლუბებს, ვინაიდან შტატის კანონმდებლობის მიხდვით კლუბები არ საჭიროებენ ლიცენზიას, მათი დახურვაც ზედმეტი პრობლემების გარეშე ხორციელდება.

<u>რედ ჰუკის (ნიუ იორკი) საზოგადოებრივი პროკურატურა</u>

რედ ჰუკის საზოგადოებრივი სასამართლო ისეთივე წესებით მოქმედებს, როგორც ზემოაღნიშნული ორეგონის შტატის საზოგადოებრივი სასამართლო. თუმცა, იგი ორეგონისგან განსხვავებით ოფიციალური სასამართლო ატრიბუტებითაა აღჭურვილი.

გავრცელებული პრაქტიკის თანახმად პირს, რომელიც არ შეასრულებს საზოგადოებრივი სასამართლოს მოთხოვნებს, უფრო მეტ ხანს გაატარებს გისოსებს მიღმა, ვიდრე ტრადიციული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაატარებდა მსჯავრდებული.

დაწესებულია სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგი, რომელშიც ჩართულია როგორც მოსამართლე, ასევე დაცვის მხარე, პროკურორი და სოციალური მუშაკი.

რედ ჰუკის საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ფუნქციონირებს არაერთი სოციალური თუ საგანმანათლებლო პროგრამები:

1. სოციალური პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს დანაშაულებრივ საქმიანობაში შემჩნეული პირის შემოწმებას სოციალური მუშაკების მიერ და სასამართლოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას. სოციალურ მუშაკებს აქვთ მუდმივი კონტაქტი ბრალდებულთან, მისი ოჯახის წევრებთან.

2. ახალგაზრდული სასამართლო (იმიტირებული პროცესები). იმიტირებულ სასამართლო პროცესებში უზრუნველყოფილია იმ პირთა (არასრულწლოვანთა) ჩართვა, რომლებმაც მსუბუქი დანაშაული ჩაიდინეს. იმიტირებულ პროცესზე როდი ხდება ამ პირთა განსჯა, არამედ მისი მიზანი ჩადენილი დანაშაულის მსგავსი ჰიპოთეტური საქმის იმიტაციაა. მასში მონაწილეობას იღებენ არასრულწლოვანები, რომლებიც მოსამართლის, მსაჯულის, დამცველის და ბრალდების როლში გვევლინებიან. იმიტირებული

სასამართლო პროცესების მიზანი არასრულწლოვნისთვის სათანადო სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბება, მათთვის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა.

3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების პროგრამა. მასში გაწევრიანებულია სხვადახვა ასაკის მქონე პირები, რომლებიც ყოველწლიურად ათასობით ადამიანს უწევენ დახმარებას. მათი მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივ საქმიანობაში რაც შეილება დიდი რაოდენობის პირთა ჩართვაა.

4. სასწავლო პროგრამა. საზოგადოებრივი პროკურატურის შენობაში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს იმ პირთა სასწავლო პროცესში ჩართვას, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხეს სკოლის დამთავრება. ამ გზით ხდება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ცხოვრებისგან მოკვეთა, მათთვის საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება.

5. TK პროგრამა ამ პროგრამის მიზანი იმ არასრულწლოვნებისთვის დახმარების აღმოჩენაა, რომლებიც თავიანთი უმუშევრობის ან განათლების არქონის გამო ჩართულნი არიან სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში, მისდევენ ''ქუჩურ ცხოვრებას.'' ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არასრულწლოვნებზე დაკვირვება და მათთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, დასაქმების ჩათვლით.

ამდენად ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი პროკურატურის მოქმედების ძირითადი საფუძვლებია:

❖ **საზოგადოებრივი პროკურატურისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა.** საზოგადოებრივი პროკურორის კომპეტენცია ტრადიციული უფლებამოსილებით აღარ შემოიფარგლება, არამედ იგი მოიცავს საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სახის პრობლემათა იდენტიფიკაციის მიზნით და ამ პრობლემათა გადაჭრის მარტივი და ეფექტური ღონისძიებების გამოყენებას.

❖ **ტრადიციული პროკურორის მიერ საზოგადოებრივი პროკურორის უფლებამოსილების შეთავსება.** ზემოთ აღინიშნა, რომ არსებობს 2 სახის საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელი. პირველი, როცა საზოგადოებრივი პროკურორი იმავდროულად ინარჩუნებს ტრადიციული პროკურორის უფლებამოსილებას (კლაკამას ადმინისტრაციული ერთეული), და მეორე, საზოგადოებრივი და ტრადიციული პროკურორის უფლებამოსილების კომბინირებული ვარიანტი (სიეტლი, რედ ჰუკი).

❖ **სხვადასხვა სახის პროექტების/პროგრამების შემუშავება.** პროექტების/პროგრამების განხორციელება ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროკურატურის ფუნქციების ეფექტურ რეალიზაციას და როგორც წესი, უდიდესი ეფექტი გააჩნია საზოგადოებრივ პრობლემათა გამოაშკარავებისა და მათი გადაჭრის კუთხით. მაგალითად: მსჯავრდებულის/დაზარალებულის სარეაბილიტაციო სოციალური პროგრამები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, სხვა საგანამანათლებლო თუ სპორტული ღონისძიებები.

❖ **ბიზნესთან ურთიერთობა, როგორც საზოგადოებრივი პროკურატურის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი**. საზოგადოებრივი პროკურატურის ბიზნესთან ურთიერთობას ორმაგი ეფექტი გააჩნია: პირველი, ბიზნესის ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტების/პროგრამების დაფინანსებაში და მეორე, ამ გზით სახელწიფო ბიუჯეტში სათანადო ფინანსური სახსრების დაზოგვა. უპირველეს ყოვლისა, ბიზნესი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული მონაწილეობა მიიღოს მსგავს საზოგადოებრივ ღონისძიებებში, ვინაიდან სწორედ მათი უპირველესი მიზანია მოღვაწეობდნენ საზოგადოებრივად უსაფრთხო გარემოში.

❖ **საზოგადოებრივი პროკურატურის შიგნით მოხალისეთა ჯგუფის (სოციალური საბჭოს) ჩამოყალიბება.** ჯგუფი დაკომპლექტებულია მოხალისეებისა და საზოგადოებრივად

აქტიური წევრებისაგან, რომელიც თანამშრომლობს, როგორც სამართალდამცველებთან, ისე საზოგადოებასთან - აკისრია შუამავლის როლი საზოგადოებასა და პროკურატურას შორის. იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროკურატურისა და საზოგადოების თანამშრომლობას, ეხმარება მათ პრობლემათა იდენტიფიკაციასა და გადაჭრაში. გარდა ამისა, ჯგუფის წევრები მონაწილეობენ სოციალური პროგრამების შემუშავებაში, რომელიც ხელს უწყობს მსჯავრდებულისა და დაზარალებულის გამოსწორებას, საზოგადოებაში მათ რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციას.

❖ **კონტაქტების დამყარება საჯარო და კერძო სექტორთან, ქალაქის მმართველობასთან და მათთან მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა.** უწყებების კოორდინირებული მუშაობით ხდება პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, კოლეგიალურად მათი გადაჭრის გზების მოძიება და გადაწყვეთა.

❖ **გარკვეული პერიოდულობით საზოგადოებრივი პროკურორების საზოგადოებასთან, პოლიციასთან და სხვადასხვა რეგიონების საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენლებს შორის შეხვედრების ორგანიზება.** ასეთი შეხვედრების მიზანი გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ინფორმაციის გაცვლაა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ის პრაქტიკა: პორტლანდში იმართება ყოველთვიური შეკრება პოლიციისა და საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენლებს შორის, კვირაში სამჯერ საზოგადოებასა და საზ. პროკურატურას შორის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ''პირველი ხელიდან.'' ამასთან, ქ. სიეტლში წელიწადში ერთხელ ეწყობა ყველა შტატის საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც ხდება აზრთა გაცვლა და გამოცდილების გაზიარება

❖ **საზოგადოებრივი სასამართლოს სისტემის იმპლემენტაცია.** ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი პროკურატურა და საზოგადოებრივი სასამართლო ერთი სისტემის ორი განუყოფელი ნაწილია.

საზოგადოებრივი პროკურატურა საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელი მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს. მისი ელემენტები სხვადასხვა ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით სხვადასხვაა. საზოგადოებრივი პროკურატურა მიზანმიმართულად მუშაობს კონკრეტული ტერიტორიული ერთეულისთვის დამახასიათებელი დანაშაულის პრობლემაზე და შესაბამისად აწყობს მისი ეფექტური მოქმედებისთვის საჭირო მოდელს. საქართველოში აღნიშნული მოდელის განსახორციელებლად თავდაპირველ ეტაპზე (2006 წელს) შეირჩა ქალაქი მცხეთა, სადაც ჩატარდა საზოგადოების გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო დანაშაულისა და მართლმსაჯულების სისტემის, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლო ხელისუფლების თაობაზე საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრა. გამოკითხვა ასევე შეეხებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხებს, გარკვეული დანაშაულის პრევენციაში პროკურატურის როლს და ა. შ.

რაიონულმა პროკურატურამ შეიმუშავა პრობლემების გადაჭრის სტრატეგია და გეგმა. შექმნა ადგილობრივი სათათბირო საბჭო, რომელშიც შევიდნენ დაინტერესებული ორგანიზაციების/უწყებების წარმომადგენლები, საბჭოს მეშვეობით განხორციელდა პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რომელიც დანაშაულის შემცირებასა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. მცხეთის რაიონში დანერგილმა პროექტის წარმატებულობამ და ეფექურობამ ბიძგი მისცა დამატებით ექვს რაიონში (თელავი, ბათუმი, რუსთავი, ძველი თბილისი, გორი ქუთაისი) მის დანერგვას, ხოლო დღეის მდგომარეობით იგი საქართველოს ყველა რაიონში ფუნქციონირებს.

საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტს წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემების განხილვა მოსახლეობის წარმომადგენლებთან და, ამასთანავე, არასრულწლოვანთა ინფორმირება დანაშაულის,

პროკურატურისა და გამოძიების პროცედურის, სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი მიმართულების შესახებ. ვინაიდან არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა მეტად აქტუალურია დღევანდელ საზოგადოებაში, პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფად არჩეულ იქნენ არასრულწლოვნები. პერმანენტულად ხორციელდება მათი ინფორმირება დანაშაულის, პროკურატურისა და გამოძიების როლის, სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან და პოტენციურ დამნაშავეებთან პროფილაქტიკურ მუშობას.

სოციალური ღონისძიებები - პროექტის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, შემეცნებითი, გასართობი, შრომითი, გაცნობითი ხასიათის და საქველმოქმედო ღონისძიებები. მას არ აქვს ერთჯერადი ხასიათი, იგი პერმანენტულად მიმდინარეობს. თითოეულ რაიონში მთელი წლის მანძილზე ხორციელდება მრავალი ღონისძიება, რაც საზოგადოების მხრიდან დიდ ინტერეს იწვევს და მნიშვნელოვანდ ზრდის საზოგადოების ჩართულობას ამ პროექტში.

- **ლექცია-სემინარებირაიონის საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში** - პროექტის დაწყებიდან დღემდე, პროკურორების მიერ წარმატებით ხორციელდება შეხვედრები და დისკუსიები სამართლებრივ თემებზე, როგორიცაა მოზარდებში გავრცელებული დანაშაულები (ქურდობა, ძარცვა, ცივი იარაღის ტარება, ხულიგნობა, და სხვა) დისკუსიები იმართბა მათთვის საინტერესო თემებზე, ასევე ოჯახურ ძალადობასა და ბულინგის ფაქტებზე. პროკურორები არასრულწლოვნებს უნმარტავენ თავიანთ სამართლებრივ უფლებებს.
- **შეხვედრები მოსახლეობასთან** - პროკურორები პერმანენტულად ადგილობრივი თვითმართველობის წარმოადგენლებთან და პოლიციის მუშაკებთან ერთდ შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან. მისი მიზანია იდენტიფიცირებული იქნეს პრობლემები და ერთობლივად დაიგეგმოს მათი გადაჭრის

გზები. პრობლემური საკითხები შეიძლება იყოს, როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური და მათი დროული გადაწყვეტა ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას.

- **საინფორმაციო ბუკლეტები** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში სამართლებრივ თემებზე მომზადდა მრავალი სახის საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა დანაულს, მაგალითად ნარკომანიას, ქურდობას, ქურდული სამყაროს წევრობას, თაღლითობას, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარებას, დაზარლებულის, არასრულწლოვნის და ქალთა სამართლებრივ უფლებებს. ბუკლეტები, მათი გავრცელების მიზნით, თავსდება საზგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, ასევე პროკურორები მათ ავრცელებდნენ მოსახლეობასთან და მოზარდ ახალგაზრდობასთან შეხვედრებისას.
- **იმიტირებული პროცესები** - უნივერსიტეტებში, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს შორის ტარდება შეჯიბრებები იმიტირებულ სასამართლო პროცესებში. პროკურორები მათ უნმარტავენ პროცესის მონაწილე წევრების უფლება მოვალეობებს და ამზადებენ იმ უნარ ჩვევებში, რაც აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად. **სპორტული ღონისძიებები** - სკოლებში ტარდება მრავალი სახეობის სპორტული შეჯიბრები. არაერთი ჩემპიონატი გაიმართა ფეხმბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ძიუდოში, მკლავჭიდში და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობას ახალგაზრდობასთან ერთად იღებენ პროკურორები, პოლიციის მუშკები, პრობაციონერები, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები.
- **ექსკურსიები და დასუფთავების აქციები** - პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და სახელმწიფო უწყებებში, მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად ტარდება დასუფთავების და გამწვანების აქციები.

➢ **ხატვის კონკურსი და ნამუშევართა გამოფენა** - სკოლებში ეწყობა ხატვის კონკურსები სხვადასხვა სამართლებრივ თემატიკაზე. ნახატებს აფასებენ ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები და გამარჯვებულებს გადაეცემათ სიგელები. ბოლო ასეთი კონკურსი სკოლებში ჩატარდა მთელი საქართველოს მაშტაბით 2018 წელს თემაზე „ოჯახური ძალადობა.“

➢ **საქველმოქმედო აქციები** - ბავშვთა სახლებში და თავშესაფრებში, ასევე უნარშეზღუდულ ბავშვთა თავშესაფრებში ეწყობა საქველმოქმედო აქციები. ასევე პროკურორები აწყობენ უნარშეზღუდული ბავშვების მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენას და ეხმარებიან მათ ამ ნივთების რეალიზაცია პოპულარიზაციაში.

➢ **დასაქმება** - პროკურორების ხელშეწყობით სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმდა 10-მდე ახალგაზრდა, მათ შორის არიან პრობაციონერები და უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

➢ **სპექტაკლი** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში ჩართული ერთ-ერთი რაიონული პროკურატურის ინიციატივით სკოლის მოსწავლეებმა პროფესიონალ მსახიობებთან ერთად გაითამაშეს როლები სპექტაკლ „ჭაობში“. სპექტაკლი ეხებოდა ნარკომანიას, ცივ და ცეცხლსასროლ იარაღის ტარებას და აზარტულ თამაშებს.

➢ **პროფესიული გადამზადება** - საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში ჩართული რაიონული პროკურატურები აქტიურად თანამშრომლობენ პროფესიული გადამზადების ცენტრებთან, სადაც პროკურორების შუამდგომლობით სასწავლო სპეციალურ კურსებს გადიან პრობაციონერი არასრულწლოვნები მომავალში მათი დასაქმების პერსპექტივით.

განმეორებით ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგად გაირკვა შემდეგი: გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა უკვე ფლობს ზოგად ინფორმაციას პროკურატურის შესახებ, იციან

თავიანთი უფლებები და მოვალეობები. პროკურორის, როგორც პიროვნების დახასიათებისას არიან ნაკლებად რადიკალურები, ვიდრე იყვენენ პროექტის დაწყებამდე ჩატარებული კვლევის დროს. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მათთან უშუალო ურთიერთობით ერთგვარად შემცირდა შიშის განცდა, ხოლო დანაშაულის პრევენციის კუთხით, მიმდინარე სტატისტიკურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საგრძნობლად შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რაც პროექტის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, საზოგადოებრივი პროკრატურა თავისი ფუნქციებით ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციას, პროკურატურის სისტემის გამჭვირვალობას, მათ საქმიანობაში საზოგადოებრივ ჩართულობას და ცნობიერების ამაღლებას, ასევე დამნაშავე პირების რესოციალიზაციას და დემოკრატიულ პრინციპეპზე დაფუძნებული სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის დაწყებიდან დღემდე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროექტი, მისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმატებით მიმდინარეობს. მიუხედავად მცირე დროისა ძნელია რადიკალური ცვლილებების მოხდენა, ერთის მხრივ, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული პროკურორის კლასიკური გაგების და მისი ფუნქციების და მდგომარეობის გათვალისწინებით, და მეორეს მხრივ, თავად საზოგადოების ცნობიერებაში სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ღრმად გამჯდარი უარყოფითი დამოკიდებულებების გამო. როგორც უკვე აღინიშნა, პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი სოციალური თუ პრევენციული ღონისძიება ასევე კულტურული, თუ სპორტული აქტივობა, რომლებმაც პოზიტიური როლი ითამაშეს არაერთი მოქალაქის პირად ცხოვრებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. სისხლის სამართლის კოდექსი
3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
4. კანონიო პროკურატურის შესახებ
5. არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსი
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
7. არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია საზოგადოება საქართველოში“ ჩატარებული კვლევა
8. საპროკურორო სამართალი (მიხეილ მამნიაშვილი, თემურ მონიავა) 2015 წელი
9. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონი
10. არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია საზოგადოება საქართველოში“ დაკვეთით შეხრულებული კვლევა

განათლება

ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობა
The Importance of Adult Education

ლია ანთაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
მაგისტრი
likalika095@gmail.com
Lia Antadze - Georgian National University SEU
Master
likalika095@gmail.com

რეზიუმე. სტატიაში მითითებულია, რომ განათლებაზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება და განთლება გვაძლევს წინსვლის საშუალებას. აქ საუბარია ზრდასრულთა განათლებაზე, თუ რა არის ზრდასრულთა განათლება, არაფორმალური სწავლა, მათი ფსიქოლოგიური ასპექტი, დინამიური სწავლის მნიშვნელობა. ევროპის მნიშვნელობა ამ საკითხთან მიმართებაში, გასათვალიწინებელი გარემოებები, რომელიც დაგვეხმარება სრული ფორმის ჩამოყალიბებაში. ქართული რეალობა და საქართველოს სასწავლებლების მზაობა სიახლეთან დაკავშირებით, ასევე განხილულია ნიგერიის მაგალითი. მკვეთრად გამოხატულია ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობით.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ზრდასრულთა განათლება, არაფორმალური განათლება, ფსიქოლოგიური ასპექტი, სასწავლო მეთოდოლოგია, ეკონომიური ზრდა/განვითარება.

Rezume. The article points out that the demand for education is increasing day by day and that education has given us the opportunity to move forward. Here we talk about adult education, what is adult education, informal learning, their psychological aspect, the importance of dynamic learning. Europe's importance in this regard, the circumstances that will help us to shape it fully. The Georgian reality and the readiness of Georgian schools to innovate are also discussed in Nigeria. There is a marked improvement in the economic situation through the promotion of adult education.

Keywords: Education, Adult education, Non-formal education, Psychological aspect, Educational methodology, Economic growth / development.

განათლება არის ადამიანის უფლება, რომელიც სოციალურ/ეკონომიკურ განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ზრდასრულთა განათლება გულისხმობს იმ ცოდნის, უნარების განვითარებას, რომელსაც ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ახერხებს.

ცნობილმა ექსპერტმა რობერტ პაიკმა ჩამოაყალიბა "ზრდასრულთა განათლების პაიკისეული კანონი". პირველი კანონის მიხედვით ზრდასრულები ჩვილ ბავშვებს გვანან, ოღონდ მოზრდილი ტანი აქვთ, ისინი პრაქტიკით, გამოცდილებით სწავლობენ. მეორე კანონის მიხედვით ადამიანები არ კამათობენ თავიანთ იდეებთან, ზრდასრული ადამიანები თავად მიდიან სწორ იდეამდე. ხოლო, მესამე კანონის მიხედვით სწავლა პირაპირპროპორციულია გართობასთან და სიამოვნებასთან, რაც გულისხმობს, რომ ზრდასრულთა განათლება მნიშვნელოვანია დატვირთული იყოს იუმორის ელემენტებით და კომფორტული გარემოებით. მეოთხე კანონის თანახმად ზრდასრულთა განათლება მაშინ არის ეფექტიანი, როცა მათი ქცევა იცვლება და სათანადო ადგილას შეიძლება მოახერხოს ამ ცოდნის გამოყენება. სასურველია ზრდასრულთა განათლება მორგებული იყოს ამ კანონებს, რადგან შედეგიანი, გააზრებული და სასაგრებლო, რომ აღმოჩნდეს.

არაფორმალური განათლება გულისხმობს დაგეგმილ სასწავლო აქტივობებს, რომელიც ორგანიზებულია ფორმალური განათლების სისტემის გარეთ, მაგალითად ზრდასრულთა განათლება და ტრენინგები.

ინფორმირებული განათლება მოითხოვს ისეთ სწავლებას, რომელიც არ არის ორგანიზებული ან სტრუქტურირებული. ადამიანები ამ უნარებს და ცოდნას ღებულობენ უნებლიედ ან მუშაობის პროცესში.

არაფორმალური აღიარების ძირითადი პრინციპები ევროსაბჭომ 2004 წლის მაისში მიიღო. საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარება განიხილება სამი პერსპექტივიდან:

- განათლების სისტემაში მისი გამოყენება შეიძლება საგანმანათლებლო პროგრესის მხარდასაჭერად განათლების ხელმისაწვდომობაზე ბარიერების მოხსნით და იმ პირებისათვის ხელმეორედ სწავლის შესაძლებლობების შექმნით ვინც მიატოვა სისტემა;
- დემოგრაფიული სიტუაცია;
- ევროკავშირის დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

არსებობს ზრდასრულთა განათლების ორი მეთოდი: ტრადიციული და დინაამიური. ტრადიციული მეთოდი ძირითადად გავრცელებულია სასკოლო სივრცეში, როცა სწავლის მიზნები თავიდანვე განსაზღვრულია, სწავლის პროცესი ხშირად მოსაწყენია, სწავლაში ჩართული მოსწავლეები ნაკლებად აქტიურები არიან.

ევროპულ უნივერსიტეტების „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და არა მხოლოდ ტრადიციული ლექციების სახით.

ზრდასრულთა განათლების მიღების დროს მნიშვნელოვანია იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, მაგალითად: **ვორქშოპი, სემინარი, კონფერენცია, ფორუმები და სიმპოზიუმები, ღია დისკუსია, ღია დისკუსია.**

ვორქშოპი : ვორქშოპის დროს აქცენტი კეთდება მსმენელზე, მსწავლებლები წამყვანთან ერთად ინაწილებენ პასუხისმგებლობას ცოდნის მიღებაზე.

სემინარი : მონაწილეებს გადასცემს ცოდნას, ხდება ცოდნის გაცვლა ჯგუფის წევრებს შორის და შეიძლება ითქვას დისკუსიისთვის მოსამზადებელი ეტაპიც არის.

კონფერენცია : ამ დროს ხდება აქტიუალური პრობლემების განსაზღვრა და მისი გადაჭრის გზების პოვნა. მაღლდება მონაწილეთა მოტივაცია.

ფორუმები და სიმპოზიუმები : ამ დროს აუდიტორიას ეძლევა საშუალება დასვას კითხვები და ექსპერტები გამოდიან მოხსენებით.

დისკუსია : ეძლევათ საშუალება დასვან კითხვები, იმსჯელონ და მიიღონ მონაწილეობა ღია დისკუსიაში.

ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ რჩევებს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენება მოხერხდეს სწავლის პროცესში, რადგან არ იყოს რუტინური და მომაბეზრებელი სასწავლო პროცესი.

ბოლონიის პროცესის ინიციატივით ევროპულ განათლების სივრცეში მაშტაბური ცვლილებები დაიგეგმა. მანამდე ევროპის უნივერიტეტების უმრავლესობაში უწყვეტ განათლებას, ზრდასრულთა მომსახურეობას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ეს ჩანდა უნივერსიტეტის პოლიტიკაში და მისიაში. საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის, სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური

საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის, სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პირობების შექმნას უნივერსიტეტებში ფრაგმენტული, არასისტემური ხასიათი ჰქონდა და ეს, ძირითადად, ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების კეთილ ნებაზე, ამა თუ იმ ქვეყანასა თუ უნივერსიტეტში უკვე არსებულ გამოცდილებასა და ტრადიციაზე იყო დამოკიდებული. ერთგვარი გარდატეხა მოხდა 1999 წელს. ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერის შემდგომ, შესაძლებელი გახდა კრედიტების მოპოვება უმაღლესი დაწესებულების მიღმაც, რაც გულისხმობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას და განვითარებას.

მთელი სიცოცხლის მანძილზ სწავლის მნიშვნელობა ევროპულ უნივერსიტეტებში, როგორც ვახსენეთ 1999 წლიდან დაიწყო, მაგრამ 2005-2007 წლიდან ბოლონიის მონაწილე ქვეყნებზე პასუხისმგებელმა

მინისტრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ბოლონიის პროცესი ქვეყნებისათვის.

ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ევროპული უნივერსიტეტების 56%-ში სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.გამოკითხული უნივერსიტეტების უმეტესობამ აღიარა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ევროპული უნივერსიტეტების 82% შესაბამის ზომებს იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის განვითარებაში, რადგან მორგებული იყოს ზრდასრულტა განათლებას.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ადმინისტრირების სხვადასხვა მოდელი გვხდება. ამ ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს უწყვეტი განათლების სპეციალური დეპარტამენტი, ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტი ან უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის სპეციალურის სტრუქტურული ერთეული. უმეტეს შემთხვევაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლათან დაკავშირებულ საორგანიზაციო და კონცეპტუალურ საკითხებს ადმინისტრაცია და ფაკულტეტები ერთობლივად, თანამშრომლობის საფუძველზე აგვარებენ. „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა გულისხმობს, არაფორმალურ და არაოფიციალური განათლების აღიარებას, მენტორობას, რჩევებს, ტუტორობას, დახმარებას, სხვადასხვა სფეროს შესწავლას და ა.შ.

ევროპის უნივერსიტეტებში ხშირად ხდება ECTS კრედიტების მინიჭება და სწავლის შედეგების აღწერა. პროფილების უმრავლესობა არის პროფესიული და არა თეორიული. ზრდასრულთა განათლება ეხება, როგორც პიროვნულ ისე პროფესიულ განვითარებას, ის უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროსაც. უნივერსუტეტში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ ემსახურება ცალკეული ინდივიდების დახმარებას, ის სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ხშირად მისი

განვითარების საშუალება არის გარე სტრუქტურებთან მჭირდო თანამშრომლობაა. ძირითადი მიზანი მაინც ლოკალური და რეგიონული მოთხოვნების დაკმაყოფილებაა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციებიაა: სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელი. ასევე არსებობს სხვა დამატებითი ხელშემწყობი ორგანიზაციები, ჯამში მათი მიზანია სტრატეგიებისა და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში უმაღლესმა დაწესებულებებმა მრავალი ცვლილება განიცადა. 2005 წლიდან შეიცვალა დაფინანსების საბაზო მოდელიდან მოხდა ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა, შემოღებულ იქნა სწავლის სამ საფეხურიანი სისტემა, სავალდებულო გახდა ECTC კრედიტები, შემცირდა სასწავლო კურსების ხანგრძლივობა, მოთხოვნა გაიზარდა დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამებზე, ყურადღება მიენიჭა პრაქტიკულ კურსებს, შესაძლებელი გახდა მობილობა, როგორც შიდა დონეზე ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველოს უნივერსიტეტები დროთა განმავლობაში იძენენ „ევროპულ განზომილებას“. საქართველოში 2005 წლიდან წარმატებულად დაიწყო ბოლონიის პროცესის იმპლემენტაცია, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს აქვს არასისტემური ხასიათი. კარგი იქნება ღონისძიების ფართო სპექტრით გატარება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე არასამთავრობო სექტორების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან. საქართველოში ამ მიმართულებით გავითარებას ხელს უშლის რამდენიმე გარემოებ, მაგალითად ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსური პრობლემები, უმაღლესი სასწავლებლების მისიაში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ ფაქტობრივი იგნორირება, ბაზრის კვლევების არარსებობა, „მთელი

სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ განსავითარებელად საჭირო საგანმანათლებლო პროგრამების, მეთოდოლოგიის, კურსების არარსებობა. ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობით მოხდება ლოკალური და რეგიონული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რეგიონების კულტურული, ეკონომიკური განვითარება.

საქართველოში უმაღლეს „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის ამოცანები შეიძლება იყოს; ბოლონიის პროცესის აქტიური დანერგვა, უნივერიტეტების ეკონომიკური განვითარება, დამატებითი შემოსავლების გაჩენა, აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის როლის გაძლიერება,ე) საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, საზოგადოების დასაქმებაში წვლილის შეტანა, რეგიონის განვითარება, სწავლის მეთოდების მოდერნიზება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, საზოგადოების გათვისცნობიერება უწყვეტი განათლების მიმართ.

ამ ყველაფრიდან მოსალოდნელი შედეგები შეიძლება დავისახოთ:

- ✓ საქართველოს უნივერსიტეტების ინტეგრაცია საერთაშორისო დონეზე;
- ✓ უნივერისიტეტების შემოსავლების გაზრდა;
- ✓ საზოგადოების ნდობის გაზრდა უნივერსიტეტებისადმი;
- ✓ კურიკულუმების და მეთოდების მრავალფეროვნება;
- ✓ ეკონომიკურ, სოციალურ კულტურული სფეროს განვითარება;
- ✓ საზოგადოების დამოკიდებულების გაუმკობესება უწყვეტი განათლებისადმი;
- ✓ მოქალაქეების დასაქმების გაზრდა;

ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის (EUCEN) მიხედვით- სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ უნდა განისაზღვროს, როგორც ქვეყნის განვითარება ეკონომიკური და სოციალური წინსვლისთვის.

უმჯობესია უმაღლესმა დაწესებულებამ გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილება, გაეცნოს და იზრუნოს ადგილობრივ

თანამშრომლობაზე, საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია უწყვეტი განათლების შესახებ საზოგადოებისთვის, უნდა იზრუნოს დასაწყისითვის საჭირო ფინანსების მოძიებაზე, მოამზადოს და გადაამზადოს აკადემიური და ადმინისტრაციული კადრები, იზრუნოს მეთოდოლოგიური მხარის განვითარებაზე, აწარმოოს საბაზრო კვლევა და ყველაფეი ეს აისახოს უნივერისტეტის სტრატეგიაში.

განათლების შესახებ პოლიტიკა ადგენს ზრდასრულთა განათლების მიზნებს:

- ზრდასრულებისთვის წიგნიერების განათლების უზრუნველყოფა;
- ფუნქციური და დამხმარე განათლების მიწოდება იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ადრე მიატოვა განათლება.
- ფორმალური განათლების სისტემა კურსდამთავრებულებისთვის;
- სხვადასხვა კატეგორიის პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა;
- ზრდასრულთა განათლებისთვის ესთეთიკური, კულტურული და სამოქალაქო განათლების მიწოდება;

ჩვენ მოვიძიეთ მაგალითი, თუ რა მდგომარეობა არის ნიგერიაში ზრდასრულთა განათლების მხრივ. ზრდასრულთა განათლება ნიგერიაში ამჟამად მიმართულია ეროვნული განვითარებისკენ.

ზრდასრულთა განათლებაში ცვლილებები ნიგერიაში, გამოსახული არის ნიგერიის ეროვნულ განვითარების გეგმაში:

- ➢ ძლიერი პიროვნების განვითარება;
- ➢ ეკონომიკის განვითარება;
- ➢ თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება;

ნიგერიაში მასობრივი განათლების სააგენტო დაარსდა 30 შტატში, შეიქმნა სხვადასხვა მიმართულება;

- საკვების;
- გზების;

- სასოფლო-სამეურნეო;
- ანტი საომარო ბრიგადა

ამჟამად დაგეგმილია ინოვაციური პროგრამები: ქალთა ზრდასრულთა პროგრამა;

დისტანციური სწავლების პროგრამა, სადაც ინსტრუქციის გადაცემა ხდება, რადიოს, ტელევიიზის საშუალებით; მომთაბარე პროგრამა; საწყისი წიგნიერების პროგრამა.

და ბოლოს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზრდასრულთა განათლება საჭირო და აუცილებელია პიროვნული, სოციალური განვითარებისთვის, ეკონომიკური და კულტურული ზრდისთვის. დღესითვის მსოფლიო მაშტაბით მიმდინარეობს ამ მიმართულებით ცნობიერების გაღრმავება. ნიგერიის საზოგადოებაც გაიაზრა ზრადასრულთა განათლების მნიშვნელობა და დავინახეთ, თუ როგორ გაიზარდა ეკონომიკურად. ჩვენი ქვეყანა ცდილობს დანერგოს ამ მიმართულებით სიახლეები, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, უირველეს ყოვლისა საერთაშორისო მაგალითის გაზიარება და თანამზრომლობა შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1.კრისტოფერ ევუცი, საერთაშორისო მშვიდობის ფონდი, ნიგერია-ნიგერიაში ზრდასრულთა განათლების ცვლილებები;
2. http://dvv-international.ge/georgia/?action=67&lang=geo
3. https://lookaside.fbsbx.com/file/07_H-ULLL
4. ზრდასრულთა განათლების ფსიქოლოგიური ასპექტები
5. ზრდასრულთა განათლება საქართველოში და CONFINTEA VI. თბ. 2009
6. ანონი პროფესიული განათლების შესახებ

7. საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძლზე სწავლისთვის. თბ. 2006 .

8. ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში. თბ. 2009.

ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - პოლ სამუელსონი

Laureates of the Nobel Prize in Economics - Paul Samuelson

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
vmosiashvili@seu.edu.ge
მარიამ გიქოშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი,სეუ
gikoshvilim@gmail.com
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, SEU
vmosiashvili@seu.edu.ge
Mariam Gikoshvili - Georgian National University, SEU
gikoshvilim@gmail.com

სამუელსონი (Samuelson) პოლ (15.IV. 1915, ქ. გერი, ინდიანას შტატი, აშშ), ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1970). დაიბადა ინდიანას შტატის ქ. გერიში ფრენკ და ელლი სამუელსონების (ქალიშვილობის გვარი ლიპტონი) ოჯახში. 1935 20 წლისაც არ იყო როცა მიიღო ბაკალავრის ხარისხი ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდნენ ეკონომისტები ფ. ნაოტი, ჯ. ვინერი, ჰ. საიმონი. მისი შემდგომი კარიერა, როგორც ჰარვარდის უნვერსიტეტი ასპირანტისა, ამის შემდეგ ლეგენდად იქცა. 1936 ეკონომიკის მაგისტრის წოდების მიღების შემდეგ სამუელსონი დანიშნეს ჰარვარდის უნივერსიტეტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. აქ მას ასწავლიდნენ მსოფლიო ეკონომიკის ვარსკვლავები - ი. შუმპეტერი, ვ. ლეონტიევი, ა. ჰანსენი. მან მოიპოვა აღიარების ერთ-ერთი უმაღლესი ხარისხი. როცა დამთავრდა მისი ზეპირი გამოცდა, პროფესორებმაა ხუმრობით კითხეს: „ჩვენ ჩავაბარეთ კი გამოცდა?“ 1938 სამუელსონი დაქორწინდა მარიონ კროუფონდზე. მათ ჰყავდათ ორი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სამუელსონი 1981 ქორწინდება რიში ეკაუზზე.

1941 მიიღო დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში და იმავდროულად დისერტაციისთვის მიენიჭა დევიდ უელსის პრემია. 1940

სამუელსონი გახდა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ასპირანტ პროფესორი.

II მსოფლიო ომის პერიოდში 1941 და 1943 წლებში ის იყო რესურსების დაგეგმვის ეროვნული სამმართველოს და სამხედრო წარმოების სამმართველოს (1945) კონსულტანტი. ამასთან ერთად სამუელსონი ასევე მუშაობდა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის რადიაციულ ლაბორატორიაში (1945) და მიჰყავდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსი ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში. (1945)

1947 ამერიკის ეკონომიკურმა ასოციაციამ სამუელსონი დააჯილდოვა ჯონ ბეითს კლარკის პირველი მედლით, რომელიც ენიჭება ყველაზე თვალსაჩნო წვლილისათვის 40 წლამდე ასაკში.

სამუელს“ონის წიგნი „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“ (1947) XX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი მყარი საფუძველი გახდა ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებისთვის. მართალია წიგნის სტილი მკაცრად მათემატიკურია, სამუელსონი თავდაჯერებით ამტკიცებს, რომ სწორედ ასეთი სტილია აუცილებელი ეკონომიკური ანალიზისთვის. სხვანაირად, ეკონომისტები უბრალოდ თავს იქცევენ „ყველაზე დამახინჯებული ყაიდის გონებრივი ვარჯიშით“. ბევრი ეკონომისტი ს.კუზნეცის, ვ. ლეონტიევისა და გ. მიურდალის ჩათვლით, ეწინააღმდეგებოდნენ ეკონომიკაში რთული მათემატიკის გაძლიერებულ გამოყენებას და ამტკიცებდნენ, რომ უკანასკნელი ფიტავს ეკონომიკურ ურთიერთობათა არსს - რეალურ სამყაროში წარმოქმნილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ანალიზს. სამუელსონი კი ამტკიცებდა, რომ უახლესი მათემატიკური მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეკონომიკური ანალიზი იყოს ნათელი და არაორაზროვანი და, რომ მის თეორემებს ჰქონდეს ემპირიული დატვირთვა. კოლეგების მიერ მისი იდეების სულ უფრო ფართო მხარდაჭერამ შეცვალა ეკონომიკური მეცნიერების მეთოდები და მიდგომები.

„ეკონომიკური ანალიზის საფუძვლებში“სამუელსონი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური თეორიის ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა წარმოებისა და მოხმარების თეორია, საერთაშორისო ვაჭრობის თეორია, სახელმწიფო ფინანსები, კეთილდღეობის ეკონომიკა, პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება მივიღოთ ზოგიერთი ფუნქციის მათემატიკური გამოყვანით, რომლებიც განიცდიან რიგ შეზღუდვებს.

დამოკიდებულებას სტატისტიკურ მოდელსა და დინამიკური განვითარებისთვის აუცილებელ სტაბილურობის პირობებს შორი, სამუელსონმა უწოდა „შესაბამისობის პრინციპი“, რამაც ცენტრალური ადგილი დაიკავა მის კონცეფციაში.

წრფივი ანალიზის პრინციპების დამუშავების შემდეგ სამუელსონი გადავიდა უფრო რთულ არაწრფივ პრობლემებზე. მან განასხვავა სამი ტიპის ეკონომიკური სისტემა: სტაციონალური, ზალური ამასთან ერთად აღიარებდა, რომ არც ერთ მოდელს არ შეუძლია გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ფაქტორი, მათ შორის არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორი, რომლებიც იწვევს ეკონომიკური წონასწორობის პირობების შეცვლას. „რეალობა იშვიათად თავსდება სახელმძღვანელოებში მოცემული კლასიფიკაციის ჩარჩოებში“ - ამბობდა სამუელსონი.

ანალიზურმა ეკონომიკამ განვითარება ჰპოვა სამუელსონის ნაშრომში - „ეკონომიკსი: შესავალი ანპალიზში“ (1948), რომელიც კონომიკის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე გავცრცელებული სახელმძღვანელოა მსოფლიოში, თარგმნლია 20-ზე მეტ ენაზე. სამუელსონის თნაავტორია უილიამ ნორდჰაუზი, იელის უნივერსიტეტიდან.

მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში სამუელსონი იყო ქ. მ. კეინზის მიერ შექმნილი „დირიჟიზმის“ ეკონომიკური თეორიის ერთგული მიმდევარი. „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლებში“ იგი პირველად შეეცადა კეინზიანური თეორია, როგორც თანამედროვე ეკონომიკის მაკროეკონომიკური განყოფილების საფუძელი,

შეერთებინა ნეოკლასიკური მიკროეკონომიკასთან. ასე წარმოიშვა „დიდი ნეოკლასიკური სინთეზის იდეა“.

სამუელსონმა ეროვნული აღიარება მოიპოვა 60-იანი წლების დასაწყისში, როცა ეკონომიკური მრჩეველი იყო ქ. კენედის, ჯერ როგორც სენატორისა, პრეზიდენტობის კანდიდატისა და ბოლოს პრედინეტისა. პოლიტიკური შეხედულებებით სამუელსონი თავის თავს აკუთვნებდა „ეკონომისტ დემოკრატების მემარჯვენე ფრთას, ახალი კურსის მომხრეებს“.

70-იანი წლების შუახანებიდან მოყოლებული სახელი მოიხვეჭეს მისმა სტატიებმა „ფაქტორული ფასების გათანაბრების შესახებ“ საერთაშორისო ვაჭრობაში. მათში დასაბუთებული იყო ქვეყნებს შორის ვაჭრობის სრული თავისუფლების აუცილებლობა როგორც კაპიტალიდან და შრომიდან მიღებული შემოსავლების განსხვავების ნიველირების ფაქტორი.

სამუელსონმა ყველაზე არსებითი წვლილი შეიტანა ეკონომიკური დინამიკის თეორიის, სტაბილურობის, ზოგდი წონასწორობის თეორიის, მოხმარებისა და კეთილდღეობის თეორიის დამუშავებაში, ეფექტიანობისა და ოპტიმალურობის პრობლემის კვლევაში.

სამუელსონის კონომიკური თეორიის ლაიტმოტივია ორი კატეგორიის გაერთიანება: „ეფექტიანობისა“ და „სამართლიანობის“. იგი დარწმუნებულია, რომ უზნეობაა იამაყო ეკონომიკური ეფექტიანობით, თუ მას არ ემატება საზოგადოების შემოსავლის სამართლიანი განაწილება. იგი მომხრეა ისეთი საბაზრო ეკონომიკისა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას სოციალური პრობლემები და უზრუნველყოს ყველა მშრომელის კეთილდღეობა.

სამუელსონის წარმოდგენით ეკონომიკური ანალიზი და ეკონომიკური სინამდვილე - ეს ორი სხვადასხვა სამყაროა და საეჭვოდ მიაჩნია , რომ ეკონომისტებმა შეძლონ არსებითი გავლენა მოახდინონ რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომისტების ამოცანად იგი თვლის ამ ნეცნიერების ლოგიკისა და თეორიის განვითარების

გაგრძელებას და მაინც, გასულ საუკუნეში იშვიათად თუ მოუხერხებია რომელიმე ეკონომისტს გავლენა მოეხდინა ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე მთლიანად, როგორც ეს მოახერხა სამუელსონმა.

ნობელის პრემია მიიღო მეცნიერული შრომისათვის, რომელმაც განავითარა სტატისტიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია და შეიტანა წვლილი ანალიზის საერთო დონის ამაღლებაში ეკონომიკურ მეცნიერებაში“ . მიუხედავად იმისა, რომ მისი მოღვაწეობა ფრიად მრავალფეროვანი იყო, ნობელის ლექციაში ნათლად გამოცნდა, რომ მისი მუშაობა მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ მიზანს ისახავდა - „მაქსიმიზაციის პრინციპების როლის გამოვლენა ანალიზურ ეკონომიკაში“.

ნობელის პრემიის გარდა სამუელსონს მიღებული ჰქონდა ბევრი ჯილდო და საპატიო წოდება, მ. შ. ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ჯონ ბეითს კლარკის მედლი და იეშივის უნივერსიტეტის ალბრეტ აინშტაინის პრემია. იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციიის, ეკონომეტრიკული საზოგადოების და საერთაშორისო ეკონომეტრიკული ასოციაციის პეზიდენტი. იგი იყო გუგენგეიმის, ფორდისაკრნეგის ფონდების სტიპენდიანტი. არის ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ამერიკის მეცნიერებათადა ხელოვნების აკადემიის, ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიიის წევრი. სამუელსონს მინიჭებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტის და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის, აგრეთვე ჩიკაგოს, ინდიანას, მიჩიგანის, კეიოს, სამხრ. კალიფორნიის, პენსილვანიიის, როჩესტერის, აღმ.ინგლისის, ჩრდ. მიჩიგანის, მასაჩუსეტი უნივერსიტეტების საპატიო სამეცნიერო ხარისხი.

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები, ბიზნეს-ტექნოლოგიები

სტატიები იბეჭდება მხოლოდ ანონიმური რეცენზენტის მიერ სტატიის განხილვის და დადებითი დასკვნის შემდეგ
რეცენზენტის კითხვარი და სტატიის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ ლინკზე:
https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers

The journal is an academic edition. It publishes scientific articles in such fields as economics, finances, social sciences, business technologies.
The journal uses external experts to help evaluate articles and assist the editors to make a decision.
Reviewer questionnaire and article evaluation criterias you can find on the following link:
https://economics-and-finance.bpengi.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/international-scientific-journal-economics-and-finance/guideline-for-reviewers

მთავარი რედაქტორი - **დავით ჩახვაშვილი,** ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი
https://www.linkedin.com/in/davit-chakhvashvili/
https://www.facebook.com/davit.chakhvashvili1099

გამომცემლობა: „დანი“
წერეთელის ქ. 112,
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 599 78 90 03

Publishing house: "Dani"
Tsereteli street 112,
Tbilisi, Georgia
Tel.: +995 599 78 90 03

ყდაზე გამოსახულია ტრანს-ანატოლიური მილსადენი (ინგლ. Trans-Anatolian Natural Gas Pipeline, შემოკლებით TANAP, (თურქ. Trans-Anadolu Doğalgaz Boru Hattı) — მილსადენი, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით გადის. მისი გაგრძელება იქნება ტრანს-ადრიატიკული მილსადენი. TANAP-ის მილსადენი ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას „შაჰ-დენიზის“ საბადოდან საქართველო-თურქეთის საზღვრიდან თურქეთის დასავლეთით. მისი მშენებლობა ფორმალურად 2015 წლის მარტში დაიწყო[1]. 2019 წლისთვის იგეგმება გაზის მიწოდება საბერძნეთის საზღვარზე